პ. მ. საყვარელიძე

მისტერ სმიტის გაკვეთილები

სახელგამი — 1930 — ტფილისი

ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფ-
ტრუსტის 1-ლი სტამბა.
პლეხანოვის პროსპ. № 91.
მთავარლიტი № 1344. შე-
კვეთის № 1916. ტ. 2000.

წინასწარ.

იტყვიან: „ — კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო!“ ღმერთის რა მოგახსენოთ. მას სიცილისათვის, მგონი, აღარ უნდა ეცალოს, მაგრამ კაცს, მართლაც, ხშირად ემართება საჯაყი საქმე. გულში ერთს ამოიჭრის, აპირებს ერთი რამ გააკეთოს, ცხოვრება კი სულ სხვა მხრით მიათრევს.

მეც ასეთი საქმე დამემართა.

შემთხვევით საზღვარ-გარეთ მოვხვდი, მაგრამ სრულებითაც არ ვაპირებდი ამერიკაში წასვლას. გარემოებამ სრულებით მოულოდნელმა, ჩემმა გულუბრყვილობამ და ზოგიერთი ადამიანების დაჟინებულმა აკვიატებამ კი ამეოიკაში ამომაყოფია თავი.

ჯერ წასვლისას და მეტადრე მოსვლის შემდეგ ბევრმა გამაგონა:

„ — ბედნიერი ხარ, ამერიკის ნახვის ღირსი გახდიო!“.

ამერიკა მართლაც ბევრად საგულისხმო და საინტერესო ქვეყანაა, თუმცა — ესეც სათქმელია — ბედნიერება იქ ბევრი არ ჰყრია. ხშირად მკითხავენ ხოლმე—გვითხარი, მოგვიყევი რა ნახე, როგორია შენი შთაბეჭდილებებიო? კითხვა პასუხზე უფრო ადვილი საქმეა, მაგრამ ესეც რომ არ იყოს ზეპირად სახელდახელოდ, სადმე გზაზე მიმავალი, აბა ვის რას ეტყვი, რამდენს ეტყვი, ვის რამდენათ დააკმოყოფილებ.

ვისაც ამერიკის შესახებ ჩემი შთაბეჭდილებები აინტერესებს, ამ კრებულში ამოიკითხავს.

დაწერილია ის სხვა და სხვა დროს ჩემი ამერიკაში ყოფნის განმავლობაში.

ეს არ არის მეცნიერული ნარკვევი, ეს ახლად მოსული კაცის დაკვირების შედეგია.

ციფრები და ცნობები, რაც იქა-აქ მაინც მოიპოვება ამ კრებულში, შემოწმებული და შეთანხმებულია სტატისტიკურ სახელმძღვანელო წყაროებთან.

ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატები ეს უაღრესად განვითარებული ქვეყანაა. მეცნიერება და ტეხნიკა სწრაფი ნაბიჯით მიაქანებს აქაურ ცხოვრებას.

საითკენ მიდის ამერიკა?

კაპიტალის უზომო დაგროვებისაკენ, ქვეყნის სიმდიდრის სულ უფრო და უფრო მცირე რიცხოვან მილიარდერების სრულს გაბატონებისაკენ, ეს კი თავისთავათ ნიშნავს მრავალ მილიონი მუშათა კლასის გაღატაკებასა, უმუშევრობის უაღრესად გამწვავებას და სხვა თანაბარ მოვლენების უმწვერვალესად გაალმასებას.

ეს უკანასკნელი საფეხურია, ამას იქით კაპიტალის ბატონობას სავალი გზა აღარ აქვს. კაპიტალისტური წესწყობილების განვითარების გზები ილევა—ამას უნდა მოჰყვეს კაპიტალიზმის დამნგრევი და გამანადგურებელი ძალების აშკარა შეტევა და ამ ძალთა გამარჯვება. ეს უდაო და აშკარაა, ისე როგორც აშკარა და აუცილებელია, რომ ბნელს ნათელი მოჰყვება, ღამეს დღე. როდის დადგება ეს დრო, როდის დაიჭექებს ამერიკის კაპიტალისტების თავზე ეს საბედისწერო მეხი — ამის მთქმელი, ამის წინასწარმეტყველი არავინაა.

ვინც დღევანდელს ამერიკის ცხოვრებას დაუკვირდება, ვინც ზერელეთ არ შეხედავს აქაური სინამდვილის რთულს სახეს, უსათუოდ შეამჩნევს, რომ კაპიტალის გამანადგურებელ ძალთა თავის მოყრა, რევოლიუციონური სულისკვეთების დაგროვებაც სწრაფად იზრდება და ვითარდება.

თუ ჩემი შთაბეჭდილებათა კრებულის მკითხველი შეამჩნევს და დაინახავს, ისე როგორც ეს მე დავინახე, ამ ორი მიმავალი და მომავალი ძალთა არსებობას და იმ თავისებურ ურთიერთობას, რომელიც საბოლოოდ უკანასკნელი ბრძოლით უნდა დათავდეს, მაშინ უსათუოდ მეთქმის, რომ ჩემი შრომა ამ კრებულის შედგენაზე დახარჯული უქმათ დაკარგული არ ყოფილა.

პ. მ. საყვარელიძე.

ჰამბურგიდან ნიუ-იორკამდე.

7 დეკემბერი.

ჰამბურგიდან გემი ნიუ-იორკისაკენ დილით მიდის.

— საათის ცხრაზე გავა ნავთსადგურიდანო, ასე მითხრეს ბერლინში, როცა ბილეთს ვყიდულობდი. ჰამბურგში კი სხვა მითხრეს.

— გემი აქედან კი არა, კუკს-ჰაფენიდან გადისო.

— სად არის ეს კუკს-ჰაფენი?

— აქედან მოშორებითაა, ორი საათის სავალი გზაა რკინის-გზითო.

როგორც იქნა მოვნახე ამ დალოცვილ კუკს-ჰაფენისაკენ მიმავალი მატარებელი. ჩავჯექი.

გზას, დაახლოვებით, მართლაც ორი საათი მოუნდით.

ბოლოს, გაჩერდა მატარებელი.

— ბარგი ვაგონში დასტოვეთ, ყოველიფერს ჩვენ მოგიტანთ და ჩაგაბარებთ თავ-თავის ადგილზეო, გვითხრეს. მე სხვა გვარ წეს-რიგსა ვარ მიჩვეული. ჩემი ნივთები მივატოვო და ისე გავუდგე გზას ცარიელ-ტარიელი? არა, ასე არ სწერია ჩემს კარაბადინში.

გუნებიერათ მოვუჯექი გვერდში ჩემს ნივთებსა და ვაპირებ კვალ-და-კვალ გავყვე.

— თქვენ სად მიემგზავრებით?

— ნიუ-იორკში.

— აქ რას უცდით?

— ნივთები მიწუვია აგერ, მინდა თან გავყვე, დაკარ-ვის მეშინია.

— მაგისთანა მაგალითი ჯერ არ ყოფილა. თქვენ წაბრ-ძანდით და თქვენი ნივთები, თქვენი იქ მისვლის უმალ იქ დაგხვდებათ.



ჰამბურგის ნავთსადგური.

სჯობს დაუჯერო, თორემ ნივთებიცა და მეც აქ დავრ-ჩებით, ისე ვატყობ საქმეს. გავყევი იმ გზას, საითკენაც სხვები მიდიოდენ.

— პასპორტი? კითხულობს გასავლელ კართან ატუ-ზული ვილაც მოხელე. შორი-ახლოს დახედავს; მგზავრე-ბი შეუჩერებლივ მიდიან წინ..

მეც სხვებს მივყვები.

გავედით ზღვის ნაპირზე.

ჩვენს წინ ვეებერთელა გემია. ნაპირიდან მიდგმული აქვს კიბე. ამ კიბეზე ავყევით ნელა-ნელა.

— თქვენი ბილეთი?

შევაგებე; მომარჯვებული მაქვს ხელში.

— აქეთკენ წამობრძანდით.

გავყევი.

შემიყვანეს ერთ პატარა ოთახში. მართლაც. რომ ოთახია. ორი საწოლია შიგ. არის პირისაბანი, სხვა მორთულობა; შკაფი, სავარძელი. ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც ოთახში — ჩვეულებრივს ბინაზე.

— ეს გახლავთ თქვენი ბინა.

— ნივთები?

— აგერ თქვენი ნივთები.... პირდაღებული დავრჩი. ყველაფერი თავის ადგილას დამხვდა.

12 საათი.

ჩვენი გემი სწორეთ და ზუსტათ 12 საათზე დაიძრა ადგილიდან. არ ვიცი, ასე ჰქონდა განკარგულებული დრო, და ასე უნდა წასულიყო, თუ ეს უბრალო შემთხვევის შიზეზით მოხდა.

ნაპირზე დარჩა ერთი წყება ხალხი. რომელიც კარგა გვარიანა ხანს აქნევდენ ცხვირ-სახოცებს. გემზე მუსიკამ დაუჭყიპინა რაღაც უაზრო და უგემო. ამისთანაობაში გერმანელებს, რაც მართალია-მართალია — დიდი შნო და უნარი არ გამოჰყოლიათ.

ნელა, თითქმის შეუმჩნევლათ ვშორდებით ნაპირს.

ჯერ მხოლოდ რაძოდენიმე გოჯით დავცილდით ნაპირს. მარჯვე ბიჭი კიდევ მოახერხებს გადახტომას.

რამდენი, ვინ დასთვლის, რამდენი ასეთი მანძილი გვაქვს ჯერ კიდევ გადასათელი.

ვზივარ ჩემს კაბინაში. — სახელი ეს ქვია ამ ოთახს.

წყნარათ მიდის გემი; არ ირყევა.

ნეტავი ასე იქნებოდეს მთელ ამ მგზავრობის ხანს.....

თითქოს, გულმა მიგრძნოო, დაჰბერა სადღაიგანაც ქარმა. ჩვენმა გემმაც იკადრა და აყუნტალდა ჩვენებური სოფლის აკვანივით.

მეშინია ამ რწევის. მახსოვს — ოცი წლის წინათ იყო ეს ამბავი — ერთხელ ისეთი დღე დამაყენა რწევამ, რომ ნაღველი აღარ დაუტოვებია — ხელიერთპირათ ამომანთხევია.

ზღვის რწევას არაფერი წამალი არ უდგება. ერთად-ერთი რამ, რაც მას შველის ისაა, რომ უნდა წაუწვე. მეც ასე ვქენი. მგონი ასე აჯობოს.

გაუხდელათ დავგორდი ლოგინზე...

ჩამძინებოდა. წამოსვლის წინათ იმდენი ვირბინე, ისე მოვიქანცე, რომ ამ რწევამაც ვერაფერი დააკლო ჩემს დაღლილობას.

გამოვახილე თვალი.....

თავი აღარ მტკივა, მაგრამ სიმშილი მაწუხებს. გავუდექი გზას. სასადილო ოთახში ერთი სული ადამიანი აღარ ჭაჭანებს.

— არ შეიძლება ცოტა რამ საჭმელის შოვა?

— დაგვიანებულია. დღეს სადილი ადრე გვქონდა...

— მე ეს არ ვიცოდი... თუ შეიძლება, მე მზათა ვარ გადავიხადო, რაც ეღირება.

— რა უნდა ღირდეს, ჩვენ ვალდებული ვართ. კეთილი, ეხლავე მიიღებთ ყველაფერს. დავჯექი მაგიდასთან, მაგრამ ვაი იმისთანა დაჯდომას. გემის რწევამ კვლავ უმა-

ტა და მეც მთვრალი ადამიანივით ამერია გული. რაღა მეჭმება?

მომადგა ვილაც საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტივით გამოწყობილი.

— ამოირჩიეთ, რას მიირთმევთ?

— რაც გაქვთ მზათ, ის მომიტანეთ, მე მაინცა და მაინც ამორჩევის გუნებაზე არა ვარ.

— რაც გენებოთ... ყველაფერს მოგართმევთ.

აღარ მახსოვს, რა ამოვირჩიე. მომიტანეს, მარა ვისა აქვს ჭამის თავი? როგორც იქნა გადავყლაპე ორიოდე ლუკმა, წამოვდექი ზეზე და ბარბაც-ბარბაცით გავუდექი გზას.

დიდის ვაი-ვაგლახით გავიხადე ტანზე და გავწევი ლოგინში. ღელვა და რწევა არ დაწყნარებულა, მაგრამ წამოწოლილი როცა ვარ, როდი ვგრძნობ ასე მწვავეთ ღელვის ზეგავლენას.

8 დეკემბერი.

დღეს საუცხოო ამინდია. ზღვა სარკესავით დგას. გემი თითქმის სრულებით არ ირყევა, რასაც თვით მანქანები! მუშაობა არ არყევს. ჩავიცვი და სულ ზემო ბანისაკენ გავეშურე.

მე, როგორც წარჩინებულს წოდებას და განსაკუთრებულს მდგომარეობას შეეფერება, პირველი კლასით გიახლებით. აქ მგზავრები ძლიერ ცოტაა.

მეორე კლასშიაც ნაკლებათაა მგზავრები.

ჩვენს გემს აქვს ერთი განსაკუთრებული განყოფილება. ეს არის „ტურისტების“ კლასი. არც იქ არის მაინცა და მაინც ხვავით მგზავრები. საზოგადოთ ამ ხელათ გემი თითქმის ნახევრათ ცარიელია.

გემზე ჰყიდიან წიგნებს, ჰყიდიან ტკბილეულობას, ტანისამოსს, ერთი სიტყვით ყველაფერს, რასაც კი მოისაჭიროვებს ადამიანი. აქვე არის მოწყობილი რადიო. შეგიძლია გააგზავნო ტელეგრამა საითკენაც გინდა; შეგიძლია კიდეც მიიღო.

ვიყიდე ერთი უბის წიგნი. ვიყიდე, გარდა ამისა, სტეფან ცვაიგის „ამოკი" გერმანულ ენაზე. შევიარე რადიოსადგურისაკენ და ბერლინში შევუთვალე ჩემს მეგობრებს:

— „მშვიდობიანათ ვიმგზავრებდი. ცოტას გვარწევს. მე კარგათ ვგრძნობ თავს".

11 ს. 40 წ.

ჯერ კიდევ კუკს-ჰაფენიდან ჩემთან იჯდა ერთი რგვალი ადამიანი. იმ სიმსხო იყო, რომ თავის ჭიპს ისე შესჩერებოდა, როგორც მთებში მოგზაური იალბუზის მწვერვალს. აი იმას გადავეყარე ბანზე. ის ცოტათი, ჩემი არ იყოს, გერმანულს ამტვრევს. შევებით მუსაიფს.

— ჩქარა მივაღწევთ ნავთსადგურს. ეს საფრანგეთის სადგურია ბულონი. — მითხრა მან.

— დიდ ხანს გავჩერდებით იქ, თუ არა?

— არა, მხოლოდ ფოსტას გადავცემთ და მივიღებთ. იქნება მგზავრებიც ჩამოჯდეს კიდევ ვინმე.

ჯერ კიდევ ერთ კვირაზე მეტი გზა გვაქვს. ამას გაძლება არ უნდა?

ვინ იცის, რა ამინდი გვექნება გზაში?

1 ს. 38 წუთი.

გავჩერდით ბულონში. ეს ქალაქი და ნავთსადგური ლამანშის სრუტესთნაა. ხვალ კიდევ გვექნება ერთი გასაჩერებელი ალაგი ინგლისის რომელიღაც ნავთსადგურში და

მხოლოთ ამის შემდეგ — ნუ დაივიწყებთ — შეეუდგებით გზას ოკეანეში.

ლამანსშის სრუტე ყოველთვის მყრალ გუნებაზეა. არსად რომ სიო არ ჰქროდეს, სრუტეში მაინც კორიანტელი სდგას. ეხლა, ვინ იცის, იქნებ დაირცხვინა — ლამანშში პატიოსნათაა.

მოაწია სადილობის დრომ. ეს სადილი არაფერი, მაგრამ ვახშმის დროს დამადგება უბედური დღე. ერთი ხელი ტანისამოსი უნდა გაიხადო და უსათუოთ შავ ტანისამოსში უნდა გამოეწყო.

ვაპირობ, თუ არ დამავიწყდა — ღია ბარათების ყიდვას. ხვალემდი კიდევ დრო გვაქვს. ხვალ ნავთსადგურში გადასცემენ და გააგზავნიან დანიშნულების მიხედვით.

ბანზე უკვე ნაცნობები გავიჩინე. ვმუსაიფობთ. მე არაფრათ მომწონს ჩემი გერმანული ენა. მაგრამ. თურმე — მე არც კი ვიცოდი ეს ამბავი — იმდენი მცოდნია, რომ თავისუფლათ ვემასლაათები ამ ხალხს. მათი მესმის და ჩემსას ვაგებინებ.

ნავთსადგურში გემზე ამოირბინა ახალგაზრდამ — გაზეთების გამყიდველმა. გამოვართვი ორი ჟურნალი და ერთი გაზეთი. გულს გადავაყოლებ. ფრანგები უფრო გრძნობის ამყოლი ხალხია და ამ გაზეთში. იქნებ, რაიმე ისეთს წავაწყდე, რომ დიდი ფიქრი და ყურადღება არ დასჭირდეს.

ეს ფრანგი გაზეთის გამყიდველი, ნამეტანი გამოიმასქნებული ვიღაც გამოდგა. სამი მარკა — ჩვენებურათ თითქმის მანეთ-ნახევარია — გადამახდევინა.

ვკითხულობ ბერლინიდან წამოღებულ რუსულ წიგნებს, ვიყიდე, სხვათა შორის. ვიღაც ვლ. კ რ ი მ ო ვ ი ს

წიგნი. დიდი მოხეტიალე ვინმე უნდა იყოს. ერთი კრიმოვი გენერალი იყო. მაგრამ ეს არ ჰგავს გენერალს.

8 საათი.

მართლის თქმა სჯობია — არ ვიცი, მაინცა და მაინც რვა საათია ეხლა, თუ მეტი, ან ნაკლები. ამბობენ, რომ ეხლა, რომ ჩვენ „ინგლისური დრო“ უნდა ვიქონიოთო, შემდეგ, ალბათ, „ოკეანეს დროს“ უნდა გავყვეთ და ამის შემდეგ „ამერიკის დროს“. განსხვავება ამ „დროების“ შორის გვარიანა საგრძნობია.

ასეა, თუ ისე, ჩვენ ამ საღამო-ხანს რომელიღაც ნავთსადგურთან ვართ გაჩერებული. ინგლისის ნაპირია. აქ რა მოდენიმე კაცი გამოგვაკლდა, ცოტა მეტი მოგვემატა. გემის მოხელე იდგა ჩემს ახლოს ბანზე (— მართალი გითხრათ, არ ვიცი რა წოდებისა და რა ხარისხის პატრონია—) ვერ დავუნახე მხიარული სახე.

— ცოტაა, რაც მოგვემატა, იმდენი თითქმის კიდეც მოგვაკლდა. — უგემურათ ჩაილაპარაკა მან.

— მართლაც და. ამ გზობას თქვენ, რაღაც ცოტა ხალხი გყავთ მგზავრები, დავემოწმე მეც.

— არა, ჩვენ ყოველთვის ბევრი ხალხი გვყავს ხოლმე, — იწყინა მოხელემ, მაგრამ ეხლა რაღაც მეტის-მეტათ ცოტა ხალხი გვყავს.

— ალბათ, ამინდმა დააფრთხო ყველა. ხომ გახსოვთ, რა საძაგელი ამინდი იყო?

— მართალია, დასტურ და რა საშინელი ამინდი იყო მთელი ერთი თვის განმავლობაში. მთელი თვე არ ჩამდგარა ქარიშხალი.

— საშიშია. ხომ ამისთანა ამინდში?

— საშიში არაფერიც არაა, მაგრამ სასიამოვნოც არაფერია.

— ეს გემი გაჩერებული იყო, თუ არა ამ ქარიშხალის დროს?

— არა, ჩვენ არ შეგვიწყვეტია ჩვეულებრივი მგზავრობა.

ნავთსადგურიდან ჩვენ გემს მოადგა პატარა გემი. ამ გემს ვინტი როდი აქვს: მას გვერდებზე დადგმული წისქვილის თვალის მზგავსი გოგრები აქვს გაკეთებული. ახლო-მახლოში სასიარულოთ ასეთს გემს არა უშავს რა, მაგრამ შორს კი მითი წაჩსვლელი უსათუოთ დაზღვეული უნდა იყოს — დაღუპვა ხელში უნდა ეკაოს.

შემოირბინა ვილაც ახალგაზრდამ. ხმაურობს, დარბის. ინგლისურათ მარიფათობს. ვერაფერი ვერ გავუგე—რა უნდა. გამოვიკითხე, თურმე — ტელეგრამის გაგზავნა, ხომ არავის გინდათო, ამას კითხულობს.

ეჰ. შემოძველებულია მაგ ამბავი. თუ ტელეგრამის გაგზავნა ვინმეს უნდა — რადიო-სადგური აქ არა გვაქვს გემზე?

წავედი ოთახისაკენ.

ჩვენი გემი — მისი სახელი. (— უკაცრავათ, მისი სახელის დაგვიანებისათვის —) „ა ლ ბ ე რ ტ ბ ა ლ ი ნ ი“ გახლავთ — ჯერ კიდევ სდგას და არ იჩქარის. მოსული გემი კი კარგი ხანია გაუდგა გზას.

ვკითხულობ ნ ი უ-ი ო რ კ ი ს აღწერას გერმანულათ დაწერილს. პატარა წიგნაკია — საუცხოოთ შედგენილი. რამდენი ჩინებული ცნობებია ამ პატარა წიგნაკში.

ძილი ჯერ ადრეა, საქმე კი არაფერია.

საკვირველი ამბავია! რაც უფრო ვშორდებით გერმანიას, მით უფრო ნაკლებათ ისმის გერმანული ენა, თუმცა

ხალხი, რაც იქ იყო — ის აქ არის. ჟრუანტელი მივლის, როდესაც ამ ინგლისურ მუსაიფს ვუგდებ ყურს.

ინგლისელი პირშეკრული ლაპარაკობს. კბილებს ერთი მეორეს არ აშორებს და ენა ამ დაკეტილ პირში ტრიალობს. ისმის იქედგან რაღაც ღმუილი, მაგრამ ისეთი რამ, რაც უფრო ჯამბაზურ ოსტატობას უფრო ჰგავს, ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანის ჩვეულებრივ სიტყვის თქმას.



გემი „ალბერტ ბალინი". რომელიც ჰამბურგიდან ნიუ-იორკამდე დაიარება.

— როდის მივალთ ნიუ-იორკში?—ვეკითხები ოთახის დამლაგებელს.

— დღეს ხომ შაბათია, არა? მაშასადამე ჩვენ ნიუ-იორკში მხოლოთ გადაღმა კვირის ორშაბათს ჩავალთ.

კარგი დაგემართოს — კარგი ამბავი მაგ ჩემთვის იყოს! ერთ კვირაზე მეტი ამ უძირო და უნაპირო წყალზე. ვინ იცის, როდის ამოტყდება ქარი და გრიგალი!...

არა-და — შე ოხერო ჩემო თავო. რა დაგარბენინებს, ერთ ადგილზე რომ ვერ ისვენებ? ბაბუაჩემი, ალბათ, სვირის სანაოს იქეთ არსად არ ყოფილა. მამა-ჩემი სულ რამოდენიმეჯერ იყო თბილისში — იმის მეტი მას ქვეყანა არ უნახავს, დედა-ჩემის ნატვრა და ოცნება წყალტუბოს აბანოს არ გაშორებია... მე რომელი მოგზაური და მკვლევარი გამოვედი, რომ ერთს ადგილზე ჩემი გაჩერება არ იქნა?

როგორი ამინდი გვექნება ამ მგზავრობის დროს?

ამის მთქმელი და გამომცნობი არავინაა.

ამ ბოლო-დროს მაინც ბუნებაც რაღაც არეკილია: — ხან „ციკლონი" არ გვასვენებს და ხან „ანტი-ციკლონი".

*

* *

რუსები იტყვიან: „ქაჯს რასაც ხატავენ, ისეთი საშინელი როდია"-ო. სწორეთ მენიშნა ეს თქმულება. ბერლინში ყურები გამომიჭედეს:

— „არამცა და არამც არ გაგიწყრეს ღმერთი და საღამოს შავ ტანისამოსში რომ არ გამოეწყო ისე არ წახვიდე სასადილო ოთახში"-ო.

განგებ ენახე და საგულდაგულოთ გამოვკითხე ამერიკაში ნამყოფ ხალხს. ყველამ ერთხმათა და ერთპირათ ერთიდაიგივე მითხრა.

— დავიჯერე. ვიყიდე შავი ტანისამოსი, თან კიდევ ბლის ქერქივით გაშეშებული პერანგი და საყელო.

საღამოს იჯრის დროც მოვიდა!

— ეს ოხერი, თითქოს კუჭმაც იგრძნო. აქნამდე არ მშიოდა. ეხლა კი ისე შემომმღერის, ვითომც, ერთი წლის ნაშარაულევი ვიყო.

დიდის სიმწრითა და ვაი-ვაგლახით შევუდექი ტაბა-სამოსის ჩაცმას. რამდენი ვაგინე ამ სისულელის გამომგოხსა და შემომღებს.

როგორც იქნა, გამოვეწყვე.

ჩავიხედე სარკეში, ჩემი თავის მე შემეშინდა.

— ვაჰ, რა ჯობია, ჩვენებურს წელ-ღია ბლუზას? უცებ გადაიცვამ, შეიბნიე ღირკილო, მორჩა და გათავდა.

შეველი სასადილო ოთახში და რა ვნახე? თურმე იქ, ვის როგორც უნდა ისე აცვია.

— მომცა ნეტავი ეხლა ის, ვინც მე გამაბრიყვა. კბილით დასახევათ არ დავზოგავ.

გათავდა ესე ამბავიც.

ძილსა და წოლას ვერსად გაექცევი. ვწვები.

ვინ იცის, რა ამინდი იქნება ხვალ?

რა საუცხოვო ყოფილა ეს ჩემი კაბინა, თუ რაღაც ღვთის წყალობა; მე აქნამდე არც კი შემიმჩნევია.

9 დეკემბერი.

დილაა. საათს აღარ ვწერ, იმიტომ რომ, არ ვიცი რამდენათ მართალია ჩემი საათის დრო. ჩემს საათზე რვა საათია, მაგრამ ერთი საათი, თუ არა 45 წუთი მოპარული გვექნება — ამიტომ არ ვიჩქარი.

მოვესწრები კიდევ ამ კეხის და უნაგრის დადგმას კისერზე.

წუხელი საძაგლათ მეძინა.

რაღაც მძიმე და ძნელი სიზმრები მქონდა. ალბათ, სიცხე მაქვს. გვიან დავიძინე. ვკითხულობდი — ჩამიყოლია ვერესაევის „კ რ ა ს ნ ი პ ა ი ა ც ი ს“ კითხვამ. ეს გამასხარავებული გმირი მურავიოვი გახლავთ. — იყო ერთი ასეთი, მართლაც, 1917 წლის შემდეგ. ერთს ხანს ბევრი

ბაქა-ბუქი შემოეხარჯა და შემდეგ. როგორლაც მოწყდა.... ნამდვილი მისი თავგადასავალი მე არ ვიცი. არც ამ ბატონმა ვერესაევმა იცის. როგორც ჰგავს, მაგრამ მას ამ-ეა მათ ისეთი ხელობა აქვს, რომ მურავიოვისთანა გმირები უნდა გამოიყენოს.

რაც სწერია სისულელეა, მაგრამ დაწერილია ოსტატურათ და ხალისიანი საკითხავია. ძველი ოსტატია, კალამი უჭრის და, თუმცა ნაგავში კოტრიალობს, მაგრამ ამასაც შნოიანათა და გემოიანათ ახერხებს. შნო აქვს, მაგრამ, სვინდისი... ან კი რაღა საჭიროა ან მისთვის, ან მისიანებისათვის ეხლა სვინდისი. მათთვის ეს სვინდისი სრულებითაც არ არის „კარგი საქონელი".

დღეს უკვე ამინდი ვეღარ არის ისეთი. რაც გუშინ იყო. გემი ცოტა არ იყოს, შეზარხოშებული მსმელივით, ბორძიკობს. ნამყოფი და გამოცდილი სალხი ამბობს:

— ეს ამინდის ბრალი არ არისო. შეიძლება მართალიც იყოს — შეიძლება ეს იმის ბრალიცაა, რომ გემმა ცოტა არ იყოს, მოუჩქარა სვლას.

ასეა, თუ ისე. უნდა შევუდგე სამოსელის ჩამოლაგებას.

მხოლოდ ჯერ პაპიროსი უნდა მოვწიო. ესაა ჩემი პირველი და თავი-დათავი საქმე დილ-დილობით.

11 და 12 დეკემბერი.

თავი არ წამომიღია ზევით.

შოთივით ვიყავი გაწოლილი ლოგინზე.

საშინელი რწევა და ღელვა იყო შეუწყნარებლათა და შეუწყვეტლათ. საქმელი ოთახის დამლაგებელს მოჰქონდა ხოლმე და ისიც ისევ უკან მიჰქონდა. თითქმის სრულებით ხელუხლებელი.

12 დეკემბერი.

ღამის სამი საათია — 11-დან 12-სკენ — როგორც იქნა წამოვიღე თავი ლოგინიდან. ამინდი ცოტა დაწყნარდა.

თავი კიდევ მტკივა, მაგრამ ისე აღარ, როგორც აქნამდე. საშინელება ისაა, რომ კიდევ 'ხ უ თ ი დღე დაგვრჩა-ბა დაითვალე:

ერთი.

ორი.

სამი.

ოთხი და მხოლოდ ამის შემდეგ არის

ხ უ თ ი!.. რა გაუძლებს ამდენ ხანს ამ საშინელ ამინდს-

მაგრამ, ვინ იცის, იქნებ კიდევ გამოიდაროს?

უბედურება იმდენათ თავის ტკივილი კი არ არის — ამას გაუძლებს კიდევ, როგორმე ადამიანი. საშინელი ისაა, რომ ამ დაუსრულებელი წოლის დროს ადამიანი ვერც კითხვას ახერხებ, ვერც წერას, რასაკვირველია, და 'ფიქ-რის თავიც კი აღარა გაქვს.

რას არ იგონებ ადამიანი! რა უჭირდათ მამაცხონებულებს, გამოეგონებიათ ისეთი რამ წამალი, რომ ადამიანი დაეძინებიათ ამ ზღვაზე მოგზაურობის დროს და მხოლოდ-მოსვლისას გამოღვიძებოდა.

12 და 13 დეკემბერი.

დილაზე კვლავ შემოუქენა:

ისევ შეიქნა რწევა და ღელვა.

კვლავ ვიწევი მთელი ეს ორი დღე და ორი ღამე.

ოთხი დღე და ღამეა, რომ ვწევარ. ისე შემძულდა ლოგინი და წოლა, რომ, მგონი, სულ აღარ დავწვე არასოდეს.

გამომეღვიძება ხოლმე ღამე. საათი კედელზე მაქვს მიკიდებული. გავანათებ ელექტრონს, დავხედავ — ამისა-

თვის საჭიროა თავის ოდნავ ზევით წამოწევა, მაგრამ ესეც საკმარისია, რომ თვალთ დამიბნელდეს და თითქმის უგრძნობლათ დავეშვე უკან.

14 დეკემბერი.

დღეს საუცხოვო ამინდია.

საზოგადოთ, ზღვაზე ამინდით იწყება და თავდება ყველაფერი. გლახა ამინდის დროს აქ სულია შეწუხებული, კარგი ამინდის დროსაც არ არის. ზღვა ნამეტნავათ საინტერესო. გარშემო თვალ-უწვდენელ სივრცეზე მხოლოდ წყალს ხედავ — მეტი არაფერი არის. ნაპირების ახლოს როდესაც მისცურავს გემი, მაშინ, ავათაა-თუ კარგათ, კიდევ რამეზე შეაჩერებ თვალს, მაგრამ ამ ჯურღმულ ოკეანეში არაფერი აღარ მოსჩანს, ვერაფერს ხედავ!

მგზავრებს რომ ჰკითხოთ,

— დღეს ჩინებული ამინდია.

ჩინებულის რა მოგახსენოთ, მაგრამ ისეთი კი არის, რომ ფეხზე დგომა შეიძლება. გავუძალდი, აღარ დავწევი.

საღამოზე ვაპირობ ვახშმის დროს სასადილო ოთახში გასვლას. ჩემი ლაქია — ხალხო, გესმით — ლაქია და მე! — დიდი მოკრძალებით მთხოვს, რომ დღეს ვესტუმრო. ეიცი, რისი მუცლის ტკივილიც აწუხებს, ეშინია, წასვლის დროს ფულს აღარ მაჩუქებსო. აქ კი ყველა ამ საჩუქრის შემყურე და მომლოდინეა.

მირჩიეს

— ექიმთან მიდი და მას ერთი უებარი წამალი აქვს, აბებია — გადაყლაპავ, უსათუოთ მორჩებიო. მე ექიმების არაფერი მწამს და მით უმეტეს ისეთი წამლის, რომელიც ყ ვ ე ლ ა ს უხდება და ყველას არჩენს.

ადამიანი მაინც წამხედურა ცხოველია, თანაც, მოგეხსენებათ, „იმედიც კარგი საქონელია“. წაველი ექიმთან. ენაზე დამხედა, მაჯა გამისინჯა.

— მუცელში ალხათ ხომ არა ხართ?

— არა.

— გული გერევათ?

— მე ყველაფერზე უფრო თავის ტკივილი მაწუხებს. ასე მგონია, რომ ყველაფერი ტრიალებს და ორი ნაბიჯის სწორეთ გადადგმა არ შემიძლია.

— კეთილი. აი მიიღეთ ეს აბები დღეში სამჯერ ჭამის შემდეგ. გაგივლით.

ამ ჩემს ნატვრის თვალს „ვ ა ზ ა ნ ო“ რქმევია. თითო აბს კი არ გადაყყლაპავ, მთელ ერთ ბათმანში რაც ჩაეტევა იმდენს, თუ კი რამე საშველი დამადგა. სალამომდი ორი აბი გადავყლაპე. თავი, მართლაც ნაკლებათ მტკივა, მაგრამ — დავიჯერო, რომ ეს ამ „ვაზანოს“ გამოისობით?

ვინც იცის, იქნებ უკვე მივეჩვიე. ადამიანი ხომ ყველაფერს ეჩვევა?

გარდა ამისა, კარგი ამინდი რომაა, ამას განა არა აქვს მნიშვნელობა?

მე კარგი ამინდის დროს. საზოგადოთ, არასოდეს არ მტკივა თავი.

მაშ, რა შუაშია აქ ვაზანო?

ამ ღამესაც თუ მივათვლით, კიდევ გვრჩება ს ა მ ი ღამე. სამ შემდეგ იქნება ორი, შემდეგ კიდევ ერთი, მერე? აღარაფერი.

არა არს რა დასასრულის გარეშე!

ბავშობისას ერთი ახირებული მასწავლებელი მყავდა: — უკუღმა თვლას გვასწავლიდა. მე ეს თვლა ჟამივით

მეჯავრებოდა, ალბათ ,,ძიტომ, რომ არ მეხერხებოდა. ეხლა გამახსენდა ეს უკუღმა თვლის ამბავი.

სამი, ორი, ერთი. არაფერი!!!

სამი, ორი, ერთი, არაფერი!!!

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ეს არაფერი, რომ, მართლაც და. აღარაფერი სათვალავია?!

7 საათია. ვახშმობის დროა.

კიდევ გადავწიეთ უკან საათი 30 წუთით. ამერიკაში მივდივართ. ეს ის ქვეყანაა, სადაც ჩვენში რომ ღამეა. იქ მაშინ დღეა და პირიქით.

15 დეკემბერი.

ღამის თორმეტ საათზე მეტია, მაშასადამე, სათვალავით, ეხლა 15 კი არა — 16.

სათვალავი ჭირს წაუღია: უბედურება ისაა, რომ ამინდი კვლავ გაფუჭდა. ნავახშმევს ჩავწევი თუ არა ლოგინში — ერთ ხანს კიდევ ყუდრო ამინდი იყო, შემდეგ კვლავ შემოიუბერა.

აკვნესდა გემი!

ყუნტალობს და კვნესის, თითქოს ერთ ადგილზე შედგა. მანქანების ღრიალი და ტალღების შეხეთქება ისეა არეული ერთმანეთში, რომ მართლაც, მარტო ამითი აგერევა ადამიანს გული, სხვა რომ არაფერი იყოს.

ეხლა ისევ უკლო. ხვალ რომ დილა გათენდება — ეს ხომ 16 რიცხვი იქნება. კიდევ ერთი დღე და ღამე და ბოლოს მივაღწევთ დანიშნულ ალაგს.

კარგი გადასახდელი გადამხდა მე ამ მგზავრობაში. ისე ვარ მოშვებული, როგორც გლახა ღვინის მსმელი ლოთობის შემდეგ.

ეს ჩემი ცოდვით სავსე, „ვაზანოა", თუ რაღაც ოხრობა, ბევრი ვყლაპე, მაგრამ, ჰგავს, ის მხოლოდ კარგი ამინდის დროს შველის, მაგრამ კარგი ამინდის დროს ვის რა ოხრათ უნდა ეს საკენკარი?!

დღეს უკვე შაბათია. მაშასადამე, ნიუ-იორკში ორშაბათს გიახლებით. ამ დღეს მისვლასა და გადასვლას მოვუნდებით. საქმეზე, სადაც ვარ მისასვლელი. რასაკვირველია, ველარაფერს ვერ მოვასწრებ. ან კი დრო რამ შეჰჭამა — ორშაბათს ვერ მოვასწრებ? — სამშაბათს მივალ.

რა კარგი იქნება, რომ ვინმე შემხვდებოდეს სადგურზე!

რუსები იტყვიან: „ასი მანეთის ქონებას. ასი მეგობრის ყოლა სჯობსაო!" გულუბრყვილო ხალხის მეტი ამას არავინ იტყვის. ასი მანეთი რა ფულია და, განა ფულათ რომ მეგობარი იშოვებოდეს. ეს და თუნდა ათას მანეთს დაზოგავს ვინმე ასი კი არა — ერთი მეგობრისათვის?

— მერე ეს „ასი მეგობრის ყოლა" — ვის რათ უნდა ამდენი მეგობარი?

„რა რომ ტურფა გაიაფდეს — აღარ ღირდეს არცა ჩირად!"

ალბათ, ესაა ჩემი უკანასკნელი სტრიქონები ამ მოგზაურობის შესახებ. ხვალინდელი დღე ბარგის თავის მოყრასა და ჩალაგებას მოუნდება. ამ წარამარა ჩაცმა-გახდამ მაინც მთლად ამირია დავთარი — ყველაფერი მიბნეულ-მობნეულია მთელ კაბინაში.

16 დეკემბერი.

დღევანდელ ამინდს არა უშავს-რა; თვალი არ ეცეს.

ფილითვე გამოვძვერი ლოგინიდან. კიდევ ერთი ღამე გვაქვს, ხვალ? ხვალ ხომ 17-ია, ხვალ 2 საათზე ამერიკის მიწაზე დავადგამთ ფეხს. ასე ამბობენ, მაგრამ მე მაინც

იმედი არა მაქვს. რა ვუყოთ, რომ აქ უკვე ამერიკაა — აქ ხალხი და ადამიანი არ ცხოვრობს თუ? ასეთს შემთხვევაში დაგვიანება, ხომ. თითქმის აუცილებელი ამბავია.

დღეს რამოდენიმე მგზავრს გავყევი—სამანქანო განყოფილების დასათვალიერებლათ.

გზა და გზა ვნახე გემის სტამბაც. აქვე ყოფილა ფოტოგრაფიც. ერთი სიტყვით ყველაფერი მოწყობილობა აქვს ამ გემს. აქვეა პარიკმახერი, სახაბაზო, მკერავი, მგონი ერთი მღვდელიც უნდა იყოს.

სამანქანო განყოფილება. მართლაც. რომ დიდსა და წაუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს. პირველ ყოვლისა. ადამიანისათვის. ვინც არ უნდა იყოს — მეტადრე ჩემთვის — გასაკვირალი ისაა. რომ ამ ვეება მანქანებთან ხალხი თითქმის სრულებითაც არ სჩანს. ყველაფერს მანქანის ძალით აკეთებენ. ადამიანი თვალ-ყურს ადევნებს მხოლოდ — საამისოო კი მთელ განყოფილებას სამი-ოთხი კაცი ჰყოფნის.

ჩვენი გემი ნახშირს არ ხმარობს. მაზუთით საზრდოობს.

ეს ბევრათ უმჯობესია. ჯერ ერთი სისუფთავეა შესანიშნავი. ნახშირმა კი სისუფთავე არ იცის. გარდა ამისა. არც ის ჯოჯოხეთის სიცხეა. არაა საჭირო არც კაჩეგარის მუშაობა. ჩვენ გემის მთავარი ინჟენერი გაგვყვა გზის მაჩვენებლათა და ასახსნელად. ეს ინჟენერი ერთი ჩია-კაცია. ჩვენში ასეთების შესახებ იტყვიან:

— „გზაში რომ შეგხვდეს ცივი ,ჭადის ლუკმას არ მოუტეხაო!“

ამ ვეებერთელა რთული მანქანების ამბავი მან ისე იცის, როგორც თავისი ხუთი თითი. დაგვაინტერესა საქმის მოწყობილობამ. უწინ ხომ ასე იყო: — იდგა სადღაც მაღლა

კაცი და საგანგებოთ მოწყობილ ბორბალის საშუალებით აძლევდა გემს მიმართულებას.

მე რა დამეძრახება, მაგრამ არც აქაურ ხალხს სცოდნია, რომ, თურმე, ასეთი საქე ეხლა მხოლოდ ძველი საგნების საწყობებშია დალაგებული. არის ელექტრონის საშვალებით მოწყობილი რაღაც ძლიერ რთული და, თანაც, ძლიერ უბრალოთ მოსახმარი აპარატი, რომელიც მშვენივრათ მუშაობს. მისი საშვალებით გემი შეგიძლია ისე წაიყვანო, როგორც გინდა.

კაპიტანს აქვს ზევით მთლათ მაღლა ბანზე ერთი ისეთი ადგილი, საიდგანაც გაჰყურებს ზღვას და იქედან იძლევა განკარგულებასო. ასე ამბობდენ, ასე გამიგონია, მეც ასე მეგონა.

ჩვენი გემის კაპიტანი, არ შეგეშამოს ჭირმა, ის თავისათვის არხეინათ ზის მშვენივრათ მორთულს ოთახში, ხახდახან ჩამოივლის გემს, მგზავრებს მიესალმება, ყველასთითო-ოროლა სიტყვას ეტყვის და შემდეგ ისევ მიიმალება. ადგია, ალბათ, იმასაც გასაჭირი, მაგრამ ეს იმ დროს, როდესაც გემსაც უჭირს წინ წასვლა. ასეთი შემთხვევები მეტათ იშვიათია.

შევათვალიერე სტამბაც.

მე სტამბას რომ ვნახავ, სული როგორ დამიდგება, რომ გუნებიერათ არ დავათვალიერო? სტამბა ერთობ ვიწროა და პატარა, მაგრამ აქ მაინც სდგას რამოდენიმე ასაწყობი ყუთი, სდგას გვარიანა მოზრდილა „ამერიკანკა" (სტამბის ხალხმა იცის, რას ჰქვია ეს სახელი), ატრიალებენ, მუშაობენ.

მე კიდევ აქ საგულდაგულოთ ერთი რამის გაგება მინდოდა.

გემზე ყოველ დღე გვირიგებდენ გაზეთს:

— გემზე იბეჭდებაო, ამბობდენ.

მე ვერ დავიჯერე, თუმცა გერმანიის ტეხნიკას, როგორ შევწამებდი თვალთმაქცობას? თურმე საქმე სულ სხვანაირათ ყოფილა. გემს ის გაზეთი (სულ რაღაც ასიოდე ცალი თუ „იბეჭდება“ ყოველ დღიურათ) უკვე დაბეჭდილი და გამზადებული წამოუღია ხმელეთიდან ზღვაში. დატოვებული არის მხოლოდ ერთი გვერდი (გაზეთი, რვეულის ფორმით გამოდის) და ამ სტამბაში იმ ერთ გვერდზე ბეჭდავენ ხოლმე რადიოთი მიღებულ ახალ ამბებს.

ჩვენი მგზავრები....

ან კი რას ვერჩი მე ამ მგზავრებს, ყველას თავისი საქმე აქვს, ყველას თავისი გასაჭირი აწუხებს.

აი ამ მაღლათ აწოწილ გერმანელს ცოლი უცდის საშობაოთ ჰოლივერდში. მისი ცოლი იქ, ერთი პატარა „ვარსკვლავთაგანი“ ყოფილა. ეს ყმაწვილი, ალბათ, იმ თავისი მეუღლის ხარჯზე დასეირნობს.

მე მეგონა ამერიკელი კინო-მსახობები მარტო ქართველ აზნაურებს, ამერიკაში გათავადიშვილებულ მდივნებს წყალობდენ, თურმე გერმანელებსაც გამოუჩენიათ შნო ამ საქმეში.

აგერ მეორე, უნგარელი, რომელიც ეხლა რუმინეთის სამბრძანებლოში ცხოვრობს. გულკეთილი ყმაწვილია, ცოტა გულუბრყვილო, მაგრამ ზედმიწევნით დარწმუნებული, რომ ბოლშევიკები ქვეყანას სარგებლობას არ მოუტანებენ. რუმინეთი არ მოსწონს.

— მე მთელი ამ ომის დროს რუმინეთის წინააღმდეგ ვიბრძოდი.....

— როგორ, თქვენ. სალდათი იყავით?

— არა, ოფიცერი, ეხლა სათადარიგო ჯარის შემადგენლობაში ვარ ჩარიცხული.

— დიდ ხანს იყავით ომის დროს სამსახურში?

— თითქმის მთელი ომის დროს, დაწყებიდან ბოლომდე..... მთელი ომის დროს რუმინეთის წინააღმდეგ ვიბრძოდი, მაგრამ ჩვენი საქმე ისე კარგათ წავიდა, რომ დაბოლოს, ჩემი კუთხე გამარჯვებულმა „ანტანტამ" რუმინეთს არგუნა....

— წააგეთ რამე ამით?

— თქვენ წარმოიდგინეთ მეც წავაგე პირადათ, მაგრამ უნგრეთი ხომ მთლად დაიღუპა. მას ისე სქლათ ჩამოათალეს გვერდები, რომ უნგრეთი ეხლა სახსენებლადაც აღარ დარჩა.

— რა ამბავია თქვენს რუმინეთში?

— ჩემი რამ ჰქნა, ჭირს წაუღია მისი თავი და ტანი. ქურდობა ძალიან არის განვითარებული, საქმიანობის კი რა მოგახსენოთ. ყველა ქურდობს, ყველა ქრთამს ღებულობს, აღებ-მიცემობა დავრდომილი და დაქვეითებულია. მე ხე-ტყის ვაჭარი ვარ, მაგრამ, ვის რათ უნდა ხე-ტყე? არაფერი შენდება, არაფერი კეთდება. რაც რამე იყო აშენებული, ისიც ინგრევა და ფუჭდება...

— იცით, თქვენ, სად არის ბესარაბია?

— ვიცი, როგორ არ ვიცი!

— ჩვენ წაგვართვეს, ვითომც, თავიანთი გუნებით, მაგრამ არა მგონია რომ შერჩესთ...

— რა თქმა უნდა არ შერჩებათ, მაგრამ უკეთესი კია, რომ მაინც ისევ რუმინეთს დარჩეს. საბჭოთა ხელისუფლებას ისევ რუმინეთის მთავრობა სჯობს!

— რატომ?

— თქვენ არ იცით, რატომ?

— არა, აკი რუმინეთი არც თქვენ მოგწონსთ.

— რასაკვირველია, არ მომწონს, მაგრამ ყოველიფერი ასარჩევია. კარგზე უკეთესი ბევრია. გლახაზე უარესიც არ დაილევა.

— რატომ, ასეთი უარესზე უარესია განა საბჭოთა ხელისუფლება?

— მაგას არ ვიტყვი, მაგრამ იქ ხომ ქონების ჩამორთმევა იციან?

—იციან, მართალია!

— მერე?

— მერე და მერე. მდიდრებს ართმევენ. კაპიტალისტებს, ბურჟუაზიას!

— სად არის მერე გარჩევა? მე იქნება მდიდარი ვარ, მაგრამ ეს სიმდიდრე ჩემის შრომით შევიძინე? აი, მაგალითად. ჩვენ ორი ძმა ვართ, მამამ ორთავეს ერთნაირი ქონება დაგვიტოვა. მე ვიშრომე, ვიჯახირე. ვიმუშავე და ქონებას კიდევ ქონება დავუმატე. ვთქვათ, თუნდა კიდევაც, მილიონის პატრონი შევიქენი, ჩემი ძმა კი მხარ-თეძოზე იყო წამოწოლილი....

ათასჯერ და ათი-ათასჯერ გამიგონია ეს ზღაპარ-არაკი.

მინდა გამოვკითხო ჩვენ ბანის მოსამსახურეს.

ჰო, მართლა, ბანსაც თავისი მოსამსახურე ჰყავს. ის აქირავებს ბანზე დასაჯდომ სკამებს. საქმე იოლი აქვს, უსაქმურათ დაიარება ბანზე მთელი დღე.

— მაშ, ხვალ ვიქნებით, რაღა, ნიუ-იორკში? — შეეკითხე მას.

— დიაღ, ხვალ, საათის, ასე — 2-ზე.

— როდის შემდეგ დავინახავთ ნაპირს?

— მე მგონია, 12 საათის შემდეგ უკვე გამოჩნდება ნაპირი.

— პირველად, ალბათ, იმას დავინახავთ, რა ჰქვიან, ერთი — დამავიწყდა:— ჰო, იმას, თავისუფლების ძეგლს...?

— რის ძეგლს. „თავისუფლებისას"?!

— ჰო, განა აგრე არ ეძახიან?

—რასაკვირველია, ეძახიან. მართალია, მაგ სახელი ჰქვია....

— არ მოგწონთ აქაური თავისუფლება?

— არაფრათ, ან სადაა აქ თავისუფლება?

— გერმანიის თავისუფლება სჯობია?

— არც ერთი არ უქნია ღმერთს! ერთიც და მეორეც ჭირს წაუღია.

როგორც არ უნდა თქვა, დიდი რამაა ადამიანისათვის მისი კლასობრივი ვინაობა. აი ეს მგზავრების ხელში შემ-ჩერე: — იქნებ ვინმე მდიდარმა რამე მაჩუქოსო, აი ესეც ხანდახან ახერხებს და საჭიროებს ამაყი და გაბედული სიტყვის თქმას.

კვლავ დაიწყო ღელვა. რომ იცოდეთ, რა მეზარება ლოგინისაკენ პირის მიბრუნება. მგონი მისდღემჩი აღარ დავწვე. ამ უბედურებას მაინც ვერსად გაექცევი. ერთად ერთი ხსნა საშველი ლოგინია, მოდი შენ და ნუ დაწვები, თუ ძალიან გინდოდეს.

მგონი უკლო, ნეტავი არ იქნებოდეს და მთლათ დაწ-ყნარდებოდეს?!

ბედო მაშორე კვლავ განსაცდელს!!!

ვიყიდე გემზე — აქ ხომ ყველაფერს ჰყიდიან — რამოდენიმე წიგნი ამერიკის შესახებ. მე ჯერ-ჯერობით პრაქ-ტიკული და „წვრილმანი" რამეები უფრო მესაჭიროება.

სიძვირეა, თუ არა, საზოგადოთ. მაინტერესებს ყველაფერზე უფრო ბინის საკითხი. სხვა რამეების ყიდვას არ მივსდევ. სად არის მაგის თავი და ფული?

ჩემი კარაბადინიდან რაც ამოვიკითხე, სანუგეშოს ვერაფერს მაჩვენებს — სიძვირე დიდი უნდა იყოს ამ კურთხეულს ქვეყანაში.

ამასაც ვნახავ.

წიგნებს ყოველთვის როდი დაეჯერება. მით უმეტეს. როდესაც გემზე ყიდულობ, მეტადრე კიდევ, როცა ამერიკის შესახებ ამბავს გერმანელებს ჰკითხავ.

დღეს ფრანგულ ჟურნალებს ვათვალიერებდი. ამ რამოდენიმე დღის წინათ ვიყიდე, მაგრამ შიგ ჩახედვა არ დამცალდა.

აი ჩემს წინ სძევს ერთი იმათგანი. კოხტათ გამოიყურება, ლაზათიანი საფერავები აქვს შეხამებული, სახელიც კოპწია აქვს „ლა სური" — ღიმილი ჰქვია. ყდაზე, მართლაც, კოპწია ჰაეროვანი რამ არსება არის გამოხატული და მაცდურათ იღიმება.

ეს გარედან, ჩავიხედო რა სწერია შიგ?

ფრანგებს, — ვინ იცის, შეიძლება მარტო ფრანგებს კი არა, ყველგან ასეა — ასეთი ჟურნალებისათვის არ უყვართ სერიოზული და მძიმეთ შესათვისებელი მასის შემზადება. არის რამოდენიმე კარიკატურა, არის კანჭებ დაშიშვლებულ ქალების სურათები, არის რამოდენიმე ნამეტნავათ გადამლაშებული ოხუნჯობა, დანარჩენი ადგილი კი განცხადებებს უკავია.

განცხადება გაზეთში არასოდეს არ ყოფილა ჩემთვის საინტერესო, მაგრამ ამ უსაქმობის დროს, გუნებიერად ჩავუჯექი. ჩვენ ეხლა გულუბრყვილობა არ უნდა მოგვ-

დგამდეს, მაგრამ აქ ყველაფრით „შემკულ“ დროშიაც კი გაგაკვირებს ის ამბები, რაც მე იქ ამოვიკითხე.

ბურჟუაზიას არ უყვარს მორცხვობა.

ფულის პატრონი — აქ ყველაფრის პატრონია. ეს, ასე ვთქვათ, ყველგან, თვითეულ ბურჟუაზიული ქვეყნის, წესი და კანონია, მაგრამ მეტ-ნაკლებობა, დაწინაურება და ჩამორჩენა აქაც ეტყობა.

საფრანგეთის ბურჟუაზია, უსათუოთ. სხვებზე უფრო „დაწინაურებულა“ ამ საქმეში. აბა, რას ჰგავს ეს?

განცხადებები სხვა და სხვანაირია, ზოგი ქალებისაა, ზოგი მამაკაცების.

— კარგი ტანი მაქვს. შემიძლია კარგი სიამოვნება ვაგრძნობიო ჩემს მუშტარს ოღონდ ფულის დახარჯვას ნუ დაიზარებთო. თითქმის ყველგან და თვითეულს განცხადებაში ესაა სხვა და სხვა კილოზე და სხვა და სხვა სიტყვებით განმეორებული.

— „რა საჭიროა პირობის მოცემა და შეპირება. ვერავის შეეპირდები ხანგრძლივ კავშირსა და ერთგულობას. სამაგიეროთ იმ მოკლე კავშირის დროს, რომელიც მე მზათა ვარ დავიჭირო მასთან, ვინც ფულს დახარჯავს ამის გულისათვის. თქვენ იგრძნობთ, მას, რაც არასოდეს არ გიგრძვნიათ. გამოცდით მას, რაც არასოდეს არ გამოგიცდიათ. მე პატარა კოპწია გოგონა ვარ. ვერავინ იტყვის, რომ მე სილამაზე მაკლდეს. ჩემს სილამაზეს ესპანური იერი დაჰკრავს. ჩემი მისამართი“ და სხვ.

ეს ერთი, აგერ კიდევ მეორეც.

— „მე ახალგაზრდა ვარ, ლამაზი, მესაჭიროება დახმარება. ყოველთვიურათ მჭირდება 200 ფრანკი *). უპირატესობას მივცემ მოხუცს, მაგრამ მდიდარს.

*) ფრანკი ერთ კაპიკს უდრის.

ამ ახალგაზრდა ქალბატონს, ალაბათ, ანგარიში შეშ-ლია. 200 ფრანკი არც ისე დიდი ფულია, რომ ეს მარტო მდიდარმა გაიმეტოს. შესაძლებელია, რომ ამწყობის შე-ცდომაც იყოს.

აი კიდევ ერთი; შესანიშნავი აქ ისაა, რომ განცხადე-ბის მიცემაში თვითონ აცხადებს, მე ფრანგი არა ვარო. ვინ იცის, იქნებ ფრანგული საქონელით გულმომსუყებულმა არამზადებმა არა ფრანგის წინადადება უფრო ადვილათ მიიღონ.

— „ოსმალო ქალიშვილი, 20 წლის. მე საუცხოვო სი-ლამაზის პატრონი ვარ. კეთილშობილი და განათლებული ოჯახის შვილი. ვეძებ მეგობარს. 40 წლისას, ანდა უხნესს, მეგობრობას გავუწევ მხოლოდ ძალიან მდიდარსა და დარ-ბაისელს, რომელიც ყოველთვიურ დახმარებას აღმომი-ჩენს. დახმარების თანხა დიდი იქნება, ამიტომ, ვისაც ამის შეძლება არა აქვს, ტყვილა უბრალოთ, მარტო ცნობის-მოყვარეობისათვის, ვთხოვ, თავს ნუ შეიწუხებს."

ამას იქეთ გზა აღარ არის. ყველაფერი ცხადია, აშკა-რა და დაუფარავი.

ამასაც დაწინაურება ჰქვია!

მაგრამ, არა, — არ მოტყუვდეთ, ეს ჯერ სადა და უბ-რალო საქმეა. ყველა ესენი უბრალო „შინამრეწველობის" წესით მუაშობენ. განა ეს საქმე, ასეთ წვრილმან რამეთ ეგულებათ, რომ მას ნამდვილი სამრეწველო ხასიათი არ მისცენ?

აი ინებეთ კიდეც!

— „ჩვენი მუშტრები კარგათ იცნობს ჩვენს დაწესე-ბულებას. ამიტომ დაგვიჯერებთ, რომ ამ ჟამად ჩვენ ბევრს საყურადღებო რამეს ვაჩვენებთ, ვისაც არ დაეზარება ჩვენ-თან შემოვლა". იქვეა მისამართიც.

— „ჩვენ კარები ყოველთვის ღია გვაქვს. ჩვენი დაწესებულება არ იკეტება არასოდეს: არც დღე, არც ღამე. რა დროსაც არ უნდა შემოხვიდეთ ჩვენთან, ყოველთვის მხიარულათ გაატარებთ დროს“.

დავიჯეროთ ჩვენც, რომ იქ „იმათთან“ ყოველთვის მხიარულება სუფევს!

ნუ ვკითხავთ, როდემდის გასტანს ეს „მხიარულება“?

— სულ ერთია ამის პასუხს ისინი ჩვენ არ მოგვცემენ.

გემზე არის ფოტოგრაფი, გადავიღე სურათი. სამნი ვიყავით ერთად, ყველა, ვინც ჰამბურგიდან შემთხვევით ერთს კუპეში მოვხვდით, ერთია, მგონი ნორვეგიელი, მგონი შვედი. კოლოტივით არის გაბერილი, მაგრამ მას ვერც ზღვა და ვერც ღელვა ვერაფერს აკლებს. ამერიკაში ცხოვრობს, მაგრამ გზაზეა დაკრული მუდამ ფოშტის ცხენივით. მეორე ის უნგარელია, რომელსაც ბოლშევიკები არ მოსწონს. ან სხვას კი, ვის მოსწონს ამ ჩემს თანამგზაურებში?

უკვე 4 საათია. ხვალ ამ დროს ნიუ-იორკში ვიქნებით. ვნახო, ერთი, რას ჰგავს ეს საკვირველების კუთხე?

ამ ქალაქს არ ჰყავს ტოლი და ბადალი მსოფლიოში. რაც აქ ოქროა თავმოყრილი. იმითი მგონი მთელ ევროპის ავლა-დიდებას იყიდი.

მაინტერესებს ეს ცაში აყუდებული კოშკების ნახვაც.

დღეს საღამოს გემზე კინო გვექნება. წავალ. ალბათ. თ. ხელახლა ტანისამოსის გახდა და ჩაცმა არ დამჭირდება.

16 დეკემბერი.

23 საათი, ამას ჩვენში უბრალოთ. რომ ვსთქვათ. საღამოს 11 საათს ეტყვიან.

ვიყავი და ვნახე კინო, მაგრამ ჯერ ერთი რამ მაქვს სათქმელი.

თურმე გემზე ასეთი წესი და ჩვეულება არის შემოღებული: სანამ გემი სადგურს მიადგებოდეს, ერთი დღით ადრე, მგზავრები სჭამენ „გამოსათხოვარ პურს“ და ამის შემდეგ გემზე ისპობა ყოველივე წესით დაკანონებული ჩაცმა-დახურვა.

ისემც კარგი დაგემართოს, ამას რაღა სჯობია!?

ალბათ. ოდესმე ამ წესს, რაიმე უფრო მკაფიოთ გამოსახული მიზეზი და სარჩული ჰქონდა, ეხლა კი ეს უშინაარსო ჩვეულებაა და მეტი არაფერი.

ეხლა იმის შესახებ, თუ რა გვაჩვენეს კინოში.

იყო რაღაც კისრის მტვრევა, უშინაარსო. უაზრო რამ, მაგრამ მგზავრებს ეს ძალიან მოსწონდათ და დიდი ამბით ხრიალობდენ სიცილისაგან. გარდა ამისა, გვაჩვენეს თვით ამ გემის აშენების სურათი.

ჩვენი აქ გადაღებული სურათი უხეირო გამოვიდა. ფოტოგრაფი დაგვპირდა ერთხელ კიდევ მოვასწრებ გადაღებას და ხელმეორეთ, უსათუოთ. კარგი გამოვაო.

დღეს სადილობის დროს — მე ჩვენებურათ ვლაპარაკობ, თორემ აქ სადილობა ვახშმობისას არის მოქცეული — მომართვეს პატარა უბის წიგნაკი.

ძღვენს მიჩვეული არა ვარ, არც გაცემა მიყვარს, არც მიღება, მაგრამ უარის თქმა ვეღარ მოვახერხე და წიგნაკი ჯიბეში ჩავიდევი. ძღვენისათვის კი მადლობა გადაუხადე.

ამინდი წყნარია.

საუცხოოა. ასეთ ამინდში ზღვა. სარკესავით დგას ეს კიდით-კიდე თვალ უწვდენელი უნაპირო სივრცე.

ამაღამდელი ღამე — უკანასკნელია ზღვაზე.

ხვალ ამერიკაში ვიქნებით.

ჯერ, ვინ იცის, როგორ დაგვხვდება; რა პირით შემოგვეგებება ეს უცხო და უცნაური ქვეყანა?

ვწევები, თუმცა წოლა და ლოგინში ყოფნა ჟამიანით მძულს.....

ნიუ-იორკი. 17 დეკემბერი. საღამოს 7 საათი.

ეს-ესაა ჩამოვირეცხე ტანიდან გზის ქუქყი და ზღვის სუნი.

სასტუმროში ვარ.

ძილის დრო ჯერ არ მოსულა და მინდა ჩემი მგზავრობის უკანასკნელი ამბები, სანამ არ წაშლილა მეხსიერებაში, ჩავწერო, ქალალდს მივანდო.

ჩემი შთაბეჭდილებები, რასაკვირველია, ზერელეა. ღრმათ ჩახედვა და აწონდაწონა იმის, რაც მე ვნახე, ძნელი საქმეა. ამას დრო უნდა და მოცალება...

დღეს დილით ადრე ავდექი და შევუდექი ნივთების ჩალაგებას.

უკანასკნელ დროს გერმანიაში ვცხოვრობდი და წარამარა ვიცვლიდი ბინას. ჩემი მოსაწონი ბინა ვერსად ვიშოვე და ამიტომ სულ ახალ-ახალი ბინის ძებნაში ვიყავი.

არ ყოფილა შემთხვევა, რომ ერთი ბინიდან მეორეზე გადასვლის დროს რომელიმე საგანი არ დამრჩენოდა. იქ ეს არ იყო ძნელად მოსაგვარებელი საქმე, მიაკითხავ და მოგცემენ, აქ კი გემს რაღას მიაკითხავ?

მთელ ოთახში მობნეულია ჩემი ნივთები, როცა ღელვა მომისწრებდა ხოლმე, თუ რამე მქონდა ხელში, იქავე დავაგდებდი და ლოგინისაკენ ვეშურებოდი....

კარგა გვარიან ხანს მოვუნდი ნივთების თავის მოყრას, ჩალაგებას, ბოლოს, როგორც იქნა, ამასაც მოვრჩი.

დამრჩა ეხლა ის, რაც ჩემთვის მეტის-მეტათ საძნელოა. ყველას უნდა ჩამოვუარო, გემის მოსამსახურეებს და ვისაც ჩემთვის გამარჯვება მაინც უთქვამს, ყველას უნდა ვაჩუქო რამე. ეს საჩუქარი ისეა დაკანონებული, რომ მის წინააღმდეგ წასვლა წარმოუდგენელია.

იმ მოსამსახურეს, რომელიც ჩემს ოთახს უვლიდა ხუთი დოლარი შევაძლიე.

იუკადრისა, ეცოტავა.

— მე, თქვენ რომ, იწევით თქვენ გემსახურებოდით.... დაიწყო მან ენაზე კბილის დაბიჯებით.

არ მინდოდა, რომ ის გულდაწყვეტილი დამეტოვებია. რაც არ უნდა იყოს, ეს იყო ერთად ერთი სულდგმული, რომელიც დღეში ორჯერ მაინც შემოაღებდა ხოლმე კარებს ჩემი ოთახისას და ორიოდე სიტყვას მეტყოდა. ჩემთვის მაშინ ესეც დიდი შეღავათი იყო.

— მე, ჩემო ძმაო, გემით არასოდეს არ მიმოგზაურებია. აქაური წესების მე არაფერი მესმის. მითხარი, რისი მოვალეცა ვარ და სიტყვის უთქმელათ გადავიხდი.

— მაგის თქმა მე არ შემიძლია. ეს თქვენი სურვილის საქმეა. თქვენ ვალდებული არა ხართ. შეგიძლიათ სრულებით არაფერი არ მომცეთ...

მივუმატე კიდევ ერთი დოლარი.

— სამყოფია, თუ არა?—საჯულე გახსნილი მეკავა, ის ხარბი თვალით ჩასჩერებოდა შიგ....

— ასე უთქვათ,არც იმდენია, მაგრამ.... გაუჭირდა სიტყვის ამოღება.

კიდევ დავუმატე 10 გერმანული მარკა.

— გეყოფათ?

— რასაკვირველია, სამყოფია, დიდათ გმადლობთ, სახე გაუბრწყინდა და ენაც ამოდგა.

— მადლობა ღმერთს!

სხვებთან ამდენი ბოდიში არ დამჭირვებია, რაც მივეცი, ის იმყოფინეს. საერთოდ ამ უბედურებაში დაახლოებით 20 დოლარი დამეხარჯა. კარგი ერთი კვირის საგზალია ჩემისთანა ხელმოკლე ადამიანისათვის, მაგრამ რაღაი აქ მოვედი და ამ ხალხში გავერიე, ეხლა გვიანღაა „თითებზე კბენანი“.

რა საძაგელი წესია ეს ჩუქება, ადამიანის ღირსება მთლად წაშლილია. მომუშავე ადამიანი მათხოვრათ იქცევა — ეს კიდევ არაფერი, უბედურება ისაა, რომ ეს „ადამიანიც“ ველარ გრძნობს თავის დამცირებისა და გათახსირების ამბავს — აი ესაა ყველაფერზე უფრო საშინელი.

დილა ადრიანა შეუდგენ გემზე სამზადისსა და მუშაობას. ერთი რამ გამიკვირდა. მთელი ამ რთული მუშაობის დროს მე არ გამიგონია და არ დამინახავს არავინ, რომ განკარგულებები გაეცეს.

ჩვეულებრივ ხომ ასე ხდება: ასეთს შემთხვევაში შეიქნება ხოლმე ერთი ფუს-ფუსი, შეხლა-შემოხლა, ყვირილი, უთავბოლო რბენა და ნერვების მომშლელი ალიაქოთი.

აქ ყველა და თვითეული თავის საქმეს აკეთებდა, ყველა თავის ადგილზე იყო, არავის ხელს არ უშლიდა და არავინ მას არ ეჩრებოდა საქმეში.

შეუდგენ საფოსტო ბარგის ამოღებას. ეს ბარგი, თურმე, სულ ძირა სარდაფში ყოფილიყო და ეხლა ზედა სართულში გადმოალაგეს.

ამინდი წყნარია, არ იძვრის ჰაერი. ზღვა გადაწმენდილია, მაგრამ საშინელი ნისლი წევს.

არ გაუვლია დიდ ხანს. ატირდა ცა. გადმოჰყარა კურცხლები, შემდეგ შედგა და დაეინებით გადმოუშვა წვრილი, წვრილი ჟიჟმატი ორთქლი.

ჩვენ ეხლა ზღვის ნაპირას ვართ. ამიტომ წარა-მარა გვხვდება სხვა და სხვა გემები. ვინ იცის რომელი სად მიდის. ჩემმა ნაცნობმა ნორვეგიელმა ერთი რაღაც გემი დაინახა, სახე აუთამაშდა. პირზე ნერწყვი მოადგა.

— ჩვენი გემია, ჩვენი ბაირაღია ზედ...

— თქვენი საკუთარი?

— არა, ჩვენი — ნორვეგიის.

მომიყვა და გადამიტანა თავის ნორვეგიის ქება-დიდებით.

— თქვენ ის მითხარით, როდის დავინახავთ ნაპირს? — მინდა შევაწყვეტინო ეს მჭერმეტყველობის ჩანჩქერი.

— ნაპირს ჯერ რა უნდა? ნაპირს ჩვენ ორი-სამი საათის შემდეგ დავინახავთ.

ესეც კარგი იმედია; იყო დრო, როდესაც ნაპირამდე სამი და ოთხი დღის სავალი გვქონდა.

მე იმ ქალის ჯავრი მკლავს, რომელიც პატარა კუნძულზე არის წამოყუნტებული და ხელში ანთებული ჩირაღდანი უკავია. ეს ძეგლი ფრანგების დადგმულია და შემდეგ ამერიკისათვის ძღვნათ მირთმეული, სახელიც ლამაზი აქვს. ეს ქალი ანთებული ჩირაღდანით — თავისუფლების განსახიერებაა.

იყო დრო, ბურჟუაზია თავისუფლებას ეარშიყებოდა, თავისუფლება ეკრა ენაზე. ამ საქმეში ფრანგებმა ყველაზე მეტი ხმაურობა და ალიაქოთი ასტეხეს. ეხლა კი თავისუფლება და ბურჟუაზიას არვითარი თავისუფლება არ ესაჭიროება. თავისუფლება, რომელიც იმისთვისაა საჭი-

რო, ეს მას უხვათ აქვს, სხვაგვარი და სხვანაირი კი... ჭირს წაუღია.

იყოს ამ ზღვაში აყუნტებული. ეს თუჯის ჯირკი. ვის რას უშლის. შეხედავს ვინმე, იქნებ, მართლაც იფიქროს, რომ აქ თავისუფლება სუფევს.

მე მაინც მინდა ამ ქალის დანახვა. თვითეული წყალის ზედაპირზე წამოშვერილი კუნძი ამ ქალის შორეულ აჩრდილად მეჩვენება და ყოველთვის ვკითხავ ვინმეს.

— არა, ის ჯერ შორსაა,—მესმის ყოველთვის პასუხად.

გემი გაჩერდა. მიადგეს მას კიბე. ვუცდით ნაპირიდან მოსასვლელ გემს, რომელსაც მოჰყვება სანიტარული ინსპექციის მოხელეები. ამერიკელებს არ უნდათ, რომ მათ ქვეყანაში ვინმემ გადამდები რამ სენი შეიტანოს.

მართლაც, არ გაუვლია დიდ ხანს, რომ ჩვენ გემს ამოუდგა გვერდში პატარა რაღაც; ეს არც გემია — ვინაიდან თუ ჩვენი ხომალდი გემია, მაშინ ამას გემისას რა უგავს. ისე არ ჰგავს ერთმანეთს, როგორც კოლო და არწივი. მაგრამ ეს არც ნავია, ვინაიდან მას შუაგულში ბოლის ამოსასვლელი მილი აქვს დატანებული და იქაც მანქანები სდგას. ნავზე ამისთანა რამეები ხომ არ არის?

კიბეს ამოჰყვა რამოდენიმე თითქმის სამხედრო ტანისამოსში გამოწყობილი კაცი და ერთიც ქალი.

კარგა გვარიან ხანს დარჩენ გემზე. მაგრამ ჩვენთან ისინი არ მოსულან.

ასეთია აქაური წესი და კანონი.

პირველი კლასის მგზავრთან ავადმყოფობას რა უნდა?

ბოლოს ისინი ისევ თავიანთ გემზე გადაჯდენ და მოუსვენ ნაპირისაკენ.

გემი მაინც ერთს ადგილასაა გაჩერებული.

დრო მიდის. ჩვენ კი ადგილიდან არ ვიძვრით. რა უბედურებაა? მეჩქარება, მინდა, ბარემღაც, გავიარო ყოველივე ეს დავიდარაბა: პასპორტის გასინჯვა. ბარგის გაჩხრეკა და სხვ.

— რაღას ვუცდით, — შევეკითხე გემის მოსამსახურეს, რომელიც ჩვენ ბანზე გაწკაპულ სკამებს დარაჯობდა.

— საემიგრაციო ინსპექცია მოვა, იმას ვუცდით. პასპორტებს გასინჯავს.

ბოლოს, როგორც იქნა, ისინიც გვეწვიენ. დაგვიბარეს ქვევით, სასტუმროში.

— „გულო მოდი საგულესა, სულო მოდი სასულესა!" გამახსენდა დედა-ჩემის სიტყვები. ასე იცოდა ხოლმე გამოლოცვა უკმურისაგან დედა-ჩემმა.

მართალი გითხრათ, არ ვარ სრულებით დაწყნარებული და დამშვიდებული. აი იქ კუთხეში რომ ვიღაც უცხო ხმელ-ტანა, ჩამოგძელებული და წამწვეტილი ცხვირი და ცივათ შეკრული წარბები რომ აქვს. იმაზე ჰკიდია ყველაფერი. არ მოეწონება და გიყრავს თავს იმ მშვენიერ კუნძულზე, რომელსაც აქ „ცრემლების კუნძულს" ეძახიან.

ჩავდექი რიგში. არ მინდა მთლათ ბოლოს მოვხვედეინ იცის, დაღალული, რა გუნებაზე იქნება?

ბოლოს მოვიდა ჩემი რიგიც.

რაღაცას მკითხავს.

რა პასუხი, მივცე?

ვეუბნები გერმანულად. რომ ინგლისური არ მესმის. მას გერმანულიც სცოდნია.

— თქვენი საბელი?

ამის პასუხი მაშინათვე შევაგებე.

— რა ხელობის ბრძანდებით, რა საქმისათვის მოსულხართ ამერიკაში?

— კომუნისტური ინტერნაციონალის დავალებით — მინდა ასე უთხრა, ვნახო რა გუნებაზე დადგება. მაგრამ რა დროის ხუმრობაა და ისიც მაშინ, როდესაც ჩემ საქმეს არავითარი კავშირი და დამოკიდებულება არა აქვს არავითარ პოლიტიკასთან.

დავუსახელე ჩემი ჩამოსვლის მიზეზი და მიზანი.

— რამდენი ხნით აპირებთ აქ დარჩენას?

ამის პასუხიც მივეცი.

ამასობაში, ის რაღაცას სწერდა თავის წიგნში, შემდეგ დაარტყა რაღაც ბეჭედი ჩემს პასპორტსა და ვიზას და გადმომცა.

მორჩა და გათავდა!

ეს იყო და ეს!

წავედი ზევით ბანზე. ეხლა თავი სანახევროთ მარდლა რომ თავისუფალი მგონია. დავიჯერო, რომ ეს იმ „ქალის" წყალობა იყოს?

გემი მაინც გაჩერებულია.

დრო მიდის.

აღარავის არ უდგება გული ამ გემზე. ყველას ნაპირისაკენ მიეჩქარება.

ნაშუადღევის ორი საათი იქნებოდა, როცა ჩვენი გემი კვლავ შეტორტმანდა, აუშვა ბოლი და ორთქლი, კვლავ გაუდგა გზას.

აჰა, გამოჩნდა ის ქ ა ლ ი!

დავინახე ხეირიანათ-თქო ვერ ვიტყვი. ნისლს ეხლა ბინდიც ერთვის. ზამთრის დღე მეტათ მოკლეა, ნისლიც თავისას შვრება. დიდია, როგორც ჰგავს ეს მანდილოსანი, ისეთი დიდია. რომ შიგ, თურმე კიბეა გაკეთებული და ასვლა-ჩამოსვლა შეიძლება. მსურველები დადიან, ფულს იხდიან და ნახულობენ იმ ქალსო, ამბობენ გემზე.



ეგრედ წოდებული თავისუფლების ძეგლი, აშენებული ერთ პატარა კუნძულზე ნაპირის ახლოს.

შთაბეჭდილების რა მოგახსენოთ, რაც არ დამინახავს ხეირიანათ. აბა, რა მეთქმის?

გამოჩნდა მაღალი სახლები. ყველა ენაზე რაღაც გარკვეული სახელი ჰქვია ამ სახლებს: გერმანელები ამ სახლებს ვოლკენკრაცერს ეტყვიან, ეს თითქმის იგივეა, რაც რუსული ნებოსკრიობი, ოღონდ გერმანელები ცის (ნებო) მაგივრათ ღრუბელს ხმარობენ, ასე რომ რუსები იტყვიან ცას ფხეკსო, გერმანელები — ღრუბელს კაწრავსო. თვით ამერიკელების სახელი რაღაც იმის გამომხატველია, რომ ეს სახლები სიმაღლით ეტოქებიან ერთმანეთსო. ჩვენში, ქართულად არ ვიცი, რა სახელი დაარქვეს ამ სახლებს.

ერთი სიტყვით, იმ სახლებზე მაქვს ლაპარაკი. რომლებიც მაღლა არიან აწვდილი და თვითეული მათგანი რამოდენიმე ათეულ სართულათ არის დაყოფილი.

ჩვენ ძალიან გვიჭირს ამ სახლების სიმაღლის ხეირიანათ გათვალისწინება როცა ჩვენ გვეტყვიან:

— არის სახლი, რომელსაც 45 სართული აქვსო, რაღაც თვალუწვდენელ რამეთ გვინდა წარმოვიდგინოთ.

ასეთი სახლი, რასაკვირველია, ნამეტანი მაღალია. მაგრამ არც ისე, როგორც ჩვენ გვაქვს წარმოდგენილი. ოთახის სიმაღლე აქ მეტად მცირეა. ჩვენებური სახლის ერთს სართულში, სიმაღლით თუ ორი არა, აქაური სახლის ერთი და ნახევარი სართული გამოიჭრება. ამის კვალობაზე მთელი ამ მრავალ სართულიანი სახლებიც შეკვეცილია.

ჩვენ უკვე ვხედავთ გემიდან ასეთს სახლებს.

ეს მე შემდეგში შევამჩნიე, როცა ამ ჩემი 24 სართულიან სასტუმროს მე 505 ოთახში დავბინავდი.

ნავთსადგურზე აუარება ხალხია. თითქმის ყველას, ვინც კარის ამ გემზე ამ ხალხში ჰყავს, ან ნათესავი, ან ნაცნობი,

მე არავინ მეგულება იქ; მე იქ არავინ მიცდის. ამერიკაში არ არის არც ერთი ძე ხორციელი, რომელიც მე მიცნობდეს, ან და მე ვიცნობდე.

ეს ახალი ქვეყანა ჩემთვის დასტურ რომ ახალი და უცნობია — მე იქ არავის ვიცნობ. ვგრძნობ მე ამ ახალი მდგომარეობის სიმძიმეს. ადამიანს ერთი თვისება მოდგამს ძველთაგანვე — ის „საზოგადოებრივი ცხოველია". ძნელია ყოფნა ადამიანთა შორის და იმავე დროს მათ გარეშე ყოფნა. ასეთს მდგომარეობას უდაბნოში ყოფნა სჯობს. უმჯობესია სულ ვერავის ვერ ხედავდე.

ადამიანისათვის საჭიროა ჰაერი, მზის სხივი, ტანი, ფეხი, სასმელი, საჭმელი, მაგრამ ეს მარტო არ კმარა; საჭიროა აგრეთვე ალერსი, სიყვარული, ადამიანის სიახლოვე. ადამიანი გაშმაგებული იბრძვის სიმდიდრის საშოვნათ, შოულობს კიდეც ხშირათ ყოველივე ამას, მაგრამ ის, თითქმის, ან არ აქცევს დანარჩენს ყურადღებას, ან, თუ აქცევს, ამ „დანარჩენის" შოვა უფრო ძნელი და მიუწვდომელია მისთვის, ვიდრე ოქროს მილიონების დაპატრონება.

დაახლოვებით ასეთსავე მდგომარეობაში ვიყავი მე ამ ნახევარი წლის წინათ, როდესაც ბერლინში მივდიოდი. შემდეგ ამ ექვსი თვის განმავლობაში მივეჩვიე ხალხსა და ქვეყანას. ეხლა თითქოს გულდაწყვეტილი ვარ, რომ გერმანიას მოვშორდი.

რა გაეწყობა. აქაც ხალხი ცხოვრობს. ადამიანი ადამიანის დაახლოვებას ყოველთვის მოახერხებს. მაგრამ ყოველთვის ხელახლა დაწყება? — ძნელია ეს. ამ სიძნელეს მე ეხლა ამ წუთში განსაკუთრებულათ ვგრძნობ....

გულის ფანცქალით მოველი ნივთების გაჩხრეკას.

დალოცა ღმერთმა, ამანაც ჩაიარა. მე ან კი რა მაქვს გასაჩხრეკი, და საძებნელად რომ ღირდეს, ისეთი? — მაგ-

რამ, ვინ იცის, გადაგეკიდება ვინმე და ედავე ამ მამაცხონებულს, რომ შენ აქლემი არა ხარ.

ზერელეთ დახედა მოხელემ ჩემს ნივთებს და დაკრა ზედ რაღაც პატარა ქაღალდი. ეს იმის ნიშანია, რო მე შემიძლია ამ ნივთების წაღება.

ეს თითქმის ყველგან ერთნაირათ კეთდება ყველა ქვეყნის საზღვარზე. ამერიკაში კი ერთი რამ არის სხვანაირათ მოწყობილი.

ნივთებს თქვენ სტოვებთ გემზე. მგზავრები მიდიან პირდაპირ საბაჟოში. იქ, ვეებერთელა, თვალუწვდენელ დარბაზში, კედელზე აწერია ერთი მეორეს მიყოლებით მთელი ანბანის ასოები. ნივთებს თავ-თავისათ აწყობენ იქ — იმ ასოს პირდაპირ, რომელი ასოთიც იწყება თქვენი გვარი.

ამრიგათ მე არ გამჭირვებია ჩემი ნივთების მონახვა.

სხვებს მით უმეტეს არ გაუჭირდებოდა, ჩემისთანა ხამი და გამოუცდელი ამ ხალხში. ალბათ, არავინ იყო.

ნივთების გასინჯვაც გათავდა. თავისუფალი ვარ, საითკენაც გინდა, იქეთ წაბრძანდი. მაგრამ არა, აგერ მოვიდა ვიღაც, წამოუსვა ჩემს ნივთებს ხელი, მოაგორა ორთვალა, პატარა, ხელით საგორებელი და გაუდგა გზას.

ამას რაღა სჯობია.

გაუდექით გზას.

გზაში კიდევ შეგვხვდა ერთი მოხელე; მან იმ პაწაწა ქაღალდებზე, რომელიც ნივთებზე იყო დაკრული, ბეჭედი დაუსვა. ამის გულისათვის არც კი შევჩერებულვართ. ეს ისე — გზა და გზა მოხდა, შეუჩერებლივ.

ჩვენ, თურმე მეორე სართულზე ვყოფილვართ, ეს ეხლა შევამჩნიე. ეხლა როგორ გინდა ამ ნივთების ჩაგორება. ამაზე მე დიდ ხანს ფიქრი აღარ დამჭირვებია. ბარგის

წამლებმა წამოუსვა ჩემს ჩემოდნებს ხელი და სადღაც ამოჭრილ ხვრელის პირას დასდო. თვითონ ერთი პატარა ჩემოდანი დაიკავა ხელში, ვიღაცას რაღაცა ანიშნა. რაღაცა მოწყდა, რაღაცა ახმაურდა, დაიწყო ხრიალი. ვხედავ ჩემი ჩემოდნები დაეშვა ჰირქვე. ჩვენ. მე და ნივთების წამლები კი მეორე მხრივ კიბეს ჩავყევით. ჩვენც ჩავედით გზის პირას და ჩემოდნებიც იქ დაგვხვდა.

გამოვედით ქუჩაში. მინდა სასტუმრო. ადრესი? ადრესი აგერ მაქვს ქაღალდზე დაბეჭდილი. დღეს დილაზე ზღვაში შემოგვაგებეს აქაური გაზეთები. გაზეთები უფასოთ დაგვირიგეს. მაგრამ თვითეულ გაზეთზე ისე, თითქოს, სხვათა შორის, მიკრული იყო რომელიღაც სასტუმროს მისამართი.

შოფერი ვიღაც ისეთი შემხვდა, რომ ორიოდე სიტყვა სკოდ ია გერმანული.

— სასტუმროს ყველა ენაზე ერთი სახელი ჰქვია, მაგრამ როგორ ვანიშნო. რომ მე საგულდაგულო ესა და ეს სასტუმრო მინდა?

— ნიშნება და ლაპარაკი საჭირო არ არის, ეს ქაღალდი აჩვენეთ. მე ქაღალდი მართლაც, ჯიბეში ჩავიდევი და დიდის მოწიწებით ვინახავ. ეს ლაპარაკი ამ დილაზე მქონდა გემზე ჩემს ნაცნობ უნგარელთან.

— მისამართი? — მკითხავს შოფერი.

გავუწოდე ქაღალდი. წაიკითხა. ეარ ესიამოვნა. დიდის ამბითა და ვაი-უშველებელით მანიშნა, რომ ეს სასტუმრო ძლიერ შორს არის. რომ მან იცის უკეთესი სასტუმრო, რომ იმ სასტუმროში ყველაფერი უკეთესია, სადაც მას შეუძლია მიმიყვანოს.

კისერი უტეხია. რა მაგის მცხელა, ოღონდ კი მიმიყვანოს სადმე და, განა, სულ ერთი არ არის, სადაც მივალ?

ვანიშნე, რომ ყაბულსა ვარ, მიმიყვანოს, სადაც მას უნდა.

მართლაც. არ გაუვლია დიდ ხანს, მივადექით ერთ სასტუმროს. გადმოვალაგე ნივთები. ძირს მხოლოდ გვარი მკითხეს, არც პასპორტი, არც სხვა რამ. საზოგადოთ აქ პასპორტის ხსენება არ მესმის.

დავბინავდი ამ ოთახში. ეს მე-505 ნომერია, მაგრამ ვინ იცის, რამდენი ასეთი ოთახია ამ სასტუმროში.

ოთახი სამ ნაწილათ არის გაყოფილი. შემოსავალში ვიწრო დერეფნისებური რამ აქვს დატოვებული. რომ მოდიხართ, მარჯვნივ პატარა საკუჭნაო არის. — იქ ტანისამოსის შესანახავი ალაგია. მარცხნივ ვანა და... თქვენთან ბოდიში..... ფეხის ალაგი.

გავათავე წერა, უკვე 10 საათია ღამის. იქნებ დავწვე და დავიძინო. დილის ფიქრი სჯობია საღამოს საქმიანობას.

იქნებ დამეძინოს, ვინ იცის, თუმცა მე ძილი და წოლა არ მაკლია.

18 დეკემბერი. 6 საათი და 22 წუთი.

დილაა, ჯერ ხეირიანათ არც კი გათენებულა, მაგრამ მე ლოგინში მოცდა მიჭირს.

გავაღე ფანჯარა და გადავჩერებივარ ქუჩებს.

რა ვნახე და რა შევნიშნე?

პ ი რ ვ ე ლ ი. საშინელი ხმაურობაა. ეს ხმაურობა არ შეწყვეტილა მთელს ღამეს. ძილშიაც კი მესმოდა ეს განუწყვეტელი ღრიანცელი. ქუჩა გაქედილია ავტოებით.

ეს სასტუმრო ქალაქის შუაგულშია, ბროდვეის — ესაა აქაური რუსთაველის პროსპექტი, — ახლოსაა, ალბათ,

ცოტა მო'მორებით უფრო წყნარი და მყუდრო ადგილებიც იქნება.

ოთახში სიცხეა, თუმცა მაინცა და მაინც არ იწუხებენ თავს გათბობით. ნიუ-იორკს, ალბათ, ქარსნების და ფაბრიკების ბოლიც ყოფნის სითბოთ.

წუხელი წვიმა მოსულა და გარედან გრილი ჰაერი შემოდის.

მ ე ო რ ე. ქუჩებს არ ატყვია ბერლინისებური სიასუფთავე. აქ, როგორც ჰგავს, ქუჩებს არ რეცხავენ. ან კი როდის უნდა გარეცხონ, როდესაც შეუწყნარებელი მოძრაობაა დღე და ღამე?

ჩვენ სასტუმროს წინ რაღაც დიდი მაღაზია არის. ათი სართული. ხალხი ბუზივით ირევა ყველა სართულებში. მე აქედან ამას ისე ვხედავ, თითქოს ყველაფერი ხელის გულზე მქონდეს.

ტრამვაი დაიარება ჩვენს ქუჩაზე, მაგრამ ძალიან იშვიათად. ვის აქვს მოცლილი დრო, რომ ტრამვაით ისეირნოს? ტრამვაი ძალიან ნელა მიდის, ანკი როგორ წავა ამაზე ჩქარა, როდესაც ქუჩები გაჭედილია ხალხითა და ავტოებით.

მ ე ს ა მ ე. ჩვენ ყველას ბევრი გვსმენია აქაური მექანიზაციის შესახებ. ეს როდია ასე პირწმინდათ დასაჯერებელი. აი აგერ რამდენს ვხედავ, რომ ხელით მიაგორებენ პატარა გოგრებზე შედგმულ ხელის ურმებს.

დროგებიც ბევრია, ისეთები, ცხენი რომ უბიათ შიგ.

ცხენები ვერ არის ისეთი, როგორიცაა. არამც თუ ბერლინში, არამედ, თუნდა ისეთი, როგორიც მოსკოვში მინახავს. იქაური ცხენები ლომებს ჰგავს, აქაური ჩვენებური აზნაურის ჯაგლაგს უფრო მოგაგონებთ.

სიჩქარეო. ამბობენ, მართალია, ტყუილა მოსიარულე არავინ არის, როგორც ჰგავს, მაგრამ არც ისე ძალუმათ ეჩქარებათ. ზოგი კიდეც ჩერდება ხოლმე მალაზიების წიხ და კარგა ხანს ათვალიერებს გამოწყობილ საქონელს.

ამას ვხედავ მე ჩემი სასტუმროს ფანჯრიდან, ქუჩაზე მე ჯერ-ჯერობით ფეხი არ დამიდგამს. ხალხსა და ქალაქს არ დავკვირებენავარ. აი დღესვე, რამოდენიმე საათის შემდეგ უნდა გავუდგე გზას.

მეოცდათერთმეტე პრეზიდენტი.

მე ამ წერილს 3 მარტს ვწერ ნიუ-იორკში; საქართველომდი დიდი გზა არის. ამიტომ მისტერ ჰუვერს—ჩრდილო ამერკის შეერთებული შტატების მე-13 პრეზიდენტს, რომელიც ხვალ ნაშუადღევს ი ტ ყ ვ ი ს თავის პირველ სიტყვას, უკვე დიდი ხნის ნათქვამი და მოთავებული ექნება არამც თუ პირველი სიტყვა, პირველი თვის საქმიანობაც.

მაგრამ დღეს 3 მარტია და მთელი შეერთებული შტატების ქალი და კაცი დიდი და პატარა მოელის ხვალინდელ დღეს.

— ი ტ ყ ვ ი ს ჰ უ ვ ე რ ი!

— ჰ უ ვ ე რ ი ი ტ ყ ვ ი ს!

ამ ორ სიტყვას ათასნაირათ ატრიალებენ ზოგი პირველ სიტყვაზე უმაღლებს ხმას. ზოგი უკანასკნელზე.

უცდიან, მოელიან.

გასაგებია, საერთოდ ადამიანის თვალსაზრისით რომ გავზომოთ ეს ცნობისმოყვარეობა, მაგრამ სხვა და სხვაა ხალხი, ხვა და სხვაა მოლოდინიც;

— ვინ რას მოელის, ვინ კიდეე რას!

არსად დედამიწის ზურგზე არ არის გავლებული კლასთა სხვადასხვაობის ხნული ისე ღრმათ და მკაფიოთ, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში.

საუცხოო სანახაობას წარმოადგენს ჩრდილო ამერიკა ამ მხრივ, მაგრამ ამ საგანს განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება; ამას როდესმე ცალკე შევეხებით.

ჩრდილო ამერიკის კაპიტალისტებს მთავრობა-პრეზიდენტი უბრალო მოჯამაგირეთ ჰყავთ დაყენებული, მაგრამ ეს საქმე მათ ისე აქვთ მოწყობილი და მოკაზმული, რომ დღეს-დღეობით ჯერ კიდეე ბევრს სჯერა:

— ჩვენი მთავრობა ხალხის მთავრობაა, მთელი ხალხის მიერაა არჩეულიო.

ბევრი თვალთმაქცობა და ოსტატობა სჭირდება ამ საქმის ასე მოწყობას, მაგრამ თვალთმაქცობა, ცბიერება და პირმოთნეობა — ეს და ბევრი სხვა ასეთი თვისებები ბურჟუაზიული ბანაკის განსაკუთრებულ საკუთრებას შეადგენს, ბურჟუაზიის ბრძოლის განსაკუთრებული ხერხი და საშუალებაა.

მიუხედავათ ამისა, უკეთ რომ ვთქვა, შეიძლება. სწორეთ ამის გამო... ყველა უცდის, ყველა მოელის, თუ რას იტყვის ჰ უ ვ ე რ ი.

მართლაც და რას იტყვის ჰ უ ვ ე რ ი?

იტყვის, რასაკვირველია, სიტყვას მის მომვლინებელთა.

ბურჟუაზიამ — ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატების მსხვილ კაპიტალისტურ წრეებმა, ვ ო ლ-ს ტ რ ი ტ ი ს ხაზეინებმა იციან, რასაც აკეთებენ. ისინი კარგად იცნობენ ჰ უ ვ ე რ ს.

ის არ არის თავიდან ფეხებამდე მათი „შინა“ კაცი. არ არის იმიტომ, რომ თვით მისტერ ჰუვერს ჯერ-ჯერობით არა აქვს მრავალი მილიონის ქონება. ამბობენ ერთ-ორ მილიონს იქნებ მოუყაროს თავიო. ამბობენ..... ვინ იცის, რას არ ამბობენ. მაგრამ სწორი და მართალი ისაა, რომ მილიარდების (მილიარდების და არა მილიონების) პატრონთა წრეში ჰუვერს არა აქვს თავისი უფლება.

ვოლ-სტრიტის მილიარდერები, მიუხედავათ ამისა, ფრიად აფასებენ ჰუვერს. სხვადასხვა თვისებებითაა შემკული ჰუვერი და ეს თვისებები ისეთი თვისებებია, რომ ვოლ-სტრიტის მილიარდერებს სწორეთ ის უნდა დაესვათ პრეზიდენტის სავარძელში.

როგორია ეს თვისებები, რატომ მაინცა და მაინც ჰუვერზე „ამოუვიდა მზე“ კაპიტალისტური ბანაკის განმკარგულებელთ?

ამის პასუხი ჰუვერის თავგადასავალშია ჩაქსოვილი.

ის, რაც რყო დღევანდლამდე ჰუვერი, რა გზაც მან გამოიარა თავის ცხოვრების სარბიელზე — აი აქ არის პასუხი, აქ არის ამოცანის ახსნა.

ვინ არის ჰუვერი?

ჩაიხედეთ აქაურ გაზეთებში და დაწვრილებით ამოიკითხავთ ჰუვერის თავგადასავალს. ჩრდ. ამერიკის გაზეთებმა ყველაფერი იციან. მათ არაფერი არ გამოეპარებათ. არამც თუ თვით ჰუვერს, ცხონებულ მამა-მისს რამდენი ფოლაქი ეკრა კვირა-უქმე დღეს გარეთ გამოსასვლელ ხალათზე, ისიც კი დაუთვლიათ.

გავყვეთ ამ ცნობებს გზა და გზა.

ჰუვერი დაიბადა აგვისტოს ათს 1874 წელს.

მამა მისი ხელობით მჭედელი ყოფილა.

ჰუვერი ადრე დაობლდა. 6 წლისას მამა მოუკვდა, 9 წლისას აღარც დედა ჰყოლია. ობოლი ნათესავების კარზე გაიზარდა. ნათესავები პურს არ ამადლიდენ, მაგრამ არც მუქთად აჭმევდენ. პატარა ბავში მუდამ საქმეში იყო გაბმული და თავის ხნის კვალობაზე შესაფერ სამუშაოს ასრულებდა.

ჰუვერის ერთს ბიძას (ბამა მისის ძმას) სოფლათ მამული ჰქონდა, მეურნეობას ეწეოდა. ობოლმა მიწას შეაფარა თავი. პატარა ჰერბერტი — ესაა ახალი პრეზიდენტის სახელი — ეზო გარემოში ტრიალებდა, ხან სხვებს ეხმარებოდა მუშაობაში, ხან თვითონ ასრულებდა უფროსების დავალებას. ყანაში ყოფნამ ბავშს სამეურნეო მანქანების სიყვარული აღუძრაო, ასე სწერენ გაზეთები. დავიჯეროთ, რომ ეს მართლაც ასე იყო.

12 წლამდე ამ ბიძასთან დარჩა ბავში. ზამთრობით ფეხით დადიოდა სოფლის სკოლაში, რომელიც ბიძა მისის სახლიდან ორი ვერსით იყო მოშორებული.

შემდეგ ბავში მეორე ბიძამ (დედის ძმამ) წაიყვანა.

აქ დიდი ხანი არ მოუთევია ბავშს, ორი წლის შემდეგ ბიძამ ჰერბერტი მახლობელ პატარა ქალაქში (ამ ქალაქს სახელად ს ა ლ ე მ ი ჰქვია) წაიყვანა და აქ ერთს კანტორაში მიაბარა. მომავალ პრეზიდენტს ამ კანტორაში ფრიად მცირე თანამდებობა ეჭირა. ბავშს იქეთ აქეთ არბენინებდენ; ხან ფოსტაში გააგზავნიდენ, ხან ადგილობრივ სადმე წერილს გაატანდენ, ხან კიდევ მოსამსახურეები თავის საკუთარ დავალებას დააასაქმებდენ.

არც ისე ტკბილი იყო ეს ცხოვრება, მაგრამ ადრე დაობლებულ ბავშს, ალბათ ადრე ჩაახედვა ცხოვრებამ ადამიანის ჭირ-ვარამის სიღრმეში. ამ ერთი ნათესავიდან მე-

ორეს კარზე თრევის დროს, ჰერბერტმა იმდენი ყუათი გა-
მოიჩინა, რომ სწავლისათვის თავი არ გაუნებებია. სულ
იმის ცდაში იყო, საშვალო სკოლის სწავლა შეესრულებია.
რომ შემდეგ უმაღლესი სწავლისათვის გზა გახსნოდა.

ბოლოს თავისი მიზანის პირველ ნახევარს მიაღწია
საშუალო სკოლა დაასრულა და შეუდგა უნივერსიტეტში
შესვლის თავდარიგს.

ბევრი სიმწარე გამოიარა ახალგაზრდა ჰუვერმა სტუ-
დენტობის დროს.

სწავლის ფულს გადახდა უნდოდა, თავის შენახვაც
არ იყო იოლი საქმე. ჰუვერი არავითარ სამუშაოს არ თა-
კილობდა. ახლად შემოსულ სტუდენტების საბუთების მო-
წესრიგება, ამ საბუთების წარდგენა, შემოწმება, ჩაწერა—
აი ასეთი საქმის ასრულებაში ის შოულობდა ცოტაოდენ
გროშებს. მოსული წერილების ამხანაგებისათვის ჩამო-
რიგება და მათგან მიღებული საჩუქარი — აი მისი შემო-
სავლის წყარო წლიდან წლამდე.

უნივერსიტეტში მდიდარი შეძლებული ხალხის შვი-
ლები ყოველთვის უფრო მეტია. ამ მდიდარ ყმაწვილებს
ცხოვრებაში და სწავლაში დიდი შნო და ლაზათი არ აქვთ.
ჰუვერი ყველას ეხმარებოდა, შველოდა ყოველგვარ საქ-
მეში. ხანდახან ასეთი სტუდენტების საცვლები კი დაჰქონ-
და გასარეცხათ და გარეცხილი უკან მოჰქონდა ხოლმე.

1895 წელს ჰუვერმა თავის მიზანის მეორე ნახევარ-
საც მიაღწია,— ჩაიდვა ჯიბეში ინჟენერის დიპლომი.

ამიერიდან მის წინ გახსნილი იყო ფართო გზა, მაგრამ
სიძნელე ამ გზაზე კიდევ ბევრი უნდა შეხვედროდა
მას წინ.

„ამერიკაში საქმის მცოდნე ადამიანი სიმშილით არ მო-
კვდებაო“, ასე იტყვიან და ასე ამბობენ აქ. მაგრამ სინამ-

დვილეში სულ სხვა სურათია. რამდენია ინჟენერი ამერიკაში, ყველას საქმეს ვინ მისცემს?

არც ჰუვერისათვის დაუხევიათ კალთები.

არავის უთქვამს რაღაი ინჟენერის დიპლომი გაქვს მობრძანდი, მიირთვი დიდი ჯამაგირი და დიდი თანამდებობაო.

პირიქით, ჰუვერი თვითონ დადიოდა სხვადასხვა დაწესებულებებში და ეხვეწებოდა:

— იქნებ. რაიმე საქმე გექნეთ, თანახმა ვარ პირველ სანებში უჯასოთ ვიმუშაო. შემდეგ კი. როგორც გენებოთ — შესედეთ ჩემს გარჯასა და უნარს, თუ დაგიჯდეთ, დამტოვეთ, თორემ ყოველი სიტყვის შემობრუნების გარეშე წავალ, თავს აღარ შეგაწყენთო.

ბევრგან უარით გამოისტუმრეს. ერთს ალაგას ჰუვერს ბედმა გაუღიმა. დაყაბულდენ.

— იმუშავე. თუ გინდა; ჯამაგირს ვერ მოგცემთ. ჯამაგირის მაგივრათ. რასაც გამოცდილებას შეიძენ. ისიც გეყოფაო.

ეს სან-ფრანცისკოში მოხდა. ჰუვერი ქვა-ნახშირის მაღაროების პატრონთან დადგა ამ პირველად სამუშაოდ. საქმის პატრონი თვითონაც გამჭრიახი გონების პატრონი კაცი იყო და ამიტომ ჩქარა შეატყო. რომ ახალგაზრდა ინჟენერს დიდი ყუათი ჰქონდა მუშაობაშიო. ასე ამბობენ ჰუვერის თვგადასავალის ეხლანდელი მთხრობელნი და მღაღადებელნი.

ჩქარა ჰუვერს უკვე ჯამაგირიც დაუნიშნეს, მაგრამ პატარა ხნის შემდეგ მაღაროების პატრონს დასჭირდა ავსტრალიაში გასაგზავნათ ამერიკელი ტეხნიკის მცოდნე ინჟენერი და არჩევანი სწორეთ ჰუვერს ერგო.

ავსტრალიაში ჰუვერმა სწრაფათ გამოიჩინა თავისი მუშაობის მარიფათი, სახელი გაითქვა, როგორც საზრიანმა და მარჯვე მუშაკმა.

რაღაი ერთხელ მოიკიდა ჰუვერმა ფეხი ფართე სამუშაო ასპარეზზე, ის ჩქარა დაწინაურდა. ავსტრალიაში ყოფნის დროს მას სახელი გაუვარდა, როგორც კარგს მომუშავეს.

19 წლის იყო ჰუვერი, როდესაც მან უმაღლესი სწავლა დაასრულა. 26 წლის ჰუვერი უკვე სახელგანთქმული ინჟენერი და საქმის კაცი იყო, როდესაც ის იმდროინდელმა ჩინეთის მთავრობამ მოიწვია ქვა-ნახშირის მაღაროების მოსაწყობათ და ზღვის ნაპირის გასწვრივ რკინის გზის გასაყვანათ. ეს დიდი საქმე იყო, ჰუვერს უნდა მოეწყო და გაემართა ეს მეტად რთული და დიდი გეგმით წამოყენებული საქმე.

ჯამაგირი დიდი შეაძლიეს. ჰუვერი დასთანხმდა.

სწორეთ ამ დროს ითხოვა ჰუვერმა ცოლი.

ცოლის შერთვაც ამერიკელ წესზე მოხდა. ჰუვერს სიყრმიდანვე ჰყავდა საცოლე, მაგრამ ეს ქალიშვილი ამერიკაში ცხოვრობდა. ჩინეთში სანამ წავიდოდა, ჰუვერმა მას ტელეგრამა გამოუგზავნა.

— თუ თანახმა ხარ, ტელეგრამით მაცნობეო.

საცოლემაც ტელეგარმით შეუთვალა პასუხი. ამ პასუხის შემდეგ ჰუვერის მომავალი მეუღლე ჩაჯდა გემში და გაუდგა გზას. მისი მეუღლე ერთი საშვალო შეძლების და ქონების ბანკირის ქალიშვილი იყო.

ჩავიდა ეს ქალიშვილი ავსტრალიაში; იმავე დღეს გადაიწერეს ჯვარი და დაუყონებლივ გაუდგენ გზას ახლად შეუღლებული ცოლ-ქმარი.

ჩინეთში ჰუვერს 25.000 მუშა ჰყავდა დაყენებული სხვა და სხვა სამუშაოებზე. საქმე მართლაც რომ დიდი და რთული იყო, მაგრამ აქ მას დიდი ხნის მუშაობა არ დასცალდა. სხვა და სხვა ქვეყნის კაპიტალისტების შევიწროებით შეწუხებულმა ჩინეთმა მოინდომა უცხოელების მიერ დადგმული უღელის კისრიდან გადაძრობა.

იფეთქა აჯანყებამ. ეს მოხდა 1900 წელს. ეს იყო ეგრეთ წოდებული ბოკსერების აჯანყება. ამ აჯანყებამ ბოლო მოუღო ჰუვერის ჩინეთში მუშაობას. ის იძულებული შეიქნა ისევ ჩრდილო ამერიკაში დაბრუნებულიყო.

ჰუვერი სან-ფრანცისკოში დასახლდა და კერძო ტეხნიკური საინჟენერო კანტორა გახსნა.

საქმის სათავეში მან გამოცდილი ხალხი ჩააყენა, თვითონ კი შეუდგა მოგზაურობას. ეს არ იყო თავის გასართობი მოგზაურობა. ყველგან საქმეს ეძებდა ჰუვერი, ყველგან მოლაპარაკება ჰქონდა გაბმული. ამასობაში, ჰუვერმა მოიარა თითქმის მთელი ქვეყანა: იყო რუსეთში და თვით რუსეთის სხვა და სხვა ადგილები პირადათ აქვს დათვალიერებული, იყო აფრიკაში, მექსიკაში, იტალიაში და სხვ.

მთავარი მამოძრავებელი ძალა. რომელიც მოსვენებას არ აძლევდა ჰუვერს, რასაკვირველია პირადი ინტერესები იყო. ამ საქმეში ჰუვერი, მართლაც, რომ თვალსაჩინოთ დაწინაურდა. საერთაშორისო ომის დაწყების წინ უკვე მილიონის პატრონი ადამიანი იყო.

არც ომის გამოისობით შეშლია ხელი ჰუვერს.

ჩრდილო ამერიკამ საზოგადოთ საკმარისათ მოითბო ხელი იმპერიალისტური ომის დროს. ყელამდე ოქროში ჩამჯდარი მილიარდერების სიმდიდრე ელვის სისწრაფით იზრდებოდა. ამ დროს ჰუვერს მიანდვეს „დამხმარე კომი-

ტეტის" („რელიფ ადმინისტრეიშენ") მეთაურობა. ოქროთი გამაძღარი მილიარდერები „მოწყალებას" არ იშურებდენ „დაზარალებულ" მეგობრებისათვის. შემოწირულება დამხმარე კომიტეტში გროვდებოდა და უნაწილდებოდ. ევროპის სხვა და სხვა სახელმწიფოებს.

ამ ბოლო ხანებში კულიჯის პრეზიდენტობის დროს, ჰუვერს ვაჭრობის მინისტრის ალაგი ეკავა.

ასეთია ეს ამერიკელი, რომელიც ვოლ-სტრიტის ქურუმებმა პრეზიდენტის სავარძელის ღირსად იცვნეს.

ამბობენ ჰუვერს დიდი გავლენა და პატივისცემა აქვს დამსახურებული ამერიკელ საქმიან ხალხის წრეშიო.

აქ ჰუვერს „სელფმედმენს" ეძახიან. ქართულად ეს ერთი სიტყვით არ ითქმის, დაახლოვებით ეს სიტყვა ასე გადმოითარგმნება: — თავის თავად დაწინაურებული ადამიანი.

ფეხშიშველა ობოლი სოფლის მჭედლის ბიჭი — კაცი გახდა, მილიონის პატრონი შეიქნაო, ამაყათ ამბობენ ხოლმე ამერიკაში ჰუვერის შესახებ.

რამდენი სოფლის მჭედელია ამერიკაში, რამდენი მჭედლის შვილი და შთამავლობა მამაპაპისეულ სამჭედურის კედლებში დალევს თავის წუთისოფელს.

რამდენი ობოლი და უპატრონო ან სიმშილის წერა უნდა გახდეს, ან და მძიმე, შავი მუშაობით უნდა გაიტანოს თავი. . . .

ასეთების რიცხვი უთვალავია; მით უფრო თვალის მომჭრელია ჰუვერის მაგალითი. ბრიყვების გასაგონათ და გასაცრუებლად ასეთ მაგალითს დიდი მნიშვნელობა აქვს.

— აი, შეხეთ, რა ქვეყანაა ჩვენი ქვეყანა. თუ ადამიანს მუშაობის შნო და უნარი ექნა, მისთვის გზა გახსნილია. წინ არავინ დაუდგება, ხელს არავინ შეუშლისო.

საჭიროა ასეთი ცოცხალი მაგალითები ბურჟუაზიისათვის.

ჰუვერი არ არის უნიჭო ადამიანი. ის კარგათ ერკვევა თავის დანიშნულებაში. იმას კარგათ ჰქონდა და კარგათ აქვს შეფერებული თავისი როლი.

ჰუვერი ეხლა პრეზიდენტი ბრძანდება.

მთელი შვიდი წლის განმავლობაში ის იქნება ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების მომვლელი და გზის მიმცემი. ის ილაპარაკებს ამ ქვეყნის სახელით, ქვეყნისა და ხალხის დასანახავათ მას დიდი უფლებები აქვს ჩაბარებული, მაგრამ, შეიძლება სხვამ არ იცოდეს, ოღონდ თვით ჰუვერმა ჩინებულათ იცის, როგორ და რა ოსტატობაა მისთვის საჭირო, რომ თავის მომვლინებელთ განუწყვეტლივ თვალის წამწამში შეაჩერდეს და თვითეულს მათი თვალის დაფახურებაზე მიხვდეს და შეასრულოს მათი განზრახვა და სურვილები.

ჰუვერმა დაუმტკიცა ბურჟუაზიას, რომ ის ღირსია ამ ბანაკის საპატიო თანამდებობის, ბურჟუაზიამ იცნო და მიიღო ჰუვერი, როგორც თავისი ახლათ შეძენილი და ღირსეული წევრი.

მაინც რას იტყვის ჰუვერი?

მის სანადიმო გამოსვლაშიო, ამბობენ, 3.500 სიტყვა იქნებაო.

ეს პირველი მისი გამოსვლა, არამც თუ გამოანგარიშებული და გამოკოპიტებულია კაკლა-კაკლაა დათვლილი, თვითეული სიტყვა. იქნება 3.500 სიტყვა არც მეტი არც ნაკლები.

ამერიკას (ჩრდილო ამერიკის შეერთებულს შტატებს) დიდი უშნო და ულაზათო პრეზიდენტი ჰყავდა. კულიჯი არ იყო საპრეზიდენტო კაცი. ის არც არავის აურჩევია

პრეზიდენტათ, მაგრამ გარდინგი უდროო-დროს მოკვდა და კულიჯიც ანაზდეულად საპრეზიდენტო სავარძლის პატრონი შეიქნა.

კულიჯს არ უწონებდენ ენის მჭევლს. სიტყვის ამოღება უჭირსო, ამბობდენ ხოლმე იმის შესახებ. მართლაც რომ დიდი მარიფათის პატრონი კაცი არ იყო ეს კულიჯი, ეს სრულიად შემთხვევით გაპრეზიდენტებული ხელმოკლე ჟურნალისტი.

ჰუვერი უფრო შეიშნობს პრეზიდენტობას.

გამოცდილება მას არ აკლია. შნოც მეტი ექნება მას, ვიდრე კულიჯს.

დღეს ის თავის 3.500 სიტყვას ჩამოალაგებს.

ის, უეჭველია, ოსტატურათ გადმოალაგებს ხაზეინებისაგან დაბარებულს, როგორც თავის საკუთარს.

ასეა, თუ ისე, ჰუვერი ხვალ ამეტყველდება.

იტყვის მას, რაც ესაჭიროება ვოლ-სტრიტის მილიარდერებს.

თავისას, თუ სხვისას, მაგრამ ის მაინც იტყვის და ამ სიტყვებში იქნება მომავალი წლების პოლიტიკის ხაზი.

რას იტყვის ჰუვერი, ჩრდ. ამერიკის მეოცდათერთმეტე პრეზიდენტი რა გზას ადგია ვოლ-სტრიტი?

მოვესწრებით ამის გაგებასაც.

3 მარტი 1929 წ. ქ. ნიუ-იორკი.
ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატები.

Have you business?

12 აპრილი 1929 წ.

სათაურში რომ სიტყვები მიწერია, ასე ითქმის: ჰ ე ვ ი უ ბ ი ზ ნ ე ს?" ოლონდ ხმის ასამაღლებელი ყოველთვის პირველ მარცვალს დაატანეთ!

რას ნიშნავს?! — ამის პასუხი შემდეგ: ჯერ ამბავს მოგიყვებით.

— რაღაი ბედმა და გარემოებამ ასე მოიტანა, რომ აქ უნდა იცხოვროთ, ბარემ ენის შესწავლას უნდა მოკიდოთ ხელი, — მირჩია ერთმა მეგობარმა, რომელსაც ხუთმეტი წლის წინათ დავშორდი ერთ უდაბნო ქვეყანაში, სადაც არც მე და არც ის ჩვენ ჩვენი ნებითა და სურვილით არ ვიყავით მისული.

— კეთილი, ვისწავლი, რა გაეწყობა. ნათქვამია: „სიბერემდე სიქაჩლეო!“ ჰგავს უნდა მოვკიდო ხელი მაგ საქმეს, მაგრამ ისეთი მასწავლებელი მიშოვე, რომ. რაც შეიძლება ჩქარა გამიკვეთოს ის, რაც ყოველ-დღიურ მიდგომ-მოდგომაში არის საჭირო და გამოსადეგი. მივუგე მე.

მეგობარი შემპირდა, სწორეთ მაგნაირ მასწავლებელს გიშოვიო. ორი, თუ სამი დღის შემდეგ მე უკვე პირველ გაკვეთილს ვღებულობდი.

— პრაქტიკულ საქმიანობაში საჭირო სიტყვები და გამოთქმები გინდათ დავიწყოთ? მესმის. ჯერ ერთი რომ აქ ინგლისურ ენას დამახინჯებულათ ლაპარაკობენ, მაგრამ ეს არაფერია, ყურს შეაჩვევთ. ამერიკელი პირველ ყოვლისა ადამიანს იმდენათ კი არ აფასებს, რამდენათაც მის გამჭრიახობას, მის დოვლათს, მის მარიფათს. უიღბლო და უხეირო ადამიანს აქ ფასი არა აქვს. რაც მეტი გაქვთ ქონება, რაც უფრო კარგათ მიდის თქვენი საქმე, მით უფრო მეტია მოწონება და დაფასება. ეს დაიმახსოვრეთ. ამიტომ არსად არც ერთს ენაში არ არის ისეთი სიტყვა. რომელიც აქაური business უდრიდეს. რას ნიშნავს ეს სიტყვა? რასაც გინდათ, ხელობა, საქმე, მუშაობა, მოქმედობა, ვაჭრობა, მოღვაწეობა, — რომელი ერთიც გნებავთ და კიდევ მრავალი სხვა მნიშვნელობა აქვს. ერთი სიტყვით ამ

ერთს პატარა გამოოქმაშია თავმოყრილი ყოველივე ის, რასაც ასე აფასებენ და ადიდებენ ამერიკელები. ამერიკელი რომ შეგხვედება პირველ ყოვლისა იმას გკითხავს:

— Have you business? ეს იმას ნიშნავს, რა ხელობის კაცი ხარ, რას მუშაობ. რა საქმეს ადგიხარ. ვაჭრობ. საზოგადო მოღვაწეობას ეწევი, თუ კიდევ სხვა რამესო?

დაფასებაში ის კაცია. რომელიც ასეთს კითხვაზე პასუხათ შეაგებებს — Yes, sir, I have good business! კი, ბატონო. ჩემი საქმეები კარგათ მიდის!

ჩემი მასწავლებელი ხანში შესული კაცია. მას ჟამსა შინა რუსეთის მცხოვრები, ერთს დროს აყრილა მთელი ოჯახით, დიდის ვაი-ვაგლახით მოუღწევია ამერიკისათვის. ბევრი უხეტიალებია გზაში, მაგრამ ბოლოს აქ დაუდევს ზავი, აქ დაბინავებულა. ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე გამხდარა.

მას ძალიან აინტერესებს ჩვენებური ამბები. მოსწონს ბევრი რამ, მაგრამ გული წყდება.

— მოვხუცდი, სადღა შემიძლია კიდევ ამ სიბერის დროს გზას გავუდგე და ახალ ცხოვრებას მოვკიდო ხელი; თორემ დღესვე მივატოვებდი აქაურობას და ახალი რუსეთის შემხედვარეს კიდევ ერთი პირი სიცოცხლე და სიჭაბუკე მომემატებოდაო, — ამბობს ხოლმე ის გულდაწყვეტილი.

სახელი საბჭოთა კავშირი მას არ ემარჯვება. მე ვუსწორებ, ვეუბნები.

— რუსეთი, ეს სიტყვა ჩვენში აღარ არის.

— როგორ, რუსეთი აღარ არსებობს. თუ?

— როგორ არა. მაგრამ უწინ რუსეთი ერქვა ყველა იმ ქვეყნებს, რომელიც რუსის მეფეებს ჰქონდათ მოტა-

ცებული და თვითმპყრობელობის უღლის ქვეშ ჰყავდათ ღაყენებული. ახლა ს ა ბ ჭ ო თ ა კავშირი გვაქვს.

— კეთილი, მე ძველი სახელისათვის მაქვს ყური და ენა შეჩვეული. აგრე იყოს. სახელმა რა დააშავა?

ჩვენი გაკვეთილები კარგათ მიდის. გავიკვეთე ამოსაღები, სიტყვების კითხვა აღარ მიჭირს, გამოთქმას შიწუნებს ხოლმე ჩემი მასწავლებელი, მაგრამ მე ამას ყურადღებას არ ვაქცევ. რა ჯანდაბათ მინდა აქაური გამოთქმის შეთვისება მე შენ' გეტყვი, ჰუვერთან არ დამჭირდეს პურის ჭამა და მისი სადღეგრძელოების დალევა?

გაკვეთილების შემდეგ მოხუცი მისტერ სმიტი და მე გავაბამთ ხოლმე გრძელ მუსაიფს. მან ამერიკა კარგათ იცის. მოვლილი აქვს თითქმის ყველა კუთხე. არ ეზარება ძველი ამბების გახსენება. მე მას ჩვენებურ ამბებს ვუყვები, ის ყურებ დაცქვეტილი მისმენს. არ უნდა არც ერთი სიტყვის დაკარგვა. სამაგეროთ მისი აქაური ამბებიც საინტერესოა. საინტერესოა ჩემთვის და მე ვფქიროობ ჩვენი მკითხველებისთვისაც.

მისტერ სმიტი ტანში შესული კაცია. მეტის მეტად ხმელი. ტანისამოსი თითქოს ჩამოკდებულია მის ხმელ და მაღლად აწოწილ ძვლებზე. სახე მოგრძო აქვს, თვალები შიგნით შეწეული. გრძელი—კეხიანი ცხვირი და ოდესღაც შავი, ეხლა კი ერთთავათ გათეთრებული ხუჭუჭა თმა.

— ეს ჩემი ძღვენი და მოსაკითხი იყო,—მითხრა გაკვეთილის გათავების შემდეგ მისტერ სმიტმა და რაღაც ბრტყელი და სიგრძეზე შუა-გაზნექილი თუნუქის ჭურჭელი შემომაგება ხელში.

— მადლობელი ვარ. მაგრამ მე სრულებით არ ვიცი, რა არის ეს?

— ეს ისაა, რაც აქ აღკრძალული გახლავთ!

— ესე იგი?

— ესე იგი კონიაკი!

კონიაკი, არაყი და საზოგადოთ მაგარი სასმელები, მართლაც აღკრძალულია ჩრდილო ამერიკის შეერთებულს შტატებში. მე სახტათ დავრჩი.

— მერე, აღკრძალული რომაა?

— რა ვუყოთ აღკრძალული რომაა, არის საქმე და გარემოება, რომელიც კანონის ნებართვას არ საჭიროებს და აღკრძალვის არ ეშინია. ღვინო, არაყი, კონიაკი... გამიგონია, განა შეძლება, რომ ამერიკაში ამის სმაზე ხალხმა ხელი აიღოს. სისულელეა. არსად იმდენს მაგარ სასმელებს არ სვამენ, რამდენსაც აქ. მე რომ მკითხოთ ესეც აქაური ხრიკია. ამერიკული ბიზნესია და მეტი არაფერი. უწინ არაყს, ღვინოს, კონიაკს მარტო სასადილოებში და რესტორანებში ჰყიდდენ, ეხლა გნებავთ თვალდახუჭული შედით სადაც გნებავდეთ, რომელ სავაჭროშიაც მოისურვებთ და ყველაფერს იშოვით. მართალია, ხამს ადამიანს არ მიჰყიდიან, მაგრამ ასეთი ათასში ერთი თუ გამოერევა.

— რაღასი მაქნისია ეს კანონი, ეს ამოდენა სიფხიზლის აგენტები, ფარული და აშკარა პოლიცია და სხვ. და სხვა?

— ბიზნესია, ჩემო კარგო, ბიზნეს!!

— არ მესმის, ხეირიანათ გამაგებინეთ.

— ინებეთ. უწინ არაყის და ყოველივე ამ მაგარი სასმელების ყიდვა ნებადართული იყო. ეხლა აღკრძალულია, მაგრამ ყელის გასოვლება, როცა დაპირდება ადამიანს კევის ღეჭით ხომ ვერ მოიკლავს წყურვილს. კანონმა აკრძალა სმა, მაგრამ მოთხოვნილება დარჩა. დარჩა მუშტარი და, თუ მუშტარი არსებობს, საქონელი გამოჩნდება. აკრ-

ძალა შეუშლის ხელს? თქვენ არ მომიკვდეთ! სახიფათოა? მართალია — სახიფათოა, მაგრამ ამერიკაში მშიერი და მწყურვალი ხალხი რამ გააწყო. ფული მიეცით და ფულის გულისათვის თუნდა ანთებულს საკირეში გადავარდება — ამის მოხალისეს აქ რამდენიც გნებავთ, იმდენს იშოვით. პოლიცია? პოლიციას რაც კარგი შემოსავალი — დიაღ სწორეთ კარგი ბ ი ზ ნ ე ს ი აქვს ამ საქმიდან. რას მეკითხებით ქრთამს ღებულობენო?! ღებულობენ და მერე აგრე?! ქრთამით აქ ყველაფერი შეიძლება გააკეთოს ადამიანმა. ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი. მოხუცდა მისტერ სმიტი, მისტერ სმიტი ეხლა ამერიკელი მოქალაქეა. მისტერ სმიტს ორი უმცროსი ვაჟი ჰყავს; ორთავე აქ არი დაბადებული. მე მოქალაქე ვარ, მართალია, მაგრამ. ჩემი შვილები უკეთესი მოქალაქეები არიან. კანონით მე პრეზიდენტათ ყოფნის უფლება არა მაქვს, ჩემს შვილებს კი აქვთ — ისინი ამ ქვეყანაში არიან დაბადებული. დემოკრატიული ქვეყანაა, ამიტომაცაა, რომ აქ ქრთამს დიდი გასავალი აქვს.

მოხუცებაში წასულმა ადამიანმა ასე იცის. ბევრი დაკვირვება, დიდი გამოცდილება მძიმე ტვირთად აწევს მოხუც სმიტს ზურგზე. ის თითქოს სცდილობს, რომ თუ შემთხვევამ ხელი შეუწყო, ეს ტვირთი მოიხსნას ზურგიდან, სხვას გაუზიაროს. ამოთქვას და ამოიქარვოს გულიდან. რაც უნახავს, რაც გაუგონია, რითაც, ვინ იცის, იქნებ მწარეთ დასერილა მისი გული.

— დემოკრატია? ვაი სულელო და ბრიყვო ჩემო თავო. რა სასოებით მწამდა მე ერთს დროს დემოკრატია. რა აღტაცებით მოვეშურებოდი მე ამ „აღთქმული ქვეყნისაკენ". კარგი სნის ამბავია. ამაზე სხვა დროს მოგიყვებით: ეხლა იმის თქმა მინდოდა..... მაგრამ რომ აღარც კი მახსოვს, რისი თქმაც.....!

— თქვენ აქაურ მექრთამეობაზე ლაპარაკობდით, — მოვაგონე მე.

— ქრთამი.... ქრთამი, იცით რას ღებულობს აქაური პოლიციელი?

— ჯამაგირს, რას ღებულობს?!

— არ ვიცი!

— არაფერს მაინცა და მაინც. ყოველ შემთხვევაში არც იმდენს, რომ ცოლშვილის პატრონმა ადამიანმა თავი შეინახოს, მაგრამ, აბა შეხედეთ. შეაძლიეთ აბა უბრალო პოლიციელს, ქუჩაში რომ არის სიცხეში და სიცივეში ატუზული, შეაძლიეთ დიდი, გაცილებით მეტი, ვიდრე ის ღებულობს, ჯამაგირი და წყნარი, იოლი სამუშაო-სამსახური. დაგთანხმდებათ? არამცა და არამც. რატომ? იმიტომ რომ ჯამაგირის გარდა მას მშვენიერი შემოსავალი აქვს მაგარი სასმელების ვაჭრობისაგან! იქნება ასე ერთს ან ორ წელიწადს ქუჩის ყურეში ატუზული, მოუყრის ფულს თავს, მერე სამსახურს თავს დაანებებს და ამის შემდეგ თვით დაიწყებს არაყითა და ღვინით ვაჭრობას.

— გასაკვირველია, მაინც როგორ ჰყიდიან ამ აღკრძალულ საქონელს, — ჩამოვართვი მე სიტყვა მისტერს.

— ინებეთ, მოგახსენებთ. ვაჭრებს თავ-თავისი ნიშანი აქვთ. მაგალითად თქვენ იცნობთ რომელიმე ვაჭარს, რომელიც ჰყიდის მაგარ სასმელებს. რაღაი მას თქვენ თავის მუშტრათ ეგულებით, ის თვითონ მოგცემთ ასეთს წინადადებას.

— თქვენს კარგს ნაცნობებში თუ ვისმეს დასჭირდეს ეს საქონელი, ურჩიეთ ჩემთან შეიძინოს. მადლობელი ვიქნები; სამაგიეროთ თქვენ ფას-დაკლებით დაგითმობთ.

თუ თქვენ ყაბულს დაჰყვებიო, ის შემდეგ გასწავლით იმ ნიშანს, რომლითაც სავაჭროს პატრონი ყოველთვის

მისვდება, თუ რა მუშტარი მივიდა მასთან და რა საქონელი უნდა რომ იყიდოს. არის მაგალითად ასეთი ნიშანი. მაგალითად თქვენ შეხვედით სავაჭროში და მისცლისთანავე მოისადეთ ქუდი და ხელში დაიკავეთ. ეს უკვე მთავარი ნიშანია. ამის შემდეგ, თუ ქუდი მარცხენა ხელში გიკავიათ, ეს მაშინ თქვენ უბრალო არაყი — აქ ვისკის ეძახიან — ის გინდათ, თუ მარჯვენაში მაშინ, ალბათ, კონიაკის ყიდვას აპირობთ. ეხლა იმის შესახებ, რამდენი ბოთლი გჭირდებათ. ქუდს სახესთან მიიტანთ და გააქნევთ, თითქოს სიცხის მოსაგერებლად. ერთი გაქნევა — ერთს ბოთლს ნიშნავს, ორი — ორს და სხვ.

ნიშნები ყველას თავ-თავისი აქვს.

ამ ნიშნებით ისეთი ვაჭრები სარგებლობენ, რომლებსაც გული საგულეს არა აქვთ მაინცა და მაინც. მათ მოქრთამული ჰყავთ, მაგალითად მახლობელი პოლიციელი, მაგრამ, ჩვენებურათ რომ პრისტავს ეტყვიან, ისეთი მოხელე პოლიციის, იმასთან არა აქვს საქმე გაკეთბული და ამიტომ ეს ვაჭარი კარგათ დაზღვეული არ არის და მარცხის მოლოდინშია. მას მეტი სიფრთხილე სჭირდება, მეტი თავდარიგი მართებს. სამაგიეროთ არიან ისეთი ვაჭრები, რომლებსაც ყველა მომადლიერებული ჰყავთ. ასეთს სავაჭროში არც ქუდის ქნევაა საჭირო და არც სხვა არაფერი. ასეთ სავაჭროებში პირდაპირ კარებთან წააწყდებით წარწერას:

— „თუ ვერ შეამჩნიოთ ის საქონელი, რომელიც თქვენ გესაჭიროებათ, უბრძანეთ მოსამსახურეს და ის იმწამსვე მოგართმევთ!“

ეს იმას ნიშნავს: — რომელი სასმელიც არ უნდა მოითხოვოთ ლუდიდან დაწყებული და საუკეთესო შამპანიურით გათავებული — ყველაფერი აქ გახლავთ. ფულების

გადახდა ნუ დაგეზარებათ და, რასაც მოისურვებთ, იმას იშოვით.

— თქვენც ასე ქუდის ქნევით შოულობთ ღვინოს? — შევეკითხე მე სმიტს.

— როგორ გეკადრებათ. ჩემთვის ეგეები რაღა საჭიროა. მე ჩემს უბანში ძაღლი და კატა ყველა მიცნობს. აჩენილი მყავს ერთი ჩვენებური ვაჟარი — ჩემი არ იყოს ისიც რუსეთიდანაა გადმოხიზნული ძველი დროიდან. პატარა საწვრილმანო დუქანი აქვს. წვრილი ცოლშვილის პატრონია. გვიან ითხოვა უბედურმა ქალი. სანამ ახალგაზრდა იყო, ოჯახის მოკიდების თავი არ ქონდა და ახლა ამ რამოდენიმე წლის წინათ ითხოვა ერთი ნაქვრივალი დედაკაცი. ჰო, იმას ვართმევ ხოლმე. პატიოსანი კაცია, რაც საც მოგყიდის პირიანათ და ხეირიანი საქონელი აქვს ყოველთვის.

— ძვირია?

— არც იაფია, ყოველ შემთხვევაში გაცილებით უფრო ძვირია, ვიდრე უწინ იყო. სარისკო საქმე შეიქნა, აქეთომ ფასიც მოემატა. უწინაც სვამდენ ხომ არაყს, მაგრამ ეხლა დიდიან-პატარაიანა ყველა სვამს ზედმიწევნითა და ხელიერთპირად. მეტადრე მოზარდები ეტანებიან. საკაკაცო საქმე შეიქნა აღკრაძული ხილის შოვა და მისი გემოს გაცნობა. ჩემს მახსოვრობაში, ჩემი თვალის წინ რამდენმა უბრალო ასი დოლარი რომ არ ჰქონდა, ისეთმა კაცმა ქონება შეჰკრა ამ მაგარი საქონელით ვაჭრობაზე. ბევრი ტყავსაც აქ ჩატოვებს ხოლმე, მაგრამ, ზოგს ბედი გაუცინებს და მილიონის პატრონი შეიქნება.

— ბინაზე გაჩხრეკა არ იციან აქ? ვთქვათ ვინმეს შესწამეს, რომ სახლში მაგარი სასმელები ეგულებათ, არ მივლენ გასაჩხრეკათ?

— ძნელია მაგის პასუხი. აქ დემოკრატიული თავისუფლების ქვეყანაა. სახლში მისტომა და ჩხრეკა კონსტიტუციის დარღვევაა და მაინცა და მაინც არც არავინ გეძალება სახლში შემოსასვლელათ და გასაჩხრეკათ. მაგრამ ესეც სიქმეს და თვით ადამიანს გააჩნია. კანონით აქ ყველა თანასწორი უფლების პატრონია, პრეზიდენტიდან უბრალო შავ-დღიური ქირით რომ თავს ირჩენს — ისეთ მუშამდე. ასეთია დემოკრატიის წესი. ასე უწერიათ კანონებში, მაგრამ კანონის შემოტრიალება თუ იციან. სწორეთ აქ იციან. ერთს ამბავს მოგიყვებით.

— ეს ამბავი,—დაიწყო სმიტმა—სულ აგერ ახლა მოხდა მარტის დამლევს.

არის აქ ერთი შტატი. ილინოისი ჰქვია. ამ შტატში არის ერთი პატარა ქალაქი, ა უ რ ო რ ა. ეს სახელი, სხვათა შორის ცისკარს ნიშნავს. დაიმახსოვრეთ! აი ამ ცისკარის ქალაქში მოხდა ასეთი ამბავი.

ერთს დღეს.... როგორც იტყვიან ხოლმე... „ერთს მშვენიერ დღესო", არა? არა, ჩემო კეთილო. მშვენიერი და ბედნიერი არ ყოფილა ეს დღე აქაური ერთი ხელმოკლე მუშის ოჯახში.

სადილათ ისხდენ თურმე: ცოლი ქმარი და პატარა ვაჟი, ასე 12 წლის ბიჭი იქნებოდა. დიასახლისი თურმე, კერძს უნაწილებს ქმარსა და შვილს. მუშას სადღაც ერთი საცოდავი ბოთლი არაყი უშოვია და სასოებით მოელის ყელის გასოვლებას. მე რომ მკითხოთ არაფერათ დავძრახავ. რომ მუშამ სადილობისას თავის ოჯახში ერთი და თუნდა ორი ჭიქა არაყი გადაჰკრას. აქაური მემალაროები განახვათ ერთი, მაშინ გაიგებთ აქაური მუშის ბედს. დღე და ღამე ტყავს იძრობენ, რომ ორიოდე გროშს თავი მოუყარონ. ცის სინათლე მათთვის არ არსებობს, როდის იფეთქებს,

როდის ჩამოინგრევა მაღარო, კაცმა არ იცის. თან ხიფათის შიში, თან მძიმე მუშაობა, სიცივე, სიბინძურე, სიმშილი — ოჰ, კიდეც გადაკცდი, ასე იცის მოსუცებულობამ. იმას ვამბობდი. თურმე ზიან ამ სადილის ჭამის დროს და უეცრათ შემოიჭრა სახლში პოლიცია. მართლა, დამავიწყდა, თურმე მუშას ერთი შემოსწრებული სტუმარიც ჰყავდა. ისიც ამ ოჯახთან ერთად იჯდა სადილად.

ეს იყო სიფხიზლის აგენტები — ეს აქაური საგანგებო პოლიცია გახლავთ.

— რა უფლება გაქვთ, არაყს რომ შეექცევით?—მიცვინდენ პოლიციელები დიასახლისს. გასაკვირალია. რატომ მაინცა და მაინც დიასახლისი ამოიღეს აგენტებმა ნიშანში.

ამ ლაპარაკსა და დავაში ქმარიც ჩაერია.

— შენ არავინ გეკითხება, შენი საქმე არ არის,—შეუტიენ პოლიციელებმა,—ხმა გაჭკმინდე!—მუშამ სიტყვა შეუბრუნა, სიტყვის შებრუნება მაგრე არ უნდაო, მისცვინდენ მას და ასე მოაქციეს უსაშველო რტყმევით, რომ საწყალი კაცი უგრძნობლათ დაგორდა ძირს. მერე სტუმარიც მობეგვეს ძალზე.

ამასობაში აი კიდევ რა მოხდა. ერთმა პოლიციელმა ამოიღო რევოლვერი, ბელურასავით დაუმიზნა დიასახლისს და იქვე მიახალა ტყვია გულში.

ბავში, 12 წლის ბავში — შვილი ამ ქალისა და ამ კაცის, საწყალი გარეტიანებული სდგას სადღაც კუთხეში და უყურებს ამ საშინელებას.

დედა მკვდარი აგდია, მამა — უგრძნობლად გაშოტილა იატაკზე და საცოდავათ ხროტინობს. შიშით აღარ იცის რა ქნას, მაგრამ შიშს ისევ გაბრაზებამ დასძლია, გაიჭრა მეორე ოთახში, საიდგანღაც მამის პატარა რევოლვერი

გამოათრია და ესროლა პოლიციელს. ტყვია პოლიციელს ფეხში მოხვდა და მსუბუქათ გაკაწრა.

რითი დათავდა ეს საქმე მე არ ვიცი, მაგრამ ვიცი ნამდვილად, რომ პოლიციელებს ამ საწყალი ქალის მოკვლა და იმ ორი ადამიანის უგრძნობლად მოქცევა ისე შერჩებათ, როგორც ხახვი.

ასეთია დემოკრატიული კანონები, ჩემო კარგო! — დაათავა სმიტმა.

— ვისაც ჰქონდეს, მას ემატოსო, ასე იტყვიან. ასეა აქ. სვამენ სენატორები, სვამენ მილიონერები, სვამენ აშკარად, მოურიდებლად, მათ ხმას ვერავინ გასცემს.

ან კი რა არის სმა. რა არის მაგარი სასმელები ბიზნესია, ჩემო კარგო ბიზნესი. დემოკრატია და სხვა რამ ასეთები, ეს უთავბოლო ლაყბობაა. ამას ვამბობ მე მოხუცი სმიტი, რუსეთის ყოფილი ქვეშევრდომი და ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე.

Have you business? გესლიანი ღიმილით ჩაილაპარაკა სმიტმა; დამემშვიდობა და გაუდგა გზას.

კარებში იყო, როდესაც შემობრუნდა და მითხრა.

— მე მგონია, თქვენ ეხლა კარგათ გაიგეთ, თუ რას ნიშნავს სიტყვა ბიზნეს.

23 აპრილი, 1929 წ.

მისტერ სმიტის გაკვეთილები.

მე და მისტერ სმიტი ძალიან დავმეგობრდით. მოხუცი სმიტი ჩინებული მასწავლებელია. მისტერ სმიტი მეტად საინტერესო ადამიანია! ერთ დღეს გაკვეთილების შემდეგ გამომიცხადა:

— ეს ერთი გაკვეთილი ხომ გავათავეთ, ეხლა მეორე გაკვეთილი უნდა დავიწყოთ!

ვერ გავიგე, გამიკვირდა.

— ესე იგი? — შევეკითხე მე.

— ესე იგი თქვენ თქვენი ქუდი, რომელიც, სხვათა შორის, ამერიკაში აღარც კი ვარგა გამოსაჩენათ, უნდა დაიხუროთ და გამომყვეთ!

— კეთილი, მაგრამ, რომ არ მცალია. საღამოზე ცოტა რამ სამუშაო მაქვს, სახლში დამჭირდება ჯდომა და....

— შეუძლებელია! მე თქვენ მაგის ნებას არ გაძლევთ. მასწავლებელი მე ვარ, ეს მე უნდა მეკითხებოდეს.

მისტერ სმიტის ახირებული ხასიათის ამბავი ვინც არ იცის, ეგონება მოხუცი, მართლაც, გულმოსულიაო.

დავყევი ნებას. ჩამოვიღე ჩემი, მართლაც ძალზე შეხუნებული „შლიაპა“ და გავყევი.

— მარტო ენის სწავლა რისი მაქნისია, თუ ადამიანმა სალხი და ქვეყანა არ გაიცნო, — თითქოს თავისთვის ლაპარაკობს მისტერ სმიტი. — ხალხი აქ საინტერესოა, ქვეყანა კიდევ უფრო მეტი!

— უკვე იწყება გაკვეთილი, — მითხრა სმიტმა, როგორც კი გამოველით გარეთ და ქუჩის გზა-ჯვარედინს მივადექით. — არსად ისეთი ქუჩები არ არის, როგორც ნიუიორკში. რა არის აქაური ქუჩების თავისებურობა?

— ალბათ, მეტის-მეტი სიბინძურე! — მივუგე მე.

— მაგაში თქვენ არ შემცდარხართ. ნიუ-იორკის ქუჩების ძუძგი და ნაგავი სწორეთ საარაკო რამ არის. ვერსად ვერ შეხვდებით ასეთ საშინელ ჭუჭყსა და უსუფთაობას. ამაშიაც, თუ გნებავთ, ნიუ-იორკს პირველობას ვერავინ ჩამოართმევს.

— ვერაფერი პირველობაა, თქვენ არ მომიკვდეთ!

— ნუ იტყვით. აქაც ამერიკული სიფართე და სიგანე მოსჩანს. აბა, შეხედეთ. ჩვენ ქალაქის შუაგულში არა ვართ. მაგრამ განაპირაც არ ეთქმის ამ ნაწილს. აი, აგერ ეს თხრილი. ღამე აქ სიფრთხილე მართებს გამომვლელს, თორემ აქ. თუ ფეხი გადაუცდა, საიქიოსაკენ წასავალი ბარათი ხელში უნდა ეკაოს. ეს კიდევ არაფერი. შიგნით, ამ თხრილში რა არ ჰყრია? ფეხმოტეხილი რკინის ლოგინი, ავტომობილის ღერძიდან წაძრობილი მორგვები. სკამის ნაწილი, აგერ, ვილაცას ბავშების საგორებელი ურემიც კი გადაუგდია.

— არ არის აკრძალული ასე უთავბოლოთ ყველაფრის უადგილო-ადგილას გადაყრა?

— რასაკვირველია, არა! ამას აქ ყურადღებას არავინ აქცევს.

— მაგეც თავისუფლებაა, მაშასადამე, არა?

— რაც არის ასე კია,—მომიგო სმიტმა.—არა, მე მაგას როდი გკითხავდით. აქეს ერთი თავისებური თვისება აქაურ ქუჩებს და ეს თავისებურება უსათუოთ დასაფასებელი და მოსაწონია. თქვენ არა ხართ მიხვედრილი, ალბათ, რას გეკითხებით.

— მართალი გითხრათ, არა!

— მაშინ, მე გეტყვით, მაგრამ ჯერ ერთი კითხვა: რომელ ქალაქში ყოფილხართ კიდევ ამის გარდა?

— ქალაქები ბევრი მინახავს, არ ვიცი, რომელი ერთი უნდა გითხრათ!

— ბერლინში ყოფილხართ?

— როგორ არა, არამც თუ ვყოფილვარ, მიცხოვრია კიდეც.

— მაშასადამე, თქვენ ადვილათ მიხვდებით, თუ რა განსხვავებაა აქაურსა და, თუნდაც, იმავე ბერლინის ქუჩებს შორის. ქუჩები აქ ლარივით არის გაყვანილი. ქალაქი დასერილი სწორი გასწვრივი ხაზებით. ეს ხაზები ქუჩებია. ქუჩები სიგანეზეა დაყოლებული, სიგძეზე კი პროსპექტები. ეს კიდევ არაფერი. ქალაქი გაყოფილია აღმოსავლეთსა და დასავლეთს ნაწილად. არც ქუჩებს, არც პროსპექტებს საკუთარი სახელები არა აქვს. არის რასაკვირველია, თითო ოროლა გამონაკლისი, მაგრამ ეს საერთო წესს არ არღვევს.

თვითეულ ქუჩას თავისი ერთი-მეორეს მიმდევნო ნომერი აქვს: პირველი, მეორე, მესამე და ასე მიყოლებით. თვითეულს პროსპექტსაც თავისი საკუთარი ნომერი აქვს.

ვთქვათ თქვენ გინდათ რომელიმე ადგილის მიგნება. თქვენ ყოველ მისამართს ადვილათ მოსძებნით, ვინაიდან წინასწარ იცით როგორც ქუჩის, ისე პროსპექტის ნომერი. ძებნის გასაადვილებლათ თვითეულ მისამართს თან სდევს აღმოსავლეთ-დასავლეთი მხარის მაჩვენებელი ნიშანი.

— მაგ მართლაც რომ დიდი შეღავათი ყოფილა,—მივუგე მე.

— ოღონდაც! ბერლინის ქუჩები, რასაკვირველია, სუფთაა, მოვლილია. მართალია, მაგრამ თავსა და ბედს გაწყვეტინებს, სანამ იქ რამეს მიაგნებდეთ. ეძიე, აბა, თუ გიყვარდეთ, სად არის ეს, ვთქვათ, თუნდა, პრინცრეგენტენშტრასსე? აღმოსავლეთშია, დასავლეთშია, რომელ კუთხესაა, რომელ მხარეს?

გარდა ამისა, ბერლინში ქუჩა, კიდევაც რომ ნახოთ, სახლის მონახვას თან უნდა გადაჰყვეთ. იქ სახლის ნომრები ერთი მეორეს მისდევს პირწმინდათ. ეს ნამეტნავათ აძნელებს საჭირო ადგილის მიგნებას. აქ კი კენტი ნომ-

რები ერთს მხარესაა, წყვილი — მეორეს. ამით, რასაკვირველია ნიუ-იორკი ბევრ სხვა ქალაქებიდან არ გაირჩევა.

მაშასადამე, განაგრძო, მისტერ სმიტმა დღევანდელი გაკვეთილისათვის პირველ ყოვლისა ის დავიმახსოვროთ, რომ ნიუ-იორკში გზის პოვნა ძალიან ადვილი საქმეა.

მერე, იქნება შემდეგი! ჩვენ ერთი აქ ჩავძვრეთ,—მიმითითა მან რაღაცა ხვრელს რომ ჰგავდა, ისეთს ვიწრო კიბეზე, რომელიც სადღაც ჯურღმულისაკენ იყო ჩადგმული.

მე გულმა არ მიქნა. ახირებული კაცია, გავივლე გუნებაში, ამ ჯოჯოხეთში სად მიმათრევს მეთქი; მთლად უარის თქმაც ვერ გავუბედე, მაგრამ ფეხაკრეფით გავყევი უკან. მისტერ სმიტი დაწინაურდა. კიბის ჩასათავებელში სადღაც მოუხვია. თითქმის უკან გამობრუნებას ვაპირობდი, მაგრამ ჩემს უკან სხვებიც ბლომათ მოდიოდა ხალხი, გზის შესავლელი არე კიბეზე არსად იყო და მეც ძალაუნებურათ წინ უნდა წავსულიყავი.

— აქ ვარ, აქ. შემომეხმაურა მოხუცი და წინ შემომეგება. მე აქ სალაროსთან ვიყავი, ფულს ვახურდავებდი. ეხლა აქეთკენ წავიდეთ. გავყევი. წინ რაღაც ხარიხებით გადაღობილს ადგილს მივადექით.

შუაგულში ხარიხებს ჭიშკარი ჰქონდა. დატანებული. აქ კარგა მსხვილი ხის ძელი იყო დამაგრებული, რომელსაც თავზე ჯვარედინათ ფრთებ გაშვერილი ტარები ჰქონდა გაკეთებული. ეს ჯვარედინათ გასკვნილი ტარები ადამიანის წელის სიმაღლეზე იყო დატოვებული. სმიტმა ამ ჯვარედინს მიაშურა. ხელში ფული მოიმარჯვა. ხარიხების ერთს გვერდზე პატარა ყულაბისებური კოლოფი მონახა, ხელი ხედ გააყოლა და ერთს პატარა ნაპრალში გადუძახა იმ გროშს, რომელიც ხელში ჰქონდა მომარაგებული.



ჰუდსონის (მდინარეა) ქვეშ გაყვანილი გვირაბი, რომლის შუმწეობით ამ მდინარის გაღმა-გამოღმა ნაწილი რკინის გზით არის შეერთებული.

— აბა, გაჰყევით,—გადმომძახა; მიკაწვეი ჯვარედინს, ის ფაყვეთ მოეშვა, სადაც შიგნი ტკაცუნი გაისმა და მეც მოაჯირის მეორე გვერდზე მოვხვდი.

სმიტმა კიდევ ჩააგდო მეორე გროში და თვითონაც გამოვიდა.

— აჰ, მეც აქა ვარ.— შემომეხმაურა და გვერდში ამოვიდგა.

— სად ვართ, ეს რა ადგილია? — შევეკითხე მე.

— სად ვართ?!, ეს გახლავთ ს ო ბ ვ ე ი. ეს სიტყვაც დაიმახსოვრეთ. უამისობა აქ შეუძლებელია! ხომ ხედავთ, როგორაა მოწყობილი? ბილეთს ყიდვა არ უნდა, ჩააგდეთ ეს ხუთცენტიანი გოგორჭინა და გაუდექით გზას. ბილეთი საზოგადოთ აქ სობვეიზე შემოღებული არ არის.

— თქვენ აკი იყავით სალაროსთან? — შევეკითხე მე.

— ოჰ, სალარო?! სალარო აქ სულ სხვა რამისათვის არის მოწყობილი, იქ ფულს ახურდავებენ. ვთქვათ, მაგალითად ყულაბში შაურიანი უნდა ჩააგდოთ, მაგრამ თქვენ არ დაგესწროთ სწორეთ საგულდაგულოთ ასეთი ფული, მაშინ იქ — იმ სალაროში დაგიხურდავებენ.

ესლა ეს გზები. არის ორნაირი მოძრაობის წესი. ადგილობრივი და საგანგებო. ადგილობრივი მატარებელი თვითეულს სადგურზე ჩერდება, საგანგებო მხოლოდ ზოგიერთზე. საგანგებო მატარებელი უფრო ჩქარა მიდის, მაგრამ, თუ თქვენ შორს მიდიხართ და ისეთს სადგურზე უნდა ჩამოხტეთ, სადაც საგანგებო მატარებელი არ ჩერდება, მაშინ ერთს ხანს საგანგებო მატარებლით ივლით და შემდეგ ადგილობრივზე გადაჯდებით.

— ამ ჯურღმულში, რომელი მატარებელი საითკენ მიდის, რა უნდა გავიგო?

— ამაზე ადვილი არაფერია. თვითეულს მატარებელს აწერია უკანასკნელი სადგურის სახელი, რასაკვირველია იმ ქუჩის ნომერი, სადაც ის უნდა გაჩერდეს და უკან უნდა გამობრუნდეს.

გზა შუაში იყო გავლებული, სადგურის ერთი ნაწილი გზის ერთ მხარეზე იყო დატოვებული, მეორე მეორეზე.

— კეთილი, მაგრამ, რაღა მაგალითად ამ მხარეს მოადგება ჩვენი წამყვანი მატარებელი და არა იმ მხარეს, სადგურის გაღმა ნაწილს?

— ამას თავიდან უნდა დაკვირება. არც ესაა ძნელი გამოსაცნობი. ვთქვათ თქვენ რომ ქუჩაზე ხართ იმას № 10 ჰქვია, თქვენ გინდათ კი ქუჩა № 42, მაშასადამე მ ე ტ ი ნომრისაკენ გინდათ წასვლა. ასეთი მატარებელი იმ მხარეს მოადგება, რომელსაც შემოსასვლელში აწერია Up. ეს ნიშნავს „ზ ე ვ ი თ“. როცა, პირიქით, მეტი ნომრიდან ნაკლებისაკენ მიდიხართ. მაშინ იმ მხარეს უნდა უსწოროთ, რომელსაც შემოსასვლელში Dawnthand აწერია, ეს ნიშნავს „ქ ვ ე ვ ი თ“.

ამასობაში დიდის ხრიალითა და ხმაურობით მორიხინდა და ბაქანის პირას ჩამოდგა მატარებელი. ბაქანი, სხვათა შორის ვაგონში შესასვლელი კარების სიმაღლეზეა, ასე რომ კიბეზე აყოლა და საამისო დავიდარაბა არ გჭირდება ადამიანს.

ვაგონი გძელია, ფართე, მაგრამ ბინძური, ნაგავით სავსე. შავი ქუქუი მაგრათ არის ჩამჯდარი კედლებში და საჯდომებში. სისუფთავე დაახლოვებით ჩვენებურ ჭიათურის შტოზე რომ ვაგონები დაიარება იმაზე უკეთესი არა აქვს.

საჯდომი ერთგვარი ჭილით არის მოქსოვილი: ეს ჭილი, ალბათ, თავისთავათ მოყვითანო ფერის უნდა იყოს,

ძაგრამ ისეა გამურული შავაო, რომ ნამდვილ ფერს შოლოთ კიდურებში თუ მოჰკრავთ თვალს. სადაც ჭუჭეს ისე ძალუმათ ვერ მოუკიდია ფესი.

ჩვენ რომ ვაგონში შევედით, ისე იყო სალხით გაჭედილი, რომ საძრაობა აღარსად სჩანდა.

— მეტი ჩარა აღარ არის, უნდა ჩამოვეკიდოთ!—მირჩია სმიტმა.

— ჩამოსაკიდებლად როდი მემეტება ჩემი თავი, — ხუმრობით შევუბრუნე სიტყვა სმიტს, ვინაიდან ვატყობდი ისიც რაღაც ხუმრობის გუნებაზე იყო.

— მე კი ჩამოვეკიდები და თქვენ, როგორც გენებოთ.

მართლაც შევხედე და სმიტმა წაატანა ხელი ვიწროთ, წაგძელებულ რგოლს, რომელიც საშვალო ტანის კაცის სიმაღლეზე იყო მიმაგრებული იმწემის გძელ რკინის სვეტზე.

მატარებელი საშინელი სისწრაფით მიჰქრის; ფეხზე დგომა შეუძლებელია, თუ რაიმე დასაყრდენი წერტილი არ იშოვე. სმიტის ჩამოსაკიდებელი რგოლი, მართლაც ერთად-ერთი საშვალება ყოფილა, რომ ან კედელს არ მიგარეხვოს ან კიდევ სხვა რამ უფრო სახიფათო მარცხი არ დაგემართოს.

ვიკადრე მეც და მოვძებნე ჩამოსაკიდებელი. ჩამოვეკიდე.

სმიტმა ეშმაკურათ ჩაიცინა ულვაშებში; თითქოს მეუბნეოდა: — აი, ხომ მიხვდიო!

ვაგონში მეტის-მეტი სივიწროვეა; უმეტესობა ჩემსავით „ჩამოკიდებულია", მაგრამ ცალი ხელით ყველას თვალების წინ აჩრილი აქვს გაზეთი და ყველა კითხულობს. იშვიათია ისეთი ადამიანი, ქალი, გინდა კაცი, რომ კევს არ ღეჭდეს. რა საშინელი, რა გულისამრევი საყურებელია ეს დაუსრულებელი ულაზათო ცოხნა!

წაკითხულს გაზეთს იქვე ყრიან იატაკზე. იატაკიც მთლათ ასეთი გადაყრილი გაზეთებით არის მოფარული. მერე, რას ჰგავს ეს გაზეთები. ჩვენებური პროფკავშირების ამბავი რომ ვიცი, თვითეულ დამტარებელს ორი ცალის მეტს არ მიანიჭებს წასაღებათ. „The Now-york Times"-ის საკვირაო ნომერში 500 გვერდია, გამოიანგარიშეთ, რამდენი გამოვა ჩვენებური გაზეთი ორ ცალ ასეთ გაზეთში.

მატარებელი მიჰქრის თავ-ქუდგადაგლეჯილი. თითო წუთს ჩერდება სადგურზე და კვლავ მოწყდება, კვლავ მისცემს თავს ამ შავათ პირდაღებულ გვირაბს.

შეჩერდა მატარებელი; ჩვენ შემთხვევით შუაგულ ალაგას მოვხვდით. ამავე ვაგონს მოჰყვება ერთად ერთი გამყოლი. საქმე მას დიდი არაფერი აქვს. გაჩერდება თუ არა მატარებლი, ის დინჯათ ამოიღებს ჯიბიდან გასაღებს. შეჰყოფს გასაღებს საგანგებო ნახვრეტში, შემდეგ ორ მოზდილ შავ ფოლაქებივით ამობურცებულ წერტილს დააწვება და ეს საკმარისია: — იღება მთელ მატარებელში რაც ვაგონებია, ყველას კარები. ერთი წუთის შემდეგ გამყოლი გასაღებს ჯიბეში ჩაიდებს, ფოლაქებს მოსინჯავს და კარები ყველა ვაგონებში იკეტება. თუ სადმე რომელიმე ვაგონის კარები არ დაიგდო, ისე პატარა წითელი შუშის სანათი არ ჩაჰქრება, უამისოთ კი მატარებლის წამყვანი ფეხს არ მოიცვლის.

— მივედით!—მითხრა მისტერ სმიტმა.—აქ ამოვძვრეთ.

კარგა ხანს გვაყუნტალა მატარებელმა. აქ ჩამოძრომისას ჭინჭყლი ამინდი იდგა. წვრილი წვიმა მოდიოდა. ამოვედით, გადადარებული დაგვხვდა. მზე მორცხვად დასჩერებოდა ნიუ-იორკის მაღალ სახლებიან ქუჩებს.

— ეს გახლავთ Broadway ორი სიტყვისაგან შესდგება ნიშნავს ფართე გზა.



ამ ნაწილს ამერიკელები ნიუ-იორკის საუკეთესო უბანს ეძახიან. მართლაც ამ ნაწილშია ნიუ-იორკის მთავარი ბანკები, ბირჟა და სხვადასხვა სამრეწველო დაწესებულებები.

— ფართე კია, მაგრამ ცოტა მეტი სიფართეც რომ კიდევ მისცა უკეთესი იქნება.

— თავის დროზე ეს ქუჩა ფართეც იყო და მეტიც. მაგრამ ამ ლიანგს რა სიფართე ეყოფა,—ლაპარაკობდა სმიტი.

ჩვენში—თბილისში, დიდი რამ სანახაობის დროს რუსთაველზე იმდენი ხალხი ერთ ადგილზე არასოდეს არ მინახავს, რაც ამ ჩვეულებრივ დროს იყო ამ ერთს ქუჩის ერთ კუნჭულში.

— მერე ეს ავტოებიც აჭირვებს საქმეს, შეხეთ, როგორაა გაჭედილი მთელი ქუჩა. კაი ბიჭი იქნებით და სანამ ელექტრონის სინათლის ნიშნით არ შეაყენებენ მოძრაობას და ქუჩის ერთი მხარიდან მეორეზე გადახვალთ.

— რატომ მაინცა და მაინც აქ მოუყრია ამდენ ხალხს თავი?

— რატომ?! რატომ და იმიტომ, რომ აქ არის ის სახელოვანი Wallstreet — კედლის ქუჩას ნიშნავს — ესეც დაიმახსოვრეთ. კედლები მართლაც რომ ასეთი უნდა, სიმაღლე არ აკლია. აი აქ არის მათი მთავარი ბუნაგი, აქ არის რაც სათოკე და დასტურ ჩამოსაკიდებელი ხალხია, აი ამ კედლებს ამოფარებული ზის ამერიკის კაპიტალისტური მანქანის მმართველი შტაბი.

ხალხის მდინარე არ ჩერდება. კედელივით მოდის ეს ერთპირათ შეკუმშული ადამიანის ტალღა, ასკდება ამ ცაში აზიდულ სახლებისა და კოშკების ზღუდეებს. უძირო მორევივით იზიდავს თავისაკენ ეს პირდაღებული კოშკი-სახლები ადამიანთა მოძრავ ნაკადს. არის სახლები, სადაც 20—25.000 მოსამსახურე ზის წლიდან წლობამდე ყოველ ცისმარე დღეს წელ მოხრილი, მიათრევს თავის უღელს, ამ ვეება მანქანის რომელიმე პატარა ნაწილთან მიჩენილი, დღეში უთვალავჯერ უნდა მიახმაროს თავის ტვინის და ნერვების ძალა, კუნთებისა და მარჯვენის ღონე, რომ მანქანის მუშაობას ხელი არ შეეშალოს. ასე მიდის და მიჰყვება ერთმანეთს დღე, კვირა, თვე და წელიწადი. ერთი, ორი, სამი, ოთხი, ვინ იცის რამდენი? ყოველ შემთხვევაში იმდენი „სანამ ფეთქს გული, სანამ უდგია მკლავში ძალა და პირში სული, სანამ სიცოცხლის მისი ძაფი სულ არ გაწყდება“.

— რას გაჩერებულხართ? — გამომიყვანა ფიქრებიდან სმიტმა. — დაინახეთ, ხომ? ეხლა აქეთ წავიდეთ, ცოტა ამ ხალხს თავი მოვარიდოთ. უფრო ხალვათიან ქუჩებს გავყვეთ. ეხლა ერთი რამ მაქვს სათქმელი. ბავშობიდან ერთი ამბავი მახსოვს. სკოლაში ჩვენ ერთი მღვდელი გვყავდა,

„საღმრთო წერილს“ გვასწავლიდა. სწავლა მას მაინცა და მაინც ხელს არ უწყობდა. მედავითნეთ ნამყოფი იყო, მღვდლობა ქრთამით ჰქონდა ნაშოვი. მე მაშინ სამრევლო სკოლაში ვსწავლობდი და ეს მღვდელი იქ მასწავლებლათ დაგვიყენეს. თვითონ მან არაფერი იცოდა, ჩვენთვის რა უნდა ესწავლებია, თუნდა იმ „საღმრთო წერილის“, რომელიც მას, ალბათ წაკითხულიც არ ჰქონდა. სამაგიეროთ ამ ხუცესმა კარგი ზღაპრებისა და არაკების მოყოლა იცოდა.

— ბოვშებო,—გვეტყოდა ხოლმე ის ჩვენ,—საიქიოში ჯოჯოხეთია. სამოთხეც არის, მაგრამ ჯოჯოხეთი უფრო დიდია. სამოთხეში მაგრე ვაგლახათ როდი ვისმე უშვებენ. აი ჯოჯოხეთში ერთი ადგილია. ამ ადგილას კუპრით სავსე ქვაბი დგას და მას გამოულეველი ცეცხლი უნთია. ამ ცეცხლის და ამ კუპრის გეშინოდესთ, ვინაიდან მას არა აქვს დასაბამი და დასასრული.

ასე იტყოდა ხოლმე ის ჩვენი ხუცესი. ბავშობისას შთაბეჭდილება ადამიანს უფრო მახვილი და შეურყეველი აქვს. მასუკან არამც თუ გამიგონია, ბევრი რამ ისეთი მინახავს. რომ მასთან შედარებით კუპრის ქვაბი, ბავშების სათამაშოთ მოგონილი თავის შესაქცევია, მაგრამ კუპრის ქვაბი დღესაც მახსოვს. ეს საშინელება ჩემი მეხსიერებიდან არ ამოვა.

ამ არაკს რატომ გავყევი? კაპიტალისტური სამყაროს კუპრის ქვაბი აქ ანთია მთავარი როკაპები და ტარტაროზები აქ ბინადრობენ.

— არც მაგრე ხელიერთპირათ ჰგავს ეს ადგილი თქვენი მღვდლის არაკს. არ ვიცი, ვინ და როდის დაანთო კუპრის სადუღებელი ცეცხლი, არ ვიცი დასტურ აქვს

თუ არა დასაბამი და დასასრული ადამიანის სიბრიყვეს, რომელსაც სწამს....

— არაკი არაკია და მეტი არაფერი. დასაბამიც აქვს და დასასრულიც ექნება ყოველივე ამას, მაგრამ დ ღ ე ს, რასაც ხედავთ — ესაა.. აქაა ნამდვილი კუპრის ქვაბი.

— მოვესწრებით მაგის დავსებას, დაქრობას!

— რატომაც არა! მოვესწრებით. ჩვენ ვერ მოვესწრებით, სხვა მოესწრება, ოღონდ თ ა ვ ი ს ი თ და თავისთავად მაგ არ დაქრება. ბევრი სულის ბერვა დასჭირდება მის დაქრობას.

— ოღონდაც!!

შემოღამებული იყო, როდესაც ბინისაკენ ვბრუნდებოდით.

მისტერ სმიტი ჭარმაგი მოხუცია. სიბერე მაინცა და მაინც არ ეტყობა, მაგრამ დღეს ის, თითქოს ერთბაშათ, მოეშვა, მოდუნდა, ემჩნეოდა დაღალვა და ამიტომ ნელა მოაბიჯებდა ხმაგაკმენდილი.

— ასეთია აქაური ცხოვრება. საშინელი ბოროტებაა კაპიტალისტური წესწყობილება კაცობრიობის ცხოვრებაში. ეს ახალი ამბავი როდია. მეცნიერებს, პოეტებს, მქადაგებლებს, მებრძოლთ — რევოლიუციონერებს. ყველას თავ-თავისათ სიტყვით, საქმით, თავიანთი სისხლით, სიცოცხლით უკეთებიათ და დღესაც აკეთებენ ამ ჯოჯოხეთის დამსობის საქმეს. ეს რჩეულთა საქმეა. მათ შეუძლიათ შეგრძნობა და შემეცნება, რაც თვალით არც კი უნახავთ, მაგრამ ჩემისთანა უბრალო მომაკვდავისათვის სწორეთ ამერიკის ნახვა და აქაური ჯოჯოხეთის პირის-პირ შეხლაა საკმარო, რომ ერთხელ და სამუდამოთ, ერთხელ და გულის სიღრმემდე წაუშლელად, წარუხოცა-

ვათ შეგძულდეს ადამიანის მიერ ადამიანის დასაჩაგრავათ მოგონილი ეს ჯოჯოხეთი.

გამიგონია, თქვენში, არიან, თურმე ისეთი ბრიყვები და ნურას უკაცრავათ, უგუნურები, რომ აქეთკენ იყურებიან ხოლმე სასოებით.

— მდიდარი ქვეყანააო, ამბობენ თურმე! — მართალია მდიდარია!

— მუშა და მოსამსახურე შედარებით მეტს ჯამაგირს ღებულობსო! — მართალია ღებულობს, მერე რა?! ვის რა ჯილა ადგია თავზე ამ მ ე ტ ი ჯამაგირითა და ხელფასით. ჯერ ერთი აქაური არც მუშა და არც მოსამსახურე თქვენსაზე უკეთესათ არ ცხოვრობს. ან კი, ვინ ცხოვრობს აქ? სად არის აქ ცხოვრება?! აქ არის მანქანის დაუსრულებელი ტრიალი და ცოცხალი ადამიანი ამ მკვდარი ლითონის სათავათ წაყოლებული დამატებაა.

შემდეგ, სად არის აქ ა დ ა მ ი ა ნ ი? ადამიანი გამქრალია. მოსპობილი და წაშლილია მისი ვინაობა. მანქანა მეფობს აქ. მანქანა ფასობს, მანქანა მართავს და განაგებს ყველაფერს და ყოველივეს. მანქანა ამზადებს ბილიონებს ერთეულებისათვის და ცივს, უგემურ ლუკმას მილიონებისათვის.

ესეც ჩვენი დღევანდელი გაკვეთილი.

ჯერ კიდევ ბევრი გვექნება სასწავლი და გასაკვეთი. დღეისათვის ამან იკმაროს.

მისტერ სმიტი ალმართს გაუყვა. მე ბინისაკენ გამოვუდექი.

*
* *

მისტერ სმიტი დღეს გლახა გუნებაზეა. გაკვეთილი ისე გავათავეთ, რომ ერთი სიტყვა არ უთქვამს ზედმეტი.

თითქოს ისიც შევატყვე, რომ ხანდახან ისეთს რამესაც კი მისწორებდა, რაც არ იყო გასასწორებელი.

გაკვეთილის შემდეგ წასვლას აპირებდა, მაგრამ, თითქოს, წასვლაც უჭირდა; ბოლოს ისევ შემოტრიალდა, ჩამოჯდა სკამზე, ქუდი მოიხადა წარბ-შეკრულმა მკაცრი კილოთი მითხრა:

— არ მომწონს, სრულებით არ მომწონს მე თქვენი დღევანდელი საქციელი!—ახირებული და თავისებური კაცია მისტერ სმიტი. ამერიკაში კაცს, რომ ახირებულობა დასჩემდეს და ისიც სიბერეში, რა გასაკვირალია? მაგრამ მე მაინც ვერ მივხვდი, რატომ იყო უკმაყოფილო მისტერ სმიტი, ვერ მივხვდი, რა არ მოსწონდა მას ჩემს საქციელში.

— მე მივდივარ, თუ არა?

— თქვენ, აპირობდით წასვლას... — დავიწყე მე.

— ხომ ვაპირობდი, ხომ?

დიახ! აპირობდით, რამდენათაც მე...

— მაგ სიგძე ლაპარაკი საჭირო არ არის. მე მოვხუცდი და გამოვჩერჩეტდი, მაგრამ თქვენ რაღამ გამოგაჩერჩეტათ? აკი ჩვენ ყოველთვის გაკვეთილის შემდეგ უნდა ვხახოთ რამე ქალაქში. ანბანას გაკვეთილის შემდეგ მე თქვენ აქაურ ცხოვრების გაკვეთილები რომ უნდა გაძლიოთ, ეს დაგავიწყდათ?

— არ დამვიწყებია, მაგრამ...

— სამაგრამო აქ არაფერია. ქუდი თავზე და მარშ, გზას გავუდგეთ. არ მცალია მე ამდენ სალაპარაკოთ!!

— დღეს მე გლახა გუნებაზე ვარ, მართალია. მაქვს ამის მიზეზი. რა ვუყოთ მერე. მოხუცი და გამოჩერჩეტებული სმიტი ცოტა შეპრეტილი ადამიანია, თქვენ ამას ყურადღება არ მიაქციოთ.

— აკი არც ვაქცევ; მე მხოლოდ იმას ვფიქრობ, რომ თქვენთვის უმჯობესი იყო, რომ პირდაპირ სახლში დაბრუნებულიყავით დასასვენებლად.

— სმიტ, ჩქარა დაისვენებს. დაისვენებს სამუდამოთ! აქ უნდა დალპეს ჩემი ძვლები! დავისვენებ, მაგრამ ჯერ ცოცხალი ვარ და დასვენება არ შემიძლია.

— დღეს იმ სიშორეზე არ წავალთ. აი აქ ჩამოვხტეთ. ეს ასტორის მოედანია, ქუჩაა, თუ მოედანი სულ ერთია.

— რას ნიშნავს ასტორი?

— ასტორი არაფერს არ ნიშნავს! ასტორი ერთი მილიარდერის გვარი გახლავთ!

— ცოცხალია?

— არა, მიაკვდა ქვეყნის ძაღლი და ღორი სულში, ჩაღძა! მე მაგ ასტორის ამბავს შემდეგ მოგიყვებით. ეხლა კი აი რა მინდა გაჩვენოთ. წამოდით, იმ ქუჩის გადაღმა გადავიდეთ.

ქუჩაზე გადასვლა ნიუ-იორკში არც ისე ადვილი საქმეა. ავტომობილი ავტომობილს მოსდევს. ქუჩა ორ ნაწილათ არის გაყოფილი. ერთი წყება — მთელი მდინარე, შეუსხლეტელი და შეუჩერებელი აღმა მიდის, მეორე დაღმა.

გადასვლა მხოლოთ მაშინ შეიძლება, როდესაც ელექტრონის ნიშანი გამოჩნდება; მაშინ სიგძის ქუჩები გაკავებულია და განის ქუჩებიდან იწყება მოძრაობა. შიგ შუა ქუჩაში გაჩერებულია მაღალი პოლისმენი. შეიარაღებულია რეზინის ტაფელათი და „სვისტოკით".

ეს პოლისმენი უგდებს წესრიგს ყურს. ვაი, მისი ბრალი, ვინც უწესოთ, რიგის დარღვევით მოინდომებს გასეირნებას. რეზინის ტაფელა მას არ ასცდება. საზოგადოთ, ეს ტაფელა კარგი და მარჯვე იარაღია, მტერს მოხვდა

ის და ისიც ასეთი მაგარი ხელის პატრონიდან, როგორიც აქაურ პოლიციელებს აქვს.

არის ერთი წყება ავტომობილები, რომლებსაც შეუძლიათ ისე იარონ ქუჩებში, რომ ელექტრონის ნიშნებს არავითარი ყურადღება არ მიაქციონ. ესაა სანიტარული და ცეცხლის მქრობელი რაზმის ავტოები.

როგორც იქნა მოვიდა ჩვენი რიგი. ჩვენი გადასავლელი ქუჩა გააკავეს. ავტოების დენა შეწყდა და ჩვენც გადავასწრეთ მეორე ნაპირისაკენ.

— აი ამ ორ ადამიანს მიაქციეთ ყურადღება, — ჩუმათ გადმომილაპარაკა მისტერ სმიტმა. ეს ორი ადამიანი, მართლაც უნებლიეთ იპყრობდა გამვლელების ყურადღებას. მათ წინ გულზე და უკან ზურგზე ხურჯინივით გადაკიდებული ჰქონდათ პლაკატი, კარდონზე გაკრული.

— თქვენ რომ უკეთესად იცოდეთ ინგლისური, გაიგებდით, რას ნიშნავს ეს პლაკატი. აი რა სწერია ამაზე: „ამ უბნის რესტორანების მოსამსახურეები გაფიცულები ვართ. გაფიცვის კომიტეტი სთხოვს ყველას, ხელს ნუ შეგვიშლით გაფიცვაში“.

— მიხვდით ხომ? რესტორანის მოსამსახურეებზე გაძაღლებული ცხოვრება აქ არავის აქვს. ნიუ-იორკში სადილს ათასში ერთი სჭამს თავის სახლში. 12-ზე, ან პირველის ნახევარზე აუშვებენ ხოლმე ხელს სამუშაოს; ერთი საათის დასასვენებელ დროს იძლევიან. ამ ერთ საათში სახლში მისვლა და სადილის ჭამა შეუძლებელია. იქ, სადაც ქარხნები და დაწესებულებები არის, იქ საცხოვრებელი ბინები არ მოიძებნება, ამიტომ ყველა აქვე მიდის ახლო-მახლო რესტორანებში და იქ ჭამენ საუმელს.

უსაშველო ჯაფა აქვთ, განაგრძო სმიტმა, ამ უბედურებს. ჯამაგირი კი სრულებით უმნიშვნელო. მაგათი საზრდო ისაა, თუ ვინმემ რამე აჩუქა „სამსახურისათვის". ამითი ირჩენენ თავს.

ესენი პლაკატს რომ დაატარებენ, ეს გაფიცულების „პ ი კ ე ტ ი ა", უთვალ-თვალებენ, რომ მათ ადგილას სხვა ვინმე არ ჩააყენონ რესტორანების პატრონებმა.

— აი უყურეთ, უყურეთ, როგორ შეჩერებიან კანქებში იმ ყმაწვილებს ის პოლიციელები. მათ მხოლოდ მიზეზი, უბრალო რამ საბუთი სჭირდება, რომ საქმეში ჩაერიოს. პიკეტის დაყენების უფლება აქვთ გაფიცულებს, მაგრამ მათ არა აქვთ უფლება „წესრიგის დარღვევის", ხოლო „წესრიგის დარღვევა", თუ რომ ეს პოლიციას სჭირდება, ძალიან ადვილი საქმეა. ისე „დაარღვევ წესრიგს", რომ შენ თვითონ ვერც კი მიხვდები. აი ჩვენ აგერ ჩამოვჯდეთ, მითხრა სმიტმა, ოღონდ თვალი იქეთკენ დავიჭიროთ და არ დაგვჭირდება დიდი ხანი მოლოდინი. ეს ყმაწვილები უსათუოთ „დაარღვევენ წესრიგს". მე ასეთი სანახაობისათვის თვალი შეჩვეული მაქვს.

ჩამოვჯექით. სმიტმა ვეებერთელა გაზეთი იყიდა და აიფარა წინ.

— იმ პოლიციელის გარშემო რომ ხალხი სდგას, ისინი ნეტავ რა ხალხია, — შევეკითხე მე.

— აი სწორეთ მაგაშია საქმე! ორიოდე სიტყვით გეტყვი. ნიუ-იორკში სხვა სიკეთესთან ერთად არსებობს ბევრი ისეთი დაწესებულებაცა, რომლებსაც შეუძლია მიაწოდონ ყველას, ვინც კი შეუკვეთავს, ავარა ხალხი. როგორც ხედავთ ქალაქი დიდია. სიმშილით, სხვადასხვა შევიწროების გამო „გაბასიაკებული" ხალხი აქ იმდენია,



ეს არის ის სახელგანთქმული „ცრემლთა კუნძული", სადაც ამერიკის მოხელეები გაისტუმრებენ ხოლმე. არა სასიამოვნო სტუმრებს. ეს კუნძული ნაპირის ახლოსაა და წარმოადგენს მჭიდროთ შეკრულსა და მაგრად დაცულს საპყრობილეს.

რომ სათვალავი არა ;აქვს. ასეთს ხალხს ქირაობენ, რომ გაფიცულებს „წესრიგი დაარღვევინონ".

პოლიციელის გარშემო თავმოყრილი ხალხი ხან დაიშლებოდა, ხან ისევ თავს მოიყრიდა ხოლმე. გაფიცვის პლაკატებით მოსიარულე ახალგაზრდები, როგორც ჰგავდა, ძალზე ერიდებოდენ ისეთს რამეს, რომ პოლიციელებს მათთვის ყურადღება მიექცია. წარბშეკრული, პირდამუწული, ნელი ნაბიჯით მიაბიჯებდენ ტროტუარზე. არ ვიცი, რამდენათ საჭირო იყო თვით გაფიცვისა და გაფიცულებისათვის, მაგრამ პოლიციელებს არ მოსწონდათ — ეს აშკარათ სჩანდა. პოლიციელების გარშემო მყოფი ხალხი ორ ჯგუფათ გაიყო, ერთი წყება ჩვენს ახლოს გაჩერდა, მეორე ქუჩის მეორე ბოლოსაკენ წავიდა.

— შენ ეი, ყმაწვილო, ცხვირი მოიხოცე, — გადაისროლა ერთმა ჯგუფიდან გაფიცულებისაკენ!

გაფიცულები წელი საბიჯით ამოკლებდენ გზას. მაცსა და პოლიციელის დამხმარე ჯგუფს შორის მანძილი თანდათან მცირდებოდა.

— ხელებიც რომ ჯიბეში ჩაუწყვიათ. რა გიწყვიათ შიგ..... მაგ ჯიბეში!

გაფიცულებსა და ხულიგანებს შორის მანძილი თითქმის სულ აღარაფერი დარჩა. ამ დროს ჯგუფში მყოფებმა ერთმანეთში რაღაც ჩოჩქოლი ატეხეს და ერთმა მეორეს ხელი ჰკრა. ის კი, ვისაც ხელი ჰკრეს განზრახ ძალზე წაბარბაცდა და ერთ გაფიცულთან დაეტაკა. გაფიცულმა მარჯვეთ გზა უტია და ხელნაკრავი არამზადა ქუჩაში გაიშოტა.

— ეხლა, უყურეთ, ეხლა!! — მანიშნა სმიტმა.

წაქცეულს მისი მეგობრები წამოეშველენ და გაფიცულები წრეში მოიყოლიეს. შეიქნა ხელჩართული ბრძოლა. გაფიცულები ხელს არ იღებდენ, უნდოდათ თავი გამოეშვათ, მაგრამ ეს აღარ მოხერხდა. ბოლოს ძალაუნებურათ ისინიც იძულებული შეიქნენ, რომ თავდამსხმელები მოეგერებიათ.

მაშინათვე გამოჩნდენ პოლიციელებიც, იშიშვლეს რეზინის ტაფელები. ერთ ხანს მოჩხუბართა წრე ისე შეიკრა, რომ შეუძლებელი იყო გარჩევა, თუ ვინ რას შვრებოდა.

ბოლოს, პოლიციელებმა ორთავე გაფიცული გამოათრიეს ამ პირშეკრულ წრიდან და კინწის-კვრით გაიგდეს წინ.

— აი ასე თავდება თითქმის ყოველ დღე ეს ამბავი.

დაქირავებული ავარების ბრბომ თავი მოიყარა და ერთად გაუდგენ გზას.

— დღეისათვის სარჩო იშოვეს. სადილის ფული და გადასაკრავათ რომ ეყოფათ, იმდენი ფული ჯიბეშია. დღეს იქეიფებენ, კარტს ითამაშებენ, ერთი მეორეს დანებით ღაერევიან და ხვალ ან ასეთი „სამუშაო“ გამოუჩნდებათ, ან და უსაქმოთ ეყრებიან ქუჩებში.—ლაპარაკობდა მისტერ სმიტი, როდესაც ჩვენ იმ ადგილს უკვე მოვშორდით და აღმოსავლეთის ნაწილისაკენ დავიქირეთ პირი.

— დიდებული ქვეყანაა ამერიკის შეერთებული შტატები. თავისუფალი ქვეყანაა, დემოკრატიის ტახტი აქ შეურყეველია, თავისუფლების ძეგლი ანთებული ჩირაღდანით! არაფერი არ აკლია ამ ბედნიერ კუთხეს,—გესლიანად ლაპარაკობს სმიტი.

ვისაც მისტერ სმიტის ხასიათის, მისი რწმენის და მიმართულების გაგება უნდა, ამ დროს მის თვალებს უნდა დააკვირდეს. ჭარბათ ჭაღარა-ნარევი წარბების ქვეშ ჰკრთის და ბრწყინავს, ეს ჭაბუკის უტეხი ძალით და სიცოცხლით სავსე თვალები. ხნითა და ჯაფით მოტეხილი ტანი და ჯიუტი სიმტკიცით სავსე სული ერთმანეთის გლახა მეგობრებია. ამიტომაცაა, რომ სმიტის ლაპარაკი ხშირათ უფრო გესლიანია, მეტად მწარე და დაურიდებელი. ხელებს აქნევს მისტერ სმიტი, მიაბიჯებს, თავის თავს ესაუბრება; არაფერსა და არავის ყურადღებას არ აქცევს.

— საითკენ მივდივართ? — მორიდებით შევეკითხე მე.

— არსად, აგერ სულ ახლოს. ერთს უბანს გაჩვენებთ. აქ, ამ კუთხეში, დაიწყო სმიტმა, როდესაც უფრო მყუდრო ქუჩებში გავედით, ბევრი რამეა საინტერესო და საგულისხმო. როდესაც კაპიტალისტური წესწყობილების წაქცევის აუცილებლობაში მოხუც მისტერ სმიტს ეპვის ჭია

უკბენს. მე აქეთკენ მოვეშურები. მინდა ჩემი თვალით ვნახო ეს კუთხე, ეს უბანი; რომელი უბანი, უბანი კი არა მთელი მეორე ქალაქია. თქვენც ნახეთ, არც თქვენთვის იქნება ეს ზედმეტი.

— სახელდობრ, რა არის მაგ უბანში ასე საინტერესო?

— თქვენი თვალით რომ ნახავთ, მაშინ უკეთესია. აი მივედით კიდეც, ეს ძალიან ახლოსაა. ბროდვეის მთავარი ხაზიდან აღმა წყლის ნაპირისაკენ, მხოლოდ ექვსი ხაზია გადასასვლელი.

ჩვენ მართლაც, რაღაც ახირებულ ალაგს მივადექით.

პირველი ის, რომ ქუჩებში აუარებელი ხალხია. ამ ხალხს არ ეტყობოდა ამერიკული ქალაქის აჩქარებული ცხოვრების ზეგავლენა. ზანტათ, დიდი ჯგუფები, საძოვარზე გულ-აყრილი ჯოგივით აწვებოდა ქუჩის ნაპირებს. ამერიკელს ისეთს ამერიკელს, რომელსაც თავის-თავი კაკურ-კაცათ მიაჩნია, ისე ქუჩაში ვერ გამოიყვანთ, რომ დილაზე პირი არ მოიპარსოს, ახალი საყელო არ გაიკეთოს, ჰალსტუკით და ყოველივე თავის მოწყობილობით. აქ კი სულ სხვა ხალხია.

ერთი და შეიძლება ორი კვირის უპარსავი ჯაგარა, ქუქყით შეკმული საცვლები, ფეხსაცმელები სქელი ძირით, უშნო, ვეებერთელა რაღაც — აი სწორეთ ის, რასაც ჩვენში ამერიკულ ფეხსაცმელებს ეძახიან. აქ ეს „ამერიკული ფეხსაცმელი“ მხოლოდ ამ უბანში ვნახე.

— აი ეს ხალხია სანახავი. ვინ გინდათ, რომ აქ არ იყოს. გაკოტრებული „საქმის კაცი“, უმუშევარი, ძველი ქურდები, ისეთები, რომლებსაც ეს ქურდობა ხელობათ აქვთ გადაქცეული, იმედ-დაკარგული. უიღბლო ხალხი, — ყველა აქ არის თავმოყრილი, მეუბნება სმიტი.

— „წმინდა“ ქუჩებზე მათ არც კი გაატარებენ, სამაგიეროთ, აქაც არ ეძალებიან „წმინდათ“ ჩაცმული ხალხის წარმომადგენლები. არა, როგორ არა; არიან, მოდიან ისინიც, მაგრამ მათ თავიანთი საგანგებო და განსაკუთრებული საქმე აქვთ; ისინი ამ უბანში ქრისტიანული ფარისეველობის საქმეს ემსახურებიან. არის ბევრს ალაგას გახსნილი საქველმოქმედო საზოგადოებები, სადაც არისტოკრატი-ქალები ქადაგობენ ზნეობის საკითხებზე, სიყვარულზე და სხვა ასეთს ფაქიზსა და ლამაზ საგნებზე.

— უგდებს ვინმე ყურს. მაგ მქადაგებლებს?

— როგორ არა! უგდებენ და აგრე!! არ შეიძლება, რომ არ დაუგდონ. თვითეული ასეთი ქადაგებ-ს შემდეგ დამსწრეებს აძლევენ ერთ ჭიქა ყავას. ყავა კი არა, ეს რაღაც ნარეცხია და მეტი არაფერი, მაგრამ მშიერ ადამიანს მაგის გარჩევაში შესვლის თავი ვინ მისცა? არის ამ ხალხში ისეთები, რომლებიც ისე არიან მოშლილი და მოტეხლი ცხოვრების სიმძიმით, რომ მართლა ყურს უგდებენ ამ ენა-ჭარტალა დედაკაცებს, მაგრამ უმრავლესობა და უმეტესობა ამ ქადაგობაზე სწორეთ სასურსათო მოსაზრებით დაიარება. არის აქ ერთი წყება ხალხი; ისინი უფრო განკერძოებით ცხოვრობენ — მათი მთავარი მიზანი და მისწრაფება ხეტიალია. ერთს ადგილას დიდხანს არ იცდიან, ამ ხალხს ერთგვარი კავშირი აქვთ ერთმანეთში. ეხმარებიან ერმანეთს, გაჭირვებაში ერთმანეთის გატანა იციან. ბურჟუაზიის მიერ დამყარებულ კანონებს არ არღვევენ. მთავარი ფილოსოფია ამ ხალხის თითქოს ასეთია: „თავი დაგვანებეთ, ჩვენც არავის ვახლებთ ხელსო“. დადიან უმთავრესათ ფეხით, რკინის გზითაც სარგებლობენ. თუ სადმე მოახერხეს და საბარგო მატარებლის ცარიელი

ვაგონი დაიმარტოხელეს, მაშინათვე შეძვრებიან შიგ. ა ერთად ერთი შემთხვევა, სადაც ისინი არღვევენ კანონს.

— გაფიცვების დროს, ისინი არ მიდიან ხოლმე მუშების წინააღმდეგ?

— სხვები კი, მაგრამ ეს ერთი წყება ხალხი, სხვათა შორის მათ განსაკუთრებული სახელი აქვთ, „ობო"-ს ეძახიან მათ, ისინი არამც და არამც არ წავლენ გაფიცულების წინააღმდეგ. სარგებლობენ კი გაფიცვებით და აი როგორ. მაგალითად ჩიკაგოში გამოცხადდა გაფიცვა, მაშინ გაფიცვის ჩამშლელი კომიტეტები მაგალითად ნიუ-იორკში უყრიან ავარა ხალხს თავს, რომ ჩიკაგოში წაიყვანონ. ობო უსათუოთ ეწერება ამ შემთხვევაში მოხალისეთა რიცხვში. მაგრამ რისთვის, არ იკითხავთ? — მხოლოდ იმიტომ, რომ ჩიკაგომდე წასასვლელი ბილეთი ჩაიგდოს მუქთად ხელში. ჩავლენ ჩიკაგოში და თავის გზას გაუდგებიან ხოლმე.

— ნამეტანი ახირებული და თავისებური ხალხია ეს ობო. მათ აქვთ ხოლმე თავიანთი ყრილობები; ყოველ წლისათვის გამომუშავებული აქვთ მოგზაურობის წესი და გეზი. განაწილებულია, რომელი ნაწილი როდის უნდა დაიძრას და საითკენ უნდა წავიდეს. აქვთ ტყეებში და მოტიტვლებულ ჭალებში შესახვედრი ალაგები დანიშნული. აქ გამართავენ ხოლმე ბანაკს. როცა ბანაკიდან აიყრებიან, ზედმეტი ჭურჭელი და საგძალი, თუ რაიმე აქვთ, იქვე ჩამარხავენ ხოლმე მიწაში. მათ შემდეგ მეორე წყება ხალხი მოვა; ამათაც კარგათ იციან, სად არის ბანაკისათვის დანიშნული ალაგი და ამ დამარხულ ნივთებს ამოიღებენ მიწიდან. წასვლისას ისინიც ისე ჩაფლავენ მიწაში და თავის გზას გაუდგებიან.

— როგორ მოსწონს აქაურ პოლიციას ამ ხალხის საქციელი?

— არაფრათ მაინცა და მაინც, მაგრამ არც ძალზე ერჩიან მათ, ვინაიდან სახიფათო და საშიში როდი არის ეს მშვიდობიანად მოხეტიალე ხალხი. სამაგიეროთ, დანარჩენებს პოლიცია პირდაპირ ტყის ნადირივით დასდევს კოჭებში. ჯიბგირიდან დაწყებული ყაჩაღამდე რა და რომელი ჯურისა და სახის დანაშაულის ჩამდენი ხალხი არ არის აქ?

— აი დაუკვირდით ამ ახირებულ ალაგს. ეს აბრა წითელი და თეთრი ზოლებით რომ არის შეთუპნული, ეს გასლავთ „დალაქების საოსტატო“. რას ნიშნავს ეს?! ეს იმას ნიშნავს, რომ აქ შეგიძლიათ შეხვიდეთ, და თქვენ იქ უფასოთ მოგპარსავენ წვერს, და გაგკრეჭენ თმას.

— ესეც საქველმოქმედო დაწესებულება ყოფილა, ალბათ.

— არა! ეს არის ისეთი სადალაქო, სადაც მოზარდ ყმაწვილებს ხელობას ასწავლიან. დალაქის ხელობა ხელის ვარჯიშია, მეტი არაფერი, ამიტომ ეს ყმაწვილებიც ამ ხალხის თმაზე და წვერებზე სწავლობენ ოსტატობას. აი შეხედეთ, როგორ ჩინებულათ დაუჩეხიათ ეს ჩვენ წინ რომ დგას ამ მომავალ დალაქებს, — მითხრა სმიტმა და ერთი მართლაც ძალზე „დაჩეხილი“ მამაკაცი დამანახვა.

ამ უბედურს სამ ადგილას მაინც ქონდა მიწებებული ჭუჭყიანი ქაღალდის ნახევი და ცალ ყბაზე გძლათ ქონდა მიმხმარი გაკაწრული ალაგიდან გამოსული სისხლი.

— აი აგერ ბაღიც. ეს ბაღი, როგორც ატყობთ ამ სახლის დასამშვენებლად არის აშენებული.

— რისი მაქნისია მაგ სახლი?

— ეს ერთი აქაური მდიდარი კაცის სასახლე გახლავთ, რომელიც ჩრდილო ამერიკის სამოქალაქო ომის დროს „გაკეთდა". ჯარის იჯარები ჰქონდა აღებული და ისე პირნათლად ასრულებდა ცავის მოვალეობას, რომ ომის გათავების შემდეგ მრავალი მილიონის პატრონი შეიქნა.

— რაღა ამ უბანში ააშენა სასახლე, სხვა ადგილი ვერ მოსძებნა, — შევეკითხე მე.

— აქ ცოტა სხვანაირად დატრიალდა ხაქმე. იმ პატიოსან მოქალაქეს სიბერის დროს ეშმაკებმა ძილი დაუფრთხეს. იგრძნო, ალბათ, სიკვდილის მოახლოვება და მოინდომა სულის გადარჩენა. მდიდრებს ამ შემთხვევაში ერთი მეტად უბრალო და თანაც მეტის-მეტათ უყუათო ხერხი აქვთ გამოგონილი. მათ სასუფეველი ცათა შინა სწორეთ იმგვარივე წესით უნდა შეიძინონ, როგორც აქ სიმდიდრე, ესე იგი ქრთამით. აძლევენ ქრთამს მღვდლებს, ეკლესიებს და სამოთხეში პირველი ადგილი დაკვეთილი აქვთ თავიანთი გუნებით.

— ამერიკელებს ამ შემთხვევაში „ამერიკა არ აღმოუჩენიათ".

— ოლონდაც! ოჰ, სწორეთ იმას ვამბობდი, ააშენა იმ ოჯახაშენებულმა ამ უბანში თავისი სასახლე და მფარველობას უწევდა ყველა ენა ტკბილათ მოსაუბრე მანდილოსნებს, რომლებიც თავიანთი „შრომითა" და გართობით აპირობენ ამ ქვეყნათ ბოროტების მოსპობას. ეს ბაღიც იმის გაკეთებულია. ამ ბაღს უწინ გარშემო დახაჯდომი სკამები ჰქონდა შემოწყობილი. ეხლა, როგორც უყურებთ არც ერთი სკამი აღარ არის.

— რატომ?

— რატომ და იმიტომ, რომ, ამ სკამებზე ეს ხალხი წეებოდა ხოლმე დასაძინებლად. ბატონ მილიონერს ეს

ამბავი არ მოეწონა და ასეთი ხერხი იხმარა: — ჯერ სკამები გადატიხრა ისე, რომ თვითეული ადამიანის დასაჯდომი, მეორე საჯდომიდან გადაკედლული იყო, მაგრამ გაჟირვებული კაცი რას არ მოიგონებს. ტიხარი რკინის ცალფა ზოდით იყო გავლებული, დასაძინებლათ მოსული ავარები ამ სკამებს თავიდან ან ბოლოდან შემოუჩოჩდებოდენ ხოლმე. ამანაც რომ აღარ გაჭრა, მაშინ სრულებით აალაგეს სკამები.

— ეხლა?

— ეხლა, ვისაც სხვა დასაძინებელი ადგილი არ მოეძევება, პირდაპირ მიწაზე წვებიან!

— არის კი ასეთი შემთხვევები?

— არის და მერე რამდენი! არამცთუ ზაფხულობით, პირდაპირ ზამთარშიაც ბევრს ნახავთ.

— ნუ თუ ნიუ-იორკში არ არის ღამის თავშესაფარი?

— მაგ სიკეთეც გვაქვს, მაგრამ იქ შესვლა და ღამის გათევა არც ისე ადვილი საქმეა; საქმე იმაშია, რომ ერთი თვის განმავლობაში ორი ღამის გათევის მეტის უფლება არა აქვს არავის. ვინც მესამეთ მიადგება კარზე, მათ პირდაპირ ციხეში აგზავნიან.

— მასპინძლობა უკეთესი ღმერთმა შეარცხვინოს!

— მასპინძლობით თავის შეწუხება აქ არ იციან!

— აქედან რამოდენიმე წუთის სავალზე აწყვია მთელი სამყაროს სიმდიდრე. ოქროთი გამოტენილია მთელი სარდაფები, რომლებსაც მაგრათ იცავს თუჯის კარები, შეიარაღებული მცველები და პირდაღებული ზარბაზნები. იქ ყველაფერი ჭარბათაა და გადაჭარბებულად, აქ არაფერი, არარაობაა! იქ განცხრომაა და ფუფუნება, აქ სიმშილი და გაჟირვება! მერე როგორი — ისეთი, რომ ადამიანის ენა და პირი ვერ გამოსთქვამს. ეხლა წავიდეთ უკან. დღე-

ისათვის ესეც კმარა. შემდეგისათვის აქაურ უმუშევრების ბინასა და ცხოვრებას გაჩვენებთ.

ისევ ასტორის მოედნისაკენ მოვასწორეთ.

— ასტორის ამბავის მოყოლა რომ დაგავიწყდათ, შეგახსენე სმიტს.

— აღარ ღირს, ეხლა უკვე მოგვიანებულია; მაგეც შემდეგისათვის იყოს. ჩვენ ისევ სობვეის ხვრელში ჩავძვერით და გზას გამოვუდექით.

ვაგონი სავსე იყო ხალხით.

ასეთი გაგიჟებული სიჩქარე მე არ მინახავს არსად, არაფერ ადგილას არც ერთს ქვეყანაში.

სმიტი დღეს მარჯვეთ არის, უკეთეს გუნებაზე დადგა. ვაგონის რყევას და ჯინგალს ის არც კი აქცევს ყურადღებას. მას, თითქოს, კიდეც უხარია ეს.

— მირბის, ცალი თვალის პაჭუნით, ჩაილაპარაკა და ცბიერათ გაიღიმა. მირბის... ასე მირბის კაპიტალისტური ჯოჯოხეთის ურემი, მირბის და თითქოს თავის ბედის წერას, ისტორიის განაჩენს უნდა გაექცეს, მაგრამ, რომ ვერ გაექცევა. ვერ გაექცევა, ვერა!!

კუთხეში ორი მუშა იჯდა.

ადვილი გასარჩევი იყო დანარჩენებთაგან, „წმინდათ" ჩაცმული ხალხი იმ კუთხეს არ ეძალებოდენ და გვარიანი ფართო ადგილიც კი დარჩენილიყო თავისუფლად, თუმცა ვაგონი ხალხით იყო გაჭედილი.

— უკადრისობენ! მე მაწყინოს, მე წამიხდინოს ღირსება მუშის გვერდით დაჯდომამ, — სმიტი მარჯვეთ ჩამოჯდა მუშის გვერდით.

— ჰალო, მირბის, არა?

— ო, მირბის, უპასუხა მუშამ, თუმცა ვერ მიმხვდარიყო, რას ამბობდა ეს ახირებული „წმინდათ" — ჩაცმუ-

ლი მოხუცი, რომელსაც არ ეთაკილებოდა მის გვერდში ჩამოჯდომა.

— მირბის, მირბის მეგობარო, და ჩქარა ჩაბარდება თავის პატრონს.

მატარებელი გაჩერდა.

ჩვენ ზევით ამოვძვერით და ერთი მეორეს დავ-ცილდით.

— ნიუ-იორკს აქვს ფოსტა და მერე როგორი; მართ-ლაც, რომ ღირს მისი ნახვა, მისი დათვალიერება, მისი შე-სწავლა, — მითხრა მისტერ სმიტმა.

ეს ჩემი შეკითხვის პასუხი იყო; მე დაზღვეული ამა-ნათის გამოგზავნა მინდოდა და არ ვიცოდი როგორ მო-მეხერხებია.

— არა, ფოსტა ფოსტას გააჩნია. ფოსტა ყოველ ქვე-ყანას აქვს, მაგრამ ამერიკის ფოსტა საუცხოო რამ არის.

— თქვენ, ალბათ, ტეხნიკურ მხარეს გულისხმობთ, ხომ?

— რასაკვირველია! ისე, წერილებში ჩახედვა და სხვა-ისი მიწერ-მოწერის გადაკითხვა აქაც იციან. იციან, ეცო-დინებათ, უეჭველია; დალახვროს ეშმაკმა—თქმა არ უნდა ეს საქმეც ჩინებულათ ექნებათ მოწყობილი! ამერიკის დე-მოკრატიაც იმავე ცომით არის მოზელილი, როგორც ევ-როპის, იგივე სული უდგია, იმავე ღმერთებს სცემს თაყ-ვანს. მაშასადამე, თქმა არ უნდა კერძო მიწერ-მოწერის საიდუმლოება — ეს ჩვეულებრივი მიქარვაა და მეტი არაფერი!

— მესმის, არც მიკვირს, მაგრამ მე მაინც ეს ამანათი უნდა გავაგზავნო და ამაში მჭირდება თქვენი დახმარება.

— კეთილი და პატიოსანი, მაგ ჩემზე იყოს—წავიდეთ!



ყველაზე უფრო დიდი შენობა ნიუ-იორკში. ეკუთვნის ერთ საევაკრო საზოგადოებას, რომელიც მხოლოდ შაურიან და ორშაურიან საქონელს ყიდის.

გავუდექით გზას. რასაკვირველია ისევ მიწის ქვეშ ჩავძვერით, ამოვძვერით, სან განის მიმართულებით ვიმგზავრეთ, სან სიგძეს გავყევით. ბოლოს ისევ ქუჩის ზედაპირზე ამოვყავით თავი.

— ესეც ფოსტა!—მანიშნა სმიტმა, როდესაც ერთს ძველ ბერძნულ ხუროთმოძღვრების იერით აშენებულ სახლს მივადექით. შუბლი და გვერდები გძელი მაღალი სვეტებით იყო გარშემორტყმული. არ ვიცი, ვერ ვიტყვი ბეჯითად, მაგრამ ეს სვეტები მარმარილოსი უნდა ყოფილიყო.

— გიკვირთ განა? მართლაც გასაკვირველია! დღევანდელი ნიუ-იორკის სახეს ეს შენობა აღარ უხდება და აღარც უდგება. ეს სახლი დიდი ხნის აშენებულია, ამიტომ მას გარეგნობაც სხვანაირი აქვს. დღეს ჩვენი ხუროთმოძღვრები სახლის გარეგნულ შელამაზებას ყურადღებას არ აქცევენ. დღეს, ასე ვთქვათ, მთავარი და პირველი შინაარსია.

— არ მესმის, რას ჰქვია სახლის „შინაარსი“?

— მე აი რას ვამბობ: როცა სახლს აშენებენ პირველ ყოვლისა იმას ანგარიშობენ, თუ რა დანიშნულება აქვს ამ სახლს. სადგომათა და სამყოფათ რომ სახლი გამოდგება, ის სახლი დაწესებულებისათვის არ ივარგებს და პირიქით. გარდა ამისა თვით დაწესებულებებშიაც ბევრი დიდი განსხვავებაა. საშუამავლო კონტორას რომ შენობა გამოადგება, ის შენობა, ვთქვათ, ბანკისა და, თუნდა ბირჟისათვის არ ივარგებს.

— ყუათიანი ხალხია ამერიკელები, ვეთანხმები მე მისტერ სმიტს, მაგრამ მას ეს ჩემი თანხმობა, თითქოს, არ მოსწონს.

— არც იმდენი, თქვენ რომ გგონიათ! აქაც ბევრი რამაა უთავბოლო, მაგრამ ეხლა რაღა დროს მაგაზე ლაპა-

რაკია — სხვა ღროისათვის გადავდოთ. აი ფოსტა — ჩვენ უკვე შიგა ვართ. მაგ თქვენი ამანათის გაგზავნას კიდევ მოესწრებით, დამაცადეთ!

ჩემი პასუხისათვის აღარც კი მოუცდია, სადღაც გაჰქრა თვალსა და ხელს შუა, მოკლეთ დამიბარა:

-- ეხლავე მოვალ, მანდვე მომიცადეთო.

ის მაღალ კიბეს აუყვა. ჩქარა უკან დაბრუნდა, თან ვიღაც ჩინოვნიკი მოჰყვებოდა, ალბათ ამ დაწესებულების მოსამსახურე.

— აი ამ მისტერს, მიუთითა სმიტმა ჩემზე, უნდა თქვენი დაწესებულების დათვალიერება.

— სიამოვნებით, აი აქედან დავიწყოთ. თავიდან ორიოდე სიტყვა ჩვენი მუშაობის შესახებ. აქ გახლავთ ქალაქ ნიუ-იორკის მთავარი ფ ო ს ტ ა. ჩვენ გვყავს ამ შენობაში და სხვაგან — ერთი სიტყვით მთელს ნიუ-იორკში ო თ ხ მ ო ც ი ა თ ა ს ი მოსამსახურე...

— ოთხმოცი ათასი? — გამიკვირდა, ხელმეორეთ გავიმეორე და შეეკითხე — მე, ალბათ, კარგათ ვერ გავიგონე, ოთხმოცი ათასი, არა?

— დიაღ, მაგდენი, არც მეტი არც ნაკლები!

გამახსენდა ერთი ამბავი; მასუკან კარგა ხანი დრო გავიდა. მე, რაღაც მარცხათ, ერთს დროს ერთ საბჭოთა დაწესებულებაში ვმსახურობდი. ერთს დღეს მომადგა კარზე ერთი ფრიად დიდი უფლებით აღჭურვილი ამხანაგი და გამომიცხადა:

— უნდა შეგამოკლოო.

შეიქნა ჩვეულებრივი, ასეთ შემთხვევებში აუცილებელი კამათი. მე ვუმტკიცებდი:

— შემოკლება შეუძლებელია, საქმე ბევრი გვაქვს, ხალხი ისედაც არ გვყოფნის და სხვ. და სხვ.

ჩემ მოკაშათეს არ ეჭაშნიკა ჩემი ამდენი ლაპარაკი და ბოლოს გულმოსულმა მითხრა:

— მე მინდოდა მხოლოდ 120 პროცენტით შემემოკლებია, მაგრამ რაღაი შენ ამდენს ლაპარაკობ, ეხლა უსათუოთ 150 პროცენტით შეგამოკლებო.

მაშინ ბევრი ვიცინე ამის თაობაზე. ვერაფრის გზით ვერ გავაგებიე და ვერ მივახვედრე ეს ჩემი „შემმოკლებელი", რომ არამც თუ 150 პროცენტით, თუნდა 101 პროცენტითაც არ შეიძლება შემოკლება.

ის ამხანაგი, რამდენათაც ვიცი, ეხლა თვითონ მსახურობს რომელიღაც ერთს დიდ დაწესებულებაში და, ალბათ თვითონ ამტკიცებს, რომ 150 პროცენტით შემოკლება ბუნების ყოველივე კანონს აღემატება.

ეს ამბავი გამახსენდა და უნებლიეთ გამეცინა. ჩვენ გამყოლს ამისათვის ყურადღება არ მიუქცევია.

— ჩვენ წერილების დამტარებლებსაც ვთვლით რასაკვირველია, განაგრძო მან. წერილები კი ჩვენ ბლომად ბევდის. მიღებული და დასარიგებელი წერილები რომ ვიანგარიშოთ, ჩვენ ხელში ყოველდღიურათ 15 მ ი ლ ი ო ნ ი უბრალო წერილი გაივლის. დაზღვეული წერილები კიდევ სხვაა. ესეც იანგარიშეთ 200.000 ყოველ-დღიურათ. ყოველივე ამის გარეშე გვაქვს გაზეთები, ფასიანი და დაუზღვეველი ამანათები.

— რამდენი იქნება ამანათები? — შევეკითხე მე.

— არც ისე ბევრი. მაგრამ ესეც იქნება დღეში 70—80 ათასი. მე, რასაკვირველია საშვალო რიცხვს ვამბობ. არის მეტი, არის, თუმცა უფრო იშვიათად, ნაკლებიც.

— გაზეთები?

— გაზეთებიც არ არის მაინცა და მაინც ბევრი. საქმე ისაა, რომ გაზეთებს ამერიკელი ხელის-მოწერით კი არ

ღებულობს, ის პირდაპირ ყიდულობს გაზეთს ქუჩაში. ფოსტითაც იგზავნება, რასაკვირველია. მაგრამ შედარებით ცოტა. ჩვენ, ყოველ შემთხვევაში გაზეთებს ცალობით არ ვანგარიშობთ. გაზეთებს წონით ვღებულობთ და წონით ვაგზავნით. დღეში გამოვა დაახლოვებით 500— 600 ათასი გირვანქა.

ჩვენ ლაპარაკის დროს რამოდენჯერმე აგვიარ-ჩამოგვიარეს გვერდით წერილების დამტარებლებმა. რაზმებათ დადიან. თვითეულს რაზმში უკანასკნელი 200 კაცი მაინც იქნება. როგორც ეტყობა შერჩეული ბიჭებია, ახალგაზრდა, განიერი მხარ-ბეჭი, მაგარი კუნთები. თვითეულს გადაკიდებული აქვს ტყავის ჩანთა. სიმძიმე არ გამისინჯავს, მაგრამ მათ მოხრილ წელს და მძიმე ნაბიჯს ეტყობა, რომ შიგ უკანასკნელი 2-3 ფუთი ტვირთი არის მოთავსებული.

ჩვენი გამყოლი — მოხელე საშვალო ტანის ადამიანია. ვერც სახეზე, ვერც მოყვანილობაში ვერაფერს ვერ უნახავ ისეთს, რომ თვალი შეაჩეროს, ყურადღება რომ მიაქციო. ძნელია ასეთი სახის დამახსოვრება. არავითარს კვალს მეხსიერებაში ასეთი სახე არ სტოვებს. პირი გაპარსული აქვს ისე, როგორც თვითეულსა და ყოველს ამერიკელს — არც წვერი და არც ულვაში. თმა ხორცის ფერი აქვს. თმაც იმგვარათა. აქვს მოშვებული და იმ წესზე დავარცხნილი, როგორც თვითეულს ამერიკელს. მოსამსახურე ამერიკელს ვგულისხმობ. მათ აქ „თეთრი საყელოს" ხალხს ეძახიან. მართლაც, რომ წარმოუდგენელია ამერიკელი მოხელე და მოსამსახურე ისე, რომ თეთრი საყელო არ ჰქონდეს გაკეთებული. თეთრი საყელო (საყელოს ყოველდღე იცვლიან), მოკლეთ მოპარსული თმა, ძირში მოხვისნილი წვერი და ულვაში, ზედაწელის მარცხენა მხარეს ზევითა

ჯიბიდან ორი თითის დადებაზე ირიბულათ თავ-ამოყოფილი თეთრი ცხვირ-სახოცი, ასეთია აქაური მოხელე. ეს, თუ გნებავთ, იგივე სტანდარტია მოხელის, როგორც რომელიმე მანქანისათვის განსაზღვრული მოყვანილობის რგოლები და მორგვები.

გამყოლი გველაპარაკება — გვიხსნის აქაურ მოწყობილობას და წესს აქაური მუშაობისას. ლაპარაკობს ისე, როგორც ბეჯიოი მოწაფე კარგათ დაზეპირებულ გაკვეთილს. თუ დააცლით ის თვითონ გეტყვით ყველაფერს, თუ შეკითხვებს მისცემთ, გიპასუხებს, მაგრამ აჯობებს თუ თავს დაანებებთ.

არც მეტათ თავდაბალი, არც უზრდელი, არც ცივი, არც ცხელი — ისე საშვალო — ნელთბილია მისი კილო.

— ჩვენ საქმეში მთავარი სიჩქარეა. წერილი ჭიმღებს დროით უნდა მიუვიდეს, ამიტომ ჩვენ მთელი დღის სამუშაოს ერთად/არ ვაგროვებთ. წერილებს და ამანათებს დღეში ოთხჯერ-ხუთჯერ ვარიგებთ ხოლმე. დაგვიანება ამ შემთხვევაში შეუწყნარებელია!

— ალბათ, გაქვთ ისეთი შემთხვევა, როდესაც მისატან წერილს მისამართი სავსებით და სწორათ არ აქვს დაწერილი? რას შვრებით ასეთს შემთხვევაში?

— რატომაც არა! მაგისთანა შემთხვევებიც არის, მაგრამ ეს ჩვენ იმდენათ არ გვაბრკოლებს. მთავარი ისაა, რომ სახელი და გვარი მაინც იყოს დაწერილი, მეტადრე გვარი — მისამართს კი ჩვენ თვითონ მოვნახავთ.

ეს დასტურ გასაკვირალი ამბავია. ამერიკაში „მისამართის მაგიდა" არ არსებობს, პოლიციამ საბუთების მოთხოვა და წერა არ იცის, მაშ საიდან ახერხებენ მისამართის გამორკვევას?

— როგორ ახერხებთ მაინც მისამართის გაგებას?

— ვახერხებთ კი, ოლონდ რ ო გ ო რ; ეს სხვა საქმეა!

გამყოლი მეტს არაფერს ლაპარაკობს. სმიტი თავისებურათ ფრუტუნობს. მიხვდა, თქმა არ უნდა, რაშიაც არის საქმე.

— მარჯვე ხალხია! ცბიერება მთავარი სამკაულია ამერიკული თავისუფალი დემოკრატიის, — ბუზღუნობს მისტერ სმიტი. აქ არავინ კითხულობს პასპორტს, აქ არავინ იძიებს თქვენს გვარსა და სახელს. არ არსებობს ისეთი დაწესებულება, რომელიც ამ საქმეებს იკვლევდეს, მაგრამ, მაგრამ — ვინ იცის რამდენი ათასი კაცი „ქამს პურს“ აი იმით, რომ თვითეული ადამიანი, რომელსაც ერთხელ მაინც დაუდგამს ფეხი ნიუ-იორკის რომელიმე ქუჩაზე. ხელის გულზე ჰყავდეთ დასმული. მეტადრე უცხოელი. მეტადრე საბჭოთა კავშირიდან ჩამოსული.

— მაგასაც სიმარჯვე უნდა!

— ოლონდაც! მაგრამ არც იმდენი სიმარჯვე, რამდენიც ფული; ფულით ყველაფერი კეთდება. თქვენ გახსოვთ როდის იყავით უკანასკნელათ კინოში, — შემომიბრუნდა სმიტი.

— ბეჯითად აღარ მახსოეს: მგონი სამი, თუ ოთხი დღის წინად.

— ქუჩა, სურათის სახელი?

— გამიჭირდება ყოველივე მაგის გახსენება.

— თქვენ გაგიჭირდებათ, და მ ა ვ ა თ კი ზედმიწევნით იციან. სად, როდის, რამდენჯერ ყოფილხართ მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც აქ ცხოვრობთ.

— ვინ? ფოსტას რა ეკითხება, მე სად დავდივარ და რას ვაკეთებ?

— არა! ფოსტას კი არა!! ის დაწესებულება სხვაგანაა, მას სხვა სახელი ჰქვია ხალხის შესახედავათ სხვა საქმეს აკეთებს, მაგრამ....

ამასობაში ჩვენ უკვე შევედით იმ განყოფილებაში, სადაც საფოსტო ყუთებიდან ამოღებულ ბარათებს ანაწილებდენ და მარკებზე ბეჭედს ასვამდენ.

ვისაც ჩვენში უნახავს ეს მუშაობა, აქაურ მუშაობის წარმოდგენაც კი გაუჭირდება როგორც ყველაფერში, ამ საქმეშიაც მანქანაა პირველ რიგში წამდგარი, მთავარი სიმძიმე მანქანაზეა გადატანილი, ადამიანი ამ მანქანის ხელის-შემწყობი და გზის მაჩვენებელია — მეტი არაფერი.

ჯერ ერთი, რომ მთელს ამერიკაში კონვერტი ერთი ზომისაა. სიგძე და სიგანე ერთხელ და სამუდამთო დაკანონებულია. გარდა ამისა, ამერიკაში ყველამ იცის, რომ მარკა სწორეთ მარჯვენა ყურეში უნდა დააკრა ზემო მხარეს. ეს აადვილებს მუშაობას. ამის გამოა შესაძლებელი მანქანის მუშაობა. მოტანილ წერილებს ერთ ვეებერთელა ყუთში ყრიან, რომელიც თავისთავად ერთი მეტად რთული მანქანის ნაწილს წარმოადგენს. მანქანა თანდათან აძლევს ამ წერილების კიბორჩხალივით აწყობილ ღვედებს, რიგ-რიგობით გაწკაპული წერილები პირდაპირ მიეშურება მანქანის იმ ნაწილთან, სადაც სწრაფად ტრიალობს ბეჭედის დამსმელი. რგოლი.

— ეს მანქანა საათში 30.000 მარკაზე დაასვამს ბეჭედს, — გვითხრა გამყოლმა. ასეთი მანქანა რამოდენიმე ალაგას დგას, თორემ ერთი და ორი მანქანა, რასაკვირველია, ამ საქმეს ვერ მოილევს.

გული დამწყდა. ჩვენში ამ საქძეს უმოწყალო დრო სჭირდება. ჩვენში ჯერ არ გვიფიქრია, რომ ერთი ზომის კონვერტები შემოვიღოთ. მარკის დაწებება ხომ კიდევ

უარესი. ჩვენში იშვიათად ნახავთ, რომ მარკა მაინცა და მაინც ზურგზე არ დააკრან წერილს, შუა ალაგას, სადაც კონვერტის ზედა ღრანჭი ქვედას ეხება. სწორეთ აქ იციან მარკის დაწეპება. მომუშავესათვის ეს ნამდვილი უბედურებაა. წერილს საგანგებოთ სჭირდება გადაბრუნება, აშაში კი მეტი დრო მიდის.

— ბეჭედი აღნიშნავს ქალაქის სახელს, წელს, თვეს, რიცხვს და საათს! — განაგრძობს ჩვენი გამყოლი.

მანქანა ხმაურობს.

როცა ყური ეჩვევა ამ ხმაურს, თითქოს ატყობ, რომ ეს ხმაც ერთგვარ ჰანგზეა აწყობილი. თითქოს სადღაც ალმართს ეძალებაო. ოხრავს და სწუხს მანქანა. მისი ხმაური დაღალული კაცის ქშენას წააგავს. მაგრამ აჰ, თითქოს მიაღწია მწვერვალს. და ვაკეს გაუდგა. მანქანაც მოდუნებით წყნარათ ხმაურობს. ბოლოს, აი, დაღმართიც, კვლავ აჩქარებული ხმაური, მაგრამ, უფრო იოლი და ადვილი. შემდეგ ყოველივე თავიდანვე განმეორდება. კიდევ და კიდევ.

ამბობენ ღმერთმა ადამიანი რომ გააჩინა, თავისი მზგავსება და ხატება დაატანაო. ჩვენ ვიცით, რომ ეს თქმულება მხოლოდ მაშინ შეიცავს სიმართლეს, როცა მას პიროუკუღმა შეაბრუნებთ. ბუნების მძლავრი და უცნობი ძალებით შეშინებულმა ადამიანმა ღმერთი გამოიგონა და ის თავის საკუთარი თვისებებით შეამკო.

ეხლანდელი ადამიანი ღმერთს აღარ იგონებს!

რისი მაქნისია დღევანდელი ადამიანისათვის ღმერთი?

მას უკვე ნაპოვნი აქვს ბუნების ძალთა საიდუმლოების გასაღები. ეს გასაღები ღვთაების და ღმერთების დახმარებისა და შემწეობის გარეშე იპოვა მან. მაგრამ გამოგონებისათვის ადამიანს თავი მაინც არ დაუნებებია; ის

დღეს მანქანებს იგონებს, და ამ მანქანებს იქნებ უნებურათაც მშრომელი ადამიანის მსგავსებითა და ხატებით ამკობს.

მე გარკვევით მესმის ამ მანქანის ხმაურში მშრომელი ადამიანის კუნთების დაჭიმვა, სიმძიმით და ტვირთით მოღალული ფილტვების სუნთქვა.

— თქვენ ყმაწვილო, რაღაც ფიქრებს გაჰყევით, როგორც გატყობთ,—შემომეხმაურა სმიტი—რითმების წვალება ოუ გიყვართ, პოეზიისათვის აქ, მართლაც რომ ბევრი მასალაა!

— არ მემარჯვება მაგ ხელობა, თორემ უსათუოდ დავწერდი იმ ადამიანის ქებას, ვინც ეს მანქანა გამოიგონა!

— გამოიგონა და ამ ძაღლთა-პირებს ჩაუგდო ხელში ადამიანის საწვალებლათ, ასე არა?

— არა!! მე მაგ არ მითქვამს. მე მწამს, რომ მანქანამ ადამიანი შრომის სიმძიმიდან უნდა გაანთავისუფლოს!

— ოღონდაც, მაგრამ აქ?

— რა ვუყოთ, სულ მაგრე ხომ არ დარჩება. სამაგიეროთ, იცით, რა იქნება მშრომელი ადამიანი, როდესაც თვით გახდება თავისი ცხოვრების ბატონიცა და პატრონიც?!

— ვიცი, როგორ არ ვიცი, მაგრამ ჩვენ, თუ თქვენც დამეთანხმებით, ჩვენ მგონი ამ სასარგებლო დაწესებულების დასათვალიერებლათ მოვედით აქ და არა პოეზიისა და პოლიტიკის საკითხების შესახებ კამათის გასამართავად, მით უმეტეს, რომ პოეზია და პოლიტიკა ერთმანეთს არ უდგებაო, მე ასე გამიგონია!

— იყო დრო, აგრე ეგონათ. ზოგს დღესაც აგრე ჰგონიათ. რა ვუყოთ მერე?

— ჩვენ მაინც უნდა დავანებოთ მაგ მუსაიფს თავი. ჩვენი გამყოლი — არსება როგორც მოგეხსენებათ, სულიერი და გონიერი, რომელიც, მიუხედავათ ამისა, უფრო ჰგავს მანქანას, ვიდრე თვით მანქანა, ამდენს აღარ მოგვიცდის. უყურებთ, ის უკმაყოფილოა, რომ ჩვენ შევჩერდით იმ ადგილას იმაზე მეტს დროს, ვიდრე ეს არის დაკანონებული.

— მე რომ ვკითხოთ ‐ მანქანას დამგვანებულ ადამიანს. ადამიანის უმაღლესი თვისებებით შემკული მანქანა მირჩევნია.

გამყოლი გასასვლელ კარებშია ატუზული. ეს იმის ნიშანია, რომ ჩვენ უნდა გავყვეთ მას, რომ აქ მოცდა მეტი აღარ შეიძლება.

— აქ ჩვენ გვაქვს ის განყოფილება, სადაც ვყიდით საჯარო ვაჭრობის წესით იმ ნივთებს, რომლებიც ეწყო იმ ამანათებში...

— უკაცრავათ, ჩამოართვა მას სიტყვა სმიტმა, მაშასადამე, ზოგიერთი წერილია, თუ ამანათი მაინც რჩება პატრონისათვის ჩაუბარებელი?

— რასაკვირველია! ჩვენ ასეთს ამანათებს ვინახავთ მთელი ერთი წლის განმავლობაში. ეს საკმარისი დროა, რომ გულმავიწყმა გამგზავნმა გაიხსენოს თავისი შეცდომა — და მიიღოს ზომები გაგზავნილის ამოსაგებათ.

— არის, მაშასადამე შემთხვევები, როდესაც სრულებით მისაბართი არ არის, არც სახელი არც გვარი?

— არის, დიახ! აი ასეთი ამანათები ერთი წლის განმავლობაში, თუ არ მოიკითხა პატრონმა, მაშინ ჩვენ იმას ვხსნით და ნივთებს ვყიდით!

— შემოსული ფული?

— შემოსული ფული ხაზინის სასარგებლოთ ჩაირიცხება.

— და ვის ხმარდება?

— რა მოგახსენოთ! მაგ არ ვიცი, აი დღეს სწორეთ საჯარო ვაჭრობის დღეა. შეეხედოთ იმ დარბაზში, სადაც ამ ნივთებს ჰყიდიან.

დარბაზი ვიწრო და დაბალ ჭერიანი ოთახი გამოდგა. დახლისებურ იმწემის გძელ ფიცრებზე დალაგებული იყო სხვადასხვა საგნები. იყო ბროლის თხელი ჭიქებიც და ძველი ძირ-გაცვეთილი ფეხსაცმელებიც; ათასნაირი საგნები და ნივთები, რომლებიც ერთიმეორეს სრულებით არ უდგება ისინი ალბათ პირველად შეხვდენ აქ ერთმანეთს ანე პირისპირ ამ ახირებული და უიღბლო მოგზაურობის გამო.

მაღალ სკამზე შემდგარიყო ახალგაზრდა, რომელიც ხრინწიანი ხმით იძახოდა.

— გამოცხადებულია 200 დოლარი, ვინ იტყვით მეტს?

— მომიცია 220, — დაიძახა ვიღაცამ.

— იძლევიან 220, ვინ ხართ მეტის მომცემი?

ერთხანს სიჩუმე იყო.

— ვინ იძლევით მეტს, თორემ ვთქვი „ე რ თ ი!“.

— მომიცია 250, მეტი არ ღირს, გადააწვდინა ხმა ჭაღარა ებრაელმა.

— ჩვენებურია, თქმა არ უნდა, რუსეთიდან ჩამოსული ებრაელია. არ ეტყობა? წვერი მოშვებული, თმა აბურძგნული, მაგას ამერიკის არაფერი მოცსებია, — ლაპარაკობს სმიტი.

— იძლევიან 250, ვინ იძლევით მეტს? ვამბობ „ე რ თ ი!“ ვინ იძლევით მეტს? ვიტყვი „ო რ ი!“

— ეს ამბავი კარგა ხანს გაგრძელდება — მითხრა სმიტ-მა, — წავიდეთ!

დავემშვიდობეთ ჩვენს გამყოლს, მადლობა გადაუხა-ღეთ. წავედით.

— მაგ სულ-წაწყმედილმა მეათედიც არ გვაჩვენა იმი-სი. რისი ჩვენებაც შეიძლებოდა. არ ეპაშნიკა მაგას დღეს ჩვენი მოქცევა. ასე იციან! ამბობს მისტერ სმიტი.

მოსაღამოებულია. ჯგუფ-ჯგუფად ბრუნდებიან დამ-ტარებლები ცარიელი ჩანთებით.

— ესეც ფოსტა. ეს საქმე მართლაც რომ გვარიანათაც და ჩინებულათაც აქვთ მოწყობილი, სიჩქარე მართლაც გასაკვირალია. ეხლა კი არა, მე რაც მახსოვს სულ ასეა! ერთი ამბავი უნდა გითხრათ. მეს შემდეგ დიდი დრო გავიდა. მაშინ მე კიდევ მყავდა ნაცნობები და მეგობრები რუსეთში; წერილებს მიგზავნიდენ ხოლმე, მეც თავდა-პირველად ერთხელ კი მივწერე მისამართი — მეტი აღარ მიმიწერია. მე თვითონ კი ერთი ათი ბინა მაინც გამო-ვიცვალე მის შემდეგ, მაგრამ წერილები მაინც მომდიოდა. მოჰქონდათ, მნახულობდენ. ეხლა აღარავის ვახსოვარ და არც აღარაფერი მომდის — მაგ, ხომ, ფოსტის ბრალი არ არის.

— ერთი ეს მითხარით, მაგალითად ფოსტის მოხელე, ვთქვათ რომ იმსახურა ათი წელი, თუნდა ოცი, ამის შემ-დეგ მას რაიმე პენსიას დაუნიშნავენ, თუ არა?

— რაც არ ვიცი — არ ვიცი! მგონი რომ არა! საზო-გადოთ აქ პენსიები და მაგისთანა რამეები არ არის მო-წონებაში. ისინი ასე მსჯელობენ...

— ვინ ისინი, გავაწყვეტიე მე.

— ვინ და ისინი, ვინც აქაურ კანონს სწერს, ვინც აქ განაგებს და ბრძანებას იძლევა. ისინი ასე მსჯელობენ,

ვისაც თავის თავის სიყვარული აქვს, მან თვითონ უნდა მოიტოვოს და მოირჩინოს, უნდა გამოიზოგოს იმოდენი, რომ სიბერისათვის ეყოსო.

— თუ ვერ მოირჩინა.

— თუ ვერ მოირჩინა და მაშინ მისი საქმეც მორჩენილი და გათავებულია; სიმშილისა და გაჭირვების მეტი მას არაფერი მოელის!

— მაგეც კარგი იმედია, არა?

— იმედია, თუ უიმედობა, ასე კია და სხვა თქვენ იცოდეთ!

სახლში რომ მივბრუნდი, კარებში ფოსტალიონი შემომხვდა.

— დაზღვეული ბარათი მაქვს თქვენთვის ჩასაბარებელი. ინებეთ, აქვე ხელი მომიწერეთ უწყებაზე!

ოთახის კარი გავაღე, ბარათი ჩამოვართვი, უწყებასაც ხელი მოვაწერე და უკან დავუბრუნე. ცივათ, სიტყვის უთქმელად გამომართვა, სიტყვა არ უთქვამს და წავიდა აშკარა იყო, რომ გულდაწყვეტილი დარჩა.

— რატომ, რა ეწყინა ჩემგან, რისთვის წავიდა ჩემგან ასე გაბუტული? ვეკითხებოდი თავს და მიზეზისათვის ვერ მიმეკვლია.

— უნდა გეჩუქებიათ რამე, მითხრა სმიტმა რამოდენიმე დღის შემდეგ, როდესაც მას ეს ამბავი გადავეცი.

— განა საჭიროა მაგ აქ?

— არის და მერე როგორ! აბა, როგორ ფიქრობთ, მაგათ, განა თავისი ჯამაგირი ეყოფათ? აი სინჯეთ, როდესაც შემდეგში მოგიტანსთ წერილი თუნდა 10 სენტი აჩუქეთ — შეხედეთ, როგორ მხიარულად და გულღიათ მოგეკიდებათ. ასეა, ჩემო კარგო, აკი გითხარით: — არც იმდენი ყუათიანი ხალხია ამერიკელები, ამერიკული ბურ-

ჟუაზია. აქ მოწონება და პატივისცემა მანქანას აქვს და მანქანათ გადაქცეულს ადამიანს. ადამიანის პატივისცემა განისაზღვრება და განიზომება იმითი და იმდენათ, რამდენათაც ეს მანქანას ჰგავს, მას არ ჩამორჩება. სწორი ანგარიშია, მაგრამ ერთი იაღლიში მოსდით, ერთი დღეც იქნება მანქანისებური ადამიანიც ამოიღებს ენას, გაანძრევს ხელს. არა, თავის სანუგეშოთ კი არ ვამბობ — მე ეს მწამს, მე ეს მჯერა, მე ამას მოველი.

მეც მგონია, რომ მისტერ სმიტის იმედები უსაფუძვლო არ არის.

— : —

დღეს კვირა დღეა. ეს დღე ჩემს საკუთრებას შეადგენს; როგორც მინდა, ისე მოვიხმარ ამ დროს, საითაც მინდა, იქეთ წავალ, რასაც მინდა. იმას გავაკეთებ, თუ მინდა სულ არაფერსაც არ გავაკეთებ — წავგორდები ლოგინზე და იმდენს ვიკოტრიალებ, სანამ არ მომწყინდება.

თავისუფალი მხოლოდ მაშინ არის ადამიანი, როდესაც ის თავისუფლად განაგებს დროს. საქმის დღე სხვას ეკუთვნის, უქმე დღე ჩემს საკუთრებას შეადგენს. საკუთრების მოყვარული არა ვარ, მაგრამ საკუთარი დრო ძალიან მიყვარს.

ჩაცმას არც კი ვაპირობდი. საქართველოდან ერთი წელიწადია ბლუზა გამომყვა, მოვძებნე და ის გადავიცვი.

ბედნიერია ის ქვეყანა, სადაც ადამიანს ამდენი მოკაზმვა და მორთვა არ სჭირდება.

დალახვროს კუდიანმა, ვიღაც არაკუნებს კარებზე. დღეს კვირაა, დღეს ფოსტას არ არიგებენ, ვინ უნდა იყოს?

— მე გახლავართ, მე მისტერ სმიტი, სხვა არავინ გეგონოთ!

— მობრძანდით! მე სრულებით არ მოველოდი დღეს თქვენს სტუმრობას.

— ჰო, მართლაც, დღეს უქმეა — კვირაა. მართალი ბძანებაა, მაგრამ მაინც ვარჩიე თქვენთან მოსვლა. არა, ნუ გეშინიათ, ჩემი გამასპინძლება საჭირო არ არის. თავს ნუ შეიწუხებთ. კარგი ამინდია — გავყვეთ ქუჩებს. ეს სასარგებლოც იქნება და სასიამოვნოც.

— მაგას რაღა აჯობებს, დავეთანხმე მეც, მაგრამ არ მინდოდა დღეს საგარეო ტანისამოსის ჩაცმა!

— რას იზამ, ჩემო კეთილო? აქ მაგ თქვენ ბლუზის ამარა ქუჩაში თავს ვერ გამოჰყოფთ. ჩვეულება კი, აქაც, როგორც სხვაგან, სჯულზე უმტკიცესია!

— სჯული და სარწმუნოება კი აქ მტკიცე და ურყევია, არა?

— იცოცხლეთ, ის მაგრათ იყოს! ისე სდგას, რომ მისი გაქანება და გარყვევა ერთობ ძნელია.

— ნუ თუ ამერიკაში, ამ ტეხნიკის სასწაულის ქვეყანაში კიდევ სწამს ვისმეს ღმერთი, ხატი, ჯოჯოხეთი და სამოთხე??

— ზოგს სწამს, ზოგს არა. მაგის ანგარიში ძნელი გამოსაყვანია. მაგრამ ეკლესია მაინც-პატივსა და მოწონებაშია. აი წავიდეთ, გავყვეთ ქუჩებს გაჩვენებთ. ეკლესიებს — გამოქედილია ხალხით!

— მიკვირს, თუ რატომ ვერ წაართვა თავი...

— ნურაფერი გიკვირთ, — გამაწყვეტია სიტყვა სმიტმა, გასაკვირალი არაფერია. ეკლესიაში სრარული აქ არ არის მოსაწყენი საქმე. მეც კი დავიარები ხოლმე ხანდახან.

— როგორ? განა თქვენ, ეკლესია... თქვენ გწამთ? — მიკვირდა და ვერ მომეხერხებია ჩემი განცვიფრების გამოხატვა.

— არაფერიც არ მწამს, თქვენ არ იცით რომ, აქაურ ეკლესიებში რაც ხალხი დაიარება, იმის მეათედიც არ არის მორწმუნე.

— მაშ, რა ეშმაკები—თქვენთან ბოდიში მომიხდია— დაპარონიებთ ამ ეკლესიებში?

— ბევრი რამ. ჩემო კეთილო, ბევრი რამ! აი მაგალითად, მე ძალიან მიყვარს მუსიკა, სიმღერა, თანაც ხელმოკლე კაცი ვარ — კონცერტებში სასიარულო გროშები არ ამძიმებს ჩემს ჯიბეს. ერთი მიბძანე, სად წავიდე? — უსათუოთ ეკლესიაში!

— მერე? რას აკეთებთ იქ?

— რას ვაკეთებ?! არაფერს ვზივარ ჩემთვის არხეიანთ და ვისმენ საუკეთესო მომღერლების, საუცხოო მუსიკას.

— ნუ თუ აქ არ არის თეატრები, ოპერა, არ იმართება კონცერტები?

— რამდენიც გნებავთ, მაგრამ ყოველივე ეს ფასიანია — ფული უნდა გადაიხადოთ, ეს კი უფასოა, მუქთია.

— ეკლესიაც დროს მიჰყვება — განაგრძო სმიტმა. — ღვთის მსახურთ, ეს ჩვენ კარგათ ვიცით, ძალიან უყვართ ტკბილი ლუკმა, უდარდელი ცხოვრება. ამას ფული უნდა, ფულს შრომა სჭირდება და ისინიც შოულობენ ისე და იმგვარათ, როგორც ეს დღევანდელს პირობებში და გარემოებებშია შესაძლებელი!

— ეკლესია და სახელმწიფო ხომ არის აქ ერთმანეთს დაშორებული?

— რასაკვირველია! დაშორებული და გაყოფილია. მაგრამ ერთმანეთის მტრები კი არ არიან, არამედ მეგობრები და ერთი-ერთმანეთისათვის ხელის-შემწყობი და დამხმარე. ეკლესია ძირს უმაგრებს სახელმწიფოს — კაპი-



ნიუ-იორკის ყველაზე უფრო დიდი და უფრო მდიდრულად
მოწყობილი კინო-თეატრი „როკსი“.

ტალისტურ წესწყობილებას, ხოლო კაპიტალისტურ სახელმწიფოს მესვეურნი ხელს უწყობენ ეკლესიას. რომ მეტი ხალხი მიიზიდონ, მეტი ხალხი იყოლიონ თავის გავლენის ქვეშ, რაც შეიძლება მეტს ჩაუნერგონ გულში ღვთისა და კერძო საკუთრების სიყვარული და მოკრძალება!

— ეგ მაინცა და მაინც ახალი ამბავი არ არის — ყველგან მაგრეა!

— ნუ იტყვით, ახალიც ბევრი რამაა ამ საქმეში!

— მაგალითად?

— მაგალითად, თუნდა ის, რომ... მაგრამ რომელი ერთი უნდა ვთქვა. თავიდან დავიწყებ — ასე აჯობებს! პირველი: დღევანდელი ეკლესიის, ასე ვთქვათ, გარეგნული სახე. ამერიკაში სახლები ყაზარმებსაც აღარ ჰგავს — აქაური სახლები ერთი მეორეზე აკოლიკებული კოლოფებია და მეტი არაფერი. სახლი სახლს ჰგავს, ქუჩა ქუჩას.

— სტანდარტის ქვეყანაა, — დავაწიე მე სიტყვა.

— მართლაც, რომ მაგაა! მაგრამ აბა შეხედეთ ეკლესიებს.

— კეთილი, შევხედავ! აბა, დღეს ჩვენ ამ ფრიად მაღალი ღმერთისა და ამერიკელი კაპიტალისტების სასარგებლო დაწესებულების გაცნობას მოვანდომეთ!

მშვენიერი ამინდი იდგა. ცა ისე იყო მოწმენდილი, რომ არსად არც ერთი პატარა ღრუბელის ნახევიც კი არ სჩანს. მზეს ჯერ კიდევ არა აქვს ზაფხულის სიმწუთხე, გრილი სიო დარბის ქუჩებში. დღეს ქალაქი ისვენებს, ქუჩებში ხალხი ნაკლებათაა, ხანდახან ნაჩქარევათ გამოირბენს ქუჩაში საშინაო ტანისამოსით ქალი თუ კაცი ქუჩის მახლობელ კუთხეს მიასწორებს, ამოიჯლიავებს რომელი-

მე გაზეთს და უკანვე მიეშურება. გაზეთები კი დღეს იმ-ხელსა, რომ მოზრდილ ადამიანს ეყოფა საზიდავათ.

— უბედურება ისაა, რომ ჯერ ადრეა. წირვა-ლოცვა აქ გვიან იწყება. დილა-ადრიანათ ვინ მიატოვებს თბილ ლოგინს, ვინ გაიხდის ფართე ხალათს, ვინ მოშორდება დილის საუზმეს, რომელზედაც, უსათუოთ უნდა გადა-ჭკრას თვითეულმა ჯიშიანმა ამერიკელმა.

— მიუხედავათ იმისა, რომ „გადასაკრავის" ხმარება აკრძალულია?

— მიუხედავათ სწორეთ მაგისა და უფრო, მგონია, მაგის გამო. აღკრძალული ხილი მწარეც რომ იყოს, ტკბილად მოგეჩვენებათ.

— მაშ, საითკენ არის ჩვენი გზა? — შევეკითხე მე სმიტს.

— ფეხით მივდივართ ხომ? კეთილი, მაშ ასე გავუშვეთ პირდაპირ აღმოსავლეთისაკენ, მერე ერთს პატარას მო-უხვევთ და ბროდვეიზე გავალთ.

არ მეჭაშნიკა ეს წინადადება. ჩვენ ერთხელ ვიყავით ამ ქუჩაზე, მაგრამ მთელი საათი მოუნდით თითქმის მი-წის ქვეშა მატარებლით სიარულს. ეხლა ფეხით ამ სი-შორეზე სიარული არაფრათ მომწონს.

მისტერ სმიტს ეშმაკურათ ეცინება.

— გაგვიჭირდება ამდენი სიარული, — ვეუბნები მე.

— არა, ეს სულ ახლოსაა. ბროდვეი მთელი ქალაქის გასწვრივ მიდის. ამასწინად რომ ვიყავით, ჩვენ მაშინ ამ ქუჩის შუა ადგილი ვნახეთ, ეხლა ამ ბოლოდან გავყვებით. ეს ქუჩა გრძელია, დაახლოვებით 25-30 ვერსი ექნება სიგრძე.

მივყვებით ქუჩებს. ადამიანის ჭაჭანება არსად ისმის. აქა-იქ მხოლოდ ბავშები ხელით საგორებელ ავტოებით

ირთობენ თავს, ზოგი ბურთს თამაშობს. ამ თამაშს დიდი სიმარჯვე არ სჭირდება რეზინის ბურთი ხვდება სახლის კედელს და უკან ვარდება, ბავში ხელახლა ისვრის, ხელახლა იჭერს.

— აი ესეც ვაშინგტონის... ვაშინგტონის. დასწყეველოს ეშმაკმა. სახელი გადამავიწყდა, ბ რ ი ჯ ი; რას ჰქვია ბრიჯი?

— ხიდი, — ვეუბნები მე.

— დიაღ, ხ ი დ ი. როგორ გადამავიწყდა. ჰო, ეს ვაშინგტონის ხიდია. აი ამას გავიელით და ჩვენი მისასვლელი ადგილიც გამოჩნდება.

ხიდი დიდია. ქვიტკირის თაღებზე დაბჯენილი. ქვეშ პატარა მდინარე გაუდის. მდინარეს კალაპოტი დიდი აქვს თითქმის ერთი ვერსი ექნება სიგძე. ამ სიგძეზეა ეს ხიდი გადადგმული. ქვეშ პატარა გემები დაცურავენ და ვეებერთელა ბარჟებს მიათრევენ. მიაქვთ ქვა-ნახშირი. აძ გემებს აქვე ცლიან ნაპირზე. მთელი გემი ისე იცლება. რომ ადამიანის ხელი თითქმის არ ეკარება.

აგერ არის წამოდგმული შაეთ შემურული მაღალი კოშკი. შიგნით რაღაც ხრიალი ისმის. კოშკის მწვერვალზე დატანებულია მდინარისაკენ გადაშვერილი ქიმი, აქ არის დამაგრებული ფოლადით ნაქსოვი ბაწარი; ბაწარს გამობმული აქვს კარგა მოზრდილა კალათი. კალათი ლითონისაა, რასაკვირველია. ის პირდაპირ იქ დაეშვება ხოლმე, სადაც გემი არის გაჩერებული, გააღებს პირს და მაგრათ შეიჭრება დაზვავებულ ნახშირში. დატვირთული კალათი ზევით მისრიალობს. კოშკის თავამდე მიდის, იქ უცბათ გამოტრიალდება და ზევით ამოტანილი ნახშირი ხრიალით მირბის ღარზე. ეს ღარი მეორე მხრით რკინისგზის ლიანდაგზე გაჩერებულ თავ-ღია ვაგონში იცლება.

სწრაფად ადის და ჩამოდის კალათი, მარდათ მიექანება ღარიდან ნახშირი ვაგონში, ადამიანი თითქმის არ ჩანს. ერთი მუშა გემზე სდგას, მეორე ვაგონზე. პირველი ჩამოშობილ კალათს უმზადებს საკბილოს, მეორე ჩამოყრილ ნახშირის ფენას ასწორებს, თანაბრათ ანაწილებს ვაგონის სხვადასხვა კუთხეებისათვის.

— აბა, წავიდეთ! გაგიყოლიან განა მაგ სანახაობის ყურებამ. დღეს უქმეა, მაგრამ მაგათთვის უქმე და საქმე გასწორებულია. გემების გაჩერება არ შეიძლება. გემების გაცდენა ზარალია!

ხიდის თავში და ბოლოში თუჯიდან ჩამოსხმული ამერიკელი სალდათის ძეგლებია; უშნოთა და ულაზათოდ არის ეს ძეგლი რაღაც წვირიან ქვაზე შეყუნტებული. სალდათი წელშია მოხრილი, სახეზე მხოლოთ გაღებული პირი და ფართეთ გახელილი თვალები სჩანს, ხელში თოფი აქვს მომარჯვებული და თითქოს ვიღაც მომავალ მტერს უნდა ჩასცეს გულში წვეტიანი ხიშტი.

ქვაზე არის წარწერა:

— „მათ სამახსოვროთ და მოსაგონებლად, ვინც სამშობლო განსაცდელს გადაარჩინა“.

— „შეიყვარეთ მოყვასი თქვენი, ვითარცა თავი თქვენი!“ — აწერია ამ ქვას ხიდის მეორე თავში.

იქვე არის დახოცილთა სია ლიტონის დაფაზე ჩამოსხმული. ეს სია უბრალო სალდათების სახელებს კი არ შეიცავს, აქ მხოლოდ ბატონ აფიცრების სახელებია. ომში, ცოტა არ იყოს, მარცხი იცის. ალბათ ბატონ აფიცრებსაც მოხვდა გერმანელების გამოსროლილი ტყვია. რაც შეეხება სალდათებს, ვინც რომ როკფელერისა და მორგანის სამშობლოს მილიარდები უშოვა, მათი არც სახელი იცის ვინმემ და არც გვარი. ხელისძალათი გარეკეს საომრათ

ამდენი და ამდენი ათასი, ამდენი დაიხოცა ამდენი დასახიჩრდა, ამდენი უკან დაბრუნდა.

მათთვის არც წასვლა უკითხავთ ვისმეს — ძალათი ასვეს გემებზე და გაუყენეს გზას.

მათი არც დაღუპვა გაუგია ვისმეს — ვინ იცის სად ყრია მათი ძვლები, რომელი ქვეყნის მიწა სჭამს მათ სხეულს.

არც დასახიჩრებულების შესახებ გამოუჩენიათ მზრუნველობა, — რამდენს შეხვდებით დღესაც ნიუ-იორკში, წესის გულისათვის, რომ იაფ-ფასიან კარანდაშებს, ან და ასანთის ცარიელ კოლოფებს „ჰყიდიან". ეს „ფეხზე ვაჭარი" — მათხოვარია, ისინი მათხოვრობენ. მაგრამ ვიხაიდან მათხოვრობა აღკრძალულია, ამერიკის პოლიცია ფარისეველურათ პირს არიდებს ამ „კანონის დამრღვეველთ"

ხიდის ახლოს მოზრდილა მოედანია თავისუფლად დატოვებული. ამ მოედანს გარს ეკლიანი მავთული აქვს შემოვლებული და ჭიშკარი აქვს დატანებული. შიგ რამოდენიმე ალაგას დაწყობილია ძველი გაუქმებული ზარბაზნები.

ამ ზარბაზნებზე დაბლაუჭობენ ბავშები, ომიანობას თამაშობენ, მიდიან ერთმანეთზე იერიშით. ეჩვევიან იმ ხელობას, რომელიც შემდეგში იქნებ საჭირო შეიქნეს მათთვის.

მისტერ სმიტს არ მოსწონს ჩემი გზა და გზა შეჩერება.

— ვიგვიანებთ, მაგისთანა რამეების ნახვას შემდეგშიაც მოესწრებით. წავიდეთ ბარემ ჩქარა.

მივდივართ. ნელა მიჩოჩავს ტრამვაი. ტრამვაი აქ მოცლილი ხალხის თავის გასართობია. ეხლა ნიუ-იორკისათვის ტრამვაი ძველი დროის ნაშთია. ქუჩებში ისეთი მოძალებული მოძრაობაა, რომ ტრამვაის ჩქარა გაელა აღარ

შეუძლია. ღღეს ხალხი ცოტაა ქუჩაში, მაგრამ ტრამვაი მაინც ნელა მიდის. სჩანს გაჭირვება ჩვეულებათ გადაქცევია.

— ჰო, იმას ვამბობდი გარეგნული მოყვანილობა ღღევანდელ ეკლესიას უსათუოთ უკეთესი აქვს, ვიდრე დანარჩენ შენობებს. შიგნიც საუცხოოთ არის მოწყობილი. ამას ხომ ვნახავთ და თქვენ თვითონ დარწმუნდებით ამაში. ესლა შიგნი. უბრალო მღვდელის ყუყუნი ვისლა მოეწონება. ამიტომ ეკლესიაში ყოველ-კვირა ნიუ-იორკის გამოჩენილი მომღერლები გალობენ. ხორო საუკეთესოა, მუსიკა კიდევ უკეთესი. ამითი იზიდავენ ხალხს.

— მაგ ყველაფერი კარგი, მაგრამ რამდენ ხანს დაგვჭირდება კიდევ სიარული, მე მართალი გითხრათ ფეხით სიარული არ მეზარება, მაგრამ მირჩევნია, თუ კი ფეხებს ნაკლებ ჯაფას მივაყენებ.

— მაგეც შეიძლება, მაგრამ, მოდი ასე ვქნათ — მიწის ქვეშ ნუ ჩავძვრებით, „ელევეიტერით“ წავიდეთ.

— ესე-იგი ჰაერში დაკიდებულ რკინის-გზით, არა?

— დიაღ, მაგითი. ცოტა გზის გაბრუნდება დაგვჭირდება, მაგრამ არა უშავს რა. არც ისე ჩქარა მიდის, როგორც სობვეი, მაგრამ კვირისათვის რამოდენიმე წუთს მნიშვნელობა, ხომ არა აქვს?

ეს ჩამოკიდებული გზა დიდი არაფერი სასიამოვნო სამოგზავრო საშვალებაა.

რკინის ბოძებზე დაგებულ ვიწრო ლიანდაგზე მიხრიალობს მუქი წაბლის ფერათ შეღებილი ელექტრონის ვაგონები. ზევით — სადგურზე ასასვლელი ზოგან ლიფტია, ზოგან მოძრავი კიბე. ეს ჩვეულებრივი კიბეა. შეგიძლიათ საფეხურებს აჰყვეთ, მაგრამ ეს იმდენათ საჭირო

არ არის. ეს საფეხურები თავის-თავად მიდის ზევით და თქვენი ფეხების მუშაობა სავალდებულო არ არის.

კარგა ხანს გვარწია ამ მატარებელმა, სანამ დანიშნულ ალაგას მიგვიყვანდა. ბოლოს, როგორც იქნა მივედით.

— ეს არის აქ საკათედრო ტაძარი,—მეუბნებოდა სმიტი, როდესაც ნიუ-იორკის მთავარ ეკლესიაში დაუახლოვდით.— უკეთესი იყო გარედან დავკვირებოდით, მაგრამ, რასაც თვალით უყურებთ ესაა და ეს, ეს წაწვეტილი გუმბათები, როგორც ხედავთ ბევრია, ხოლო რომელი სახელი ჰქვია ამ ხუროთმოძღვრებას არ ვიცი, ვერ გეტყვით, მე ამ საქმეში არაფერი მესმის. თაღები და კოშკები ბლომათ აქვს. შნო და სილამაზე არ აკლია შენობას. არამცთუ ამერიკაში, სადაც შენობები ასე ერთი-ერთმანეთს ჰგავს, ოღონდ ყველა ერთს ყალიბზე იყოს ჩამოსხმული, არამედ სხვაგანაც ეს ეკლესია უსათუოთ მიიპყრობს ადამიანის ყურადღებას.

შევედით თვით ეკლესიაში.

ევროპაში ყოფნის დროს მე შემთხვევით ვნახე კელნის დიდი ტაძარი. შიგნი ის თავლას ჰგავს, გძელი, ნახევრათ ჩამობნელებული კედლები. არე დიდია—ჩვენში რომ იტყვიან: — ცხენი გაჭენდება შიგო, ისეთი. შორს, სადღაც ხუცესი რაღაცას პუტუნობდა. შეიძლება იქ ის ხმა-მაღლათაც ლაპარაკობდა, მაგრამ ამ სიშორეზე მისი ხმა აღარ აღწევდა.

აქ სულ სხვა სურათი დამხვდა. პირველი და მთავარი, ამ ეკლესიაში, თვალის მომჭრელი სიმდიდრეა. იატაკი ნოხებითაა დაფენილი. კედლებზე სამღვთო წერილის შინაარის სურათები. სურათების ღირსების არაფერს ვიტყვი. მათი მხატვრული დაფასება ჩემი საქმე არ არის, მაგრამ



კათედრალური ტაძარი. რომელიც ნიუ-იორკის ცენტრშია მოთავსებული.

თვითეული სურათი ძვირფასს ჩარჩოშია ჩასმული, ჩარჩოებს ჭარბათ აფრია ოქრო და ძვირფასი ქვის სამკაული.

სიმღერა, მართლაც ჩინებული იყო. მღვდელთმსახურის ხმაც გარკვეულად ისმოდა, თუმცა გვარიანა მოშორებულ მანძილით იყო ჩვენგან დაშორებული.

— რადიო ეკლესიასაც ეხმარება. აქ კედლებში დატანებულია ხმის გამადიდებელი და ამიტომაა, რომ ხმა ყველგან კარგად ისმის, — მითხრა სმიტმა — წირვაც, როგორც ჰგავს სხვა რიგზეა მოწყობილი, შენიშნეთ? გალობა მეტია, ვიდრე მღვდელის ლაპარაკი. ერთი სიტყვით ჩინებული კონცერტია. მიიღეთ ისიც მხედველობაში, რომ ამ ეკლესიაში შემავალი მრევლი ფეხზე კი არ არის ატუზული. როგორც ჩვენებურ ეკლესიებში—სავარძლებში ზიან, რასაკვირველია აქ მარტო ლოცვისა და ღვთის ვედრების გუნებაზე მყოფი ხალხი კი არ დაიარება, არამედ ბევრი სხვაც.

ელექტრონის სანათურები ისეა დატანებული, რომ თვით ლამფები არსად არ სჩანს, თვით ეკლესია კი განათებულია. სინათლე არ არის ბრჭყვიალა, თვალს არ ღალავს, ერთგვარ მოსვენებას ჰგრძნობს ადამიანი. გალობა და მუსიკა ერთი მეორეს ენაცვლება.

— ხომ კარგი მოწყობილობაა? — მეკითხება სმიტი, როცა უკვე ქუჩაში გამოვედით.

— ჩინებული!

— რასაკვირველია, ყველა ეკლესია მაგრე მდიდრულათ არ არის მორთული. არის ისეთებიც, რომლებშიაც ცარიელი გაფხეკილი კედლების მეტი არაფერია. იქ არც მუსიკაა, არც გალობა. ეს ერთი უკიდურესობაა, ის მეორე.

— ეს კიდევ არაფერი. აქაური ეკლესიის ძალა მარტო სიმღერასა და მუსიკაში როდი გამოიხატება. ეკლესიები

ძალიან ეტანებიან საქველ-მოქმედო საქმეებს. ისინი თაოსნობენ, აწყობენ სხვადასხვა საზოგადოებებს. მდიდარ ხალხში მოცლილი და უსაქმურები ბევრი არიან. აი ეს უსაქმო ხალხის „საქმე" ქველმოქმედება გახლავთ. აგროვებენ ფულებს, ურიგებენ ვილაც-ვილაცეებს, ხმაურობენ, ქაქანობენ. ფარისეველობა და ცბიერობა ბურჟუაზიას, მეტადრე ამერიკისას მეტის-მეტათ საჭირო საქონელად მიაჩნიათ.

— მაგ საქონელს დიდი გასავალი აქვს, ყველგან, სადაც კერძო საკუთრების ნიადაგზეა აღმოცენებული...

— ფილოსოფიას ნუ გაჰყვებით. ვრცი ყველგანაა, მაგრამ ამერიკაში მეტადრე და უმეტესად. აი ამას-წინად სულ რამოდენიმე დღე გავიდა მას შემდეგ, აქ ასეთი ამბავი მოხდა. ერთმა უმუშევარმა (ამერიკას, ნუ დაგავიწყდებათ, 3 თუ 4 მილიონი უმუშევარი ჰყავს!), — როდესაც ყოველივე იმედი და სასოება დაეკარგა, მოჰკიდა თოფს ხელი და მოელი ოჯახი ამოწყვიტა. ბოლოს ჭკუაზე შეშლილი გარეთ გამოვარდა და გამვლელ-გამომვლელებს დაუწყო სროლა. ისროდა მანამდე, სანამ ტყვიები არ შემოელია.

— ელექტრონის სკამს არ ააშორებენ, რა თქმა უნდა მაგ საქმისათვის!

— არ ააშორებდენ, მაგრამ სროლაში ერთი ტყვია მასაც მოხვდა და იქვე ქუჩაზე მოკვდა. ეს კიდევ არაფერი. იყო მეორე შემთხვევა უფრო საშინელი და საზარელი. ერთმა ქვრივმა-უმუშევარმა ქალმა ღამე გააღო გაზის კრანი და მთელი ოჯახი ექვსი სული ბავშვები დაიღრჩო: რა გაჭირვება უნდა ადგეს ადამიანს, რომ ამ ზომამდე მივიდეს, თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ. სიცოცხლეში ამ უბედურებს არაფერი ღირსებიათ. სიკვდილის

შემდეგ ამ დახოცილებზე მზრუნველობა თავს იდვა ერთი რომელიღაც ეკლესიის ქველმოქმედებმა. მოაწყვეს გასვენება, მაგრამ როგორი, არ იკითხავთ? რაც ის გასვენება დაჯდა, მისი მეათედი რომ სიცოცხლეში ღირსებოდათ იმ უბედურებს, ვინ იცის, ეხლაც ცოცხლები იქნებოდენ. ინებეთ! ასეთია მეორე ხრიკი და ხერხი, რომლითაც ეკლესია ავრცელებს თავის გავლენასა და ძალას.

სმიტის ხასიათი მე კარგათ ვიცი, როდესაც ის ამერიკული ცხოვრების ასეთს მარგალიტებს გადმოალაგებს ოვითონაც გლახა გუნებაზე დადგება ხოლმე. მაშინ მასთან მუსაიფი და საუბარი აღარ შეიძლება. მწარე სიტყვას არ დაგარიდებს.

— გარდა ამისა,—დაიწყო სმიტმა ცოტაოდენი სიჩუმის შემდეგ,—ეკლესიები აწყობენ საკვირაო სკოლებს. ხალხის განათლება მათ არაფრათ ესაჭიროებათ, რასაკვირველია, მაგრამ დიდსა და პატარას, ვისაც ამ სკოლაში დაიმარტოსელებენ, დღე და ღამე ღვთის მორჩილებას ჩასჩიჩინებენ. კაპიტალისტებისათვის ეს სასარგებლო საქმეა, ამიტომ ისინი ბლომათ აძლევენ ხუცებს ფულს ასეთ საქმეების მოსაწყობათ.

— დაიარება ვინმე ასეთს სკოლებში?

— დაიარებიან, როგორ არა! დაიარებიან. აქ ყრუ და გაჭირვებული ხალხი ბევრია. რა გამოლევს ბრიყვებს, სანამ კაპიტალისტური მანქანა ასე ჩინებულად მუშაობს.

— თქვენი სიტყვები მე არ მესმის, წინააღმდეგობაა თქვენს აზრებში.

— როგორ, რა წინააღმდეგობა?

— თქვენ ამბობთ: თუ კაპიტალისტური წესწყობილება არ მოისპო, „ბრიყვები" არ გამოილევაო, მაგრამ, თუ ეს „ბრიყვები" არ გამოილია, კაპიტალიზმს რა მოსპობს? კა-

პიტალიზმი ხომ თავისთავად არ მოისპობა. „ბრიყვები“ თუ არ „დაჭკვიანდენ“ და არ...

— მივხვდი, მივხვდი, რისი თქმაც გინდათ. მართალია, მართალი, მაგრამ ამ „ბრიყვების“ მორჯულებასაც რომ დრო უნდა ეს ოხერი!

— რა უყოთ, თუ სული არ შეუბერე, ისე ფაფა არ მოდუღდება!

— აგრე იყოს. მე კი იმას ვამბობდი, ჰო, საკვირაო სკოლების შესახებ. რომელი საკვირაო სკოლა, საშვალო და უმაღლესი სასწავლებლებიც კი აქვთ გახსნილი. ერთი სიტყვით მარჯვეთ არიან. უქმათ არ ზიან და უსარგებ-ლოთ არ სჯამენ მდიდრების ულუფიდან ბოძებულ მოსა-კითხებს.

ფეხაჩქარებით მივდიოდით. მისტერ სმიტს სიფიცხე თანდათან ემატება, გულისობს. სწრაფათ მიექანება წინ. თითქოს ვიღაცას უნდა დაეწიოს. ვიღაცას ბრძოლაში უნდა შეებასო.

— ცოტა ნაბიჯს მოუკლოთ. თორემ დავიღლებით. — შეებედე როგორც იქნა ბოლოს.

— არა, ჩქარა სიარული სჯობია. ამ ნელა სიარულმა წაიღო ჩემი წუთისოფელი. სიჩქარეა საჭირო, სიმკვირ-ცხლე. სისასტიკე!

სმიტი თავის გულისწყრომას გაჰყვა მისი დამშვიდება და დათათბირება ეხლა ძნელი საქმეა.

— აი აქეთ წავიდეთ. აქ ერთი ეკლესია მეგულება, იქ კვირაობით საჯარო ქადაგება იციან.

— ეს რაღა უბედურებაა — ეს საჯარო ქადაგება?

— მართლაც რომ უბედურებაა. ქუჩაში დგას და ქა-დაგობს ის წვერ-ძაღლი.

— ვინ?

— ვინ და ხუცესი, მღვდელი. პასტორი, რავიცი — ყველა რჯულისა და ყველა სარწმუნოების ძაღლი და მამაძაღლი!

მართლაც ქუჩის პირას, მაღლობ სკამზე შემდგარი კათოლიკების პატერი ქადაგობდა. ხალხი ჩერდებოდა, ერთ ხანს უსმენდენ, ერთი წყება მიდიოდა, მეორე მოდიოდა.

— „უფალი ღმერთი ყოვლის მხილავი, და მრავალმოწყალე, უფალი ღმერთი ნუგეშის მომცემი და სიცოცხლის მომნიჭებელი!...“ — ქაქანობდა მღვდელი. სასეხეოფლი ჩამოსდიოდა.

— მართლა უტვინო და მართლა გამონიჭებული, გამოლაყებული უნდა იყოს ადამიანი, რომ ასეთს სისულელეს ყური დაუგდოს, — სიბრაზით ლაპარაკობს სმიტი, როდესაც ჩვენ იმ ადგილს მოვშორდით.

— ქველმოქმედება, საკვირაო სკოლები, უნივერსიტეტები — ეს ახალ-ახალი ბოძებია ეკლესიის დახავსებული შენობის შესამაგრებლად, — ბუზღუნობს სმიტი.

— ეკლესია — გამრთობი, ეკლესია ქველმომქმედი, ეკლესია საიქიოს წინამძღოლი — ასეთია, ჩემო კარგო ჩვენი დალოცვილი ამერიკის ეკლესია.

— ეს მარტო ქრისტიანული ეკლესია ასეთს მუშაობაში, სხვები? სხვები რას აკეთებენ?

— ყველა ჭირს წაულია. ყველა ერთმანეთს არ ჩამორჩება. ყველა თავ-თავისად მუშაობს, მაგრამ თვითეული ცალკე და ყველანი ერთად ერთ მიზანს ემსახურებიან, ერთი საქმისათვის მუშაობენ. ეს დღეც დაილია. ბარემლა სახლისაკენ გავუდგები, — მითხრა მე სმიტმა და გამომემშვიდობა.

— ; —

მე ყოფილვარ თქვენში განა!

— სად, საქართველოში?

— არა, საქართველოში კი არა, აი იქ, რა, ჰქვია, მთლად გადამავიწყდა, ლერმონტოვი, რომ სწერს. გახსოვთ, სად მოჰკლეს ლერმონტოვი?

მისტერ სმიტის კითხვამ გამახსენა ის დრო, როდესაც ჩვენ პირდაპირ ჯოხით გვადგენ თავზე, რომ კაჭკაჭივით ამოგვეზეპირებია ზოგ-ზოგი მწერლების ლექსები, მოთხრობები. მათ შორის იყო ლერმონტოვიც. მაშ, მით უარესი ლერმონტოვისათვის. მაშინ მე ისინი ყველა ხელიერთპირად მძულდა. ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ ეს პოეტები და მწერლები ჩვენ — მოწაფეების საწვალებლად იყო გამოგონილი. ეს გრძნობა კარგა ხანს გამომყვა მე და ეხლაც, სიძულვილის რა გითხრათ, და, როდესაც ლექსს დავინახავ რაღაც უსიამოვნებასა და უკმაყოფილებას ვგრძნობ. უნებლიეთ ბავშობიდან გამოყოლილი შიში გამივლის ხოლმე თავში. თითქოს ასე ვფიქრობ: — ამდენ უბედურებას ზეპირად რა დაისწავლისთქო?

სმიტის კითხვამ ყველაფერი ეს გამახსენა, ფიქრმა გამიყოლია და პასუხი დროით ვერ შევაგებე.

— ოჰ, რას ფიქრობთ, განა აღარ გახსოვთ?

— მახსოვს, როგორ არა! მაგის მეტს რას გვასწავლიდენ უწინდელ დროში?!

— მაშ, სთქვით ბარემღა!

— ჩრდილო კავკასიაში, — გავუგძელე მე პასუხი. სულო ცოდვილო, საგულდაგულოდ იმ ადგილის სახელი, სადაც ლერმონტოვი მოჰკლეს აღარ მახსოვდა—ვაპირობდი დროის მოგებას, გახსენებას.

— ოჰ, მაგ მეც ვიცოდი, ჩრდილო კავკასიაში, ადგილი, ადგილის სახელი? მაგრამ დაანებეთ თავი შაგ ადგი-

ლების გახსენებას. გითხრათ, რისთვის გკითხეთ ლერმონტოვი და ყოველივე ეს ძველი ამბავი. ერთი სიტყვით იქ ვიყავი მთებში, ქალაქია იქ ერთი... დალახვროს ეშმაკმა...

— ვლადიკავკაზი! მართალი ბრძანებაა, სწორეთ ვლადიკავკაზი. დღეის დღესავით მახსოვს: მოვშივდა და ერთ სამიკიტნოში შევედი. რაღაც თქვენებური კალბასი მაჭამეს, ცხარი იყო ისე, ისე, რომ მთლად პირი გამომპოტნა. ეს კიდევ არაფერი და ღვინო დამალევინეს, მაგრამ რა იყო, რა იყო? ჩემს ღღეში არ დამავიწყდება!

— მართლაც და, რა იყო ასეთი რამ?

— გეტყვით აგერ, მისი სახელი მე კარგათ მახსოვს, მას ერქვა სახელად მ ა ჭ ა რ ი! ეს მე ისე კარგათ მახსოვს, რომ, სანამ ვიცოცხლებ, ის ჩემს მეხსიერებიდან არ ამოვა. ასეთია, ჩემო კეთილო ეს ქვეყანა. თქვენ სად სწავლობდით? — სრულებით მოულოდნელად გადახტა ახალ კითხვაზე მისტერ სმიტი. იცის მან ასეთი მოულოდნელი კითხვების მოცემა — ალბათ, ამერიკულ თავისებურობას. საკუთრად სმიტის თანდაყოლილი ახირებულობაც თან მისდევს.

— ბავშობისას...

— დიაღ, დიაღ ბავშობისას!

— სამრევლო სკოლაში.

— არა, შემდეგ, შემდეგ?

— შემდეგ გიმნაზიაში. იყო ძველ დროში ასეთი სასწავლებელი „წარჩინებული" ხალხისათვის.

— ჰმ, ვიცი, ვიცი, სწორედ წარჩინებულებისათვის. აი სწორედ მაგ სასწავლებელში გამართვეს მეც ტყავი. რამღენს ჩაგვჩიჩინობდენ თავში, ეს ლერმონტოვიო, ეს პუშკინიო, ეს პეჩორინიო!

— მართალია, მაგრამ პეჩორინი, რომელი ღა მწერალი იყო?

— პეჩორინი მწერალი კი არ იყო, მაგ მაინც მახსოვს. გვასწავლიდენ, არა, კი არ გვასწავლიდენ, გვაწვალებდენ, მაგრამ ეს ძალის-ძალათი თავში ჩატენილი სიბრძნე ისე უცბად გამოირეკა მეხსიერებიდან, რომ, ეხლა გახსენებაც კი მიჭირს ხოლმე.

— შეგვაძულეს კიდევაც და თანაც იმდენათ, რომ ეხლა დიდი ძალა უნდა დაატანო თავს, რომ ხელახლა მოჰკიდო ხელი მაგ მწერლებს და წაიკითხო.

— არა, სიძულვილი სხვა საქმეა. შეიძლება რამე. ახ ვინმე გძულდეს, მაგრამ გახსოვდეს. სწორედ იმას ვამბობდი, აი მ ა ჭ ა რ ი, მე ისე შემძულდა ისე შემძულდა, მაგრამ სახელი მაინც დამახსოვრდა.

— დასტურ გლახა რამ საქმე დაგმართიათ, როგორც ჰგავს.

— მტრისას, მე დამემართა. მომიტანეს რაღაც მღვრიე სასმელი. სხვა ღვინო იმ დროს იქ არც იყო, ყველა იმას სვამდა, მეც ახალგაზრდა ვიყავი, მეტიჩარობამ ამიტანა. სხვა თუ სვამს, მე რა მიჭირს მეთქი. დავლიე. თავიდანვე არ მომეწონა, მაგრამ თავს ძალა დავატანე. გამოვცალე ის ერთი ბოთლი, როგორც იყო. იქედან ადგომა და გარედ გამოსვლა კი მოვასწარი, მაგრამ რაც მე გადამხდა, რაც მე გაჭირვება გამოვიარე. სიკვდილის პირას მივდექი. მე რა მინდოდა მეთქვა იცით? მეტის-მეტად უსიამოვნო გემო ჰქონდა ამ მაჭარს, მჟავე? — არა. არც მთლად მჟავე, ოდნავ სიმწარეც ერია ამ სიმჟავეში, თანაც რაღაც მღვრიე იყო და სქელი, თითქოს ფქვილი ურევია შიგო...

ჩვენ ამ მუსაიფის დროს ნიუ-იორკის სალარო წიგნთსაცავის ფართე დერეფანში ვიჯექით. ჩვენ ახლო-მახლოს

ადამიანის ჭაჭანება არ ისმოდა. სმიტი დღეს კარგ გუნებაზეა. დაბალი ხმით ლაპარაკობს. მის სახეს სიმშვიდის ბეჭედი ასვია. სათვალებით დაფარულ თვალის კაკლები ალარ დარბის ისე მაცდურათ. როგორც იმ დროს, როდესაც სმიტს მოუსვენრობის ეშმაკები შეუჯდება ხოლმე მხრებში.

— მაჭარს ჩვენ აქ ვინ დაგვალევინებს ძალიანაც რომ გვინდოდეს, მივუგე მე. და ეს საქმე გაუკეთებელი დაგვრჩება. ამ საარაკო სანახაობის დასათვალიერებლად ადამიანი მოვიდეს და....

— არ დაგვრჩება, ნუ ფიცხობთ. ყმაწვილო. ვინც იჩქარა, რა მოიგო, თუ იცით?

— სხვა რომ ბრა იყოს რა ამერიკაში ვართ. სიჩქარე და ამერიკა ეს ხომ ცალ-ტყუები მცნებაა ჩვენს დროში?

— ჯანდაბას ამერიკაცა და მისი სიჩქარეც.

მოსდევს მისტერ სმიტს ძველებური. რუსული... როგორ ვთქვა არ ვიცი: სიზარმაცე? — არა! სიდინჯე. საერთო ტრიალში ისიც ანგარიშ-მიუცემლად მხარ-და-მხარ მისდევს ცხოვრების გაქანებულ მსვლელობას. ასე იცის, ასეთია კანონი ბუნებისა. ისე ჩაგიფრენს ის, რაც შენს გარშემო სუფევს. რომ, ვერც კი შეატყობ. მაგრამ, როდესაც სმიტი, „თავს წაართმევს" ამ გაგიჟებით გაქანებულ ტრიალს, ის თითქოს დაკარგულს ინაზღაურებს. ესეც მისი თავისებურებაა, თუ გნებავთ. მე კარგათ მესმის ეს მდგომარეობა. ეს სიჩქარე, ეს დაუსვენებელი ფუსფუსი, მეტისმეტათ ღალავს ადამიანს. რამდენჯერ გამხსენებია ხოლმე ის, რაც ჩვენში ხშირად გამიგონია:

— „აჩქარებითა სოფელი
არავის მოუჭამია!"

ეს ჩვენში, მაგრამ ამერიკაში სიჩქარე, სისწრაფე, უკან მოუხედავი გაქანება — ეს მთელი იმ სისტემის ფილოსოფიაა, მთელი აქაური ცხოვრების ბერკეტია. მოადუნეთ აქაური ცხოვრების მაჯის-ცემა და მთელი ამერიკა თავდაყირა დადგება.

— ბზრიალა, იცით რას ჰქვია ბზრიალა?

კიდევ ერთი ახალი ამბავი, საიდან სადაო!

— როგორ არა, რამდენი მითამაშია კიდევაც!

— Что такое волчек?

— Волчек есть игрушка.

— Волчек крутится на ножке.

გამახსენდა გოგებაშვილის „Русское Слово"-დან.

— ტრიალობს ხომ! ტრიალობს განუწყვეტლივ და სანამ ტრიალობს ფეხზე სდგას, მაგრამ რომ გაჩერდება.

— რომ გაჩერდება, — წაიქცევა!

— რატომ გაჩერდება? თუ არავინ გააჩერა, ისე თავისით, მაგრამ არა, გაჩერდება, ჩემო კარგო, გაჩერდება!

— ჩვენ ასე მაინც ნუ დავრჩებით. სანამ ბზრიალა გაჩერდებოდეს, მანამ ბარე ორი ტურა დაიკივლებს და ჩვენ ამ სამკითხველოს დავათვალიერებთ.

— მაშ, მეთანხმებით, რომ მაჭარი მჟავეა?

— მართალი ბრძანებაა, ისე როგორც, რომ შაქარი ტკბილია...

— აბა, ეხლა მეც მზათა ვარ, წავიდეთ! არ დაგავიწყდეთ, რომ მაჭარი მჟავეა. შემდეგ გაგახსენებთ. ეხლა შეეუდგეთ საქმესა ამას ფრიად საჭიროსა და სასარგებლოს! — ოხუნჯობს მისტერ სმიტი.

— ეს შენობა არ ჰგავს სხვებს, ხომ?

— არ ჰგავს. იმ დროს, ალბათ, აქ არ აშენებდენ ამ ბაბილონიის გოდლებს.

— არა, აქ სხვა რამ გარემოებაა. ამას მერე გეტყვით. ეხლა გავიხსენოთ მხოლოდ ის, რომ ეს შენობა თავის მოყვანილობით სხვებს არ ჰგავს. ხუროთმოძღვრების ამბავი რომ იცოდეთ, ალბათ მიხვდებოდით, რომ ეს იტალიანური რენესანსის შნოზე არის აშენებული. არც მე ვარ ამ საქმის დიდი მცოდნე, მაგრამ მცოდნე ხალხისაგან ასე გამიგონია. ეს არაფერი! გარდა ამისა შემოსასვლელში ორი დიდი ლომია წამოწოლილი...

— რომელი ლომი, ლომს რა უნდა აქ?—გამიკვირდა მე.

— ჰო, ლომის ქანდაკება, რასაკვირველია! კიდევ გარდა ამისა, კუთხეებში დატანებული ქანდაკებები და სხვა ასეთი მორთულობა, დიდ საგანძურს არაფერს წარმოადგენს. შნოს გულისათვის არის ყველაფერი ეს. ამას თავი დავანებოთ. წავიდეთ ეხლა ეს დარბაზი დავათვალიეროთ. გაფრთხილებთ. იქ ლაპარაკი არ შეიძლება. ახლოს გამომყევით, მე რასაც განიშნებთ, თქვენც იმას ყურადღება მიაქციეთ, დანარჩენს შემდეგ გეტყვით.

დარბაზი, მართლაც, რომ მოზრდილა იყო. ფართე, გძელი, მაღალი ჭერი. ჩამობნელებული. ახლო-ახლოს, ისე, რომ ადამიანი ძლივს აუვლის გვერდს. სდგას გრძელ-გრძელი სტოლები; სიგძეზე უფრო ფართო არეა დატოვებული, აქ ორი კაცი თავისუფლად გაივლის ისე, რომ ერთმანეთს არ შეუშალოს ხელი. სტოლების გარშემო სკამებზე ზის ხალხი, თვითეულს მიზომილი აქვს კუთვნილი განსაზღვრული არე. წინ წიგნები უწყვიათ, ყველა თავ-აუღებლივ ჩასჩერებია ამ წიგნებს. ზოგი რაღაცეებს იწერს წიგნებიდან. სიჩუმეა ისეთი, რომ, ბუზის გაფრენას უსათუოთ გავიგონებდი, მაგრამ ბუზები ამ ადგილს არ ეტანებიან, წამლად რომ გინდოდეთ, ვერსად ნახავთ.

დარბაზში შესავალთან არის გადატეხრული კედელი, კედელში რამოდენიმე ფანჯარა არის ჩატანებული. ამ ფანჯარასთან მიდიან მკითხველები, რაღაც ეშმაკურათ მოწყობილ ყულაბში აწყობენ წიგნების ნომრებს. ლაპარაკი და მუსაიფი ამისათვის საჭირო არ არის. გაივლის 5 — 7 წუთი და იმავე ფანჯარიდან გამოცოცდება უხმოთ, ჩუმათ პატარა კალათი, რომელშიაც აწყვია მოთხოვნილი წიგნები. თუ რომელიმე წიგნი არ არის, მიცემული ნომერი უკან ბრუნდება წარწერით, რომ ეს და ეს წიგნი ამ ჟამათ არ არის თავისუფალი.



ნიუ-იორკის საჯარო წიგნთ-საცავი და სამკითხველო.

— რამდენი კაცი და ქალი არის ამ დარბაზში, როგორ გგონიათ? — მკითხა სმიტმა, როდესაც დარბაზიდან გამოველით.

— რამოდენიმე ათასი, ალბათ! — მივუგე მე.

— სათვალავით არც მე ვიცი და მეც სწორეთ ასე მგონია. მაგრამ წიგნთსაცავში ხომ მარტო მაგ ერთი დარბაზი არ არის. აქ უმთავრესათ, თქვენ რაც ნახეთ, სტუდენტობაა. მეცნიერებისათვის სხვადასხვა სპეციალური წიგნთსაცავებია ქალაქში. ხომ უყურეთ, რა გულმოდგინეთ მეცადინეობენ? ასე. ჩემო კეთილო, ბურჟუაზია ამზადებს თავის ხალხს. თავისუფალი ქვეყანაა, მაგრამ... თავისუფლად მოკვდები ქუჩაში, თუ კარგი მაგარი ნალები არ გაქვს დაკრული ჩლიქებზე.

ხომ ბევრი ხალხი ენახეთ? ვინ იცის, რამდენი კიდევ სხვა ალაგას არის ამავე შენობაში, რამდენი სხვა ალაგას და სხვა ქალაქებში ჩასჩერებია და აკლავს თავს, რომ რამენაირათ შემდეგ მაგრათ დაადგას ფეხი ცხოვრებაში.

— არც იმდენათ, მგონი, იმიტომ რომ, რამდენი უმაღლეს სასწავლებელში სწავლა დამთავრებული მაღაზიებში უბრალო ნოქრათ არიან ატუზული!

— იცოცხლეთ, რამდენიც გნებავთ! — ასეთია კანონი კაპიტალისტური ცხოვრების. დოღია გამართული. ათასში ერთი, შეიძლება ვინმე ვიგინდარა — აქ რომ სელფმედმენებს ეძახიან — გაარღვევს იმ მოჯადოვებულ წრეს და გასცურავს მეორე ნაპირს. სხვები და დანარჩენები ისე უფერულათა და უგემურათ ათავებს თავის დღესა და წუთისოფელს დღიური ლუკმა-პურის მოპოებაში.

— მაგ მაგრე, მაგრამ ეს წიგნთსაცავი მართლაც რომ დიდებულათ აქვთ მოწყობილი!

— არის, მართალია. ხომ შეამჩნიეთ შიგნი და გარეთ კედლები მარმარილოს ქვით არის ამოყვანილი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ესეც გვარიანა ბლომა ფულები დაჯდებოდა, რასაკვირველია!

— ვისი ფულებით არის აშენებული. ხაზინის, ღლბათ არა?

— ასე ვთქვათ! აქ სხვა წესია. ასეთ საზოგადო დაწესებულებების ასაშენებლათ ხშირათ მილიონერები და ბილიარდერები იძლევიან ხოლმე შემოწირულებას. ეს წიგნთსაცავიც. რამდენათაც ვიცი, „კერძო“ შემოწირულებით აშენებული ;ეწდა იყოს.

— მაგეც კარგი საქმეა. რაც არ უნდა იყოს, ხალხსა და ქვეყანას წაადგება, გამოადგება!

— თავი დამანებეთ ერთი, გამიგონია ხალხი და აქაური მილიონერები. ვინ თქვა მაგათი ხალხზე ზრუნეა?!

— მაგას არც მე ვამბობ, მაგრამ ჩვენში იტყვიან:

— „ყვავს რომ ხუმლის კაკალი გააგდებიოთ, ისიც კარგიაო!“

— არა, არა! მე ერთი საინტერესო წიგნი მაქვს. იქ არის მოთხრობილი აქაური მილიონერების ისტორია. წაიკითხეთ—ბევრს რამეს საინტერესოს ნახავთ. მე უწინ ხშირად დავდიოდი და ვმეცადინეობდი ხოლმე ამ წიგნთსაცავში. მეც მინდოდა ერთს დროს დოლში გამოსვლა. აქ მინდოდა ნალები დამეკრა, მაგრამ თავი მივანებე.

— რა საკითხებზე. რომელი დარგის წიგნები ;უფროა აქ თავმოყრილი? — შეეკითხე სმიტს.

— ამერიკის ბურჟუაზიას ყველაფერზე მეტად ის უყვარს, რაც სრულებით არ გააჩნია. ასე იცის ფულის ძალით დამთვრალმა ადამიანმა. ამერიკას არა აქვს ისტორია...

— მომითმინეთ, როგორ თუ არა აქვს?

— მაგათი ისტორია სულ რამოდენიმე საუკუნის ისტორიაა. ამას ხომ ისტორია არ ჰქვია! მაგრამ ამერიკელებს ძალიან უყვართ საზოგადოთ ისტორია და მით უმეტესად

ის, რასაც აქ ამერიკის ისტორიას ეძახიან. ესაა პასუხი თქვენ კითხვაზე. პირველ ყოვლისა ამერიკის ისტორიის შესასწავლი მასალაა აქ თავმოყრილი; წიგნები, რასაკვირველია!

— მარტო მაგ არ იქნება. არ მგონია, რომ ამდენი ხალხი მარტო ამერიკის ისტორიის შესასწავლად იყოს მომცდარი!

— რასაკვირველია არა! აქ ჩინებულად შეიძლება მეცადინეობა, თუ რომ მაგალითად, საზოგადოთ აპირობთ ეკონომიური საკითხების გაცნობას, სოციალური საკითხებისათვისაც დიდი მასალა არის დაგროვებული.

ამ დროს ჩვენ ისეთს ადგილს მივადექით, რომელიც წიგნთსაცავს სრულებით აღარ ჰგავდა. მთელ ვეებერთელა დარბაზში დადგმული იყო შუა სიმაღლის შკაფები, შკაფებს დატანებული ჰქონდათ პატარ-პატარა ოთხკუთხი გძელი ყუჯები.

— ეს არის კატალოგების ოთახი. აქ ირჩევს, ვისაც რომელი წიგნი უნდა. თვითეული წიგნი ცალკე კარტონზე არის დაწერილი. აღნიშნულია ავტორი, წელი გამოცემის, ქალაქი, სადაც წიგნი დაიბეჭდა, რამდენი გვერდია წიგნში და სხვ. არის №-იც. უნომროთ წიგნის მიგნება, რა თქმა უნდა, შეუძელებელია.

— აქ არის თითქმის ყველა ეროვნების წიგნები,—მითხრა სმიტმა. — აბა წავიდეთ. აი, აგერ სლავიანური ლიტერატურა, აგერ ებრაული, აგერ სპარსული.

— არც ისე პირწმინდათ ყოფილა ყველა, თორემ ქართულიც იქნებოდა, — შევნიშნე მე გულდაწყვეტით, როცა ვერსად ვერ წავადექი თავზე ქართულ წიგნების სახსენებელს.

— ქართული და საქართველო, არ არის მართალია, მაგრამ გულს ნუ გაიტეხთ, ვაშინგტონის წიგნთსაცავი ამაზე გაცილებით მეტია, იქ უსათუოთ იქნება. იქ დაახლოვებით 4,000,000 ცალი წიგნი იქნება და 100,000 წიგნი ემატება ყოველ-წლიურად.

— ყველა ქვეყნიდან მოდის, ალბათ, ახლად გამოცემული წიგნები, არა?

— რასაკვირველია!

ვნახეთ ის ოთახიც, სადაც უწყვიათ ძველი და თანაც იშვიათი წიგნები. ეს წიგნები მაგრათ არის ჩაკეტილი სქელ შუშაბანდით გამაგრებულ განჯინებში. გარედან დანახვა შეიძლება. ხელის შეხების კი რა მოგახსენოთ!

— აი, გუტენბერგის მიერ დაბეჭდილი ბიბლია,—მითხრა სმიტმა. — ამ ბიბლიაში ვინ იცის რამდენი ფულია დახარჯული. გუტენბერგს, რომ ამ ფულის მეათედი ჰქონებოდა სიცოცხლეში. შეძლებული კაცი იქნებოდა, — ბუზღუნობს სმიტი.

ვნახეთ განყოფილება, სადაც აწყვია სხვადასხვა საჭელგანთქმულ მხატვრების სურათები.

— შერჩეული აქ არაფერი არ არის. ნაყიდია მხოლოდ ის, რაც სხვაზე შედარებით უფრო ძვირი იყო. არის ასლები სხვადასხვა ქანდაკების. ასლი დედანზე უკეთესი არ არის, მაგრამ ყოველ შემთხვევაში კარგათ არის გაკეთებული. აი დაათვალიერეთ, ეს გახლავთ — გავყვეთ ამ დერეფანს — ეს გახლავთ ტიტუსი, ეს სოფოკლეა. აგერ სოკრატიც, ის ძველი სოკრატი, ცოლმა რომ ქოთანის ნარეცხი გადაასხა თავზე, ესეც იულიოს ცეზარი, გახსოვთ, სომ; გიმნაზიაში, ალბათ, გასწავლიდენ. აქაურებს ძალიან მოსწონთ ეს ყმაწვილი. ამერიკელებსაც უყვართ პირველობა და თავკაცობა.

— ეს ბრუტუსი გახლავთ, ესეც გემახსოვრებათ. ცუ-ზარის კარგი მეგობარი იყო, თურმე ცხონებული. სანამ, სანამ... ხომ იცით რა მოხდა მათ შორის? ეს, ბატონო, დემოსფენი გახლავთ. ენა-მეტყველი კაცი იყოო. ამბობენ. არა? ტყუილი ამბავია, კარგს დროს ცხოვრობდა. მაშინ, ალბათ კიდევ შეიძლებოდა ლაპარაკით ადამიანის მოქკვიანება, ეხლა ლაპარაკს არაფერი გასავალი და დაფასება არა აქვს. ეს სოლონი — აღარ მახსოვს. მდიდარი კაცი იყო, მგონი. მაგის სიმდიდრე და ჩვენი ფორდის ერთმანეთთან შესადარებელიც არ არის. მაგრამ ყოველი ადამიანი თავის დროის მიხედვით ფასდება, ხომ იცით?

— არა, შეგეშალათ — მივუგე მე — განა სოლონს სიმდიდრეს უქებდენ? სოლონი ქკვიანი კაცი იყოო, ასე გამიგონია, — შევუბრუნე მე სიტყვა სმიტს.

— სულ ერთია, მომიგო მან... სულ ერთია ქვევით გავყვეთ...

უკანასკნელი პომპეუსია, დიდს, რომ ეძახდენ ის... სარდალი იყო, თუმცა დღევანდელი უნტეროფიცერი უფრო წაუძღვება ჯარს... რა ვუყოთ — მაგასაც თავისი დრო ჰქონდა. ხანგადაუვალი არაფერი არაა. ჩემო კარგო, ასეთია ეს ცხოვრება. რას იზამთ?

— სხვა რა არის კიდევ აქ ყურადღების ღირსი?

— მგონი არაფერი. ოჰ, როგორ არა. არის ერთი შესანიშნავი კუთხე: — ბრმების სამკითხველო.

— როგორ, ამერიკაში ბრმებიც კითხულობენ?

— რატომაც არა! კითხულობენ, მაშ!

— ბრმები კითხულობენ?! როგორ, რანაირათ?

— როგორ კითხულობენ და... არა ისე, რასაკვირველია, როგორც მე და თქვენ. ჩვენ თვალით ვკითხულობთ, ისინი კი თითებით კითხულობენ.

იმ ოთახში, სადაც ბრმები ისხდენ, საარაკო რამ ამბავი ვნახე. ბრმებს წიგნები სხვანაირი აქვთ. თითქოს ვიღაცას თავის გასართობათ დაუჩხვლეტია ქაღალდი.ამ ნაჩხვლეტების ამოზურგულებულ მხარეს ოდნავ სინჯავენ თითებით. ბითი სწრაფათ მიჰქროლავს და ბრმაც. ალბათ კითხულობს. ბრმების წიგნები, რაღაც-უშნო და უზომოთ სქელი და ფართეა.

— ესენიც... ღმერთო ჩემო, ესენიც აპირობენ დოღში გამოსვლას. უნდათ რაიმე შეისწავლონ. მუშტრისათვის საჭირო საქონელის პატრონი შეიქნენ. ამასაც გაძლება და თავის გართმევა უნდა, — ამბობს სმიტი.

— დავათვალიერეთ, ვითომ ჩვენ, როგორც წესია, ისე ეს წიგნთსაცავი?

— დათვალიერების რა მოგახსენოთ, ენახეთ კი. შთაბეჭდილებისათვის რაც საჭიროა, იმდენი ჩარჩება მეხსიერებაში. მეტი რა გნებავთ?

— არა, მე რამოდენჯერმე შემოვივლი კიდევ აქ და მარტო დავათვალიერებ.

— რისი მაქნისია? არ ღირს. მთავარი რაც იყო ჩვენ ენახეთ. აქაურ დოღში გამოსვლას თქვენ, მგონი, არ აპირებთ?

— დოღი არც აქაური და არც სხვაგან ჩემთვის საჭირო საქმე არ არის.

— მაშ, გავყვეთ ეხლა ქუჩებს. მაგრამ ჯერ ამ ბაღში ჩამოვჯდეთ.

წიგნთსაცავის ერთს მხარეზე, მართლაც მშვენიერი ბაღია. არ არის დიდი, რასაკვირველია — ბაღისათვის აქ დიდ ადგილს ვინ მოაცდენს — მაგრამ დანარჩენს ბაღებს იმით მაინც სჯობია, რომ აქ ავტოები არ დადიან.

— რა გემო აქვს მაჭარს, — კიდევ გაიხსენა სმიტმა.

— მაჭარი მჟავეა. — მივუგე კვლავ მეც.

— აი ესეც მჟავეა, მითხრა მან და ხელი წიგნთსაცავისაკენ გაიშვირა.

— ესე იგი, არ მესმის ხეირიანათ.

— ესე იგი ის, რომ მჟავეა და მეტი არაფერი.

— მე მაინც არ მესმის.

— აქ გასაგები არაფერია. ამერიკა ისეთი ქვეყანაა, რომელიც ჯერ არ დამდგარა. ჯერ კიდევ ის ბორგავს, კედელ-ყურეს ეხეთქება. დრო უნდა რომ ყოველივე ეს დადგეს — თავის კალაპოტი მონახოს და დაწყნარდეს. მდიდარია ამერიკა და ამ სიმდიდრით უნდა მან შეიძინოს ის, რაც მას არ გააჩნია. ამერიკას არ ჰყავს გამოჩენილი მწერლები და მხატვრები. სამაგიეროთ მას აქვს ფული და ის ყიდულობს ამ მწერლების ნაწერებსა და ნაწარმოებს. ერთი ვიღაც ახირებული კაცი იყო ამერიკაში — გვარი გადამავიწყდა — გამოჩენილი მწერლების ხელთნაწერებს ყიდულობდა. ფულით ყველაფერი შეიძლება — აი ასე ფიქრობს აქაური ბურჟუაზია, რომელსაც ქონი ყელში ჰწვება. აქაურ მილიონერებს არა აქვთ წოდების სიგელები, აქაც ფულს ხმარობენ, მიდიან ევროპაში და ვინმე გაქუცულ თავადიშვილს იყიდიან, მიათხოვებენ ქალიშვილს, სიძეთ შეიყვანენ ოჯახში. წოდებაც ერთ დროს იმავე გზითა და საშვალებით არის ნაშოვნი, როგორც ეს ქონება და მილიონები: ყაჩაღობით, წაგლეჯით, წართმეით, მაგრამ თავადიშვილის წინაპრების საქმენი საგმირონი ისტორიის ბურუსით არის მოცული, ამათი ამბავი კი დღევანდელი და გუშინდელი დღის სინამდვილეა. ამიტომაც არის, რომ ამერიკის ბურჟუაზია თავის ტყავიდან ძვრება, რომ ისტორიის სამოსელი წამოისხას და თავისი წარსული ისტორიის ბინდით დაჩრდილოს.

— ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ მაჭარი რომ მეავეა?

— ისე როგორც ყოველივე დაუმწიფებელი. ან და ხელისძალათა სასწრაფოთ მომწიფებული. ევროპის კულტურა კი...

— თქვენ არ იყავით მგონი ევროპის კულტურის თაყვანისმცემელი?

— არასოდეს! მაგრამ იქ ის, მძიმეა და თავისებურათ შევსებული, თავთავის ალაგასაა დალაგებული ყველაფერი. ეს კი აუქციონის ვაჭრობაში შეძენილი ნაგლეჯებია.

— თუ შედარება გნებავთ, ევროპის კულტურა, როგორც მოძველბული კაპიტალისტური ქვეყნის, მოძმარებულია. ღვინო რომ სიბერეში წავა, დაძმარდება ხოლმე.

— შეიძლება მაგრეც იყოს. არც ძმარის სმა ვარგა. მაგრამ მაჭარის კიდევ უარესია.

— შედარება სხვა საქმეა, ოღონდ კარგს ჩვენებურ მაჭარს მე დიდი სიამოვნებით გიახლებოდით.

—:—

დღეს მე მისტერ სმიტის სტუმარი გახლავართ. გადაწყვეტილი საქმეა! ბევრი ვიუარე, მაგრამ არაფერი გამივიდა.

— მართალია, აქ სტუმრობა და მასპინძლობა არ იციან, მაგრამ მე რომელი აქაური ვარ? ჩემი ხორცი აქ არის, ჩემი სული იქ ტრიალებს. არაფერი მადლობელი ვარ თქვენი. თქვენთან შეხვედრა და დაახლოვება ჩემთვის ნამდვილი სატანჯველია!

მისტერ სმიტს ერთი ახირებული თვისება აქვს სხვა ბევრ ახირებულ თვისებათა შორის. მისი აზრი უფრო ჩქარა მუშაობს, ვიდრე ენა. არ უყვარს ერთ საგანზე დიდ ხანს შეჩერება. რაც აქვს სათქმელი, ვერ მოათავებს, ნა-

წყვეტათ მიატოვებს, და, როცა ახალ საგანზე გადავა. სრულებით უცხოსა და ახალს რამეს შემოაბრუნებს ენაზე.

მე ვიცი მისი ასეთი თვისების ამბავი. მაგრამ ხშირათ ვერ ვწვდები ამ ნაწყვეტების საშვალებით მის აზრთა მსვლელობის ძაფს.

— არ მესმის მისტერ სმიტ, რატომ დაგაყენათ ჩემმა გაცნობამ თქვენ ასეთი იძულება?

— რატომ და მიტომ... განა ყველაფერს თქმა უნდა? თქვენ ვერ მიხვდებით?

— ვერ მივხვდები, მართალი რომ გითხრათ!

— მაშ, მე გეტყვით! თქვენ აქ რჩებით სამუდამოთ?

— რასაკვირველია, არა!

— ბატონს გაუმარჯოს! მაგას არ ვამბობ მეც!? წახვალთ, ხომ?

— წავალ, რა თქმა უნდა! მე თქვენი ქვეყნის შემთხვევითი და მოკლე ხნის სტუმარი ვარ. ეს თქვენც კარგათ იცით, მე თქვენთვის ეს მითქვამს...

— ისაა კიღევაც, რომ გითქვამთ! რატომ უნდა წახვიდეთ თქვენ და ვერ უნდა წავიდე მე? რატომ, მე თქვენ გეკითხებით?

— პირიქით, თქვენც ჩინებულად შეგიძლიათ წასვლა. როგორც მე. ეს თქვენი სურვილის საქმეა.

— აი, ამას უყურეთ ერთი. სთქვა და გაათავა! ხა-ხა ხა! გამაცინეთ, მე და ჩემმა ღმერთმა. დიდი ხანია ასე გუნებიერათ არ გამიცინია. მე შემიძლია წამოსვლა, არა?

— რატომაც არა?

— რატომ და... რომელი ერთი უნდა ჩამოვთვალო? ხელის თითები არ მეყოფა. ნაპოლეონის ომების დროს. თურმე ერთი ასეთი ამბავი მოხდა. ერთი რომელიღაც ქალაქს მიადგა ნაპოლეონის ჯარი. ამ ქალაქის აღება არ

უნდა გასჭირვებოდა, მაგრამ გასაკვირალი ის იყო, რომ ქალაქის აღება სულ იოლად მოხდა. მიუახლოვდა თუ არა ჯარი ქალაქის კედლებს, ადგილობრივი ჯარი და მცხოვრებლები გამოეგებენ პურ-მარილითა და მოართვეს ქალაქის ჭის-კარის გასაღები კლიტეები.

ამბობენ, ნაპოლეონს გაუკვირდა ეს ამბავი და მაშინათვე ქალაქის ჯარის უფროსი დაიბარა. — ეხლავე აქ მომგვარეთო, გასცა თურმე ბრძანება. მოუყვანეს ეს ჯარის უფროსი.

— რატომ დაგვნებდა ქალაქი ასე უცბათ, რომ ერთი თოფიც არ გაგისვრიათ, — ჰკითხა ნაპოლეონმა.

— შემიძლია დაგისახელოთ მიზეზები. მიზეზები ბევრია, სათვალავით ას-ერთი მიზეზის დასახელება შემიძლია! — მიუგო უფროსმა.

— სთქვით, — უბრძანა, თურმე ნაპოლეონმა.

— მიზეზი პირველი,—დაიწყო ჯარის უფროსმა: ჩვენ არ გვქონდა ტყვია-წამალი, მიზეზი მეორე...

— საკირო აღარ არის,—გააწყვეტინა, ამბობენ, ნაპოლეონმა.

— გაგიგონიათ ეს ამბავია, თუ არაკი? — მომიბრუნდა მე სმიტი.

არა, არ გამიგონია!

— მით უკეთესი! საქმე ისაა, რომ, როცა მტრის მოსაგერებლად ჯარს ტყვია-წამალი არა აქვს, მაშინ ყველაფერიც რომ ხელს უწყობდეს, მისი — ამ ჯარის — საქმე მაინც დაღუპულია. მე კი არც „ტყვია-წამალი“ მაქვს და ასი სხვა დაბრკოლება მიშლის ხელს. მე, ჩემო კარგო, ტყვია-წამალი გამომელია. ყოველი სულიერი არსება იბადება, იზრდება, ბერდება და კვდება. ასეთია მიჯნები ჩვენი ცხოვრებისა. მე ამ გზაზე კარგა ხანია ვეტკეპნი ტალახს,

დავბერდი და ამიერიდან უკანასკნელ მიჯნისაკენ მიმაქანებს ჩემი ბედი უწყალო; მივდივარ იქ, საიდანაც აღარ არის გამობრუნება, სადაც აღარ ისმის არცა ვიში, არცა გოდება!

— გულის გატეხა არ გმართებთ, თქვენ რომ არაფერი მოხუცებული ხართ!

— გულის გატეხა და გამთელება რა შუაშია? მიდის დრო, დღე-დღეს მიჰყვება, წელიწადი წელიწადს მისდევს — ილევა წუთისოფელი. ასეთია კანონი ბუნებისა გარდაუვალი, შეურყეველი! ეს არის ჩემი პირველი მიზეზი, დანარჩენებზე კი არც კი ღირს ლაპარაკი — ყველაფერი აქედან მოდის, ყველაფერს და ყველა ამ მიზეზებს ამ პირველ მიზეზში აქვს სათავე. მქონდეს მე ეხლა ძველებური ახალგაზრდული მოუტეხელი ჯანი და ღონე, გავახვევდი ძველ გაზეთის ქაღალდში ორიოდე წყვილ საცელებს და გაუდგებოდი გზას, მაგრამ quod licet jovis non licet bovis — იცით ხომ, რომაელები ამბობენ ასე. არა? მათ ღმერთები სწამდათ და მიტომ ამბობდენ ღმერთს რაც შეშვენის, ის მოზვერს არ დაშვენდებაო.

— ნუ თუ თქვენ ასე დაძაბუნებულად გრძნობთ თავს? — შეეკითხე სმიტს, მინდოდა ამ ბნელ ფიქრებისათვის მომეშორებია.

— არა, წელი ჯერ კიდევ მაგარი მაქვს, მაგრამ ამ ოკეანეს გადასალახავათ, ახალი ცხოვრებისათვის ხელის მოსაკიდებლათ კი.... აღარ ვვარგვარ, ეს ცხადია, მერე კიდევ ოჯახი, იცით, რა არის აქაური ოჯახი? ან კი რას გეკითხებით, დღეს ხომ ჩემი სტუმარი ხართ. თქვენი თვალით დაინახავთ და გაიგებთ. მაშ, წავიდეთ, წავიდეთ, — მომიჩქარა სმიტმა.

მივდივართ. სმიტი მე თითქოს სრულებით არ მაქცევს ყურადღებას. პირდაპირ იყურება, გამვლელებს თითქოს, ვერც კი ამჩნევს, თვალები გაურკვეველ. სივრცისათვის მიუშტერებია. ორთავე ხელი თავის გრძელი პალტოს ჯიბეებში ჩაუწყვია. მიდის სმიტი და მის სახეზე ათასგვარი ზოლები გადაირბენს ხოლმე, ხან მოიღუშება, ხან გამოიდარებს, ხან დაქანცვის ნიშნებს ვამჩნევ.

— მერე, რა რიგ უნდა ჩემს სულს იმ ახალი ქვეყნის ნახვა, იმ წვირიანი და დაუბანელი მზეთუნახავის კალთაში თავის ჩადება...

აურია, სადაური მზეთუნახავი და'ისიც პირდაუბანელი. ვეტყოდი რამეს, მაგრამ პასუხს არ მომცემს.

— რუსეთი ჯერ ურმისა და ტალახიანი გზების ქვეყანაა, რუსეთს ჯერ ბევრი რამ აკლია. გაუნათლებელია? ფარისევლებო, ფარისევლებო!! რას ჰქვია განათლება? თქვენ გაქვთ ხელში განათლების ლამპარი, თქვენ?? მიეცით გზა, აცალეთ, თავს ნუ დაესხმით და თქვენ დაინახავთ, რა სისწრაფით ჩამოიბანს ის საუკუნოების განმავლობაში რაც წვირე და სიბინძურე სჭირდა მას თქვენივე გამოისობით. — სმიტი ეხლა მრისხანეთ ისვრის ნაკვეთებს, სახეზე სიძულვილი და მუქარა სცვლის ერთმანეთს.

— ეხლავე მოვა ჩემი ბებერი, — მითხრა სმიტმა. როცა მისას მივედით და მისაღებ ოთახში შემიძღვა.

სმიტის ბინა ჩვეულებრივი ამერიკელი ხელმოკლე მუშა-მოსამსახურის ბინაა.

ორი ოთახი, სამზარეულო და არის კიდევ ერთი ოთახი. მაგრამ მას რა სახელი დავარქვა არ ვიცი. ეს ის ოთახი გახლავთ, სადაც ყველა ფეხით დაიარება — მიხვდებოდით ალბათ.

აქვეა ამავე ოთახში ვანა, პირისაბანი. თბილი და ცივი წყალი მუდამ არის ასეთს ბინებზე. გათბობა ასეთს ბინებზე, ორთქლისაა, განათება კი, რასაკვირველია, ელექტრონის.

საუცხოოთ არის მოწყობილი აქაური სამზარეულოები.

არის ბინები, სადაც სამზარეულო მეცნიერის ლაბორატორიას უფრო ჰგავს. ასეთს სამზარეულოში გაზს აღარ ხმარობენ. გაზი მოძველებული საშვალებაა და აღარაა მოწონებაში. გაზის ალაგს ელექტრონი იჭერს. დიასახლისი, როდესაც ასეთს სამზარეულოში ტრიალებს, ასე გეგონებათ პროფესორი ქიმიის ცდებს ახდენსო. ხორაგის გახმარება საჭამანდისათვის. წყალის ჩამატება, სხვადასხვა სანელებლის ჩადება — ყველაფერი ზომითა და წონითაა შეზაეებული. მოდუღება, მოხარშვა, შეწვა, ყოველივე ეს ელექტრონის საშვალებით.

ელექტრონიც არ არის ისე უბრალოთ მოწყობილი, როგორც ჩვენში. დიასახლისს ცალკე სტოლზე დადგმული აქვს რთული რაღაც მოწყობილება. კედელზე მიმაგრებულ დაფაზე სხვადასხვა წარწერებია. ამ წარწერების თანახმათ აამუშავებს ის ელექტრონის ძალას. საჭიროა, ვთქვათ, საჭამანდის ნელ ცეცხლზე მოდუღება, მაშინ ელექტრონის სახელური ერთ რომელიმე წარწერის გასწვრივ უნდა დააყენოთ, საჭიროა ჩქარი ცეცხლი, მაშინ ეს სახელური კიდევ სხვა ალაგას უნდა გადასწიოთ და სხვ. და სხვ.

თვითეულ მზარეულს, თუ დიასახლისს, აქვს წიგნი, რომელშიაც არის ნათქვამი, თუ რომელ ხორცს, რომელ საჭამანდს რამდენი ხნის დუღება, რამდენი ხნით ცეცხლზე დადგმა სჭირდება.

ვთქვათ, რომ თქვენ გეჩქარებათ, არ შეგიძლიათ მოუცადოთ, როდის გათავდება საკამანდის ხარშვა. მაშინ თქვენ წიგნიდან ამოკრეფილი ცნობების მიხედვით დააყენებთ თქვენს აპარატს. მაგალითად 20 წუთზე, ნახევარ საათზე, იმისდა მიხედვით, თუ რამდენია საჭირო, და შეგიძლიათ არხეინათ გზას გაუდგეთ. მანქანა სწორეთ იმღენ დროს იმუშავებს, რამდენიც საჭიროა და ამის შემდეგ თვითონ გაჩერდება.

არც დაიგვიანებს, არც აიჩქარებს.

ასეთია ჩვეულებრივი სამზარეულო. ჰო, დამავიწყდა, თვითეულ სამზარეულოში არის აგრეთვე საყინულე, რომელიც იმავე ელექტრონის საშვალებით თვითონ ამზადებს ყინულს.

მისტერ სმიტის ბინა ვერ არის ასე ჩინებულათ მორთული და მოკაზმული. მას არა აქვს ელექტრონის სამზარეულო — ჩვეულებრივი გაზით სარგებლობს. გარდა ამისა, ის ამ უბანში თითქმის ერთი „თეთრი" ადამიანია, რომ ცხოვრობს.

ამერიკელებს არაფრათ უყვართ ზანგები. გაურბიან მათთან კავშირსა და მეზობლობას. ქარხნებში კიდევ ნასავთ, რომ „თეთრი" და „შავი" მუშა ერთმანეთთან კავშირს არ ერიდება, მაგრამ ისე — ქალაქში ათასში ერთი. მაგალითი უნდა ეძიოთ, რომ ქუჩაში თეთრსა და შავს ერთათ გამვლელსა და მოლაპარაკეს გადაეყაროთ. იმ უბანში, სადაც შავები ცხოვრობენ, თეთრი ბინას არ დაიჭერს. სმიტი ამ შემთხვევაშიაც გამონაკლისს შეადგენს, გამონაკლისს მეტის-მეტათ იშვიათს და თითით საჩვენებელს.

— არ მოგწონთ განა ჩემი ბინა? — მეკითხება სმიტი.

— რატომაც არა, ჩინებულია!



გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმს"-ის რედაქციის შენობა.

— აქაურ პირობების კვალობაზე ეს ბინა კი არაა... ხომ იცით, რომ ეს „შავების" უბანია. ამიტომაცაა, რომ ეს ბინა შედარებით უფრო იაფია. თეთრი აქ არ დადგება. თუ არა ჩემსავით თავზე ხელ-აღებული.

სმიტი ვერ არის კარგს გუნებაზე. წაღმა-უკუღმა გადის და გამოდის სხვადასხვა ოთახებში.

— რაღაც დააგვიანდა ჩემს ბებერს. დღეს ის გაღმა უნდა წასულიყო...

— სად გაღმა? — გამიკვირდა მე.

— ჰუდსონის გაღმა, იქ მეორე ქალაქია, ყოველ შემოსვეკაში, სახელი სხვა ჰქვია ნიუ-ჯერსი. იქ უფრო იაფია ცხოვრება, არ არის ასეთი სივიწროვე მიწის. იქ ჩემი უფროსი ვაჟი ცხოვრობს. ოჯახს მოეკიდა, ჩემთან აღარ მოისურვა ცხოვრება.

— მსახურობს, ალბათ? — შევეკითხე მე. ეტყობა, რომ სმიტი ამ თავის ვაჟის მადლიერი არაა. არ მოსწონს როგორც ჰყავს ბისი ცალკე წასვლა საცხოვრებლად.

— მსახურობს, როგორ არა. როგორ გეკადრებათ, „თეთრი საყელოს" ორდენის წევრი გახლავთ. იკადრებს ის ამ „შავების" უბანში ცხოვრებას?!

— დიდი ხანია, რაც ცოლი შეირთო?

— არა, აგერ ექვსი თვე იქნება. მისი ცოლი აქაური მასწავლებელი ქალია. იქ თქვენში მასწავლებელი ქალი მოწინავე ადამიანია, აქ კი ქალები საზოგადოთ მეტისმეტად ჩამორჩენილი ხალხია. მით უმეტეს მასწავლებელი-ქალები. სინდისის — გაიგონეთ — სინდისის და არა შიშის ქვეშ ზრდიან და ამზადებენ ისინი კაპიტალისტური სამყაროსათვის საჭირო და გამოსადეგ მონებს.

— გასაკვირალია... — წამოვიწყე მე. მაგრამ სმიტმა არ დამაცალა.

— არაფერიც არ არის გასაკვირალი, რომ აქაური ქალები ასეთები არიან. ამას ბევრი მიზეზები აქვს. გასაკვირველი და სატირალი ისაა, რომ ჩემი — გესმით ჩ ე მ ი შვილი სულით, გონებით, რწმენით, მიმართულებთ, ჩემი კი არ არის, არამედ იმათია, იმათი, ვის წინააღმდეგ ბრძოლას შევალიე მე ჩემი ახალგაზრდობა, ჩემი ცხოვრება, ჩემი ჯანი და ღონე.

ალბათ, ბევრს ილაპარაკებდა ამის თაობაზე სმიტი, მაგრამ ამ დროს მისი მეუღლეც მოვიდა.

— სალამი ჩემო მზეთუნახავო! სად დამეკარგე? სად იყავი ამდენ ხანს?

— ხომ იცი, სადაც ვიყავი. შევრჩი. შენი ვაჟი და ჩემი რძალი კარგათ არიან, მოგიკითხესთ ორთავემ. ვოლოდია იქნებ მოვიდეს ამ საღამოს, რძალი კი....

— ოჰ?! სთქვი ბარემლა ნუ გეშინია. რასი გერიდება? ვერ მოვა, არა? ჰო და ნუ მოვა. ოუნდ ნურც შენი ვაჟი მობრძანდება. არ ვიტირებ, შავებს არ დავიღებავ, თავზე ნაცარს არ დავიყრი მაგის გულისათვის.

— ნუ იცი, ადამიანო, გადარევა! რა ვიყოთ, ახალგაზრდა ხალხია. გაიხსენე შენი ახალგაზრდობა, — უყვავებდა ცოლი.

— ჩვენც ვიყავით, ჩემო კარგო, ვიყავით ახალგაზრდა, მაგრამ ჩვენი ახალგაზრდობა ზვარაკათ მიტანილი მსხვერპლი იყო. პირადი, საკუთარი კეთილდღეობა, თავის-თავზე ფიქრი, აღარ გახსოვს, როგორ გვძულდა ჩვენ ეს ყველაფერი? ციხე, გადასახლება, უცხოეთში ხეტიალი, რომელი ერთი ვთქვა, დაგავიწყდა, განა?

— არაფერიც არ დამვიწყებია, მაგრამ, რას იზამ. ის სხვა დრო იყო, ეს სხვა დროა, იქ სხვა პირობები იყო. აქ სხვაა,

სმიტის მეუღლე სიბერეში წასული ადამიანია. თმაში კიდევ ურევია იქი-აქ შავი, ჭაღაია ძატობს. ჩამომხმარ სახეზე ფაყვეთ აქვს გადაკრული ლიბერი ხმელი კანი თვალები ღრმათ უზის უპეებში. საოვალეები კიდევ უფრო აბერებს ამ სახეს. ეტყობა გულკეთილი ადამიანია. ქმარს ისე ელაპარაკება, თითქოს დიდს ბავშს, რომელსაც მოფერებითა და დაყვავებით უნდა მოაშლევიოს ახირებული ზნე.

— სხვაა, რასაკვირველია, დიაღაც რომ სხვაა. იქ ველური იყო უხეში და ტლანქი ძალადობა. თავპირში გიხათქუნებდენ. ჩვენც პირდაპირ ვებრძოდით. არ იყო დანდობა და შებრალება...

— შებრალება არც აქ იციან, ნუ გეშინია მორიდებასა და ბოდიშს არავინ დაგიწყებს, — გააწყვეტია ცოლმა.

— განა არ ვიცი, რომ არ მოგებოდიშებიან, ვ ი ც ი! მე მაგას კი არ ვამბობ. მე იმის თქმა მინდა, რომ აქ ძალადობა ათასნაირ სამოსელშია გამოხვეული. ადამიანს აქ შვილი ვერ გაუზრდია თავის ქკუაზე. ჩემი შვილი, ადამიანის, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შეალია ბრძოლას, რომელიც არ დაინანებს თუნდა თავისი უკანასკნელი დღეები შესწიროს კაპიტალისტურ ჯოჯოხეთის წაქცევას, ჩემი შვილი კაპიტალისტური წესწყობილების მოტრფიალე და მოყვარულია. მერე რისი მქონე? უბრალო მოსამსახურე. ყოველივე საკუთრებას მოკლებული. ღარიბი და ღატაკი, რომელიც ვერასოდეს ვერ გახდება სიმდიდრის პატრონი...

— ჯერ ახალგაზრდაა, თავმოყვარეა, უნდა რომ თავისით დამოუკიდებლათ გაიკვლიოს ცხოვრების გზა, ნურც მაგრე დაძრახავ...

— ახალგაზრდაა, არა? რა ვუყოთ რომ ახალგაზრდაა? ამ შენ ახალგაზრდას უკვე ახველებს და სისხლს აღებინებს, ხომ? მერე რისათვის? რომ ბატონ ხაზეინს ასიამოვნოს.

მე უხერხულად ვგრძნობდი თავს. არ მინდოდა ამ შინაურ უსიამოვნებას მოწმეთ დავსწრებოდი, მაგრამ რაღაც მარცხათ იქ ვიყავი და მთლად მუნჯივით ყოფნას ისევ ვარჩიე, რომ ლაპარაკში მიმეღო რაიმე მონაწილეობა.

— უკაცრავად, სად მსახურობს თქვენი ვაჟი? — შევეკითხე მე.

— ბანკში მსახურობს, ბ ა ნ კ შ ი. რა თანამდებობაზეა?

— არ ვიცი ვერ გეტყვით. მაგ არაფერი, სამსახურში უნდა შევიდეს, რასაკვირველია! აბა თავს რითი ირჩენს? მე მაგას კი არ ვუწუნებ, იმ მამაცხონებულს გადაუწყვეტია, რომ რამენაირად უფროსების „ყურადღება“ და „პატივისცემა“ დაიმსახუროს, ამიტომ თავს აკლავს.

— ნუ იცი, კაცო, შენც გაზვიადება!—შეუტია ცოლმა.

— გაზვიადება?!

—აბა, რა ამდენი სალაპარაკოა ეხლა მაგ ამბავი! ცდილობს, რომ დაწინაურდეს, რა არის მაგაში დასაძრახისი?

— შენ ეს მითხარი, ეხლა როგორ არის? აღარ ავადმყოფობს?

— ვერ არის კარგათ. მე რა დაგიმალო, მოვა და შენ თვითონ დაინახავ...

— მე არ მიკვირს, არ მიკვირს. თქვენ წარმოიდგინეთ, უნდა ადგეს ყოველ დღესაათის ხუთზე. საუზმე უნდა მოამზადოს თავისათვის და თავის მეუღლისათვის. ასეთი ყოფილა წესი. ქალბატონი ლოგინში მიირთმევს საუზმეს. შემდეგ იქედან მორბის თავ-ქუდ გადაგლეჯილი სამსახურში.

— ასე ადრე?

— ადრეა, რასაკვირველია, მაგრამ მას, აკი მოგახსენეთ, თავის გამოჩენა უნდა, დაწინაურება. ადრე მოვა ერთი ან ორი საათით, ჩაუჯდება და ჩაკიტკიტებს იმ ქალალდებს. ასე იციან აქ, ამ დალუპულსა და დაწყეველილს ქვეყანაში.

— სავალდებულოა ასეთი ზედმეტი მუშაობა?

— სავალდებულო არ არის, რასაკვირველია, მაგრამ ვინც ამ წესს დაარღვევს ის, ისე იქნება ერთსა და იმავე ალაგას რამოდენიმე წელიწადს, რომ ჯამაგირის მომატებაზე ან სამსახურის საქმეში დაწინაურებაზე ფიქრიც კი უნდა დაივიწყოს.

— თუ აძლევენ მაინც რამეს ამ ზედმეტ მუშაობაში?

— არაფერს, ერთს გროშს. ყურგახვრეტილ ფარას არავინ მიაშავებს. ამას თავი დაანებეთ. როგორც დილით, ისე საღამოთი: ერთი ან ორი საათი ზედმეტათ ზის და აკლავს თავს მუშაობას.

— სამაგიეროთ. — უნდოდა ჩარეოდა ლაპარაკში სმიტის ცოლი.

— სამაგიეროთ, როცა ჯანი მოტყდება და დაავათმყოფდება, საკმარისია რამოდენიმე დღე გააცდინოს ზედიზედ და პაწლურის ცემით გამოისტუმრებენ, — არ დაანება სიტყვა სმიტმა.

— არც სულ მაგრეა, გადამლაშება არ ვარგა. ამასწინათ ავათ არ იყო, მთელი ერთი კვირა რომ ლოგინში იწვა, აღარ გახსოვს?

— მახსოვს. მერე? შე კაი ქალო, ადამიანი მუაშობის დროს პირდაპირ რომ იჯდა და მუშაობდა, მაშინ წაიქცა და პირიდან სისხლი წასქდა...

— ჰო? და ხომ არავის დაუთხოვია სამსახურიდან?

— მაგას-ღა ემართლებოდენ! შენ ერთი ეს მითხარი. ეხლა როგორაა. კარგათაა ჯანზე?

— აკი გითხარი როგორაცაა!

— მაგას არ ვამბობ მეც? ვინ მისცა მაგათ სამართალი და შებრალება ადამიანის, თორემ ის ეხლაც ლოგინში უნდა იყოს და თავს უნდა უვლიდეს. იმისათვის ეხლა საჭიროა მოვლა და დასვენება.

— ჩვენი მოსვენება. აი იქ რომ წავალთ, — სადღაც გაურკვეველათ გაიქნია ხელი. — იქ იქნება. იქ არც სამსახური გვექნება და არც სამუშაო. — მწარეთ პუტუნობს თავისათვის ჭაღარა ქალი. თვალებს ცრემლები აწვება.

— კარგი, კარგი. სადილი ვჭამოთ და მერე იყოს ყოველივე მაგის ლაპარაკი. — თითქო დაწყნარდა მისტერ სმიტი.

სმიტის მეუღლე სამზარეულოსაკენ წავიდა. ჩვენ მარტო დავრჩით.

— არა, მესმის ეს სასტიკი და საშინელი ქვეყანაა. აქ გრძნობა არ მუშაობს. ყველაფერი ანგარიშზეა აშენებული. რა არის აქაური კაპიტალისტისათვის ადამიანი-მოსამსახურე? მანქანა. რომელმაც ამდენი და ამდენი საათი უნდა იმუშაოს. არც მეტი არც ნაკლები! წახდება მანქანა? როდესაც ნამდვილ უსულოთ რკინისა და ფოლადის მასალით გაკეთებული მანქანა წახდება-მოიშლება, მაშინ მისი პატრონი მას კიდევ, რემონტის გასაკეთებლად გასცემს. ეს მანქანა ნაყიდია, მისი ადრე გაფუჭება — ზარალია. მაგრამ. როცა მანქანა-ადამიანი ცვდება. ფუჭდება, მის შეკეთებაზე არავინ ზრუნავს. ის კი არ არის ნაყიდი. ეს მანქანა მხოლოდ დღიური ნამუშევარის ქირას ღებულობს. ასეთია აქ ცხოვრება. სისასტიკეა ეს? — არა! ეს უბრალო ანგარიშია, მეტი არაფერი. სასტიკი ადამიანის

შესახებ ითქმის. მაგრამ თვით კაპიტალისტებიც ხომ იგივე მანქანებია და მეტი არაფერი.

ბორგავს მისტერ სმიტი, ცალი თვალი კარებისაკენ აქვს. ვატყობ, არ უნდა გააგონოს თავის მეუღლეს. თავს იკავებს, მაგრამ ვერ ახერხებს.

— ეს ყველაფერი ასეა, მესმის, მაგრამ სიყვარული ამ საშინელების, გიყვარდეს და მიგაჩნდეს ადამიანის ღირსეულ ხვედრათ ასეთს უბედურებაში ყოფნა, აი ამასაა, რომ ვერ შევრიგებივარ მე.

კარები გაიღო და შემოანათა წითური თმით შემოსილმა თავმა.

— პატარა გარის ვახლავართ, ვახლავართ, მოდი აქ, მოდი, ნუ გეშინია, მოდი ბაბუასთან.

შემოვიდა პატარა 10 წლის ბიჭი.

— მარტო მოდი? — ჰკითხა მას სმიტმა.

— ჰო, მარტო, სულ მარტო!

— რატომ ამხანაგებს არ წამოჰყევი?

— ეს ჩემი შვილი-შვილია. უფროსი ქალი მყავდა აქ გათხოვილი. ქმარი რაღაც უცნაურათ დაიღუპა. ცოლიც აქ, ქუჩაში ავტომობილმა დააშავა, მთელი ექვსი ღვე იწვალა, მაგრამ... ისიც დაიღუპა.—მწარეთ ჩაიქნია ხელი სმიტმა. — ეს ბიჭი დამრჩა სამახსოვროთ.

— არა, რუსული ერთი სიტყვაც არ აცის! გარი, მოდი აქ. მოდი ბაბუა. აი მოდი გაიცანი ეს ძია. ეს იმ ქვეყნიდან არის, მე რომ მითქვამს ხოლმე შენთვის, გახსოვს?

— იმ ქვეყნიდან, სადაც ლენინი ცხოვრობდა?

— ჰო. ბარაქალა, სწორეთ აქედან. არ დაგვიწყებია, კარგი ბიჭი ხარ. მოდი ერთი გაკოცებ.—ბავში სმიტმა მუხლებზე დაიჯინა.

აბა, მითხარი გარი, რატომ მოდი შენ დღეს მარტო, რატომ არ გამოჰყევი სხვებს?

— არავინ არ გამომიყოლა და მიტომ!

— რატომ მოხდა ასეთი ამბავი? მატყუებ მე შენ, მართალი მითხარი!

— მართალს ვამბობ. დღეს მასწავლებელმა სკოლაში ასეთი კითხვა მოგვცა, რომელი ქვეყნის ჯარია ყველაზე უკეთესიო? მეც უთხარი საბჭოთა კავშირის წითელი ჯარი ყველაზე უკეთესია მეთქი!

— მერე, მერე, ჩაეკითხა სმიტი.

— რატომაო, — მკითხა მასწავლებელმა...

— მერე შენ რა უთხარი?

— რატომათქო ვუთხარი მე და იმიტომათქო, რომ წითელმა ჯარმა მეთქი ბურჟუაზია მოსპო და....

— აი ვენაცვალე ჩემს გარის, აგრე, ბაბუა, აგრე!

— აგრე და მე ჯერ მასწავლებელი გამიწყრა და შემდეგ, გაკვეთილის გათავების შემდეგ ბავშები დამესიენ და იმდენი მცემეს, იმდენი მცემეს — წადი და შენმა წითელმა ჯარმა გიშველოს ახლაო.

— მერე რა მოხდა?

— მერე სთქვეს, ჩვენ მაგ აღარ გაეიკაროთ შორიახლოს არც თამაშშიო და არც სხვა რამეშიო. — ბავშს გული ამოუჯდა და ტირილი დაიწყო.

სმიტმა ბავში ძირს დასვა, მან მაშინათვე მოკურცხლა სამზარეულოსაკენ, სადაც ბებია ეგულებოდა.

— მაინც არ დავანებებ, მაგ ჩემ გარის იმ საძაგლებს. თუ ჩემი შვილი მაგათი ჭკუის გამოვიდა, ეს პატარა გარი მაინც უნდა გავზარდო ჩემი ჭკუის. ასეთია აქაური ცხოვრება ჩემო კარგო. არ მეყოფა ტყვია და წამალი რომ

ახალი ცხოვრება დავიწყო, მაგრამ ამ ერთ პატარა ბიჭს მაინც ჩავუნერგავ გულში მათ სიძულვილს.

— ქართველები, როგორ არა, არიან, ცხოვრობენ ამერიკაში, მაგრამ მე მაინცა და მაინც მათთან დიდი არაფერი კავშირი მაქვს, — მითხრა მისტერ სმიტმა, როდესაც შეეკითხე:

— ქართველებს ხომ არავის იცნობთ მეთქი?

— ქართველები, — განაგრძო სმიტმა, — ერთს დროს დიდს მოწონებაში იყვენ აქ. ცირკში გამოდიოდენ. ცხენებზე კისრის მოსატეხს რაღაცას თაძაშობდენ. ეს კარგა ხნის ამბავია. ეხლა მათი ასავალ-დასავალი გაჰქრა. არ ვიცი. იქნებ ისევ უკვე დაბრუნდნენ. თითო-ოროლა იქნებ ეხლაც არის სადმე. მაგრამ მათი ცნობა არა მაქვს.

— ნუ თუ ამ ვეება ქალაქში ამ 7-8 მილიონ ხალხში ათიოდე ქართველი არ უნდა იყოს? არ მჯერა.

— შეიძლება იყოს კიდევაც, მაგრამ ნახვა არ უნდა? ეძიე შენ ამოდენა ხალხში ქართველი კაცი. ჰო, როგორ არა. ვიცნობ. ვიცნობ ერთს ახალგაზრდას. აქ ცხოვრობს. ამასწინათ ჩემთან მოესწავლებიათ, იყო მართლაც ჩემთან. მისამართი და ტელეფონის ნომერი დამიტოვა.

— იქნება მომცეთ ეს მისამართ, მოვძებნი.

— კეთილი და პატიოსანი. მაგრამ ეგ რა საქმეროა. სახლში რომ გავბრუნდები, მოვნახავ იმ ქალალდს და მე დავურეკავ და გადავსცემ რომ მან თითონ მოგინახულოსთ.

ამაზე შევთანხმდით. ამის შემდეგ რამოდენიმე დღემ გაიარა. მე სრულებით გადამავიწყდა ეს ამბავი და ერთს საღამოს, როცა სახლში ვიჯექი და ინგლისურ სიტყვების

გაზეპირებით ვირთობდი თავს, ეს ქართველი ახალგაზრდა სრულებით მოულოდნელად დამეცა თავზე.

— კი, რასაკვირველია, მე თქვენ კარგათ გიცნობთ. თქვენ გაზეთებში სწერდით ხოლმე. — მეუბნება ეს ახალგაზრდა.

— სადაური ბრძანდებით? — ვეკითხები მე.

— ქუთაისელი გახლავართ.

— დიდი ხანია, რაც საქართველოში აღარ ყოფილ ხართ?

— კარგი ხანია.

— მაინც?

— იქნება ასე ცხრა წელიწადი.

გამიკვირდა, რომ ეს ახალგაზრდა პირველად გერმანიაში ყოფილა სასწავლებლად წამოსული ჯერ კიდევ მენშევიკების დროს. იქ აღარ მოუცდია და ამერიკაში გადმოხვეწილა. ამერიკაში სულ რაღაც ოთხი წელიწადია რაც ვარო, მითხრა.

— არ აპირობ საქართველოში დაბრუნებას?

— როგორ არ ვაპირობ, მაგრამ... — გაუჭირდა მეტის თქმა.

— მაგრამ, რა? — ჩამოვართვი მე სიტყვა.

— ვინ გამიშვებს? ვინ მომცემს იქ წასვლის უფლებას?

— რას გემართლებიან? დანაშაული ხომ არაფერი მიგიძღვით?

— არაფერი, მე ჯერ კიდევ მთლად ბავში ვიყავი იქედან რომ წამოვედი. არც არაფერი დამიშავებია და არც არაფერი გამიკეთებია — ვსწავლობდი.

— ეხლა აქ რას აკეთებთ?

— მე ჯერ გერმანიაში ვიყავი, იქ სამეურნეო სწავლა დავათავე უმაღლეს სასწავლებელში. მასუკან აქ ვარ და

აქ პრაქტიკულად ვეცნობი ამ საქმეს. დიდი გამოცდილება შევიძინე.

ჩვენი მუსაიფი კარგს ხანს გაგრძელდა. დღევანდელ საქართველოს შესახებ მას რაღაც ველური წარმოდგენა აქვს როგორც ჰგავს ჩვენს შესახებ მხოლოდ ის იცის, რასაც პარიზის რომ „დამოუკიდებელ საქართველოში" ამოიკითხავს. ჩემი წათქვამი სანახევროთ სჯერა. იქვიანობს ალბათ, დარწმუნებულია საგანგებოთ შემოჩენილი ვინაა, უნდა გზა და კვალი ამიბნიოსო.

ბ[illegible] „მორჯულება" არ შეადგენს ჩემს მიზანს. ვიცი, რომ, რამდენსაც მიეძალები, იმდენათ „ფეხს გაიდგამს". როგორც ერჩიოს. მინდა მაინც ის გამოვიყენო აქაური ქართველების მოსაძებნათ.

მისგან მე მართლაც მივიღე ერთი აქაური ქართველი ოჯახის მისამართი. ვეცდები ვნახო და გავეცნო მათ აქაურ ყოფა-ცხოვრებას.

— თქვენ გაგიკირდებათ მათი მიგნება. მე ეხლავე დაურეკავ, ვკითხავ, როდის შეიძლება მათი ნახვა და დანიშნულ დროზე ერთად წავიდეთ.

დანიშნულ დროს მე და ჩემი ახლად გაცნობილი ქართველი (— რა ხელობის არის მე თვითონ არ ვიცი, თქვენ რა გითხრათ —) ერთი სიტყვით ეს ქართველი ახალგაზრდა და მე უკვე ვიყავით იმ კარებთან, რომელსაც ინგლისურათ ეწერა მისტერ ჩ ე ლ ი".

— შეგვეშალა, ალბათ, აქ. როგორც ჰგავს ვიღაც ამერიკელი ცხოვრობს, ისე ჰგავს.

— არა, არა, ეს არის, ჩვენებური კაცია, რაქველი უნდა იყოს. ვყოფილვარ რამოდენიმეჯერ. — დამაჯერა ჩემმა გამყოლმა.

კარებში თვით მისტერ ჩ ე ლ ი გამოგვეგება. ერთი შესანიშნავი ნამდვილი ამერიკელია. წვერ ულვაში ძირში აქვს მოსისნილი: ძალიან მარჯვე რწყილი უნდა, რომ ფეხი მოიკიდოს. გამაცნო თავისი მეუღლე მისის მერი ჩ ე ლ ი. ესეც ნამდვილი ამერიკელი მანდილოსანია. ნუბიერათ ცხოვრობენ, როგორც ჰგავს, ეს გაამერიკებული ქართველები. ეს მეტადრე ამ ქალს ეტყობა. ტანისამოსი. მართალია, აცვია, მაგრამ იმდენათ და იმდენი, რომ ტიტველი ტანის ზოგ-ზოგიერთი ადგილი დაიფაროს და სხვა და სხვა სამკაულები ჩამოიკიდოს.

ჩვენი თითქმის ნაძალადევი სტუმრობა საწყენათ აღ-დარჩენიათ. გულღიათ მიგვიღეს. ეს პირველია, რითაც ეს ცოლ-ქმარი არ ჰგვანან ამერიკელებს.

ქმარი ჯარგვალა ბიჭია. მართალია, რქის ფართე და და მსხვილ რგოლებში ჩაყენებული სათვალეები აქვს თვალებზე აფარებული. ეს თითქოს აქაურ ამერიკელ იერს ჰგვრის მის სახეს, მაგრამ, ქცევა, მიხვრა-მოხვრა და სიტყვა-პასუხი. ეს სულ არ ჰგავს ამერიკელისას — ნამდვილი ჩვენებური ქალაქელი ავარა-ბიჭია.

მისი მეუღლე მ ე რ ი კი უფრო ნაკლებათ ჰგავს ამერიკელს. ტყვილა დაუშიშვლებია გულ-ბოყვი და მკლავები — ნამდვილი რუსის მათუშკაა. ერთად ერთი რაც ორთავეს ნამდვილი ამერიკელი აქვს, ეს მათი სახელი და გვარია.

„მისტერი“ უფასო დამატებაა ყოველი სახელისა და გვარის. ამ სიტყვას დიდი გასავალი აქვს და არავითარი ფასი: მისტერია თვით ჭუვერი. მისტერია ქუჩის დამგველიც. სახელი ჩემს ნაცნობს გარი, ანუ კიდევ ჰარი ჰქვია. გადაკეთებულია, რასაკვირველია ჩვენებური სახელიდან. ეს აქ დასაძრახისი ან და აღკრძალული რამ საქმე არ არის.

ვისაც რა სახელსა და გვარს მოისურვებს, იმას დაირქმევს ჩვენში ის ალბათ, გრიგორი, გრიშა ან სხვა რამ ასეთი სახელის პატრონი იქნებოდა, აქ ჰარი, თუ გარი გამხდარა.

რატომ მოხდა ეს ცვლილება?!

ამის პასუხი თვით მისტერ ჩ ე ლ ი ს ა გ ა ნ არ გამიგონია. არც კი იყო საჭირო ამის გამოკითხვა.

ჩამოვიდა, ალბათ, ამერიკაში — 1905 წლის შემდეგ. პოლიცია დაჭირვას მიპირობდაო, ასე ამბობს თვითონ — როგორ ჩამოაღწია აქამდე, ღმერთმა იცის, თანაც მარტო ხომ არ ჩამოსულა, მეუღლეც თან ჩამოუყვანია. ხელობა რაღაც სცოდნია.

ეს უენო და უფულო ადამიანი დახეტიალობდა, როგორც ჰგავს, ამერიკის სხვა და სხვა ქალაქებში ლუკმა პურის საშოვნელად. ისიც, ალბათ, როცა სახელს ჰკითხავდენ, თავის ნამდვილ — რაჭაში რომ მღვდელმა ამოუკითხა ნათვლის დროს — იმ სახელს ეუბნებოდა.

ძნელია უცხო ქვეყანაში შენი კუთხის ქუდითა და სამოსელით გამოჩნდე, უფრო ძნელია, როდესაც ამერიკელს რაღაც უცხო და უცნაურ სახელს ეუბნები, რომლისათვისაც მას გაუჭირდება ყურის შეჩვევა, დამახსოვრება და გამოთქმა.

გამოჩნდა, ალბათ, ვიღაც მადლიანი ადამიანი, შეიძლება, ისიც იმავე წესით ჩამოსული ამერიკაში, და ურჩია სახელი გამოიცვალეო.

მაგრამ რას ნიშნავს ეს ჩ ე ლ ი? ეს უნდა ვკითხო.

— ჩემი ნადვილი ქართული გვარი ჭ ე ლ ი ძ ე არის — მითხრა მისტერ ჩელიმ. რაჭველი ვარ. ჭრებალოს ახლოს ვცხოვრობთ, ლეჩხუმის საზღვარზე. აქ მოკლე გვარები იციან და მეც ჩემი გვარი ასე გადავაკეთე.

ამერიკაში დრო ფული ღირს. ვის სცალია შენი რაღაც უცნაური გვარის დასასწავლად? ვინ შეიწუხებს თავს, რომ ისეთი რამ სიტყვები ისწავლოს, რომლის მზგავსი თავის დღეში არ გაუგონია?

ეს რაჭველი ჭელიძე, როგორც ჰგავს, ბუნებრივ ნიჭს მოკლებული ადამიანი არ უნდა იყოს, გვარი შუაზედ გადაუჭრია, შემდეგ ჭარ-ის მაგივრათ ჩინი ჩაურთავს გვარისათვის თავში და გამოსულა შენი მოწონებული ჩელი.

მაგრამ მარტო გვარი და სახელი რომ არ შველის ადამიანს?

აქაც ყუათი გამოუჩენია ჭრებალოდან წამოსულს ჭელიძეს. დაუდევს სამართებელი და ისე პირწმინდათ „გაუხვისნია" პირისახე, რომ ბუმბლი აღარსად დაუტოვებია. ვინ იცის, ეს სამართებელი, იმას, შეიძლება, ქუთაისში ჰქონდა ნაყიდი „ებრაელების ბაზარში" — იქ, სადაც მანეთად რომ საგანს დაგიფასებენ, შემდეგ ორ უზალთუნად შემოგაძლევენ ხელში. ვინ იცის, ეს სამართებელი იმას ესლაც აქვს სადმე შემონახული.

ამერიკელია ჰარი ჩელი, თანაც მისტერი. გვარი და სახელი ისეთი აქვს, როგორც საზოგადოთ არის წესათ შემოღებული ამერიკაში. გამოწყობილი და მოკაზმულიც ისეა, როგორც შეშვენის ამერიკას.

— ქართული გახსოვთ, შეეკითხე მას. როდესაც სასტუმრო ოთახში შეგვიპატიჟა და რაღაც რუსულ. ინგლისურ-ქართულ ნარევით დაიწყო ბოდიშის მოხდა. თითქოს იმის თქმა უნდოდა, მე თვითონ უნდა მოვსულიყავი და უნდა მენახეთო. თუ სხვა რამ ამის მზგავსი.

— ქართული? ძალიან ცოტა, ძალიან ცოტა!!! მე აგერ დეეიატსოტ-პიატი გოდას შემდეგ აქ ვცხოვრობ.—რაჭველ კაცს რომ კილოზე არ შეეტყოს, არ შეიძლება. თვითეუ-

ლი რაქველი მეტ-ნაკლებათ იმაკე კილოთი დაპარაკობს, როგორც შამშე ლეჟავა.

ქართული იმდენათ დავიწყებული არ ექნება, მაგრამ, როგორც ჰგავს, არ უნდა გაამხილოს—იქნებ ეშინია ამერიკული „ფასონი“ წამიხდებაო.

— ამერიკაში რა ენას ხმარობთ?

— ანგლიცურს.

ვერაფერი ნათქვამია ეს „ანგლიცური“, მაგრამ რას მოჰკითხავ მისტერ ჩელის, როდესაც მას ქართული დავიწყებია და ეს „ანგლიცური“ ალბათ ისე იცის, ჩვენში რომ იტყვიან „საპრაზნიკოთო“.

— ცხოვრობენ კიდევ ქართველები ამერიკაში?

— არიან, როგორ არა! არიან, მაგრამ ბევრს მათგანს ვერ ვცნობ. შორს არიან მისვლა-მოსვლა გვიჭირს.

მისის მერი ჩ ე ლ ი, მისტერ ჰარი ჩელის მეუღლე თავისუფლად ლაპარაკობს რუსულს.

— ჩვენ, მე და ჩემი ქმარი ვაპირობთ ამერიკიდან რუსეთში წასვლას, მაგრამ ძალიან გვეშინია; არ ვიცით, მოგვცემენ ნებას, თუ არა?

— მინდა ერთი ჩემი ქვეყანა ვნახო, თანაც კარგი რამე საქმეების გაკეთება შემიძლია ჩვენი ქვეყნისათვის, თუ რომ მთავრობაც დამეთანხმება.

ამერიკელი-ამერიკელია, თუნდაც რომ ჭრებალოდან იყოს ერთ დროს წასული. ის ვაგლახათ არ იკადრებს ჩვენში ჩამოსვლას. ყოველ შემთხვევაში, თუ გაგვაბედნიერა და ჩამოვიდა, მაშინ პირდაპირ მთავრობის თავმჯდომარესთან თუ გაჭართავს მასლაათს, თორემ უბრალო ჩვეულებრივ ადამიანებთან საქმის დაჭერას, როგორ იკადრებს!? მისტერ ჰარი ჩელი—ერთ დროს გრიგოლა ჭელი-

ძე — დღეს ამერიკელი მოქალაქე გახლავთ და ის უბრალოთ არ იკადრებს საქმის დაჭერას „ვინმესთან".

— რაში გჭირდებათ მთავრობის დახმარება?

— მე შემიძლია ისეთი ქარხანა გავხსნა, რომელიც სრულებით არ არის საქართველოში!

— სახელდობრ, მაინც?

— მე კარგათ ვაკეთებ ელექტრონის ლამფუჩქებს. ეს გამოსადეგი საქმეა ჩვენში!

— ოლონდაც. რატომაც არა, მაგრამ მაგნაირი ქარხნები ჩვენ საკმარისათ გვაქვს.

— სად, საქართველოში?

— არა, საბჭოთა კავშირში!

— ასე იგი, მთელ რასეაში, არა?

— დიაღ, უწინ მაგ სახელი ერქვა, ეხლა ჩვენში წესებიც სხვანაირია და სახელიც.

— მაშ, ჩვენში მაგისთანა რამეები საჭირო არაა, რაღა?

— ვერ გეტყვით დაბეჯითებით. აი თქვენ თვითონ ჩახვალთ, მოელაპარაკებით იქაურს ხალხს, იქ გაიგებთ დაწვრილებით ყველაფერს.

— მაშ, თქვენ მირჩევთ წასვლას, არა?

— ეს თქვენი საქმეა. მე შემიძლია მხოლოდ იმის თქმა, რომ იქ საშიში და სახიფათო არაფერია.

— ჰო, ხომ გითხარი მე შენ, — მიუბრუნდა მისტერ ჩელი თავის მეუღლეს, — რა უნდა იყოს საშიში. აი ეს ადამიანი აკი ლაპარაკობს.....

მისის ჩელი ნერვიულად აპარპალებს თვალებს, ეტყობა, მართლაც ეშინია. ჩემი ნათქვამი მისთვის არც იმდენათ ურყევი საბუთია. მინდა დამწვარზე მდუღარე დავასხა. მინდა დაუფეთო ანგელოზები.

— ჩვენ აქ რას გვეუბნებოდენ. რუსეთში ადამიანის ხორცს სჭამენო.

— მე კვერი დავუკარი.

— მართალია!

სიჩუმე ჩამოვარდა. მისის ჩელიმ თავის ქმარს ისეთი თვალით გადახედა, თითქოს ეუბნებოდა — რას მიჰქარავ, აკი მართალი ყოფილა ყველაფერიო. მე არ ვუჩქარი ამ სიჩუმის დარღვევას.

— იყო დრო, — ნელა წამოვიწყე მე, — როდესაც...— ვაგრძელებ განგებ სიტყვას.

ჭრებალოელი ჭელიძე, ანუ მისტერ ჩელი გლახათ აიწურა. არ ესიამოვნა....

—არა, სულ მაგრე კი არ ყოფილა. ჩვეულებათ კი არ ყოფილა გადაქცეული მაგ ამბავი. იყო დრო, მასუკანაგერ რვა წელიწადი გავიდა — ეს 1921 წელს იყო, როდესაც მთელს საბჭოთა კავშირში დიდი სიმშილობა.....

— ჰო, იმ სიმშილობის დროს. რაღა,—ცოტა არ იყოს, მოეშვა გულზე მისტერ ჩელის.

— არა. დამაცალეთ, გეტყვით ყველაფერს... აი იმ სიმშილობის დროს, დასტურ იყო მაგალითები, მართალია იშვიათი, როდესაც სიმშილით გაბოროტებული და გონება დაკარგული ადამიანი....

— საშინელებაა, საშინელება! — აკანკალდა მისტერ ჩელის მეუღლე.

— მართლაც რომ საშინელებაა! მაგრამ, რატომ იმას არ იკითხავთ, ვინ ჩააგდო ჩვენი ქვეყანა იმ დროს ასეთს გაჭირვებაში....

—მაგას რა კითხვა უნდა — ცხადია. ყველამ იცის! — ბრძანებს მისის ჩელი.

— მართალი ბრძანებაა, მეც ჩინებულად ვიცი, მაგრამ ჩვენ, ალბათ, სხვადასხვანაირათ ვიცით, ვისი ბრალი იყო, თქვენ როგორ იტყვით?

— ვისი და ბოლშევიკების, რასაკვირველია!

— არა, სცდებით, ეს თქვენი ბრალი იყო!

— როგორ თუ ჩვენი, ვის ჩვენი, ჩვენ აქ რა შუაში ვართ.

— პირადათ თქვენც მიგიძღვით წილი იმ ცოდვისა და დანაშაულის, რომელიც ჩაიდინა ყველა ქვეყნის ბურჟუაზიამ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. თქვენ ხომ ბურჟუაზიულ-კაპიტალისტურ კლასს ეკუთვნით?

— რას ამბობთ, მე ტისიჩი პიატი გოდაში ახალ თაობის კაცი ვიყავი, განა მისთვის არ გამოვიქეცი იქიდან!! — ცხარობს მისტერ ჩელი.

— მაგ იყო, და თქვენი ჭირი წაიღო.

— რატომ, მე აქ ჩემი ყაირათობით ფული გავაკეთო, განა მიტომ ბურჟუა უნდა დამერქვეს? რატომაო? მე და ბურჟუა?! მახლას!!

პოლიტიკური ანბანის სწავლება ჩემს განზრახვას არ შეადგენდა. მერე ასეთი მოზრდილა მოწაფეების სწავლება საზოგადოთ ძნელი საქმეა, მით უმეტეს ამერიკაში და მით უმეტეს მაშინ, როდესაც ამერიკელ მოქალაქეს მისტერ ჩელის საქართველოში წამოსვლის წინ სრულებით, არ ეხალისება ამ ბურჟუის სახელით გასეირნება იმ ქვეყანაში, სადაც ბურჟუაზია არავის უყვარს.

კარგა ხანს გავყევით ლაპარაკს. მისტერ ჩელის მართლაც იმდენი აღმოაჩნდა ქართული ენის ცოდნა. რამდენსაც მე მოველოდი. ლაპარაკობს ისე. როგორც სოფელს ადრე მოშორებული და ქალაქებში ნახეტიალები ხალხი.

სადილათ მისტერ ჩელი კარგი მასპინძელი დაგვხვდა. აქ ღვინო აღკრძალულია, მაგრამ ღვინოსა და მაგარ სასმელებს ყველა სვამს. როგორც ეტყობა არც მისტერ ჩელი არის შუმი წყალის მოყვარული.

— ღვინოს მე აქ თვითონ ვაკეთებ. ყურძენს ვყიდულობ, დავწურავ ხოლმე და იმას ვსვამ. ისეთი დაგალევინოთ, ნამდვილ ყიფიანისას ჰგავდეს.

ღვინო მართლაც კარგი გამოდგა. ეტყობოდა სიმაგრისათვის სპირტიც გაერია, ამიტომ მეტად მაგარი იყო და მისტერ ჩელის ჩქარა დაეტყო შეზარხოშება.

გადაკრულს მისტერ ჩელის ახალი თვისებები გამოაჩნდა. გადაუკიდა ქართული დუქნური სიმღერები.

— თქვენ ხომ ახალი ჩამოსული ხართ საქართველოდან, ხომ? აბა, თქვენ თუ გეცოდინებათ ჩემოდენი ქართული? არ გეცოდინებათ. მე და ჩემმა ღმერთმა: მე სულ ზეპირად ვიცი ავთანდილის ლექსი.

დაიწყო:

„ავთანდილ გადინადირა მინდორ მაღალი ტყიანი
„ასი ჭკრა და ოცი მოჭკლა, ერთი ნადირი რქიანი.
„იქვე ხის ძირში ჩამოჯდა წვადი ააგო-მცვრიანი,
„ლურჯაქ კაცი დაინახა თოფით მხარზე მომჯვალი
„ჩაუსაფრდა ესროლა სისხლი ადინა ძმრიანი....."

— ხომ მოდნია, ხომ?

— სად ისწავლეთ, გაქვთ აქ ქართული წიგნები?

— არა. აქ არა მაქვს. მე ეს იქ მქონდა ნასწავლი. რაც მართალია—მართალია, მე ეს ლექსი ბავშობისას „დედაენაში" მისწავლია, მაგრამ ალბათ იქ სხვანაირათ იყო მოთხრობილი ავთანდილის ნადირობის ამბავი. — მისტერ ჩელის, ალბათ, სხვა წიგნში ამოუკითხავს ეს ამბავი.

მოგვიანებული იყო, როდესაც მისტერ ჰარი ჩელის გამოვეთხოვე. დამშვიდებისას მითხრა:

-- საქართველოში, თუ ჩავედი, ერთი ჩოხა ახალოხი უნდა შეეაკერიო, კოხტათ უნდა გამოვეწყო და ისე უნდა ავიდე ჩვენს სოფელშიო.

— ჩვენ შეიძლება წავიდეთ საქართველოში, მაგრამ იქ დიდ ხანს არ დავრჩებით, ჩვენ უკვე ამერიკელი მოქალაქეები ვართ, წამომაყოლა დამშვიდებების დროს მისის მერი ჩელიმ.

მასუკან მე ისინი აღარ მინახავს. არც სხვა ქართველების შესახებ გამიგონია რამე. ბოლოს, შემთხვევით — შემთხვევას რა შეუძლია — გადავეყარე ერთს ქართველ მანდილოსანს.

— თქვენი მისამართი ერთმა ჩემმა ნაცნობმა მომცა. მისტერ ჩელიმ, იცნობთ ალბათ. თქვენთან საქმე მაქვს, თქვენთვის ეს საქმე ძნელი შესასრულებელი არ იქნება, ჩემთვის კი... იცოდეთ დიდათ დამავალებთ.

ეს მანდილოსანი ჭაღარა შერეული ქალი გახლდათ ^ე წელს გადაბიჯებული.

-- მიბრძანეთ, თუ კი რამე შემიძლია, მე დიდი სიამოვნებით.

— მე დიდი ხანი არ არის რაც აქ ვარ. ან კი რა მინდოდა მე ამ სიბერის დროს ამ დაწყეველილს ქვეყანაში, მაგრამ გაჭირვება რას გაქნევინებს ადამიანს.

— რატომ. ბევრს ძალიან მოსწონს და თავს იკლავენ აქ მოსვლისათვის.

— მართალია, ბატონო, მართალი, მაგრამ, იმათ რა იციან რა ჯოჯოხეთია აქაური ცხოვრება. ჩამოვედი აქ მე.... თვითონ კი არ ჩამოვსულვარ შვილებს ჩამოვყევი, ისინი წამოვიდენ და მეც მარტოს სხვაგან რა გამაჩერებდა.

ვჭამთ გაძაღლებულ ლუკმას. ისინი მსახურობენ, მე კი საათობით დავდივარ და სხვის ბავშვებს ვუვლი. საცოდავ ორიოდ გროშს ვიღებ ჩემთვის, იცოდეთ, რომ ძალიან ძნელია ყოველივე ამის მოყოლა, მაგრამ ესეც გაჭირვებით მომდის.

— რითი და როგორ უნდა დაგეხმაროთ მე თქვენ?

— საქმე ისაა, რომ იქ საქართველოში, ალბათ რუსეთშიაც, იქაურ ხალხს ასე წარმოუდგენია, რომ აქ ოქროში ისე ურევთ ხელს, როგორც ნაცარში, რომ აქ ყველა მილიონის პატრონია, რომ აქ ფული ქუჩაში ყრია და თუ კი ვინმემ არ დაიზარა აღება და ჯიბეში ჩადება.....

— გამიგონია; მართალია, აგრე იციან, ასეთი წარმოდგენა აქვთ აქაურობის შესახებ.

— ეს არაფერი, ბატონო, მაგრამ მე ამ წარმოდგენამ წელში გამტეხა. იქ — საქართველოში გვყავს ნათესავები. უჭირთ, ალბათ იმათაც, რასაკვირველია, მაგრამ იქაური ცხოვრება რომ გამახსენდება, სამოთხეთ მეჩვენებ ხოლმე აქაურთან შედარებით. ჰო, იმას ვამბობდი, მოიდგეს ბატონო ჩვენზე კიბე და ყოველ თვეში გვწერენ:

— „არიქა გვიშველეთ, ფული გამოგვიგზავნეთო!"

— თქვენც უგზავნით, არა?

— უგზავნით ცოტ-ცოტას, მაგრამ ეს ცოტაც მძიმე ტვირთია ჩვენთვის. მინდოდა მიმეწერა აქაური ამბები, გამეგებინებია ყოველივე რაც აქ ხდება, რა უბედურებაშიაც ვართ ჩავარდნილი, მაგრამ შვილები არ მიშვრებიან. მოგეხსენებათ, ახალგაზრდობა, თავმოყვარეობა და სხვ. არ დამანებეს. მეც მინდა ეხლა თქვენ გთხოვოთ, იქნებ თქვენ თქვენდა თავათ მისწეროთ ჩვენი აქაური გარემოება და რავა დავიჯერო, ვერ მიხვდენ და არ დაგვანებონ თავი თორემ გავწყდით წელში...

— თქვენ თვითონ რატომ ვერ მისწერთ? არა სჯობია თქვენ რომ მისწეროთ, მე გარეშე პირი რატომ უნდა გევერიო თქვენს საქმეში?

— მე რომ მივწერო, შვილები სახლში აღარ დამაყენებენ, სახელი გაგვიტეხე, თავი მოგვჭერიო.

— რას აკეთებდენ თქვენი შვილები საქართველოში?

— რა ვიცი, რომ გითხრათ, თქვენ იქნებ არც კი მოგეწონოთ, მაგრამ ჩემი შვილები არაფერში დამნაშავე არ არიან... ჯარში მსახურობდენ იმ მთავრობის დროს...

— იმ მთავრობის დროს, რომელიც ეხლა პარიზში ცხოვრობს, არა?

— ჯანდაბის ორლობემდი, ბატონო, სადაც უნდა იქ ცხოვრობდეს, ჩვენ კი ამ ცეცხლში და უბედურებაში გადავვარდით. ჩემი შვილები ახალგაზდები არიან, მაგრამ მე ამ მოხუცებულს ადამიანს, რა მეამერიკება შენი ჭირიმე.....

გარკვეულად შეპირება არ მიმიცია. ვუთხარი „ზომებს მივიღებთქო". არ ვიცი დაწყნარდა ამით, თუ არა. გამომეთხოვა და წავიდა.

ამის მეტი ქართველი მე ამერიკაში არ მინახავს. ამითი მაინც სჯობს ამერიკა სხვა ქვეყნებს. მაგრამ სხვა ქვეყნის ქართველებზე, სხვა დროს იყოს.

13 ივლისი 1929 წ.

რა უჭირს და რა ულხინს ჩრდილო ამერიკის შეერთებულს შტატებს.

7 აპრილი 1929 წ.

ამერიკა, პირველ ყოვლისა, შეერთებული შტატებია!

ამერიკაში ათი, თუ ხუთმეტი წვრილ-წვრილი სახელმწიფო არსებობს, მაგრამ ეს სახელმწიფოები ამერიკის —

დიდი ამერიკის — შეერთებულ შტატების უფასო და უიღ-ბლო დამატებაა.

ძერასაეით დასტრიალებს თავზე შეერთებულ შტა-ტებს ყოველის შემძლე ხელი ამ პატარ-პატარა სახელმწი-ფოებს. მთელი ეს შუა და სამხრეთ ამერიკის არე-მარე ჭადრაკის სათამაშო ფიცარივით სძევს ამ ძლიერი ხელის გამგებლობის ქვეშ.

დღეს რომ ერთ რომელიმე სახელმწიფოს უბრალო ნაფოტივით იქით გადატყორცნის, ხვალ აქეთ გამოსწევს. დღეს ორ ასეთ პატარა ყვინჩილას ერთი მეორეს გადაჰ-კიდებს, ხვალ ორთავეს ქოჩორში წასწვდება და ორთა-ვეს დატუქსავს — გაურისხდება.

ზოგს შინაურ წესრიგს უწუნებს და ჭკუის სასწავლებ-ლათ ან შიგნიდან მოუწყობს აჯანყებას, ან გარედან შე-ურთავს ცეცხლს. ზოგს მოიმადლიერებს ხმელა ლუკმას გადაუგდებს სულის მოსაბრუნებლად.

ამერიკის სრული ბატონი და მბრძანებელი ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატებია. ჰყავს მას აქ ვინმე მო-ცილე და მოდავე?

ჰყავს უსათუოთ. ეს ძველი ინგლისია. თვით ამერიკის იმ ნაწილის უწინდელი ბატონი. სადაც ამ ჟამათ შეერთე-ბული შტატები სუფევს.

შეერთებულს შტატებს არაფრათ მოსწონს ბებერი ინ-გლისის წყალ-გამოღმა შემოდავება. ამერიკის კაპიტალი-ზმის მოჭარბებული ძალა თავის კანში აღარ ეტევა და ჯერ კიდევ, ვინ იცის, რითი გათავდება ამ ორ მეზობლის ძველი და ახალი ანგარიშების გასწორების საქმე.

მაგრამ, რამდენადაც შტატები ბატონობს ამერიკაზე, იმდენათვე და კიდევ უფრო მეტათ ამერიკაზე გაბატონე-ბულია ნიუ-იორკი. შტატებში ნიუ-იორკისა პირველობა.

ნიუ-იორკი არ არის სატახტო ქალაქი, პრეზიდენტის თეთრი სასახლე ვაშინგტონშია. იქ ზის შტატების პარლამენტი — (კონგრესი); ვაშინგტონშია ადმინისტრაციის ცენტრი. ვაშინგტონი მთავრობის სამყოფი და სამუშაო ადგილია.

ოფიციალურათ პირველობის კვერთხი ვაშინგტონს აბარია!

ნიუ-იორკი არამც თუ სატახტო ქალაქი არ არის, ის თვით საკუთრად ნიუ-იორკის შტატშიაც კი არ ითვლება მთავარ ქალაქად. ნიუ-იორკი უბრალო ქალაქად ითვლება; მაგრამ ყველასათვის უეჭვო და უდაოა, რომ პირველობა ნიუ-იორკს ეკუთვნის; ამაში მას ვერავინ შეეცილება.

ეს პირველობა მან დაისაკუთრა თავისი ბანკებით, თავისი ბირჟით, თავისი კაპიტალით.

მაგრამ მთლად და მთელი ნიუ-იორკიც არ არის ამ პირველობის განმახორციელებელი.

საზოგადოთ ნიუ-იორკი იმ ვეებერთელა ქალაქს ჰქვია, რომელშიაც სათვალავით შვიდი მილიონი სული მოსახლე ცხოვრობს. თვით შტატებში კი ნიუ-იორკს ამ ქალაქის ერთს განსაკუთრებულ ნაწილს ეძახიან. რომელიც ერთს გაცილებით პატარა კუნძულზეა დაბჯენილი. ნიუ-იორკის მიდამო ერთი ზღვიდან ამოშვერილი კლდეა. რომელსაც სამი მხრით ზღვა უვლის და ერთი მხრით მდინარე ჩაუდის. აქაა დიდი ნიუ-იორკის გული: ამ ადგილს ჰქვია აქ — შტატებში — საგულდაგულოთ სახელი ნიუ-იორკი.

ამ საკუთრად ნიუ-იორკსაც აქვს საკუთარი დიდი საქმეების საკეთებლად აჩენილი ერთი განსაკუთრებული უბანი — ეს სახელოვანი ვოლ სტრიტია.

ეს მილიარდერების უბანია.

აქაა ნიუ-იორკის ბირჟა.

აქაა ის რამოდენიმე მთავარი ბანკი, რომელსაც უჭავია ხელში უთვალავი სიმდიდრე. ამ პატარა უბნით არის სახელგანთქმული ნიუ-იორკი, ნიუ-იორკით შტატები, შტატებით ამერიკა.

ამერიკის სახე საუცხოვოთ სჩანს შტატებში.

შტატების ბერკეტი ნიუ-იორკია,

ნიუ-იორკის მაჯა ვოლ სტრიტში ფეთქავს.

არსად ისე შიშვლად, ისე აშკარად არ სჩანს მთავრობის დამოკიდებულება გაბატონებული კლასის ნება-სურვილისაკენ, როგორც ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში.

პრეზიდენტს „ხალხი" ირჩევს. შტატების კონსტიტუცია უაღრესად დემოკრატიულია, მაგრამ დღეს ბევრი აღარ არის ისეთი ბრიყვი და გულუბრყვილო, რომ არ იცოდეს, თუ ვინაა ნამდვილი ამომრჩეველი: ეს უსახო და უსახელო ხალხი, თუ ვოლ-სტრიტის მთავარი შტაბი.

იქ ბებერ სასახლეში ზის ვოლ-სტრიტის დაყენებული, თუმც ვითომც არჩეული კაცი, მაგრამ

„იგი წავა და სხვა მოვა,
ტურფასა საბაღნაროსა",

ხოლო ვოლ-სტრიტის შტაბნ არჩევნები არ სჭირდება, ის ჯერ-ჯერობით მაგრად ზის, ზის და მართავს ამერიკის შეერთებულს შტატების ბედსა და იღბალს.

როგორ მართავს ვოლ-სტრიტი?

რა უჭირს და რა ულხინს ჩრდილო ამერიკის შეერთებულს შტატებს?

ომის შემდეგ ჩრდილო ამერიკა ძალუმათ იზრდება და მატულობს. ამერიკის ბურჟუაზია თავის ტყავში აღარ

ეტევა, ის წინ მიიწევს, მას უცილობელი პირველობის და საკუთრება აქვს გადაწყვეტილი.

მართლაც, დღეს-დღეობით შტატების მეურნეობა მსოფლიო წარმოების ბევრს მნიშვნელოვან დარგებში თითქმის მონახევრეა. მას ეკუთვნის:

ქვა-ნახშირის ამოღებაში 50%-ტი, ნავთის წარმოებაში 70%-ტი, ფოლადის ჩამოსხმაში 46%-ტი. (ზოგიერთი წყაროების მიხედვით ფოლადის ჩამოსხმის 50% ანგარიშობენ). თუჯის ჩამოსხმაში 40 — 50%-ტი. შტატების სავაჭრო გემებს შეუძლიათ მსოფლიოს საზიდი ქვირთის 22%-ის აწევა. შტატები ხმარობს ბამბის მსოფლიო მოსავალის 26%-ს. მსოფლიო საგარეო ვაჭრობის 15%-ტი შტატების ხელშია.

ეს ცნობებიც საკმარისია შტატების სამეურნეო ძლიერების გასაზომავათ. გაეიხსენოთ ისიც, როშ შტატების საერთო ავლადიდება შეადგენს 320,8 მილიარდ დოლარს. ეს იმდენივეა, რაც მთელი ავლა-დიდება: ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის და იტალიის ერთნახევარჯერ აღებული.

თუ თვითეულს ამ სახელმწიფოს ჩრდ. ამერიკის შეერთებულ შტატებს შევადარებთ, შემდეგს სურათს დავინახავთ:

აქვს ჩრდ. შტ.-თან შედარებით:

ინგლისს	28	პროცენტი.
საფრანგეთს	21	„
გერმანიას	11	„
იტალიას	8	„

ამრიგათ, ჩრდილო ამერკის შეერთებული შტატების სიმდიდრე თითქმის 4-ჯერ მეტია, ვიდრე ინგლისის; 5-ჯერ

მეტია, ვიდრე საფრანგეთის; 9-ჯერ მეტია, ვიდრე გერმანიის და 12-ჯერ მეტია, ვიდრე იტალიის.

კაპიტალისტური ქვეყნის ასეთი დაწინაურება, პირველ ყოველისა მ ს ხ ვ ი ლ ი კაპიტალის განვითარებას ნიშნავს. უწინარეს ყოველისა ამ მსხვილი კაპიტალის წონა და გავლენა იზრდება.

ჯერ კიდევ 1926 წელს კაპიტალის პატრონი ხალხის ე რ თ ი პროცენტი ჰფლობდა საწარმოო და საფინანსო დაწესებულებათა თანხების 80 პროცენტს. მას შემდეგ ეს ერთი პროცენტიც დახურდავდა, ამ რიცხვს მოაკლდა, მაგრამ მათი ხვედრითი წონა კიდევ მეტი შეიქნა, მათ ავლადიდებას კიდევ მოემატა.

საფინანსო და საწარმოო კაპიტალის ასეთი უზომო ზრდა სულ ახალ მდგომარეობას ჰქმნის შეერთებულს შტატებში და ამ მდგომარეობის მიხედვით მთელი რიგი ახალი ამოცანები დგას მის წინაშე.

პირველი, რასაც არ შეიძლება ყურადღება არ მიაქცეო, როცა აქაურს მდგომარეობას დაუკვირდები, ესაა ქალაქისა და სოფლის შორის დამოკიდებულების გამწვავება. მრეწველობა და სოფლის მეურნეობა დღეს ერთი მეორის წინაა წამდგარი ვითარცა სასტიკი და შეურიგებელი მტერი.

კაპიტალისტურ ურთიერთობაში ქიშპობა და მეტოქეობა სწყვეტს გამარჯვება-დამარცხების საკითხს. სოფლის მეურნეობა ვერ უძლებს მრეწველობის შემოტევას. ის იძულებულია უკან დაიხიოს.

სოფლის ჭირნახულის ფასი შორს ჩამორჩა ქალაქის მრეწველობის ნაწარმოების ფასს.

ამ ჩამორჩენის მიზეზების გამოკვლევა შორს წაგვიყვანს. ყველა მიზეზების გამოჩენა და გამორკვევა — მე-

ტად რთული საგანია და იმის გაშუქება »სასხვათაშორისოთ, გზა-და-გზა, ასე ვთქვათ — შეუძლებელია. არის ერთი გარემოება, რომელსაც დიდი გავლენა აქვს სოფლის ჭირნახულის ფასების დაცემაზე.

შევჩერდეთ იმაზე.

ქალაქის წარმოება — მრეწველობა ელვის სისწრაფით მიდის წინ. ერთი და იმავე საგნის დამზადებას, სულ უფრო და უფრო მცირე დრო და ადამიანის ნაკლები ჯაფა სჭირდება. თანაც მოჭარბებული საქონელი ქალაქის მრეწველობის უფრო ფართო ბაზრით, სარგებლობს, რასაც შინა მოთხოვნილება ვერ ერევა; ის სხვა და სხვა ქვეყნებში გააქვთ და იქ შოულობს მუშტარს.

სოფლის მეურნეობის საქმე უფრო სხვანაირათ არის.

ტექნიკა ისე ჩქარი ნაბიჯით ვერ მიდის წინ სოფლათ, როგორც მრეწველობაში. ჭირნახულის მოყვანას შედარებით მეტი ჯაფა სჭირდება, მეტი მუშა ხელის დაბანდება. ეს თავისთავათ აძვირებს ჭირნახულის თვითღირებულებას.

ამავე დროს ჭირნახულის ბაზარი არც ისე ფართე და ულევია, როგორც სამრეწველო საქონლის. ამერიკელი სოფლის მეურნის ნაწარმოებს დიდი მეტოქე ჰყავს: კანადა, არგენტინა, ავსტრალია, სადაც მოსავალიც კარგიცის და მუშა ხელი გაცილებით უფრო იაფათ ფასობს.

ყოველივე ამის შედეგი ისაა, რომ სოფლის მეურნეს თავის, ვთქვათ ერთ ფუთ ხორბალში არ შეუძლია იმდენი ფული ამოიგოს, რომ შეიძინოს მრეწველობის ისეთი საგანი, რომლის დამუშავებაში სწორეთ იმდენივე დროა დახარჯული და იმდენი მუშა არის მომცდარი, რაც მის ფუთი ხორბლის მოყვანას მოუნდა.

სხვანაირათ რომ ვსთქვათ სოფლის ჭირნახულის ფასები ძალიან შორს ჩამორჩა ქალაქის მრეწველობის საქონელზე დადებულ ფასებს.

იყო განსხვავება: ჩამორჩენილი იყო სოფლის ნაწარმოების ფასები ქალაქის მრეწველობის საქონელის ფასებთან შედარებთ: 1922 წელს 22 პროცენტით, 1925 წ. 11 პროცენტით, 1927 წ. 14 პროცენტით.

რას ნიშნავს, რისი მომასწავებელია ეს გარემოება?

პირველ ყოვლისა, თუნდა იმისი, რომ სოფლის მეურნე თავის ნაშრომის თითქმის ერთს მეშვიდედს მუქთად უნდა შეელიოს და თავის მოთხოვნილების ასეთივე ნაწილი სხვა რამე „გარეშე" შემოსავლით უნდა დაჰფაროს.

არის ისეთი მაგარი — სულჩადგმული მეურნეები, რომლებსაც აქვსთ იმის საშუალება, რომ ამ ფასების დანაკლისს გაუძლონ, მაგრამ ის მეურნე, რომელიც თავის ჭირნახულის გასაღებამ უნდა არჩინოს და ამის გარეშე არაფერი არ გააჩნია, ის იძულებული ხდება, რომ ჭირნახულიდან ამოგებულ ფულს თავისი „უძრავ-მოძრავიც" ნელა-ნელა უკან გააყოლოს. ეს კი თავის-თავათ, უფრო აძლიერებს მეურნეობის დაძაბუნებას, დასუსტებას და განიავებას.

ჩრდილო ამერიკის შტატებში ეხლა ყოველდღიურ მოვლენათ გადაიქცა სოფლად მეურნეობის (აქ მათ ფერმერებს ეტყვიან)- აყრა და ქალაქისაკენ სამუშაოს საძებნათ წამოსვლა.

აქური სტატისტიკის მიხედვით თვითეულ 100 სოფლის მეურნეში მხოლოდ 14 მუშაობს ისე, რომ ჭირნახულის გაყიდვაში ამოგებული ფულით თავის ნაწარმოების ოვითღირებულებას ჰფარავს და ცოტაოდენი მოგებაც

რჩება. დანარჩენებიდან, ნაწილი სანახევროთ კიდევ ღა-ფავს სულს, ნაწილი გაპარტახების პირასაა მისული.

სიკვდილი და გაქრობა არავის არ ეხალისება. არც აქაური სოფლის მეურნეები არიან გახარებული და დალხინებული თავიანთი მდგომარეობით. სცდილობენ და მეცადინეობენ რაც გაეწყობათ, რომ სოფელს შერჩენ, მიწა ხელიდან არ გაუშვან და ქალაქში დღიურ სამუშაოზე ხეტიალი არ დასჭირდეთ.

ამ გაჭირვებიდან გამოსავალი საშვალება, საზოგადოთ, ძნელი მოსანახავია. სხვაგანაც ყოფილა ასეთი მდგომარეობა და სხვაგანაც უძებნიათ ასეთი საშვალებები. ამ შემთხვევაში თითქმის ყველგან ერთი ხერხით, ერთი და იგივე ზომებით აპირობენ ფონს გასვლას.

— მოუმატოთ მაზანდა სოფლის ჭირნახულს. გარედან ნუ შემოვუშვებთ სოფლის მეურნეობის ნაწარმოებს. საამისოთ შემოვიღოთ მაღალი ბაჟები; ამითი ვიპატივებთ თავს გარედან შემოტანილ ჭირნახულის მეტოქეობიდანო, — იძლევიან წინადადებას ფერმერები.

მაგრამ ეს ვერ შველის მაინც მდგომარეობას, ვინაიდან შტატების სოფლის მეურნეების მოსავალს ადგილობრივი — შინაური ბაზარი ვერ მოერევა; მთელ ამ მოსავალს შინა ბაზარზე ვერ გაასაღებენ აქაური სოფლის მეურნეები.

— რაც მოგვრჩება, რასაც შინა ბაზარი ვერ მოერევა, ეს ჭირნახული მთავრობამ შეიყიდოს შინაური ბაზრის ფასების კვალობაზე და თვითონ გაიტანოს გარეშე ბაზარზე გასასაღებლადო, — იძლევიან რჩევას სოფლის მეურნეები.

ასეთია აქაური ფერმერების მოთხოვნა, მაგრამ მთავ-
რობის შესაძლებლობა ამ საგანსე, რომ მეტი არ ეთქვათ, ცო-
ტა სხვანაირია.



ერთი მთავარი სადგური ნიუ-იორკში. აქედან იწყება
პენსილვანიის რკინის გზა.

ჭირნახულის ფასების აწევა, უსათუოთ მრეწველობა-
ში გამოიწვევს ქალაქის ერთგვარ ცვლილებას. გაძვირდე-
ბა ჭირნახული. მოიმატებს ხორაგეულის ფასი ქალაქში და
მრეწველებიც იძულებული იქნებიან ისევ მოუმატონ მუ-
შის ხელფასსაც. ხელფასის მომატება კი აუცილებლათ
თან მოჰყვება მრეწველობაში დამზადებული საქონლის
ფასის მომატებაც.

ასე და ამრიგათ, სოფლის მეურნეებს ამგვარი ზომე-
ბის განხორციელებით დიდი და ხანგრძლივი შელავათი არ
მიეცემათ.

აი ამიტომაც არის, რომ სოფლის მეურნეები მოითხოვენ: — ჩვენი ჭირნახული მ თ ა ვ რ ო ბ ა მ შეიძინოსო მაგრამ მაშინ ეს საკითხი უ კ ვ ე პოლიტიკური საკითხის ხასიათსა ღებულობს და პოლიტიკური შინაარსით იმოსება.

შტატების მთავრობა დღეს იმპერიალისტურ ყოყოჩობის გუნებაზეა. აშენებენ სამხედრო გემებს.. ხუთი გემის შენება უკვე დაიწყეს. ამ მახლობელ სამ წელიწადში 15 საომარი გემი უნდა აშენონ. არის დიდი მზადება და თავდარიგი. ეჭვი არაა, რომ ადრე იქნება, თუ გვიან შტატები ამ გემებსა და ამ ზარბაზნებს საქმეს გაუჩენენ, უეჭველია ამ გემებს ზღვაზე სასეირნოთ არ ამზადებენ და ამ ვეება ზარბაზნებით ბელურებზე ნადირობას აქ დაიწყებენ.

აშკარაა, რომ მომავალ ომში სოფელმა უნდა მისცეს ამერიკის მთავრობას ზარბაზნების გასატენი ხორცი, ჯარი, სალდათი. ეს კარგად იცის მთავრობამ, ამ გარემოებას უწევენ ანგარიშს სოფლის მეურნეებიც.

ამის შესახებ ხმა მაღლა ლაპარაკი არ არის, მაგრამ ეს უსათუოთ არის ჩაგდებული ანგარიშში მთავრობისა და სოფლის მეურნეობის მოლაპარაკებაში.

— ომის სიმძიმე ჩვენ დაგვაწვება კისერზე, ჩვენ საჭირო ვიქნებით, ეხლა საჭირო ვართ. მაშ მოგვეცით საშუალება. რომ გავძლოთ და ვიცხოვროთ, რომ ჩვენთვისაც საჭირო და საინტერესო იქნეს ამ ქვეყნის დაცვა და მისი ძლიერების განმტკიცებაო.—ასეთია ფერმერების მოთხოვნის დასაბუთება.

ვაჭრობა და მოლაპარაკება აქ უკვე მარტო სსვა და სსვა საქონელის ერთი მეორეში გაცვლა-გამოცვლაზე კი აღარ არის. არამედ სოფლის ჭირნახულს სათავეთ სოფლის ახალგაზრდა სალდათის ფორმაში გამოწყობილი.

„შინაგანი და გარეშე“ მტრების „შეტევა და თავდაცვისათვის“ შეიარაღებული ფერმერიც თან მოსდევს.

თუ ამ გარემოებას გავითვალისწინებთ, მაშინ საჭიროა იმის თქმა, რომ ეს საკითხი მართლაც რომ მეტად რთულია, ძნელად გადასაჭრელი.

საქმე ისაა, რომ ფასს შეაძლევს შტატების ბურჟუაზია მთავრობის პირით სოფლის მოსახლეობას, ამ სათავეთ გამოყოლებულ „დამატებაში“?

ბჭობა და ლაპარაკი ამის შესახებ ჯერ არამც თუ არ გათავებულა, არც კი დაწყებულა ხეირიანათ.

ეს საკითხი შარშან ძალიან გამწვავებული იყო, ამიტომ არჩევნების დროს როგორც ჰუვერი, ისე სმიტი დიდსა და ძრავალს იმედებს აძლევდენ ამრჩევლებს — ფერმერების საკითხების მოგვარებას დიდს ყურადღებას მივაქცევთო!

არჩევნებში ჰუვერმა გაიმარჯვა და ნისიათ გაცემული თამასუქების განაღდება იმას შეხვდა წილათ.

ჰუვერი აირჩიეს, ჰუვერი ავიდა პრეზიდენტის ტახტზე.

თეთრ სახლში დაბინავებამდე — ასეთია წესი და ადათი — პრეზიდენტმა სიტყვა უნდა წარმოსთქვას და ამ სიტყვაში უნდა გადმოალაგოს თავისი მრწამსი, თავისი მომავალი მუშაობის გეგმა და შინაარსი. ასეთია წესი — ასე ჰქნა ჰუვერმაც.

ყურებ დაცქვეტილი შესჩერებოდენ ხახაში ჰუვერს სოფლის მეურნეების ხალხი, ფერმერები. მოელოდენ მისგან გაკეთებას, გაბედნიერებას, მაგრამ ჰუვერის სიტყვა არ იყო მაინცა და მაინც საიმისოთ მომართული, რომ ცხადათა და ნათლად გამოეაშკარავებინა მომავალი მუშაობის ხაზი და მიმართულება.

ბუნდოვანი ქარაგმები ჰუვერს ბევრი შემოეხარჯა. მაგრამ გარკვეული არაფერი უთქვამს. სოფლის მეურნეების დასაშოშმინებლათ მას მაინც დასჭირდა ბარე ორი ახალი შეპირების მიცემა.

— მე მივიღებ ზომებს, რომ სოფლის მეურნეობაში ფეხი ამოიკვეთოს შუამავალმა, ჩარჩმა, დალალმა, მის მაგივრათ მე ხელს შევუწყობ კოოპერაციის განვითარებას. ამიერიდან სოფლის მეურნეობის სრული ფასი თვით მეურნეებს დარჩებათ ხელში და ამითი, რასაკვირველია, მათი მდგომარეობა გაუმჯობესდებაო, — წარმოსთქვა ჰუვერმა სოფლის ხალხის გასაგონათ.

მაგრამ, ალბათ, თვითონვე შეატყო, რომ ეს ზომა სრულებითაც ვერ შეანელებს სოფლის გაჭირვებას და ვერ გამოიწვევს მეურნეობის დაკმაყოფილებას, ამიტომ ზემოთ ნათქვამს კიდევ დაუმატა შემდეგ:

— ჩემი მართველობის დროს, მე მოვაწყობ და დავამწესებ მუდმივ სათათბიროს სოფლის მეურნეობის საკითხების შესასწავლად და მოსაგვარებლადო.

ჰუვერი ეხლა უკვე კარგი ხანია, რაც მოკრძალებითა და სასოებით ეწევა პრეზიდენტის ჭაპანს, სცდილობს მუშაობს, რა გაეწყობა.... მაგრამ სოფლის მეურნეობის საკითხი პირდაღებული აჩრდლივით სდგას. მისთვის ჯერ არავის მოუცლია სოფლის მეურნეობის და მეურნეების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ჯერ-ჯერობით ჩხირიც კი არავის გაუტეხია.

გაზეთებში წარა-მარა სწერენ თვითეულ წვრილმანს, რაც კი ჰუვერის მუშაობას ეხება. არამც თუ თვით ჰუვერი, არამედ ჰუვერის მეუღლეს რამდენჯერ დააცემინა ცხვირი რომელიმე ორშაბათს, ან პარასკევს, ეს არამც და არამც არ გამოეპარება აქაურ გაზეთებს. მაგალითად 6

აპრილის გაზეთებში ასეთი ცნობეშია ჰუვერისა და მისი მეუღლის შესახებ:

„წარსულ ოთხშაბათს ჰუვერი ღებულობდა თეთრ სახლში მთხოვნელებსა და მნახველებს. ამ დღეს მან 1757 კაცს ჩამოართვა ხელი. ამით ბატონს პრეზიდენტს ისეთი ჯაფა დაადგა, რომ სტუმრების წასვლის შემდეგ მას მარჯვენა ხელი გაუსივდაო".

ამის შემდეგ დაწვრილებით არის ჩამოთვლილი ყველა ის ზომები, რაც საჭიროა იმისათვის, რომ ჰუვერს ამდენი ხელის ჩამორთმევა არ დასჭირდეს და ხელახლა არ გაუსივდეს ხელი.

იქვე იმავე დღეს და იმავე გაზეთებში ქალბატონ ჰუვერის შესახებაც არის შემდეგი ცნობა:

„ქალბატონი ჰუვერი თვითონ დადის თავის ავტომობილით, შოფერი მას არ ჭირდება. ამ რამოდენიმე დღის წინათ ვაშინგტონში ერთმა მგზავრმა ვერ იცნო ქალბატონი პრეზიდენტის მეუღლე და მკაცრათ მოსთხოვა, რომ ავტო შეეჩერებიაო".

ეს ერთი დღის ამბავია, მაგრამ ასეთი ამბები ყოველ დღეა აქაურს გაზეთებში. შტატების მცხოვრებლებმა საუცხოოთ იციან, რამდენი წევარი და მეძებარი ჰყავს ბატონს ჰუვერს, სად რომელი ძაღლია დაბინავებული. გუშინ რა მიირთვა და ხვალ რას გეახლებათ. მაგრამ არავინ არ იცის თუ რას აპირებს ჰუვერი სოფლის მერნეობის მდგომარეობის გამოსასწორებლად.

სოფლის მეურნეები?

სოფლის მეურნეები, უცდიან, კოტრდებიან, თავს ანებებენ სოფელს და ქალაქს აწვებიან სამუშაოს საშოვნელად. ქარხნებისა და ფაბრიკების კარებთან არიან ატუზული.

მთავრობა არ ჩქარობს ამ საკითხის გადაჭრას. სცდილობს მის გაჭიანურებას, მაგრამ როდემდე?!

მეორე რთული და მძიმე საკითხი შეერთებული შტატებისათვის არის უ მ უ შ ე ვ რ ო ბ ი ს საკითხი.

შეერთებულ შტატების მრეწველობა დაქცეითებისაკენ არ მიდის. პირიქით. მისი მრეწველობა საარაკო სისწრაფით ვითარდება. მიუხედავათ ამისა. შეიძლება სწორეი, ამის გამოისობით. უმუშევართა რიცხვი რასაც მატულობს. თორემ არ იკლებს.

ამ ჟამათ შეერთებულ შტატში 4.000.000 უმუშევარია ანგარიშში გატარებული. უმუშევართა ნამდვილი რიცხვი კი ამაზე მეტია.

რითი აიხსნება უმუშევართა რიცხვის ასეთი მოჭარბება?

მიზეზი ბევრია. ერთი მათგანი ისაა, რომ მრეწველობაში ტეხნიკა მეტად ჩქარის ნაბიჯით დაწინაურდა. მრეწველობის ზრდა ვერ გაჰყვა მხარ-და-მხარ ტეხნიკის განვითარებას. ამიტომ დღეს შტატებში ასეთს სურათს ვხედავთ. ვთქვათ იზრდება მრეწველობის რომელიმე დარგი და თან ამ დარგში ჩაბმული მუშების რიცხვი კი კლებულობს.

ავიღოთ რამოდენიმე დარგი და შევადაროთ მათი ზრდა და მუშათა რიცხვი 1923 და 1925 წლის ერთი-მეორესთან დაპირდაპირებით.

მრეწველობის დარგი	გაზრდა		მუშათა ხელს მოაკლდა	
ნავთის წარმოება	84	პროც..	5	პროცენტით.
თამბაქოს წარმოება	53		13	„
მშენებლობის დარგი	11	„	15	
ავტომობილების წარმოება	70		48	„
ფოლადის წარმოება	8	„	9	„

აშკარაა, მრეწველობა იზრდება, მატულობს, მუშათა რიცხვი კი მცირდება. უმუშევრობას სოფლიდან აყრილი და ქალაქისკენ წამოსული სოფლის მეურნეობის მუშები და გაკოტრებული მეურნეებიც აძლიერებენ.

აი მეორე სატკივარი, რომელსაც ზერელეთ მალამოს წაცხება ვერ მოარჩენს, საჭიროა მაგარი წამალი. საჭიროა სწრაფი და ძირითადი ზომების მიღება!

როგორ უპირებენ ამ სატკივარს მოშუშებას, რა გეგმა აქვს ამის შესახებ ჰუვერის მთავრობას?

1. ამერიკის კარების ჩაკეტვა სხვა და სხვა ქვეყნებიდან წამოსული ხალხისათვის, ასეთია პირველი ზომა.

იყო დრო, როდესაც ამერიკულ მრეწველობას არ ჰყავდა საკმარისათ მუშა ხელი. ამიტომ ამერიკა არამც თუ აბრკოლებდა, პირიქით ხელს უწყობდა უცხოეთიდან ამერიკაში ხალხის გადმოსახლებას.

ეხლა ამერიკას ჭარბათ ჰყავს მუშები, ამიტომ ხალხის შემომატება მას აღარ ესაჭიროება. ამითია გამოწვეული ის კანონი, რომლითაც ამერიკას უნდა თავი დაიცოს სხვა და სხვა ქვეყნებიდან ხალხის შემოსვლისაგან. ეს კანონი ამ რამოდენიმე წლის წინათ შემოიღეს, მაგრამ ამ უკანასკნელ წლებში მას უფრო და უფრო უჭერენ მუხრუჭს. წლიურათ შემომსვლელთა რიცხვს სულ თანდათან აკლებენ და ამერიკაში გადმოსახლებას უფრო და უფრო აძნელებენ.

ჰუვერიც ჰპირდება ამომრჩევლებს:

— ამერიკაში შემოსასვლელ კარებს კიდევ უფრო მაგრად დავჯორგავ, ურდულს კიდევ უფრო მძლავრათ გავამაგრებო!

ეს პატარა საკერველია და იმისი საშვალებით ამოდენა ნარღვევის გამრთელება შეუძლებელია.

აქაც ჰპირდება ჰუვერი სხვა და სხვა ზომების მიღებას.

აპირებენ, მაგალითად საზოგადო სამუშაოების მოწყობას, ზოგიერთი მდინარეების ნაპირების გამაგრებას, ჯებირების აშენებას. ამ საქმეს, მართალია, ბევრი ფული დასჭირდება და უმუშევრობაც შენელდება, მაგრამ ეს სამუშაო დროებითია და ამ მოკლე დროშიაც ვერ შისცემს ყველა უმუშევარს საზრდოსა და სარჩენს.

ეს საკითხი მაინც გადაუჭრელი რჩება.

თეთრ სასახლეში სხვანაირი წამლის მზადება არ იციან. ხოლო იმათ, ვისაც ეს და ბევრი ამის მზგავსი სატკივარი აწუხებს, თვითონ ჯერ არ მოუკიდიათ ხელი ამ საქმისათვის.

სოფლის მეურნეობა ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში.

4 მაისს 1929 წ.

(ზოგიერთი ციფრები და დასკვნები)

დღეს ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები უაღრესათ განვითარებული მრეწველობის ქვეყანაა.

აქაური მრეწველობა თანდათან ანებებს თავს ორთქლის ძალას, და ძალუმათ აწვება ელექტრონის ენერგიას. ჩრდილო ამერიკის ელექტრო-სადგურების ძალა რომ ერთად მოვაქციოთ, რაღაც საარაკო რიცხვს მივიღებთ: ეს ძალა უდრის 26.830.000 კილოვატს. რამდენათ დიდია ეს რიცხვი თუნდა იქედანაც სჩანს, რომ „გ ო ე ლ რ ო ს“ პროგრამა 30 დიდი სარაიონო სადგურის დადგმა და გადაკეთება ჩვენ მხოლოდ 1.750.000 კილოვატს მოგვცემს.

ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები თავის მრეწველობით დღევანდელ პირობებში, ადვილად გადაიწონის მთელი ევროპის მრეწველობის ბევრს დარგებს.

ევროპის მრეწველობა გაცილებით უფრო ხნიერია — ! ხანშოთეულია, ჩრდილო ამერიკის მრეწველობა სულ ახალგაზრდაა.

რა იყო ჩრდ. ამერიკა ამ თუნდა 50 წლის წინათ? მას თითქმის სრულებით არ გააჩნდა საკუთარი მრეწველობა. მოსახლეობის 90-95 პროცენტი სოფლის მეურნეობით ირჩენდა თავს. ჩრდ. ამერიკის შტატები მაშინ სხვისი ხელში წემყურე იყო; მრეწველობის ნაწარმოები უცხოეთიდან შემოიტანოდა. თვით სახელმწიფო ვალებით იყო სავსე. ამ ვალებს, თუ ემატებოდა, თორემ არ აკლდებოდა.

დღეს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია მოსახლეობის მხოლოდ 28 პროცენტი.

ვინც აქაური ეკონომიური ცხოვრების მაჯის ცემას უკვირდება და სწავლობს, ისენი ამტკიცებენ, რომ ამ 28 პროცენტსაც უნდა ჩამოაკლდეს საგრძნობი ნაწილი.

აშკარაა, რომ მრეწველობა საარაკო სისწრაფით განვითარებულა უკანასკნელი ნახევრი საუკუნის განმავლობაში. რას მოასწავებს ეს სოფლის მეურნეობის შესახებ. განვითარებას — დაწინაურებას. თუ ჩამორჩენას — დაქვეითებას?

პასუხი ერთია — პირველს და არა მეორეს — დაწინაურებას და არა დაქვეითებას!

თუ ერთ დროს ჩრ. ამერიკაში იმისი შიში ჰქონდათ, რომ ჩვენმა მოსახლეობამ 150 მილიონამდე რომ მიაღწიოს, სურსათი და ჭირნახული აღარ გვეყოფაო, — დღეს ეს საკითხი სრულებით აღარ არსებობს. მართალია დღეს

მოსახლეობა მხოლოდ 110 მილიონს უდრის, მაგრამ ჩრდ. ამერიკაში მოყვანილი ჭირნახული არამც თუ ყოფნის, მოსახლეობას, არამედ აქაურმა სოფლის მეურნეებმა აღარ იციან სად გაასაღონ თავიანთი მოსავალი, ვინაიდან შინაური ბაზარი ამოდენ საქონელს ვერ იტევს და გარეთ გატანა კი სხვა და სხვა მიზეზების გამო ძნელი შეიქნა.

ამ 75 წლის წინათ, კანზასის (შტატია) სასოფლო მეურნეობის ინსტიტუტის პროფესორი ვოკერის გამოანგარიშებით, საშვალო თითო ფერმერს შეეძლო მოევლო და დაემუშავებია მხოლოდ 12 აკრის (აკრი თითქმის ერთს ქცევას უდრის) ეხლა კი თვითეული ფერმერი სულ ადვილად მოერევა 34 აკრის დამუშავებას. ეს იმას ნიშნავს, რომ ფერმერის შრომის ნაყოფიერება თითქმის გასამკეცებულა.

კიდევ უკეთესი მაგალითი. კემპბელი (სწორეთ ის, რომელიც ამ წლის დამდეგს საბჭოთა კავშირში იყო) თავის 47.000 აკრი პურეულის მოვლას მხოლოდ 250 მუშას ანდომებს, ესე იგი თვითეული მუშა აქ 188 აკრის დამუშავებას ერევა.

ეს „სასწაული" სასოფლო მეურნეობაში მანქანების შესვლის გამოისობითაა, რასაკვირველია, მომხდარი.

ჩრდ. ამერიკის შტატების შრომის ბიუროს ანგარიშით, ხელითა და მანქანით დამუშავება ასეთს განსხვავებას იძლევა თვითეულ აკრზე. (იხ. ცხრილი 194 გვერდზე).

იმავე შრომის ბიუროს ანგარიშით მარტო ამ რვა თავი მცენარეულის დამუშავებაში მანქანების მუშაობა იძლევა ზედმეტათ 1.432.866,135 სამუშაო დღეს, რაც დაახლოვებით ღირს თითქმის 4 მილიარდი დოლარი, ანუ 8 მილიარდი მანეთი.

	უ ნ დ ე ბ ა	
	ხელით დამუშავება	მანქან. დამუშავება
ხორბალი	61 საათ. 05 წ.	3 საათი, 19, 2 წ.
სიმინდი	38 „ 45 „	15 „ 07 „
შვრია	66 „ 15 „	7 „ 05.8 „
ქერი	63 „ 35 „	2 „ 42,8 „
ბამბა	167 „ 48 „	78 „ 42 „
თივა	21 „ 05 „	3 „ 56,5 „
კართოფილი	108 „ 55 „	38 „ 00 „
ჰვავი	62 „ 58, 9 წ.	25 „ 10 „

„მ ე ტ ი მ ა ნ ქ ა ნ ა, ნ ა კ ლ ე ბ ი მ უ შ ა!“ — აი ასეთია ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის განვითარების მთავარი მიდრეკილება!

„ადამიანი — მუშა, როგორც მამოძრავებელი ძალის გამომჩენი, მეტათ უბადრუკი და სუსტი არამც თუ მანქანასთან შედარებით, ის მუშა-საქონელსაც ძალზე ჩამორჩება“ ასე ამბობს დ ე ვ ი დ ს ო ნ ი, რომელიც აიოვას (აიოვა შტატია) სასოფლო მეურნეობის ინსტიტუტში ტეხნიკურ განყოფილებას განაგებს.

დევიდსონი ასე ანგარიშობს: „დაუპირდაპირეთ კარგი ჯანმრთელი მუშის ძალა, ცხენის ძალას და თქვენ დაინახავთ, რომ რ ვ ა მ უ შ ი ს ძ ა ლ ა, ე რ თ ი ც ხ ე ნ ი ს ძ ა ლ ა ს ა რ ა ღ ე მ ა ტ ე ბ ა. რა ღირს ცხენის ძალა საათში? დაახლოებით 20 კაპიკი, მაშასადამე მუ-

შა-ადამიანის ძალა საათში 3 კაპიკზე ნაკლები ღირებულა!"

მაგრამ მანქანა მაინც მანქანაა, ის უქმი და უძრავია, თუ მას ცოცხალი მუშის ძალა არ შეხო, არ აამოძრავა. ადამიანი მუშა ფასობს არა მხოლოდ, როგორც უშუალო მომუშავე ძალა, არამედ, როგორც მანქანების მოძრაობის მიმცემი, ამ მანქანების, ასე ვთქვათ „სულის ჩამდგმელი".

აი ამ ორი ძალის ერთმანეთში შეკავშირება, მათი ერთმანეთთან შეუღლებაა, რომ ჰქმნის „სასწაულს": ამრავლებს და აძლიერებს შრომის საერთო ნაყოფიერებას. რაც უფრო მეტია მანქანის ძალა მუშის ძალასთან დაკავშირებული, მით უფრო მეტია მათი საერთო მუშაობის შედეგი.

აი ერთი პატარა ცხრილი იმავე დევიდსონის მიერ დამუშავებული.

ქვეყნები	რამდენ ცხენის ძალას განაგებს თვით. მუშა	ამ შრომის საფასური მთელ წლ. მოსავალში
იტალია	0,19	90,00 მან.
საფრანგეთი . . . . . — . .	0,37	180,00 „
გერმანია	0,55	238,00 „
ინგლისი	0,88	252,00 „
ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატები .	2.05	584.00 „

ამ ცხრილიდან აშკარაა, რომ ყველაზე ჩამორჩენილია იტალია, იქ თვითეული მუშის განკარგულებაში მხოლოდ 0,19 ცხენის ძალაა, ამიტომ ასე-

თი მუშის წლიური მოსავალის საფასური მხოლოდ 90 მანეთს შეადგენს.

ყ ვ ე ლ ა ზ ე დ ა წ ი ნ ა უ რ ე ბ უ ლ ი ჩ რ დ ი ლ ო ა მ ე რ ი კ ი ს შ ტ ა ტ ე ბ ი ა. აქ თვითეული მუშის განკარგულებაში 2,05 ცხენის ძალაა, სამაგიეროთ მისი ნაშრომი გაცილებით მეტი ღირს. ამ შრომის ნაყოფი თითქმის 600 მანეთს აღწევს.

მაგრამ თვით შტატებში შიგა და შიგ როდია ყველგან თანაბრათა და თანასწორათ მუშა და მანქანა ერთმანეთში დაკავშირებული, მეტ-ნაკლებობა აქაც ჩანს და, ამის კვალობაზე, მეტ-ნაკლებია შრომის შედეგი და ამ ნაშრომის საფასურიც.

შ ტ ა ტ ე ბ ი	ცხენის ძალა თვით. მუშაზე	შრომის საფასური მთელ მოსავალში
შტატი ალაბამა . .	0,81	224,00 მან.
„ ნიუ-იორკი .	1,69	500,00 „
„ აიოვა . . .	3,86	1190,00 „
„ ნებრასკა .	4,71	1820,00 „

სურათი აქაც იგივეა, სადაც შედარებით ნაკლებია მექანიკური ცხენის ძალა მუშასთან დაკავშირებული (ალაბამა), იქ შედეგიც მცირეა; სამაგიეროთ, სადაც ცხენის ძალა ჭარბობს, იქ შედეგიც გაცილებით მეტია (ნებრასკა).

მაშასადამე, „მ ე ტ ი მ ა ნ ქ ა ნ ა დ ა ნ ა კ ლ ე ბ ი მ უ შ ა“ უსათუოთ სწორი გზაა; შრომის ნაყოფიერების გადიდება ჩრდ. ამერიკაში სასოფლო მეურნეობის მანქანების მოჭარბებით ხმარების განუყოელი და აუცილებელი შედეგია.

კემპბელი. რომელსაც მონატანაში 47,000 აკრი ხორბალი უთესია, ასე ახასიათებს თანამედროვე სოფლის მეურნეობას ჩრდ. ამერიკის შტატებში:

„თანამედროვე სოფლის მეურნეობა დამყარებულია ტექნიკაზე. სოფლის მეურნეობის კარგათ მოწყობა ის იქნება, რომელსაც საშუშაოს 85 პროცენტი ტექნიკური ძალით შესრულდება“.

ჩრდილო ამერიკა არამც თუ იკმაყოფილებს მოთხოვნილებას თავის სოფლის მეურნეობის მოსავალით, არამედ დიდი ნაწილი ამ მოსავლის უცხოეთში უნდა გაიტანოს და გაასაღოს. მსოფლიო ბაზრის კანონი კი ასეთია. ვინც უფრო იაფსა და უკეთესი ხარისხის საქონელს გამოიტანს, მუშტარსაც ის უფრო ადვილად იშოვის.

ამ ამოცანის გადაწყვეტა ამერიკელ სოფლის მეურნეებს ავალებს ანგარიში გაუწიონ თავის მოქიშპეს. ამერიკის შტატების გარდა მსოფლიო ბაზარზე სოფლის მეურნეობის ნაწარმოები გამოაქვს: კანადას, არგენტინას, ავსტრალიას, და საბჭოთა კავშირს. რა უპირატესობა აქვს თვითეულ ამ ქვეყანას შტატებთან შედარებით?

1. კანადა. აქ მიწის ფასი შედარებით უფრო იაფია, ნიადაგიც უფრო ბარაქიანია და მეტს მოსავალს იძლევა.

2. არგენტინა. აქაც უფრო იაფია მიწის ფასი, გარდა ამისა უფრო იაფი ჯდება სოფლის ნაწარმოების ზიდვა.

3. ავსტრალია. ავსტრალიასაც დაახლოვებით იგივე უპირატესობა აქვს რაც არგენტინას.

4. ს ა ბ ჭ ო თ ა კ ა ვ შ ი რ ი. აქ შედარებით უფრო იაფია მუშა ხელი.

ამ უპირატესობის გაბათილება და მეტოქეობაში დაწინაურება ჩრდილო ამერიკას შეუძლია მხოლოდ ტეხნიკის ჭარბათ მოხმარებით და მით ნაწარმოების გაიაფებით.

იგივე კემპბელი ასე სწერს ამის თაობაზე:

„ხორბალის ფასი სრულებით არ არის დამოკიდებული მწარმოებლის ნებასა და სურვილზე. ჩვენი ხორბალი მხოლოდ მაშინ გაუძლებს სხვა ქვეყნებიდან მოტანილ წარმოების მეტოქეობას, როდესაც ჩვენ შევძლებთ ჩ ვ ე ნ ი ს ა ქ ო ნ ე ლ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს შ ე მ ც ი რ ე ბ ა ს. ამ შემთხვევაში ჩვენ სოფლის მეურნეობას სხვა გზა და გამოსავალი არ აქვს; თუ არა ის, რითაც მრეწველობა სარგებლობს, ესე იგი, რაც შეიძლება მეტი მექანიკური ძალის გამოყენება. მე ჩემს მეურნეობაში იმ დროსაც კი, როდესაც ძალიან მოძალებული სამუშაოები გვაქვს, 250 მუშაზე მეტს არ ვსაჭიროებ“.

ეს არც გასაკვირალია, ვინაიდან კემპბელი თავის მამულში ხმარობს, თუნდა მაგალითად, რომ ვთქვათ ისეთს მანქანას, რომელიც ერთსა და იმავე დროს ვარგა, როგორც სამკელად, ისე სალეწად. ერთს ტრაქტორს და ერთს ასეთს სამკელ-სალეწი მანქანის მოვლას სჭირდება ს ა მ „ მ უ შ ა, ხოლო ამ მანქანებით გაკეთებული საქმე უდრის 28 მ უ შ ი ს ა. დ ა 32 ც ხ ე ნ ი ს ნ ა მ უ შ ე ვ ა რ ს.

მანქანის მნიშვნელობა მარტო შრომის ნაყოფიერების გადიდებაში, (რაც თავის თავად გაკეთებული საქონლის გაიაფებასაც ნიშნავს), კი არ გამოიხატება. არის სამუშაო, რომელიც ალოზე ჰკიდია, აქ საჭიროა სიჩქარე, სისწრაფე; თუ ალოს გადააცილე — შრომის ნაყოფი გაგინახევრდება, ან და სრულებით დაგეღუპება.

ამ შემთხვევაშიაც მანქანის მნიშვნელობა დაუფასებელია. ადამიანის შრომა და მანქანის მუშაობა ამ მხრივაც შეუდარებელია ერთი მეორესთან.

მე არ შემიძლია ჩამოვთვალო ყველა მანქანები, რასაც ჩრდ. ამერიკის სოფლის მეურნეობაში ხმარობენ, დავასახელებ მხოლოდ ზოგიერთებს და აღვნიშნავ, თუ რა შეღავათს აძლევს თვითეული მათგანი სოფლის მეურნეს.

პირველი და მთავარი მანქანა სოფლის მეურნეობაში, რასაკვირველია ტ რ ა ქ ტ ო რ ი ა. რა მნიშვნელობა აქვს ტრაქტორის მუშაობას, ამაზე შეჩერება არ ღირს — ეს უდაო და აშკარაა, მხოლოდ საქართველოა, მგონი, ის „ბედნიერი" ქვეყანა, სადაც ტრაქტორის მნიშვნელობა საეჭვო და სათუოთ მიაჩნია ზოგიერთ სწავლულებს. აქ კი არამც თუ უდაოა ტრაქტორის უპირატესობა „გუთნეულთან" შედარებით, რასაც ასეთს აღტაცებაში მოჰყავდა ერთი ჩვენი მეცნიერი (ჰმ!!), არამედ თვითეულ ფერმერის 12 წლის ბავშვმაც კი იცის მისი მოვლა და ხმარება. 40 აკრი ყანა აქ არ ითვლება დიდ მამულად, მაგრამ თითქმის თვითეულ ასეთი მამულის პატრონს ერთი ტრაქტორი მაინც უდგია სამუშაოთ. არის ფერმერი, რომელიც 10-15 ტრაქტორს ხმარობს.

ტრაქტორს მარტო პურეულის ყანების სახნავათ კი არ ხმარობენ. ტრაქტორს ხმარობენ აგრეთვე ბაღისა და ბოსტნის დასამუშავებლად, ხმარობენ აგრეთვე იმ ადგილებში, სადც მოჰყავთ ს ი მ ი ნ დ ი, კ ა რ ტ ო ფ ი ლ ი, ს ე ლ ი, შ ა ქ რ ი ს გ ა მ ო ს ა ხ დ ე ლ ი ჭ ა რ ხ ა ლ ი და სხვა.

არის ალაგ-ალაგ ისეთი ნიადაგი, რომლის დამუშავება მხოლოდ ტრაქტორის შემწეობით შეიძლება, „გუთნეულით" იქ ფონს ვერ გახვალთ.

ტრაქტორის რიცხვი საარაკო სისწრაფით იზრდება. იშვიათია ისეთი მეურნე, რომ ერთი ტრაქტორი არ ჰქონდეს. 1925 წლის დამდეგს ჩრდილო ამერიკის სოფლის მეურნეობაში მუშაობდა 506,745 ტრაქტორი, მაშინ, როდესაც 5 წლის წინათ ესე იგი 1920 წლის დამდეგს ტრაქტორების რიცხვი მხოლოდ ამის ნახევარს შეადგენდა, იყო სულ 246,083.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ტ რ ა ქ ტ ო რ ი გ ა ც ი ლ ე ბ ი თ უ ფ რ ო ი ა ფ ა დ მ უ შ ა ო ბ ს, ვ ი დ რ ე ც ხ ე ნ ი, ტ რ ა ქ ტ ო რ ი ს ნ ა მ უ შ ე ვ ა რ ი ა ქ ა უ რ ი მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ი ს ა ნ გ ა რ ი შ ი თ 4-ჯ ე რ. უ ფ რ ო ი ა ფ ი ა, ვ ი დ რ ე ც ხ ე ნ ი ს. მ უ შ ა ო ბ ა.

მეორე მანქანა, რომელიც მეტად გავრცელებულია საზოგადოთ ჩრდილო ამერიკაში და სხვათა შორის სოფლის მეურნეობაშიაც — ესაა ა ვ ტ ო მ ო ბ ი ლ ი. ამბობენ თვითეულ ექვს სულს ამერიკელს ერთი მანქანა მაინც ჰყავსო.

ეს საერთო ანგარიშია. ბარე ორია ამერიკაში ისეთი, რომ ავტო არ გააჩნია და არამც თუ ავტო, დღიურათ პურის საჭმელი ფულიც არ ეშოვება, სამაგიეროთ სოფლად, სოფლის მეურნეობაში ავტო აუცილებლათ საჭიროა და ვერც ნახავთ ისეთს მეურნეს, რომ ერთი ავტო მაინც არ ჰყავდეს. კარგა ხანია გადავარდა ის დრო, როდესაც ამერიკელი ფერმერი თავის ნაწარმოებს ურმებით ეზიდებოდა; დღეს ურემის მაგიერობას ავტო ეწევა.

დიდი შეღავათია აგრეთვე აქაური მეურნისათვის ს ა ლ ე წ-ს ა მ კ ე ლ ი მანქანა. ეს მანქანა მითაა საინტერესო, რომ ის სალეწათაც ვარგა და სამკელათაც.

ხშირია სოფლის მეურნეობაში ისეთი შემთხვევა, როდესაც საჭიროა სამუშაოს სიჩქარით მოლევა, ასეთი შემთხვევები უფრო ხშირია მკის დროს. სალეწ-სამკელი მანქანა ამ შემთხვევისათვის შეუდარებელია. ი ს დ ი დ ი ს ი ს წ რ ა ფ ი თ მ უ შ ა ო ბ ს. ეს მანქანა დიდი არ არის, არც ისე ძვირია და ერთ პატარა მამულში (დაახლოვებით 160 აკრზე) ეს მანქანა 4 წლის მუშაობით თავის თავს გამოიყიდის.

არის კიდევ ერთი მანქანა, რომლის დასახელება. ცოტა არ იყოს, მეთაკილება.

ეს მანქანა, თქვენთან ბოდიში მომითხოვია, ღ ო რ ი. ჩ ვ ე უ ლ ე ბ რ ი ვ ი ღ ო რ ი გ ა ხ ლ ა ვ თ.

საქმე ისაა, რომ ჩრდილო ამერიკაში აუარებელ სიმინდს სთესავენ. სიმინდის მოსავალი წლიურათ იძლევა დაახლოვებით 180 მილიარდ ფუთს. საქმელათ სიმინდს აქ თითქმის სრულებით არ ხმარობენ და ამ მოსავალის 55-60 პროცენტი ღორების საკვებს უნდება. სიმინდს ხმარობენ სხვა და სხვა ტეხნიკურ საჭიროებისათვის. სიმინდი მხოლოდ ნედლი მასალაა სხვა და სხვა დარგებში სხვა და სხვა საქონელის დასამზადებლად. მანქანებში გატარებული სიმინდი გამოდის, როგორც სხვა და სხვა დასრულებული საქონელი. საამისოთ ამერიკის მრეწველობას ბევრი საგულდაგულოთ მოწყობილი ქარხნები აქვს და აუარებელი საგანგებოთ დადგმული მანქანები მოეძებნებათ. მაგრამ არის ერთი დარგი, სადაც არავითარი მანქანა არ უდგება. არ არის და არავის გამოუგონია ჯერ ისეთი მასალა, რომ სიმინდი ხორცათა და ქონათ გადაამუშაოს. ამას ღორის მეტი, არაფერი მანქანა არ უდგება. ანგარიშით ღორი ჩინებულად ასრულებს ამ დანიშნულებას, ღორი. ან როგორც აქ მას ეძახიან corn on the hoof — „ჩ ლ ი-

ქებზე შემდგარი სიმინდი" ჩინებულ საქონელს იძლევა. ამ საქონლის ფასი უფრო მაგრათ დგას და მუშტარის ძებნა მას არ სჭირდება.

ჩრდ. ამერიკის სათიბები საერთოდ 6 მილიარდ ფუთ თივას იძლევა. ამ სამუშაოს შედარებით მეტი მუშა ხელი ჭირდებოდა. სათიბავი მანქანა კარგა ხანია, რაც იყო გამოგონილი და მას კიდევაც ხმარობდენ, მაგრამ არ იყო სხვა მანქანები და ამიტომ თივის, თავის მოყრა, დაჩერგილება ზვინათ დადგმა — ყველაფერს ამას ადამიანის ხელი სჭირდებოდა. ეხლა აქაც შემოღებულია მანქანები. რომლებიც არამც თუ ააღვილებენ, აჩქარებენ მუშაობას, არამედ ცოცხალი მუშის მონაწილეობას ძალზე ამცირებენ.

რამდენს სთესავს და რა შემოსავალი აქვს შტატებს? ავიღოთ რამოდენიმე მცენარე.

მ ც ე ნ ა რ ე	რამდენი 1000 აკრი ითესება	რამდენი ბუშელი მოდის თითო აკრზე	რამდენი 1000 დოლარია ამოგებული მთელი მოსავლიდან
სიმინდი . . .	101,631	28,5	1,956,326
ხორბალი	52,200	12,8	947,993
შვრია	45,160	33,3	571,768
ქერი . .	8,243	26,4	127,653
ჰვავი	4,088	11,9	38,026
უგრეხელი . .	776	18,9	13,058
ბრინჯი	904	37,6	32,246
სულ . . .	213,002		3,707,070

ესაა 1925 წლის ციფრები.

1913 წელს დათესილი მოედნის სივრცე უდრიდა 206.091 ათას აკრს, ესე იგი, 1925 შედარებით 6.911 ათას აკრით ნაკლები. იმავე 1913 წლის იმავე მცენარეულების მოსავლის ღირებულება შეადგენდა 2,892.204, ესე იგი 1925 წლის მოსავალთან შედარებით 814.866 ათასი დოლარით ნაკლები.

მე არ შემეძლო შევხებოდი სოფლის მეურნეობის მრავალ სხვა დარგებს, საგაზეთო წერილში. ამ რთული საგნის გარჩევა შეუძლებელიცაა, მაგრამ, რაც ითქვა, ისიც საკმარისია ზოგიერთი საგულისხმო დასკვნის გამოსაყვანათ.

1. „მეტი მანქანა და ნაკლები მუშა!" მხოლოდ ამ გზით შეიძლება სასოფლო მეურნეობის დაწინაურება და მრეწველობის სოფლის მეურნეობასთან იმრიგათ დაკავშირება, რომ სოფლის ნაწარმოები მრეწველობის ნაწარმოებით არ დაიჩაგროს და არც თვით დაიჩაგროს მრეწველობის ნაწარმოები.

2. ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობისათვის ცივ-ცივათ ამერიკის მაგალითის აწევა და გადმოტანა არ გამოდგება. ეს შესაძლებელიც რომ იყოს ჩვენ იმდენ სარგებლობას არ მოგვიტანს.

ამერიკა ფართოთ გაშლილი ქვეყანაა. სახნავ-სათესი მიწა აქ ძალზე მეტია. ჩვენში კი (მე ამ შემთხვევაში კერძოთ და საგულდაგულოთ საქართველოზე ვლაპარაკობ!) მიწის სიიაფეა. ამიტომ ჩვენში მანქანების ხმარებასთან ერთად არ უნდა დავივიწყოთ თვით ნიადაგის მოვლა. მისი თვისებების შესწავლა. თვითეული ნაჭერი მიწა იმ მცენარეულისათვის, ან და მეურნეობის იმ დარგისათვის

უნდა გამოვიყენოთ, რომელიც მეტ ხეირს მისცემს სოფ-ლის მეურნეს.

არც ეს საქმეა აქ მიტოვებული, მაგრამ ამერიკაში თავი და თავი ყურადღება უსათუოთ სოფლის მეურნეობაში მანქანების მომარჯვებას და მოხმარებას აქვს მიქცეული.

ჩვენ ამ ორ ხაზს ერთი მეორეს ვერ დავაშორებთ, ვერც ერთს მეორესთან შედარებით უპირატესობას ვერ მივანიჭებთ.

ეს, რასაკვირველია, სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ საქართველო რაღაც სრულებით განსხვავებული კუთხეა დედამიწის ზურგზე, რომ მისთვის არ არსებობს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საერთო განვითარების კანონები.

რაც ჩქარა და საბოლოოთ გამოეთხოვებიან ამ „მამულიშვილურ“ ბაიათებს ზოგიერთი ჩვენი მეცნიერები და მათი ფეხის ამყოლი უმეცრები, მით უკეთესი რქნება საქმისათვის.

4 მაისი 1929 წელი.